ამირან ნიკოლეიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან

ვანი
2016 წელი
ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის
კვლევის ცენტრის გამოცემა

წიგნს ვუძღვნი ჩემს მეუღლეს, **ციცინო ქორქოლიანს,**
რომლის წვლილი განუზომელია მის ქაღალდზე გადატანაში.

ავტორი მადლობას უხდის ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელს,
ბატონ **ზაზა ხურციძეს** წინამდებარე ნაშრომის გამოცემაზე
დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

რედაქტორი - **ისიდორე ჯანელიძე**
ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი,
ფაზისისა და ბიზნესის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი,
აკადემიკოსი.

რეცენზენტი - **თენგიზ გუმბერიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

გამოცემის ხელმძღვანელი - **ომარ ჯაჯანაძე**
.ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის
კვლევის ცენტრის' ხელმძღვანელი,
ყრებულ .მატიანეს' რედაქტორი.

მხატვრული რედაქტორი
აკაკი თევზაძე - პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის
ლაურეატი.
ქრისტინე მეძველია - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

კომპიუტერული ვერსია - **ბელა ცაბაძე, თამილა მჟავანაძე,**
მაცაცო როხვაძე.

კორექტორი - **ინდირა გოგოძე**

მადლობა „მბმ პოლიგრაფს" წიგნის ხარისხიანად გამოცემისათვის

ISBN 978-9941-429-87-3

რედაქტორისაგან

პატივცემულო მკითხველო! დიდად დასანანი და სამწუხარო ფაქტია, რომ ამ ცოდვილ და უსწორმასწორო დედამიწაზე ყველაზე უხეშმა და დაუნდობელმა სიკვდილის ძალამ კიდევ ერთი უდროო გამარჯვება იზეიმა და ხელიდან გამოგვაცალა მეცნიერული და ცხოვრებისეული სიბრძნე-გამოცდილებით დამშვენებული, შემოქმედებითი სრულყოფილების ზენიტში მყოფი, ქართული სიდარბაისლით და სინდის-ნამუსით, სილამაზით, ვაჟკაცობით გამორჩეული პატრიოტი მამულიშვილი, მაღალკვალიფიციური მკვლევარი, ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, პროფესორი, აკადემიკოსი ამირან ოთარის ძე ნიკოლეიშვილი. გვჯერა, რომ მისი ამქვეყნიური არც თუ ხანგრძლივი, მაგრამ მაღალზნეობრივად განვლილი შინაარსიანი ცხოვრების გზა, მის ქართულ პატიოსან სულს მარადიულ სასუფეველში ამყოფებს.

ჰოდა, ფუტკარივით მშრომელი და პროდუქტიული მეცნიერის მიერ გამოსაცემად მომზადებული კრებული „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“[1] („პრესა და პრესისადმი დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიტერატურული პერიოდიკა“, 1918 წლის მაისი 1921 წლის თებერვალი), ეს უკვე დღეისათვის ერთ წიგნად შეკრული ორიგინალური შინაარსის ნარკვევები, მისი ხელიდან გამოსული სათვალავით მეთხუთმეტე წიგნია და ბარემ აქვე დავსძენ: ნაშრომის წინათქმიდან ბოლო გვერდების ჩათვლით (სინდისიერად ვაცხადებ) არის ათეულობით ფურცელი სულის შეხუთვამდე რომ აღმაფრთოვანებელია! რომელი ერთი დავასახელო! ძალზე სამწუხაროა, რომ ის ბოლო აღმოჩნდა და ავტორი მეტს ვეღარ შეძლებს.

ამ ავი მოლოდინის აჩრდილმა თუ წინათგრძნობამ დააწერინა სულით

---

1. ეს ნაშრომი წიგნად გამოცემამდე, ექსკლუზიური უფლებით, გამოაქვეყნა „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ კრებულმა „მატიანემ“, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრი ბატონი ამირანიც ბრძანდებოდა.

ძლიერ და გულგაუტეხელ ბატონ ამირანს მისი უამრავი ნაცნობ-მოკეთე-მეგობრისათვის გულისშემწყვლელი ზემოთ ხსენებული ის წინათქმა, რომელიც ქართული გონის ბოლო გამონაჟურია და ამიტომ, გვერდს ვერ ავუვლი – რამდენიმე წინადადება მაინც უნდა მოვიშველიო, ალბათ, ყველა მკითხველის გულში ჩამწვდომი ამ მიმართვა-აღსარებიდან: „თავიდან წიგნი უფრო ვრცელი მსურდა გამოსულიყო და ამისთვის ყველაფერი მზად მქონდა კიდეც... მიუხედავად აზროვნების პრობლემის არქონისა, ტკივილებით გაწამებულს ფიზიკურად წერა მიჭირს. ეტყობა ამქვეყნიური მისიის ფინალს ვუახლოვდები. ...მწამს, რომ მასში დაყენებული პრობლემის დადებითად გადაჭრისთვის აუცილებლად მოიძებნებიან შემსრულებლებიო." ასე სწამდა ბატონ ამირანს. ჰოდა, ღმერთმა უსმინოს და ინებოს!

ჩვენი განსახილველი წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის კატეგორიას განეკუთვნება. მისი სტრუქტურულ-შინაარსობრივი და მიზან-დანიშნულების გააზრების შემდგომ, პატივცემული მკითხველის დასაკვალიანებლად გონიერმა და გამოცდილმა ავტორმა, მისი ნააზრევის იოლად და უკეთ წვდომის თუ ჩაწვდომისათვის მორგებული გასაღები ნაშრომის პირველივე წინადადებიდან შემოგვაგება თუ წინ დაგვიდო. მოვუსმინოთ მას! „ამ ნაშრომს ორიგინალური კვლევის პრეტენზია არ გააჩნია. ჩემს მიზანს მხოლოდ ის წარმოადგენს, რომ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენო ქართველთა უძველესი წარმომავლობისა და ჩვენს განუზომლად დიდი წვლილზე კაცობრიობის ცივილიზაციის შექმნასა და განვითარების საქმეში."

პატივცემული ავტორის ენა-პირით ზემოთ გამხელილ-გახმიანებული უკეთილშობილესი იდეის ხორცშესასხმელად ეგზომ საჭირო ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიებითი და პატრიოტულ-მამულიშვილური, მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთის მუდამ თანმდევი და აუცილებელი „შავი სამუშაოს" გულმოდგინე შესრულებით, რასაც დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შეამჩნევს, ჩანს თუ რაოდენი ვაფა გაუწევია მსოფლიო მეცნიერების „ღრმა ლაბირინთში დასარდაფებული" უძველესი საკრალური ცოდნის სამზეოზე ამოსატანად, რათა ჩვენთვის ასე სასიამოვნო საკითხავ წიგნად გარდაქმნილი მოეძღვნა.

ასე და ამგვარად ის, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსი, ვალმოხდილია ძველი აბერი (კოლხი) წინაპრების განსაცვიფრებელი და განუმეორებელი უძველესი ისტორიის ობიექტურად წარმოჩენაში, როგორც თეიმურაზ ამბობს მისი მოკრძალებული წვლილის შეტანით, არადა, ნამდვილად გამოუვიდა დაეცვა საქართველოს ისტორიის მამად აღიარებული ივანე ჯავახიშვილის ნაანდერძევი პრინციპი „საჭიროა ხალხმა იცოდეს... უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული და ყალბი."

ასე რომ, როგორც ამ წიგნის რედაქტორი, ვფიქრობ კი არა, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ბატონმა ამირანმა სუფთა მეცნიერული სინდისით, ნამდვილი მეცნიერისთვის შესაფერისი და საკადრისი სიზუსტით, უფრო სწორი თქმა იქნება, შესაშური სიძუნწითაც კი გაგვაკვირვა მაშინ, როდესაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ოთხი ათეული წლის მანძილზე გაწეული მისი კვლევა-ძიებითი მოღვაწეობის დამაგვირგვინებელი მეცნიერული ნაშრომის, რომლის საერთო სათაურია „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან," მომზადება-გამოცემით თავისი წონადი წვლილი შეიტანა თანამედროვე დიდი ქართველოლოგიური მეცნიერების გამდიდრებაში.

ძალზე სამწუხაროა, რომ ბატონ ამირანზე აწ უკვე წარსულ დროში გვიხდება საუბარი. ის დიდი გულის ქართველი და დინჯმოუბარი ინტელექტუალი გახლდათ; ასეთი ქართველი კაცების დარჩეული ლობიოსაგან მომზადებული კერძი ნებისმიერი დონის და რანგის პიროვნებას და პიროვნებათა კრებულსაც თავისუფლად მიერთმევა. მათ შორის, რა თქმა უნდა, ქართული ინტელექტუალური განძთსაცავის უპბრველეს ციტადელში – მეცნიერებათა აკადემიაში მოღვაწე ქართველი ერის სააამაყო, მსოფლიოში აღიარებულ ქართველ აკადემიკოსებს და ჩვენს პატივცემულ ეროვნულ მთავრობას.

ჩვენი ეს მსჯელობა – საუბარი იქეთკენ მიმყავს, ზემოთ რომ სიტყვათა შეთანხმება მიმართვა-აღსარება გამოვიყენეთ, ახლა სიტყვა „ანდერძის" მოშველიებაც გახდა საჭირო, რამეთუ ბატონი ამირანის კეთილშობილი სულის ზეციურ საქართველოში ამაღლების შემდეგ, ჩვენი ეროვნული აკადემიის და პატივცემული მთავრობისადმი ნარკვევის ბოლო გვერდზე მოქცეულმა თუ დატანილმა ერთობ გონუერულმა და პრაქტიკულმა

მიმართვა რეკომენდაციებმა ახლა ანდერძის სახე შეიძინა... იმედია წიგნი მალე იხილავს მზის სინათლეს და ფრიად პატივცემული ადრესატების მისამართით გახმიანებული სამართლიანი თხოვნა არ იქცევა თუ აღარ დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინად."

მოკლედ, ავტორმა სათქმელი თქვა, თანაც კეთილსინდისიერად, თამამად, პრინციპულად და რაც არსებითია, თანამედროვე ისტორიოგრაფიის არსენალში არსებული მოსაზრება-შეხედულების საფუძველზე გამოტანილი ლოგიკური დასკვნებით.

ავტორი მართალია საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან და მეცნიერებასთან.

და კიდევ, როგორც პოლიტოლოგი, გვერდს ვერ ავუვლი ჩვენი სამსჯელო წიგნის მეორე თავში წარმოდგენილ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ანუ ერთი სრული საუკუნის წინანდელ სიტყვის და პრესის თავისუფლების ისტორიულ გამოცდილებას და იმ დროისათვის მოღვაწე თუ მოქმედი ქართველების ერთმანეთის „ჯამა-ღრენის", ისტორიული სინამდვილის ამსახველი დოკუმენტური მასალებით დახუნძლულ გვერდებს და თუ მას გულისყურით გაეცნობა 21-ე საუკუნის დასაწყისის თავისუფალი საქართველოს ახალგაზრდობა, „ძველგაზრდობაც", ვფიქრობთ, შეაფასებს და ეროვნული ტკივილის საფუძვლებიდან გააცნობიერებს, ამით მოიგებს საქართველოც და ჩვენ, ყველანი.

გულწრფელად ვამბობ, ძმაკაცმა რომ წიგნის რედაქტორობა გთხოვოს, დაეთანხმო და პირობის შესასრულებლად წინასწარ შენთვის გონებაში რაღაც მონახაზი გააკეთო, მიცემული პირობის შესრულება კი მისი გარდაცვალების შემდეგ მოგიწიოს, ჩვენებურად რომ ვთქვათ, მტერს არ უსურვებს კაციო, სწორედ იმ მდომარეობაში აღმოვჩნდი, მაგრამ ასე თუ ისე, მაინც გავართვი თუ მოება თავი. რეცენზენტმა, ბატონმა თენგიზ გუმბერიძემ შესანიშნავად დასაბუთებული რეცენზიაც დაურთო წიგნს.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის" ხელმძღვანელის, კრებულ „მატიანეს" მთავარი რედაქტორის, ბატონ ომარ კაპანაძის ვანისაღი ქართული გონებით დამშვენებული მიმართვის მთავარი ადრესატების, ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ ზაზა ხურციძის და ვანის საკრებულოს მიერ არაერთი მამ-

ულიშვილური წინადადების განხორციელება (მაგ., 'შორის წინამდებარე წიგნის გამოცემაც იგულისხმება) ნათლად ადასტურებს, რომ ეროვნული, წმინდა ქართული საქმეების კეთება ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი ჩვენს ძმა-ძირძველ ვანელებს.

და ამ არც თუ დიდი ხნის წინ დამდგარ 21-ე საუკუნეში, ბევრ ჩასაფრებულ თუ სამზეოზე გამოსულ მტერს, ასე თუ ისე, უკვე მეოთხედი საუკუნეა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა უძლებს, და იმედია, არამარტო ამ საუკუნეში, არამედ მესამე ათასწლეულშიც ვერ გადაგვყლაპავენ, თუ არ დავკარგავთ ჩვენს გადამრჩენელ მამაპაპისეულ ტრადიციულ მრავალნაცად გონიერებას.

ხედავ, ბატონო პროფესორო, ჩემო ამირან, რა „კარგად დალაგდა" ყველაფერი.

ისემც რა ვუთხრა ამ წუთისოფლის სამართალს!

და ბოლოს, შენს კოლეგა-მეგობრებს ის გვაიმედებს, რომ აწ გარდაცვლილი დიდ მეცნიერ-ისტორიკოსთა დარად, შენი განვლილი თუ ჩავლილი ცხოვრება გაძლევს უფლებას, რომ თქვა, „იქაც" საქართველოს უსაზღვრო სიყვარულში და ლოცვაში „ვიქნები".


და კიდევ ერთიც: შენი სურვილი იყო, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ შენს ვაჟკაც და კარგ ბიჭს – გორდა ამირანის ძეს, მის შვილებს, იქაურ მათ ქართულ საძმაკაცოს ხელთ ჰქონოდათ წინამდებარე ტექსტის ინგლისური ვარიანტი... სამომავლოდ, ალბათ, არც ეს უნდა იყოს შეუძლებელი.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს!

ისიდორე ჯანელიძე

ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციის
გამგეობის წევრი, ფაზისის და ბიზნესის
სამეცნიერო აკადემიების ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

ავტორისაგან



თავიდან წიგნი უფრო ვრცელი მსურდა გამოსულიყო და ამისათვის ყველაფერი მზად მქონდა კიდეც. დარჩენილი იყო მისი მხოლოდ ქაღალდზე დალაგებული გადატანა, მაგრამ ჩემმა მოულოდნელმა ავადმყოფობამ (სიმსივნე) დროის მწვავე დეფიციტი შემიქმნა. მიუხედავად ზროვნების პრობლემის არქონისა, ტკივილებით გაწამებულს, ფიზიკურად წერა მიჭირს. ეტყობა ამქვეყნიური მისიის ფინალს ვუახლოვდები. მინდა ამ წიგნის დაბეჭდვა მაინც შევძლო. მწამს, რომ მასში დაყენებული პრობლემების დადებითად გადაჭრისათვის აუცილებლად მოიძებნებიან შემსრულებლები. კიდევ ბევრი რამ მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მათი გაკეთება სხვებს მოუწევთ.

სიყვარულით

ავტორი ნიკოლეიშვილი

ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან

ამ ნაშრომს ორიგინალური კვლევის პრეტენზია არ გააჩნია. ჩემს მიზანს მხოლოდ ის წარმოადგენს, რომ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენო ქართველთა უძველესი წარმომავლობისა და ჩვენს განუზომლად დიდ წვლილზე კაცობრიობის ცივილიზაციის შექმნისა და განვითარების საქმეში.

პროტოიბერთა განსახლების დამადასტურებელ წერილობით ცნობებს ჩვენ, ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ავტორები გვაწვდიან და გვაუწყებენ, რომ იბერები (კოლხები) ცხოვრობდნენ მეწამული და კასპიის ზღვებიდან მოყოლებული, ეგვიპტეში – ქიმეთში (ჰეროდოტე კოლხებს ეგვიპტელებად მიიჩნევდა და წერდა, რომ ისინი მთელს მსოფლიოში იყვნენ განფენილები), სუდანში, ევროპაში, ინდოეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სხვა ადგილებში.

განსაკუთრებით, დიდი წვლილი შეიტანა პრობლემის კვლევაში XIX საუკუნის გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა ჰუმბოლდტმა, რომელიც მიიჩნევდა, რომ პირენეების, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების, ეგეოსის ზღვის აუზის, კავკასიის, პალესტინისა და ინდოეთის ავტოქთონური (პირველადი) მოსახლეობა მესამე ათასწლეულის ბოლომდე, ან მეორე ათასწლეულის შუა ხანებამდე მაინც, იბერიული იყო და მათ პროტოიბერებად, ხმელთაშუა ზღვის, მედიტერიანული, კავკასიური ანუ პალეოკავკასიური რასის სახელით მოიხსენიებს, რომელთა სალაპარაკო ენა იყო ერთი, ოღონდ თავისი დიალექტებით. მისი აზრით, მოგვიანებით, სწორედ, ამათგან ჩამოყალიბდა ევროპის მოსახლეობა.

ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი თავიანთ 1948 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში" წერდნენ, რომ 6000 წლის წინ ხეთურ-იბერული მოდგმის ხალხი დასავლეთ და სამხრეთ ევროპაში, ბალკანეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, წინა აზიასა და მესოპოტამიაში (ევფრატ-ტიგროსის აუზში) ცხოვრობდნენ.

აღნიშნულ აზრს იზიარებენ ან კიდევ უფრო შორს მიდიან სხვა ქვეყნების მეცნიერებიც და მიიჩნევენ, რომ პროტოიბერები ცხოვრობდნენ სპარსეთის ყურისა და აზოვის ზღვების ირგვლივ, ყირიმში,

მდინარე ვოლგამდე, სამხრეთ გერმანიაში, ავსტრიაში, ბრიტანეთის (ირლანდიის ჩათვლით) კუნძულებზე, სადაც ისინი ჯერ კიდევ 8500 წლის წინ პირველები გამოჩენილან იბერიული წარმოშობის პიქტების სახით („მსოფლიოს ისტორიული ენციკლოპედია"), ბრიტანეთის კუნძულების (ირლანდიის ჩათვლით) პირველ ამთვისებლებად პროტოიბერებს მიიჩნევენ მორტონი („ინგლისის ისტორია", თავი პირველი) და არაკიანიც („ინგლისური ენის ისტორია") და თან მიუთითებენ, რომ აქედან ისინი ხშირად სკანდინავიასაც სტუმრობდნენ.

დასავლეთ ევროპის პირველ ამთვისებლებად იბერებს მიიჩნევს ებრაელი მეცნიერი გრეინშპოლკიც თავის წიგნში „არიელები და იბერიელები".

არანაკლებ მნიშვნელოვანი არის ჰოლანდიელი მეცნიერის ფურნიეს მიერ თავის კვლევებში დადასტურებული 5 000 ქართული სიტყვის გამოვლენა-გავრცელება აპენინის ნახევარკუნძულისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის არეალში.

იბერიელთა განსახლების არეალად ევრაზიულ სივრცეს მიიჩნევს კიდევ ერთი ებრაელი მეცნიერი მოსენსკისი, რომელიც თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში წერს, რომ ევრაზიული ცივილიზაციის სათავეებთან ქართველები იდგნენ.

მეცნიერთა ერთი ნაწილი იმასაც ფიქრობს, რომ აფრიკაში იბერიელთა განსახლების უკიდურესი სამხრეთი ადგილი იყო სუდანი, სადაც იბერიული მოდგმის ხალხი – ხალდები ცხოვრობდნენ. ეს ის ხალდებია, რომელთა ენას პროტოქართულად ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილიც მიიჩნევდნენ და რომელზეც, როგორც ირკვევა, იესო ქრისტე ლაპარაკობდა.

კოლხების შორეულ წინაპრებად არიან მიჩნეულნი აფრიკელი ბერბერებიც, ხოლო მაროკოს ქალაქ უარგალში ახლაც ცხოვრობენ ზანგი ქართველები, რომლებსაც ენა და გვარებიც კი ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვთ. მათი საუბარი იქ რუს მეცნიერ ელისეევს ჩაუწერია (უფრო დაწვრილებით ქვემოთ).

არის უფრო გაბედული მოსაზრებებიც და გამოთქმულია შეხედულება, რომ პროტოიბერები ცხოვრობდნენ თვით იაპონურ ჰოკაიდოსა და ჰონსიუზეც კი, ხოლო ტურ ჰეიერდალი და ესპანელი მეცნიერი ი. დონელი მიიჩნევენ, რომ ამერიკის კონტინენტი სწორედ

კოლხუამ (ე.ი. იბერებმა) აღმოაჩინეს, იქ ატლანტიდური ცივილიზაცია მოიტანეს და მაიას ხალხს შეუქმნეს ანბანი.

ამ მოსაზრებათა ერთგვარ პრაქტიკულ დაგვირგვინებას წარმოადგენს 2007 წლის სენსაციური აღმოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე – წითელ ხიდთან, სადაც მიკვლეული იქნა ჯერ 3800 წლის წინათ მიწაში დამარხული, თითქმის დაუზიანებელი ქალაქი, ხოლო 2012 წელს 6000 წლის წინანდელი შუმერული კულტურის იდენტური კულტურა, რაც ამტკიცებს, რომ ჩვენი შორეული წინაპრები და შუმერები (იგივე იბერიული ტომი სუმერი) ვიყავით ერთი კულტურის შემქმნელები, ერთი ხალხი და გვეკავა ერთიანი სივრცე.

ასე, რომ ნაშრომის, „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან", ძირითად მიზანს წარმოადგენს შეძლებისდაგვარად თავი მოვუყარო და ანალიზი გავუკეთო იმ უზღვავ მასალას, რაც ქართველთა (პროტოქართველთა) შორეული წინაპრების წარმომავლობასთან და განსახლების არეალთან არის დაკავშირებული. ასევე მინდა მკითხველს მივაწოდო ერთად თავმოყრილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) მეცნიერთა მოსაზრებები და შეხედულებანი ზოგადად ცივილიზაციის და კერძოდ, ქართული ცივილიზაციის ჩამოყალიბებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ცივილიზაციათა გაჩენის საქმეში.

ბუნებრივია, როგორც ცნობილი ატლანტოლოგი და შესაბამისი წრეებისათვის სამაგიდო წიგნად მიჩნეული „ატლანტისი"-ს ავტორი ლ. ზაიდლერი წერს (წიგნი ქართულ ენაზე შესანიშნავად თარგმნა და გამოსცა 1972 წ. გამოჩენილმა ქართველმა ლიტერატორმა რ. თვარაძემ). ის „შეეცადა, შეძლებისამებრ ზუსტად გადმოეცა ყოველივე, რაც ატლანტისის შესახებ თქმულა, როგორც ძველ წიგნებსა და ხელნაწერებში, ასევე უახლეს ნაშრომებში. მასალის 95 პროცენტამდე ლიტერატურული წყაროებიდან არის აღებული. დანარჩენი ავტორის მცირე წვლილია". ჰოდა, თუკი ისეთ სახელგანთქმულ ავტორს, როგორიც ლ. ზაიდლერია, მისეული ხუთი პროცენტი მცირე წვლილად მიაჩნია, ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდ მიღწევად იმასაც კი ჩავთვლიდით, თუკი პრობლემის ირგვლივ აქცენტების სწორად გაკეთებასა და გარკვეული კითხვების დასმას შევძლებთ, რომლებიც მომავალში პრობლემის კვლევით დაინტერესებულ მეცნიერებს მუშაობაში დაეხმარებათ.

სანამ ქართველთა წარმომავლობაზე, მათი შესაძლო განსახლების არეალზე, ზოგადად, ცივილიზაციის და კერძოდ, ქართული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაზე გადავიდოდეთ, მანამდე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენის პრობლემაზე, რომლის შესახებ რამდენიმე თეორია არსებობს.

პირველი გახლავთ დარვინის ევოლუციურ-მატერიალისტური თეორია, რომელიც მხარს უჭერს იმას, რომ ანთროპოგენი (ადამიანის წარმოშობა) მესამეულის ბოლოსა და მეოთხეულ პერიოდში, 4-3,8 მილიონი წლის წინათ დაიწყო და ტანზანიაში ნაპოვნია კიდეც ამ დროის თიხაზე შემორჩენილი ადამიანის ფეხის ანაბეჭდები. ამ თეორიის მიხედვით ადამიანის უშუალო წინაპრად მიჩნეულია სამხრეთელი მაიმუნები – ავსტრალოართეკები, რომელთაგან 2,2 მილიონი წლის წინ შეიქმნა ჰომოჰაბილას – მარჯვე ადამიანი.

1,8 მილიონი წლის წინათ კი გაჩნდა ჰომო ერექტუსი, რომელმაც 200 000 წლამდე იარსება და შესძლო ცეცხლის ათვისება, ძვლისა და ხის იარაღების შექმნა და რაც მთავარია, დანაწევრებული მეტყველების ჩამოყალიბება.

200 000 წლიდან 40 000 წლამდე არსებობდა ნეანდერტალელი ადამინი, რომელსაც უკვე ჰქონდა პრიმიტიული მეტყველება და დაიწყეს სხვადასხვა ენაზე საუბარი. გაჩნდა პრიმიტიული ხელოვნებაც.

40 000 წლიდან 6 000 წლამდე კი არსებობდა კრომანიონელი ადამიანი, რომლის დროს გაჩნდა რელიგიის პირველი ნიშნები, მხატვრობა, ქანდაკება, ქვასა და ძვალზე ცხოველების გრავირება და ახალ საფეხურზე ავიდა სხვადასხვა ენებზე მეტყველება (25 000-15 000 წლებში განსაკუთრებულ სიმაღლეზე ავიდა გამოქვაბულის მხატვრობა), 15 000 – 10 000 წლებში გაჩნდა სკულპტურები, სიმბოლური ნიშნები და წარმოდგენები სულეთზე და 12 000 – 10 000 წლებში გაჩნდა მშვილდისარი, ნავი, შუბ-სატყორცნი და ადამიანებმა უფრო მეტი ინტენსივობით დაიწყეს ერთ ადგილზე ცხოვრება.

ევოლუციური არის ოპარინის ე.წ. ბიოლოგიური ნახტომის თეორიაც, რომელიც თვლის, რომ სიცოცხლის გაჩენამ ასეთი ევოლუციური გზა გაიარა: მატერია – პლაზმა – ერთუჯრედები – მრავალუჯრედები, ბაქტერიები და ა.შ. ადამიანამდე.

მეორე გახლავთ კრეატიული (შექმნის) თეორია, რომელსაც ბიბლია

ეყრდნობა და მისი მიხედვით ადამი ღმერთმა მიწისაგან შექმნა. მართლაც, ადამიანი (ყველა რასის?) და დედამიწა ერთნაირი ელემენტებისაგან შესდგებიან (ადამიანის ორგანიზმში 70-90% წყალი და დანარჩენი სხვადასხვა ელემენტები არის), რაც თითქოსდა იმას მიუთითებს, რომ ადამიანი მართლაცდა მიწიერი არსებაა, მაგრამ ის სულის გარეშე ცოცხალი რომ არ არის? და როცა გარდაიცვლება იმის გამო კი არ კვდება, რომ მისი შემადგენელი ნაწილები სადღაც ქრებიან, არამედ იმის გამო, რომ ქრება სული, რაც მას ღმერთმა შთაბერა.

მესამე გახლავთ წინა ორთან შედარებით უფრო გვიანდელი – მეტაკრეაციონიზმის თეორია, რომელიც ცდილობს რა წინა ორი თეორიის ურთიერთშერიგებას, ამბობს, რომ ევოლუციური პროცესი კრეაციონიზმის საფუძველზე მიმდინარეობდა.

არსებობს სამყაროს შექმნის აფეთქების (ე.ი. ალბათობის) თეორიაც, მაგრამ ის შედარებით ნაკლებ ნდობას იმსახურებს, რადგან, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, თუ ყოველ აფეთქებას შედეგად ნგრევა მოჰყვება, მაშინ რანაირად შეიქმნა აფეთქების შედეგად ასეთი მოწესრიგებული სამყარო?

და ბოლოს, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ადამიანები დედამიწაზე სულაც არ გაჩენილან და ისინი აქ სხვა პლანეტებიდან არიან მოსულები. კაცმა რომ თქვას, საკითხის ასეთი დაყენება სულაც არ არის მოკლებული ლოგიკას, რადგან ჩვენს ირგვლივ ძალიან ბევრი რამ არის აუხსნელი. მაგალითად, სამხრეთ ამერიკის მაღალ მთებში მიკვლეულია უძველესი აეროდრომების მსგავსი ნაგებობები. ბუნებრივია, ისმის კითხვები, თუ ვინ ააგო ისინი, ნუთუ იმ ეპოქის ადამიანებმა, რომლებიც განვითარების პირველყოფილ დონეზე იდგნენ? მერედა მათ ამისათვის ეყოფოდათ კი ცოდნა? ანდა, კიდეც რომ მათ აეგოთ, რაში სჭირდებოდათ მათი განვითარების დონის ადამიანებს ისინი, ნუთუ დაფრინავდნენ?

ასეთივე კითხვებს აღძრავს საფრანგეთის გამოქვაბულში ნაპოვნი 30 000 წლის წინანდელი კლდეზე შესრულებული სკაფანდრიანი ადამიანის ნახატი, რომელიც თითქმის არაფრით არ განსხვავდება სკაფანდრიანი ი. გაგარინის ფოტოსურათისაგან. ნუთუ შეიძლებოდა ქვის ხანის კრომანიონელ ადამიანს სცოდნოდა სკაფანდარი და თავის ნახატში ის ადამიანისათვის ჩაეცმია?

არანაკლებ ძნელია, შეუძლებელიც კი, იმისი ახსნა, თუ ვინ შექმნა 15-17 000 წლის წინათ ის უამრავი, გიგანტური, 15 მეტრიანი წიგნი, რომელიც 2004 წელს აღმოაჩინეს ციმბირის (ტაიმირის) ქალაქ ხატანგასთან ახლოს, მარადიულ გამყინვარებაში და ისინი ძალიან კარგადაც არიან შენახულები. მეცნიერებმა მართალია მისი შექმნის ასაკი, 15-17 000 წელს კი დაადგინეს, მაგრამ ჯერჯერობით მათი ენის განსაზღვრა და წაკითხვა ვერ შეძლეს.

ასევე დაუდგენელია, თუ რა ენაზე და ვის მიერაა შესრულებული ქვაზე 10 000 წლის წინანდელი წარწერები, რომელიც ჩინეთში იპოვეს.

განა დღემდე მთელმა მსოფლიომ ასე არ იცოდა, რომ ადამიანებმა დამწერლობა(ნებისმიერი სახის) გაცილებით გვიან რომ შექმნეს?

ყველაზე თამამი მოსაზრებითაც კი, დედამიწაზე პირველი სახელმწიფო იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობები იბერ-სუბარებმა მესოპოტამიაში IV ათასწლეულში შექმნეს, ხოლო პირველი ანბანური დამწერლობა უგარითში ძველი წელთაღრიცხვის 1750 წელს შეიქმნა.

გამოდის, რომ ყველაფერი ეს მცდარია და სწორია ე. მატფორდის მოსაზრება, როცა იგი ალფავიტის შექმნას წარღვნამდელ მემკვიდრეობად მიიჩნევს.

ასევე სწორი გამოდის ა. სმითის ვარაუდიც, რომ ადამმა წიგნის შედგენა იმიტომ შესძლო, რომ ატლანტისელებმა იცოდნენ დამწერლობა.

ეჭვს გარეშეა, ყველაფერი ეს, სულ მცირე, იმის საფუძველს მაინც გვაძლევს, რომ ვიფიქროთ, როგორც აეროდრომების ამგები, ისე ამ ნახატებისა და წიგნების (ქვაზე წარწერებისაც) შემქმნელი ადამიანები ქვის ხანის ადამიანები რომ არ იყვნენ. მაშ, ვინ იყვნენ ისინი? თუ დედამიწელები არა, მოსულები? საიდან მოსულები?

მოსვლის თეორიასთან დაკავშირებით, აქ ზედმეტი არ იქნება იმისი გახსენებაც, რასაც თითოეულ ჩვენთაგანს გვასწავლიდნენ და თითქმის ახლაც უცვლელია ის აზრი (სპეციალისტების ძალიან ვიწრო წრის გარდა), რომ დედამიწაზე ცხოვრობს სამი რასა. არადა, ეს სულაც არ არის ასე და დედამიწაზე მეოთხე რასაც ცხოვრობს, რომელსაც პროტოიბერული, მედიტერიანული, კავკასიური ანუ პალეოკავკასიური რასა ჰქვია.

ამის თაობაზე ჯერ კიდევ 1776 წელს წერდა ბლუმენბახი, XIX საუ-

კუნის გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი ჰუმბოლდტი, XX საუკუნის დ. მაკლეოდი (5000 წ. წინ ევროპაში იბერიული რასა ბატონობდაო) და ა.შ.

ჰოდა, როცა დედამიწაზე მოსულების მიერ სიცოცხლის გაჩენაზე ვსაუბრობთ, ლოგიკურია ასეთი კითხვის დასმა – შეისწავლა თუ არა ვინმემ რასების მიხედვით ადამიანის ორგანიზმის ქიმიური შემადგენლობა და ოთხივე რასის ადამიანები ერთი და იგივე ქიმიური ელემენტებისაგან შესდგებიან? თუ ეს ასეა, მაშინ, ვფიქრობ მოსულობის თეორიას საფუძველი თითქმის ეცლება, რადგან არ შეიძლება ყოველი ის უცხო პლანეტა, საიდანაც თითქოსდა ადამიანები მოვიდნენ დედამიწაზე, ზუსტად ერთი და იგივე ქიმიური ელემენტებისაგან შესდგებოდეს და ეს ემთხვეოდეს დედამიწის ქიმიურ შემადგენლობას.

პერიოდი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ატლანტისის ჩაძირვამდელ და წარღვნამდელ პერიოდს მოიცავს და პროტოქართულ სამყაროსთან იმით არის დაკავშირებული, რომ, როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, წარღვნამდე უკვე არსებობდა თუბალ-კაინას ქვეყანა, რომლისგანაც შემდეგში ქართველები წარმოიშვნენ.

ძალზე საინტერესო და საყურადღებო იყო რამდენიმე ხნის წინათ განხორციელებული ერთ-ერთი ამერიკული სატელევიზიო არხის ვრცელი გადაცემა, რომლის მიხედვითაც 15 000 წლის წინათ თურმე მთელი აზია და ევროპა პროტოქართულ ენაზე ლაპარაკობდა.

ამ პრობლემასთან მიმართებაში კიდევ უფრო შორს წავიდა გ. ჰეგელი, რომელმაც დაწერა, რომ მაშინდელი 23 სიტყვა – მე, შენ, დედა, კაცი, ცეცხლი, ხელი და ა. შ., ახლაც არის ქართულში უცვლელად შენარჩუნებული (ჟურნალი „procedings the National Academy of Sciences").

ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი და ს. ჯანაშიაც, თავიანთ 1948 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში" წერდნენ, რომ სიტყვები – მარგილი-მარგვლა, გუთნის დედა, დიასახლისი და მამასახლისი პირველყოფილი თემური წყობის დროს არის გაჩენილი.

მკითხველმა ალბათ ყურადღება მიაქცია იმას, რომ, ჩვენ, 12 000 წელზე შევჩერდით. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევით არ გაგვიკეთებია, რადგან ეს ის სავარაუდო თარიღია, როცა ქრება ატლანტისი და დედამიწა (ან მისი დიდი ნაწილი) წარღვნამ მოიცვა. ასე რომ,

ამჯერად, ჩვენს მიზანს ატლანტისის პრობლემისა და წარღვნის განხილვა წარმოადგენს, თუმცა, არა უბრალოდ ზოგადი თვალსაზრისით (ამას უჩვენოდაც კარგად გააკეთებენ), არამედ იმისი მიგნება, თუ რა კავშირში იყო ატლანტისი, წარღვნა და პროტოქართული სამყარო ერთმანეთთან.

ატლანტისი, ატლანტისელები და პროტოქართული სამყარო

ატლანტისის თაობაზე მსოფლიოს მეცნიერთა აზრი ძირითადად, ორ ბანაკად არის გაყოფილი. ერთნი მიიჩნევენ, რომ ის არ არსებობდა, ხოლო მეორენი თვლიან, რომ არსებობდა. ამთავითვე გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ იმათ რიცხვს მივეკუთვნებით, რომლებიც ატლანტისის არსებობასა და შემდგომ მის გაქრობაში ღრმად არიან დარწმუნებულნი. აქედან გამომდინარე, შემდგომში ჩვენი ყველა მოსაზრება სწორედ ამ პოზიციიდან იქნება წარმოდგენილი.

ატლანტისი რომ ნამდვილად არსებობდა, განა ამას, თუნდაც ის არ ადასტურებს, რომ აზორის კუნძულებთან ნაპოვნია სპილენძის წვრილი ძეწკვი, რომელიც უდავოდ ატლანტისური ოქრომჭედლობის ნიმუშად ითვლება.

ატლანტისის არსებობაზე ირიბად მიუთითებს XIII საუკუნეში ფრიზულ ენაზე (გერმანულის დიალექტია, რომელიც XVI საუკუნიდან აღარ არსებობს) დაწერილი წიგნი „ურა ლინდა ბუც", რომელშიც წერია, რომ „ფრიზების ისტორია ატლანტისის ქვეყნის ჩაძირვის შემდეგ მოხდა". იქვე ისიც წერია, რომ ამერიკა ატლანტისის დაღუპვის შემდეგ იქნა აღმოჩენილი იანკის მიერ.

ატლანტისის არსებობის ადგილად იმ მეცნიერებს, რომელთაც მისი არსებობა სწამთ, ატლანტისი ან წყნარი ოკეანეები მიაჩნიათ.

ატლანტის ოკეანეში მისი ერთი სავარაუდო ადგილსამყოფელი უნდა ყოფილიყო მწვანე კონცხის, კანარის, მადეირის და აზორის კუნძულებს შორის, უფრო მეტად კი აზორის კუნძულების ირგვლივ.

სხვათა შორის, ლეგენდების მიხედვით, პოსეიდონის სასახლე სწორედ ატლანტისზე მდებარეობდა, ხოლო პოსეიდონის (ე.ი. ატლანტისისაც) სიმბოლოდ მიჩნეულია სამთითა ფიწალი, რომელიც მას ხელში უჭირავს. მაინც რას უნდა ნიშნავდეს ეს? იქნებ აზორის კუნძულების იმ სამ მთას,

რომლებიც, მართლაც, სამთითა ფინალივით არიან განლაგებულნი?

ატლანტისი რომ მწვანე კონცხის, კანარის, მადეირის და აზორის კუნძულებს შორის მდებარეობდა, ამაზე სავარაუდოდ, ატლანტისის გადარჩენილი ხალხის, კანარელი გუანჩების მრავალი თავისებურებაც მიუთითებს

1. გუანჩი ნიშნავს მკვიდრს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი იქ მისულები არ არიან და სავარაუდოდ, ხომ არ არიან ატლანტისელთა შთამომავლები?
2. გუანჩები, ამერიკელი ინდიელების, ბერბერებისა და ესპანელი იბერიელების მსგავსად, თავზე იკეთებენ ფრთებს, რაც იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ისინი ოდესღაც ერთად ცხოვრობდნენ და იქ ისწავლეს ეს?
3. გუანჩები ისეთივე თეთრები არიან, როგორც ბერბერები და თან ერთმანეთს ჰგავს მათი ენებიც. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ორთავენი ატლანტისელთა მემკვიდრეები არიან?
4. გუანჩების დამწერლობა ჰგავს სამხრეთ ამერიკულს, კრეტულსა და ეგვიპტურს. ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე, რომ მათ ოდესღაც ერთი საწყისი ჰქონდათ?
5. გუანჩები და ბერბერები ერთმანეთს და ორთავენი ერთად კი, ანთროპოლოგიურად ძალიან ჰგვანან ესპანეთის და ჩრდილოეთ აფრიკის წინარე ისტორიული მღვიმეების ხალხებს (კრომანიონელთა რასა). როგორ უნდა ავხსნათ ეს მსგავსება? იქნებ იმით, რომ მათ შორეული წარსულიდან ერთი ფესვები აქვთ?
6. კოლუმბს, ამერიკაში თავისი მოგზაურობის დროს უნახავს თეთრკანიანი ინდიელები, რომლებიც თმას ესპანელებივით ივარცხნიდნენ. საიდან ეს მსგავსება? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ინდიელებს და ესპანელებს ოდესღაც ერთმანეთთან ერთი სივრცე-განსახლების ტერიტორია აკავშირებდათ?
7. ინკების ბევრ ქანდაკებას არწივისებური ცხვირი აქვს. რატომ? ასეთი ცხვირი ხომ უცხო და არადამახასიათებელი არის ინდიელებისათვის? ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე, რომ ამერიკის კონტინენტის მცხოვრებლებს ოდესღაც რაღაც საერთო და შეხება ჰქონდა იმ ხალხთან (ატლანტისელებთან?), რომლებსაც არწივისებური ცხვირი ჰქონდათ?

მეორე ვარაუდით, ატლანტისი მდებარეობდა კარიბის ზღვისა და ატლანტის ოკეანის ურთიერთმოსაზღვრე აუზში და სწორედ, მისი ნარჩენებია ანტილისა და ბაჰამის კუნძულები. ამ ვარაუდებს ამყარებს ისიც, რომ ინდიელთა ლეგენდების მიხედვით, ისინი ამერიკაში და კეცალკოატლი მექსიკაში (ერთ-ერთი მოსაზრებით მექსიკა ატლანტისის კოლონია ყოფილა), სწორედ, ატლანტის ოკეანის მხრიდან მივიდნენ.

მაიას ტომი კი, თავის თავს ამერიკაში მისულად თვლის და მიაჩნიათ, რომ, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, იქ, მიწა იძრა, მერე გაირღვა და თან ჩაიტანა (ჩაიძირა) 10 ქვეყანა 64 მილიონი მცხოვრებითურთ.

საინტერესოა მაიას ტომის ერთ-ერთი ხალხის, კიჩეს ისტორიაც, რომლებიც გვატემალაში, ატიტლანის (ატლანტისის?) ტბის ნაპირებთან ცხოვრობენ და მათი რაოდენობა 0,5 მილიონია. ისინი ახლაც წინაპართა ენაზე ლაპარაკობენ და თვლიან, რომ ისინი სამყაროს გაჩენისთანავე, პირველები გაჩენილან ტულანზუივას ქვეყანაში, რომელიც აღმოსავლეთით მდებარეობდა. მათ იქ დამწერლობაც ჰქონიათ და ყველანი ერთ ენაზე საუბრობდნენ, მაგრამ, როცა ტულან-ზუივა დაუტოვებიათ და ზღვით ამერიკის კონტინენტზე ჩასულან (რატომ დატოვეს ქვეყანა?) საცხოვრებლად, სხვადასხვა ენაზე დაუწყიათ საუბარი.

კიდევ უფრო საინტერესო და იდუმალებით მოცულია სამხრეთ ამერიკაში მდებარე „პედრა პინდატას" ქვის ისტორია, რომელიც 100 მ. სიგრძის, 80 მ. სიგანის და 30 მ. სიმაღლის არის. მისი 600 კვ.მ. სავსეა ეგვიპტურის, კრეტულის, ფინიკიურისა და ძველბერძნულის მსგავსი საიდუმლო წარწერებითა და ნახატებით (დახატულია ადამიანები, ცხოველები, ბორბლებიანი ეტლი (რომ ვწერთ ის ძვ.წთ.აღ. I ათასწლეულში მითანში სუბარებმა ან ფრიგიაში მუშქებმა გამოიგონესო, მაშინ ეტლი ამ ქვაზე საიდან გაჩნდა?), მზე, სვასტიკა და წელიწადის 4 დრო) რომელთა მსგავსი ნახატები იქ სხვა გამოქვაბულში და კლდეებზეც არის ნაპოვნი და ისინი ძალიან ჰგვანან 15 000 წ. წინანდელ საფრანგეთის და მადლენის მღვიმის ნახატებს. ეს ქვა ბევრ საიდუმლოს შეიცავს, მაგრამ ყველაზე უცნაური მაინც ის არის, რომ ამაზონიის აუზში მცხოვრებმა ადამიანებმა, ორი სეზონის მეტი რომ არ იციან, რატომ ან საიდან დახატეს ოთხი სეზონი? იქნებ მათ ყველაფერი ეს იმ ხალხისაგან გადაიღეს, რომლებიც იქ

ატლანტისიდან მოვიდნენ და დამხვდურებს წერასთან ერთად, ხატვაც ასწავლეს?

ატლანტისის მდებარეობის ამ ორ ვარაუდთან დაკავშირებით, სრულიად განსხვავებული მოსაზრება გვაქვს ჩვენ, რადგან შესაძლებელად მიგვაჩნია, რომ ატლანტისი იყო დიდი კონტინენტი და ის მწვანე კონცხისა და კანარის კუნძულებიდან მოყოლებული ანტილისა და ბაჰამის კუნძულებამდე მდებარეობდა. ეს თუნდაც ვარაუდის დონეზე მაინც არის დასაშვები, რადგან ჩვენ ჯერ-ჯერობით ხომ არ ვიცით ატლანტისის სიგრძე, სიგანე და ფართობი? თუ ეს ვარაუდი დასაშვებია, მაშინ შესაძლებელი ხდება ატლანტისის მდებარეობის შესახებ არსებული ორი მოსაზრების გაერთიანებაც.

აღნიშნულის თაობაზე საუბარს იმით დავასრულებთ, რომ ჩვენ წინ ძალიან დიდი აღმოჩენები გველის, რაც დიდად არის დამოკიდებული ტექნიკის განვითარებაზე. საქმე იმაშია, რომ ატლანტის ოკეანეში სხვადასხვა სახის გადაღებებით მიკვლეულია ქალაქის, თუ რაღაც ქუჩებისა და შენობების არსებობის კვალი, რომელთა შესწავლა წყლის ქვეშა არქეოლოგიას ჯერჯერობით იმიტომ არ შეუძლია, რომ ასე ძალიან ღრმად, წყლის ქვეშ ადამიანები ვერ ჩადიან. მეცნიერება და ტექნიკა ისე სწრაფად ვითარდება, რომ ვფიქრობთ, ეს დროც მალე დადგება.

არსებობს წყნარ ოკეანეში ატლანტისის მდებარეობის შესახებ მოსაზრებაც, თუმცა, ხაზგასმით გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენ ეს არ გვჯერა და არა იმიტომ, რომ ატლანტის ოკეანეში მისი არსებობის თაობაზე გაცილებით მეტი დამაჯერებელი და მყარი არგუმენტები არსებობენ.

რაც შეეხება წყნარ ოკეანეში მისი მდებარეობის შესახებ არგუმენტებს, ისინი ასეთია: იგივე მაიას ტომის ხალხში, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, არსებობდა მეორე ლეგენდაც, რომლის მიხედვითაც შუს ქვეყანა, ანუ ლემურიის მატერიკა, აზიასა და ავსტრალიას შორის მდებარეობდა და სწორედ მისი ჩაძირვის შემდეგ დარჩა წყნარ ოკეანეში ის უამრავი კუნძული და მათზე მცხოვრები ხალხი, რომლებიც ლემურიელთა ნარჩენები არიან.

ჰავაელთა მითის მიხედვითაც, წყნარი ოკეანის შუაგულში მდებარეობდა კახუოკანეს ქვეყანა და ის წარღვნის შედეგად დაიღუპა.

რაც შეეხება ამერიკის ნავაჰოს ტომის ინდიელებს, ისინი თვლიან რომ ყველა ადამიანის დედა დასავლეთ (წყნარ) ოკეანეში მდებარე მატერიკზე ცხოვრობდა და ისინი კატასტროფის შემდეგ გადავიდნენ ამერიკაში.

საინტერესოა წყნარი ოკეანის კ. პონაპეს მაგალითიც, რომელიც უახლოესი დიდი მიწიდან 2500 კმ. არის დაცილებული და იქ, მხოლოდ 3000 კაცი ცხოვრობს. კუნძულზე არ მოიპოვება არანაირი სამშენებლო მასალა და მცხოვრებლებს ეშინიათ წყლის, მაგრამ, იქ მაინც არის აგებული დიდი ტაძარი. ისმის კითხვა – როგორ და რა მასალებით? აქ ერთადერთი სავარაუდო პასუხი ალბათ ის არის, რომ კუნძული ჩაძირული მატერიკის ნაწილს წარმოადგენს.

ძალზე საინტერესოა იაპონიის სახალინისა და კურილიის კუნძულებზე მცხოვრები აინების (სულ 20 000-მდეა) საკითხიც, რომლებიც იქ მცხოვრები სხვა ხალხებისაგან მკვეთრად იმით განსხვავდებიან, რომ არიან თეთრ კანიანები და სახეზე ამოსდით წვერი. აინები სხვა ხალხებისაგან განსხვავებულობას თავადაც აღნიშნავენ. ისმის კითხვა – მაინც ვინ არიან და საიდან მოსულები აინები? აქ ერთადერთი სავარაუდო პასუხი ის არის, რომ, როგორც მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, ისინი არიან კატასტროფამდე და წარღვნამდე არსებული და შემდეგ ჩაძირული მატერიკის ძირითადი მაცხოვრებელი კოლხური (იბერიული) ტომი აიელები და სწორედ, ამის გამო მათი ენა ბასკურ ენას, ხოლო თვითონ ბასკებს (ე.ი. იბერებს, კოლხუებს) ჰგვანან. კატასტროფას გადარჩენილმა მათმა ნარჩენებმა თავი ზემოთ ხსენებულ კუნძულებს შეაფარეს, ხოლო ჩაძირული მატერიკისაგან მხოლოდ ის უამრავი წვრილ-წვრილი კუნძული დარჩა, რომლებიც დღეს წყნარ ოკეანეში მრავლად არიან მიმოფანტულნი.

არის კიდევ ერთი გარემოებაც, რომელსაც ვერანაირი გონიერი ახსნა ვერ მოეძებნება. ეს არის ბასკებისა და იაპონელების და მათი ენების მსგავსება, აგრეთვე ქალაქ იოკოჰამას სახელწოდება რომელიც ბასკურ ენაზე ზღვისპირა ქალაქს ნიშნავს. სად ბასკეთი და სად იაპონია? თუ აინების ზემოთ ხსენებულ ვერსიას დავეყრდნობით, მაშინ აქაც ყველაფერი ნათელი ხდება.

და ბოლოს, ღმერთმა დაგვიფაროს იმისი პრეტენზიისაგან, რომ ამ პრობლემის გასაღებს ჩვენ მივაგენით, მაგრამ ხომ შეიძლება ასეთი

ვარაუდიც, რომ ატლანტისი ატლანტის ოკეანეში მდებარეობდა და მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა ოდესღაც წყნარ ოკეანეში მდებარე და შემდეგ ჩაძირულ კონტინენტთან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი სახვადასხვა კონტინენტში იყვნენ?

არის მეცნიერთა კიდევ ერთი, ოღონდ მცირერიცხოვანი ჯგუფი (პლატონი, უ. პიტმანი, ვ. რაიმონდი და ა. შ.), რომელიც თვლის, რომ ატლანტისი ატლანტისა და წყნარ ოკეანეებში კი არ მდებარეობდა, არამედ მისი ადგილსამყოფელი იყო შავი და ხმელთაშუა ზღვების აკვატორიაში, უფრო შავი ზღვის ადგილზე – ბოსფორის სრუტის აღმოსავლეთით და წარღვნის შემდეგ ის წყლით დაიფარა (ვ. რაიმონდისა და უ. პიტმანის წიგნი „ნოემდელი წარღვნა, თუ ახალი მეცნიერული აღმოჩენა, დაკავშირებული მოვლენასთან, რომელმაც შეცვალა სამყარო").

პლატონი თვლიდა, რომ ატლანტისი იყო ღვთისმშობლის ქვეყანა (გავიხსენოთ – საქართველოც, ხომ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა არის, რაც, ხომ არ მიანიშნებს იმაზე, რომ ღვთისმშობლის წილხვედრობა გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე მარიამ დედოფლისთვის ამ უფლების მინიჭება?).

ატლანტისის მეფეების ძალაუფლება აფრიკაში ლიბია-ეგვიპტემდე და ევროპაში – ტირინიამდე ვრცელდებოდა.

ატლანტისზე ცხოვრობდნენ ატლანტები, ტიტანები, რომლებიც იბერები იყვნენ. ჩვენ კი ჩაძირვის შემდეგ გადარჩენილ იბერთა შთამომავლები ვართ, ხოლო იბერები არიან კოლხების წინაპრები. იბერია სათავეს ადამის დროიდან, ატლანტისიდან იღებს და მის მიერ განვლილი გზა ასეთია: ატლანტისი – იბერია – კოლხეთი (კოლხუა) – საქართველო. ატლანტისის ჩაძირვის შემდეგ იბერები კოლხების სახელით ახლო აღმოსავლეთში, მესოპოტამიასა და საერთოდ, მთელს მსოფლიოში გაიფანტნენ.

პ. რაიმონდი და უ. პიტმანი თვლიან, რომ წარღვნა შავი ზღვის მოვლენას წარმოადგენდა და შავი ზღვაც მას იმიტომ დაერქვა, რომ ატლანტისის ჩაძირვის შემდეგ იქ შავი წყალი დადგა.

ატლანტისის შავი და ხმელთაშუა ზღვების აკვატორიაში მდებარეობის სასარგებლოდ მიუთითებს სახელწოდება ჯახასკარიც, რაც მიწის (ე. ი. ხმელეთის) კარს ნიშნავს. ხმელთაშუა ზღვის ადგილზე კი

წარღვნამდე ხმელეთი იყო და მას ჯიხასკარი ერქვა. (ვ. ვახანია)

წარღვნის შემდეგ გადარჩა დასავლეთ საქართველო, აფხაზეთი, რაც კოლხურად – ზურგს ნიშნავს. ალბათ, ჩაძირვის შემდეგ გაჩნდა ტუაფსის უძველესი კოლხური სახელიც – წურწუხე, რაც ტალახიან მიწას ნიშნავს. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეგრელოში დღემდეა შემორჩენილი გამოთქმები – დინ წყუ ქიანაქ (წყალში დაკარგული ქვეყანა) და დოპელუ დიხაუჩა (აჯანყდა დედამიწა), რაც ალბათ ჩაძირული ატლანტისის ქვეყანასა და იმ მოვლენას ასახავს, რამაც ატლანტისის ჩაძირვა გამოიწვია. უფრო დეტალურად ამ საკითხებზე ვ. ვახანია წერს 2014 წელს გამოცემულ თავის წიგნში „კოლხეთი – საქართველოს ეპოსი", 2014 წელი.

ატლანტისის, როგორც ქვეყნის (ცივილიზაციის) შესახებ ძალზე მწირი ცნობები მოიპოვება, თუმცა, რაც არსებობს მისგან მაინც შეიძლება ზოგადი სურათის ჩამოყალიბება, რაც საშუალებას მოგვცემს მცირე წარმოდგენები მაინც შევიქმნათ მის სახელმწიფოზე, ხალხზე, სიძლიერეზე და განვითარების დონეზე.

პლატონის დიალოგების „ტიმეოსი და კრიტიასის" მიხედვით ატლანტისზე ორი დიდი ქალაქი საბრძოლო და სამშვიდობო ყოფილა და ცხოვრობდა ხალხი მეროპები. მასზე სიხარულისა და მწუხარების მდინარეებიც მიედინებოდნენ.

მსოფლიო ენციკლოპედიის მიხედვით კი, ატლანტისის ხალხს იბერი ეწოდებოდა ერთ-ერთი ატლანტელი ტიტანის, იბერის პატივსაცემად, რომელიც ტიტან ატლანტის ძმა იყო. სწორედ, მის გამო ეწოდათ სახელები იბერიის ნახევარკუნძულს (ესპანეთი), ბრიტანეთის იბერნიას, კავკასიის იბერიას, კავკასიელ იბერიელებს, ებრაელებს (იბერაელები), შოტლანდიის ჰიბერნიანსს და ა.შ.

ცნობილი ატლანტოლოგების დონელის, მუკის და კადეს მონაცემებით (ამათგან განსაკუთრებით ფასეულია კადეს წიგნი „ატლანტისი წარღვნამდელი ქვეყნიერება", რომელიც ატლანტოლოგთა „ბიბლიად" არის მიჩნეული). ატლანტისი როცა არსებობდა, მაშინ თურმე ათენისა და ეგვიპტის სახელმწიფოებიც ყოფილან და ათენთან მისი დამორჩილების მიზნით ომიც კი ჰქონია. ამ ომში ათენს ეგვიპტეც დახმარებია და ამიტომ გაუმარჯვებია კიდეც. პლატონის ცნობით, 12 000 წლის წინათ, ატლანტისი დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკასაც დასხმია თავს.

ატლანტისი იმდენად ძლიერი ქვეყანა ყოფილა, რომ მას თურმე ცხრა სამეფო ემორჩილებოდა და მისი კოლონიები ჩრდილოეთ აფრიკიდან და დასავლეთ ევროპიდან ამერიკის კონტინენტის ჩათვლით ყოფილა გადაჭიმული და მოიცავდა ეგვიპტეს, ლიბიას, გადირს (კადირს), ტირენიას (ეტრურიას), დასავლეთ ევროპას, ცენტრალურ ამერიკას და მექსიკას.

ატლანტისის ერთ-ერთი მეფე ყოფილა პოსეიდონი, რომლის ცოლი ეგვიპტის მეფე ეპიფეს შვილი, ლიბია იყო. ცნობილია მისი მეორე მეფე გადირაც.

ატლანტისი მაღალი ცივილიზაციის ქვეყანა ყოფილა და სწორედ მათგან ყოფილა აღებული ასტრონომიული ცოდნა, დროის ანგარიში, კალენდარი და პირამიდების აგების წესი. მათზე ერთი შეხედვით ისეთი დაუჯერებელი ცნობებიც კი არსებობს, როგორებიცაა: რომ ჰყოლიათ თვითმფრინავები, არ ჰქონიათ ადამიანური ჩვევები, არ ჭამდნენ სულიერს, არ სცოდნიათ სიზმრები და წყევლიდნენ მზეს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მზის კულტი სწორედ, იქ შექმნილა (სხვათაშორის სანკტ-პეტერბურგში გამოცემული „დღესასწაულთა წიგნის" მიხედვით ატლანტისელია ნოეც, რომელმაც თავისი ბალახეულთა საიდუმლო წიგნი გადასცა შერმის, ხოლო მისგან ეს წიგნი გადაეცა პატრიარქ იაკობს და მის შთამომავლებს).

ბუნებრივია, აქ ჩნდება კითხვები: იქნებ ისინი მართლაც და სხვა პლანეტიდან მოსულები იყვნენ? აბა, რატომ არ ჰქონდათ ადამიანური ჩვევები და რატომ არ ჭამდნენ სულიერს? ანდა, საიდან ეს მოსაზრება, რომ მათ თვითმფრინავებიც კი ჰყავდათო? იქნებ სწორედ ამათ სჭირდებოდათ სამხრეთ ამერიკის მთებში მიკვლეული აეროდრომების მსგავსი ნაგებობები?

კითხვები კიდევ მრავლად შეიძლება დაისვას, მაგრამ ამჯერად ეს თემა ამით დავასრულოთ და გადავიდეთ ატლანტისის ჩაძირვის მიზეზებზე, რომლებიც ასეთია:

1. მიწისძვრა, რაც იოლი უარსაყოფია, რადგან, როგორც სპეციალისტები თვლიან, წარმოუდგენელია ისეთი გიგანტური კონტინენტი (კუნძული), როგორიც ატლანტისი იყო, ისე ჩაძირულიყო, რომ მას რაიმე კვალი არ დაეტოვებინა.
2. წარღვნა, რომელიც 11 000 წლის წინათ მოხდა და რომელმაც

დედამიწის ღერძი 30° გადაადგილა, ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, დასაშვებია, მაგრამ თუ მივიჩნევთ, რომ ეს წარღვნამ გამოიწვია, მაშინ თვითონ წარღვნის გამომწვევი მიზეზებია გასარკვევი. რაც შეეხება თვითონ წარღვნას, ის რომ ნამდვილი მოვლენაა, ამას ბევრი რამ ადასტურებს და განსაკუთრებით სპარსეთის ყურის ქალაქ ურში გათხრილი 14 მ. სისქის სანაგვე, რომლის ქვემოთ აღმოჩნდა შუმერული სასაფლაო, სასაფლაოს ქვემოთ 6 000 წლის წინანდელი ისევ სანაგვე, სანაგვის შემდეგ 2,5 მ. სისქის შლამი და შლამის შემდეგ ისევ სანაგვე. აქედან ძალიან მარტივად იხსნება, რომ შლამის არსებობა ნამდვილად ადასტურებს იქ წარღვნის მოხდენას და თანაც, მისი ასაკის დაახლოებით 10-11 000 წლით განსაზღვრაც შეიძლება. სხვათა შორის, წარღვნის არსებობას ირიბად არისტოტელეზე დაყრდნობით, ა.როდოსელიც ადასტურებს, როცა წერს, რომ პელაზგები ჯერ კიდევ წარღვნამდე ცხოვრობდნენ არკადიაში, როცა ყველა ციური სხეული ჯერაც არ ბრუნავდა ცარგვალზეო (მთვარის მიტაცების თეორიის მიხედვით კი, მთვარემ დედამიწის ირგვლივ ბრუნვა ხომ დაახლოებით 11 000 წ. წინათ დაიწყო).

ერთი სიტყვით, წარღვნის თარიღად თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ ძვ.წ.აღ. 9 000 წელი, რასაც ახალი წელთაღრიცხვის 2 000 წელსაც თუ მივუმატებთ, გამოდის, რომ წარღვნა11 000 წ. წინათ მომხდარა.

მეორე მოსაზრებით წარღვნა 7 000 წლის წინათ მომხდარა და სწორედ წარღვნამდელი ქალაქები ყოფილა ბადთიბირა, ერიდუ, ზიფარი (რომელსაც წარღვნა არ შეხებია), ლარაქი და შურუფაქი.

პლატონის მიერ მოთხრობილი ერთ-ერთი მითის მიხედვით კი, კოლხეთის მეფის ძმა ფაეტონს, კოსმოსში – ცის კაბადონზე, ეტლით გაუსეირნებია, რა დროსაც ის გზას ასცდენია და აფეთქებულა. ამას კი, ატლანტისის ჩაძირვა გამოუწვევია.

3. დედამიწის მიერ მთვარის მიტაცება, რომლის თეორია ჰერშირგერს ეკუთვნის ამ თეორიით, თავიდან მთვარე მზის ირგვლივ ბრუნავდა, მაგრამ შემდეგ ის მასზე (მთვარეზე) უფრო დიდმა დედამიწამ მიიტაცა და მთვარემ ბრუნვა დედამიწის ირგვლივ დაიწყო, რამაც დიდი კატასტროფა გამოიწვია და მას შედეგად

ატლანტისის ჩაძირვა მოჰყვა. ამ თეორიას პირველ ორთან შედარებით, არსებობის მეტი უფლება კი აქვს, მაგრამ ბოლომდე მას თვით ყველა ასტროლოგიც არ იზიარებს.

4. დედამიწასთან ციური სხეულის შეჯახების თეორია, რომლის მიხედვით დედამიწაზე ასტეროიდი ჩამოვარდა. ო. მუკის აზრით ძვ.წ.აღ. 8499 წ. 5 ივნისს, გრინვიჩის დროით 13 სთ. უნივერსალური დროით 6 ივნისის 3 სთ. და 30 წთ. და ადგილობრივი დროით 22 სთ და 30 წთ. მოხდა მზე-მერკური-ვენერა-მთვარე – დედამიწის (დედამიწა ვარსკვლავთა სისტემის კიდეზე მდებარეობს) ერთ ხაზზე განლაგება, რაც მილიარდ წელიწადში ერთხელ შეიძლება მოხდეს და სწორედ ამ დროს დედამიწას ფლორიდაში შეეჯახა ასტეროიდი, რამაც გამოიწვია კატასტროფა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ასტეროიდის წონა 2 ტრილიონი ტონა, დიამეტრი 10 კმ. და მოცულობა 600 კმ³ ყოფილა. მისი ნამსხვრევები კი 1000 კმ. რადიუსში გაფანტულა და თან კლიმატის შეცვლაც გამოუწვევია. თუ ამ თეორიას მივიღებთ და ჩვენ გვჯერა მისი, მაშინ შეჯახებიდან დღემდე გასული არის 10512 წელი.
5. დედამიწასთან კომეტა ჰალეის ბირთვის ნაწილის შეჯახების თეორია რომელიც კამენსკის ეკუთვნის. ამ შეჯახებას დედამიწა 30° გადაუხრია და თუ მანამდე ციმბირში თბილი კლიმატი ყოფილა და აქ მამონტებიც კი ბინადრობდნენ, კლიმატიც მკვეთრად შეცვლილა.

ერთი სიტყვით, ყველა ამ მიზეზებიდან ცხადი არის, რომ ატლანტისის კატასტროფამდე ჩრდილოეთი პოლუსი ჰუძონის სრუტეში, კუნძულ აკპატოკის ახლოს მდებარეობდა, ხოლო გოლფსტრიმის დინება სარგასის ზღვის ირგვლივ – ამერიკის ნაპირებსა და ატლანტისს შორის მიმდინარეობდა. კატასტროფის შემდეგ კი, გოლფსტრომის დინებას ახლანდელი სახე მიუღია.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ატლანტისის ჩაძირვის თარიღები ძირითადად ემთხვევა პლატონის, კრატიასის, ტიმეოსის, მაიას კალენდრის და ტროანის ცენტრალური ამერიკული კოდექსის თარიღებს. რაც უდავოდ იმისი დასტურიც არის, რომ ატლანტისი ნამდვილად არსებობდა და ის კატასტროფის შედეგად ჩაიძირა.

ახლა კი გადავიდეთ ამ სტატიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე და განვიხილოთ ატლანტისთან და ატლანტისელებთან ჩვენი შორეული წინაპრების, პროტოქართველების კავშირების საკითხი.

ჯერჯერობით პროტოქართველთა სავარაუდო, ყველაზე შორეული კვალი 40 000 წ. უკან მოჩანს და ის კოლხურ დამწერლობას – კირბებს (კვირბებს) უკავშირდება, რაზეც ჰეროდოტეც წერდა, რომ კოლხებს თავიანთი დამწერლობა ადრეც ჰქონდათ. იგივე ცნობას ა. როდოსელიც გვაწვდის, რომელიც ასევე წერდა, რომ კოლხებს მამათაგან ნაწერი კვირბები ჰქონდათ.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილიც სწორედ, ამ ხნით განსაზღვრავს ჩვენამდე მოღწეული კირბების ასაკს. ეს კი ის დროა, როცა კრომანიონელი ადამიანი ცხოვრობდა, უკვე არსებობდა სხვადასხვა ენები და მათი განვითარება ახალ საფეხურზეც ავიდა.

ზემოთ ვწერდით და ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ მსოფლიო ენციკლოპედიის მიხედვით, ატლანტისზე მცხოვრებ ხალხს იბერები ეწოდებოდათ, რომლებიც ატლანტისში მცხოვრები იგივე წარღვნამდელი კოლხუები იყვნენ. აქ ზედმეტი არ იქნება, თუ მკითხველს შევახსენებთ, რომ კოლხეთის წინარე ეპოქამდე დასავლეთ საქართველოსაც, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოსაც, იბერია ერქვა. ი. ყიფშიძე კიდევ უფრო კონკრეტდება და წერს, რომ არა მარტო სამეგრელოს (ე.ი. დასავლეთ საქართველოს) ერქვა იბერია, არამედ მეგრულ ენასაც იბერიული ენა ერქვა და არსებობდა ერთი კოლხურ-იბერიული ენა. მან 1914 წელს სანკტ-პეტერბურგში „მეგრული (იბერიული) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთაც“ კი გამოსცა.

ცივილიზაციის სათავეებთან კი სწორედ კოლხუები (ე.ი. იბერები) იდგნენ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში კოლხ-იბერებში პელაზგებიც იგულისხმებიან და თუ რატომ, ამაზე წიგნის სხვა ნაწილში გვაქვს ვრცლად საუბარი.

ატლანტისის ძირითადი მცხოვრებლები, რომ იბერიელები (ე.ი. კოლხუები) იყვნენ, ამის დასტურად იქნებ ესპანეთში ნაპოვნი ის ძველი იბერიული წარწერაც გამოდგეს, რომელშიც წერია, რომ „იბერთა მიწა წყალში ჩაიძირა“. თუ ატლანტისი არა, მაშ სხვა რა უნადა ვიგულისხმოთ ამაში?

ბასკები (ე.ი. იბერიელები-კოლხუები) კი, ლ. ზაიდლერის აზრით,

ატლანტების პირდაპირი შთამომავლები არიან, თუ კი ეს ასე არის, მაშინ არც არის გასაკვირი ის დიდი მსგავსებები, რაც ბასკებსა და ბასკურ ენას აქვს ჩრდილოეთ აფრიკის ხალხებთან და ენებთან (ჰუმბოლდტი), აინებთან და აინურ ენასთან და გვატემალელი ინდიელების ენასთან (ლ. კოლინგტონი). აღარაფერს ვამბობ ქართველებთან და ქართულ ენასთან, მის საოცარ მსგავსებებზე, რადგან ეს საყოველთაოდ ცნობილია, რაც იმით არის გამოწვეული, რომ დღევანდელ ბასკებსა და ქართველებს ატლანტისზე მცხოვრები ერთი საერთო წინაპარი – პროტოქართველები გვყავდა და ენაც პროტოქართული გვქონდა. ატლანტისის ჩაძირვის შემდეგ კი მისი გადარჩენილი მაცხოვრებლები (ე.ი. ბასკები-იბერიელები-კოლხუები) მთელს მსოფლიოში გაიფანტნენ და თან ყველგან თავიანთი მაღალი დონის ცივილიზაციაც მიიტანეს. იქნებ ამით უნდა აიხსნას ის მსგავსებაც, რაც ეგვიპტელთა, ინდიელთა, შუმერთა, ძველ ევროპელთა და წყნარი ოკეანის ხალხთა იდეოგრამებში - დამწერლობებში და გუანჩების (რომელიც ჯერ გაშიფრული არ არის) და კრეტულ დამწერლობათა შორის და ბასკების, აცტეკების, დანაელების, ინდიელების, მაიას, პოლინეზიელების, ფრანგებისა და ქართველების ენებში არსებულ ოცობით თვლაში არის?

საინტერესოა ისიც, რომ ჰონდურასი ბასკურად უფსკრულში დანთქმას, ჩავარდნას ნიშნავს. საიდან გაჩნდა, ან რატომ ეს სახელწოდება ასე. იქნებ იმიტომ, რომ ბასკები (ე.ი. იბერიელები-კოლხუები) უფსკრულში ჩანთქმული ატლანტისიდან მივიდნენ იქ?

უყურადღებოდ არც იმისი დატოვება შეიძლება, რომ მექსიკის ყურის პროვინცია თაბასკო ეგვიპტურ ენაზე ბასკების ქვეყანას ნიშნავს.

ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე, რომ ბასკების (ე.ი. იბერიელების - კოლხუების) ნაწილი ატლანტისის ჩაძირვის შემდეგ სწორედ იქ მივიდნენ და დასახლდნენ?

დ. ჰალიკარნასელს კი, ატლანტთა შთამომავლებად ტირენებიც (ეტრუსკებიც) მიაჩნია, რომლებიც ატლანტთა პროვინციის ქალაქ გადირის (დღეს ესპანეთის ქ. კადისი) მახლობლად ქალაქ ტირტესში ცხოვრობდნენ.

დღეისათვის რაც მონაცემები გვაქვს, ირკვევა, რომ ატლანტისის

ძირითადი მაცხოვრებლები უფრო იბერები (კოლხუები) ყოფილან, რომლებიც კატასტროფის შემდეგ, რაც გადარჩენილა მთელს მსოფლიოში გაფანტულან და ახლო აღმოსავლეთშიც მისულან. არ ვიცით უკავშირდება თუ არა ამ მოვლენას, მაგრამ არქეოლოგმა კ. შმიდტმა თურქეთში აღმოაჩინა 11 000 წლის წინანდელი ეკლესიები და ტაძრები, რომლებზეც დამწერლობის მაგვარი სიმბოლოები არის. მისი აზრით, მათი შემქმნელები ქართველთა შორეული წინაპრები არიან.

ეტყობა იბერების (კოლხუების) საგრძნობმა ნაწილმა ამერიკის კონტინენტსაც მიაღწია, იქ დამკვიდრდა და თან თავისი მაღალგანვითარებული ცივილიზაციაც მიიტანა. ამის თაობაზე არაერთი მეცნიერი ძველადაც წერდა და ახლაც წერს. მაგალითად დ. ლანდა (XVI ს.) თავის წიგნებში „მაიას ტომის ისტორია" და „მაიას ანბანი, ამ ანბანის წინა სახე – კოლხუას ანბანი", წერდა, რომ მაია არის ამერიკის კონტინენტზე ატლანტიდიდან მისული კოლხუას კულტურული მემკვიდრე. იმ კოლხუასი, რომლის ერა ქრისტესშობამდე რამდენიმე ათასი წლის წინათ დასრულებულა. მისი აზრით, სწორედ, კოლხუას აღმოუჩენია ამერიკა, მაიასათვის შეუქმნია ანბანი და თავისი ცივილიზაცია დაუმკვიდრებია ცენტრალურ ამერიკაში.

იგივეს წერს დ. ბურბურიც და აღნიშნავს, რომ ამერიკა აღმოაჩინა კოლხუამ, მაიას ხალხს მისცა ანბანი და ამერიკის კონტინენტზე შეიტანა ატლანტიდური ცივილიზაცია.

ი. დონელიც თვლის, რომ მაიას ტომში ცივილიზაცია ატლანტიტიდან იბერებმა (კოლხუამ) შეიტანა.

ტ. ჰეიერდალს კი მიაჩნია, რომ მაიასა და ცენტრალური ამერიკის ხალხებს ცივილიზაცია კოლხ-პელაზგებმა და იბერებმა შეუქმნეს.

მიტანილი ცივილიზაცია ყველაზე უფრო მეტად მაიას ხალხს აუთვისებია და მასზე დაყრდნობით შეუქმნიათ დედამიწის ერთ-ერთი უძველესი ცენტრალური ამერიკის ბრინჯაოვალე ცივილიზაცია, რაც არქიტექტურაში, ხელოვნებაში, ასტრონომიულ ცოდნაში, ზუსტ კალენდრებში და ეგვიპტურის მსგავს იდეოგრაფიულ და იეროგლიფურ დამწერლობებში (რომელთა დიდი ნაწილი გაუშიფრავია) გამოიხატებოდა (არსებობს მაიას ენაზე ესპანელთა მიერ ლათინური შრიფტით შედგენილი წიგნებიც).

საინტერესოა იმისი ხაზგასმაც, რომ მაიას კალენდრით ჯერ კიდევ

12 000 წლის წინათ სარგებლობდნენ, ხოლო პირამიდების აგების ცოდნა ეგვიპტელებმა სწორედ მათგან გადაიღეს.

მაიას ხალხი ჩვენი წელთაღრიცხვის IX საუკუნემდე იყო გაბატონებული გვატემალაში, მაგრამ შემდეგ ისინი ჩრდილოეთიდან მოსულმა ჯერ ტოლტეკებმა, ხოლო შემდეგ აცტეკებმა დაიპყრეს.

ატლანტისელთა (ე.ი. იბერიელთა – კოლხუათა) გავლენით შეიქმნა კიდევ ერთი მექსიკის მაღალგანვითარებული კულტურაც, რომელსაც ძალზე ზუსტი და რთული კალენდარი ჰქონდა და მათი ცოდნა ამ დარგში დიდად უსწრებდა წინ ბაბილონელთა და ეგვიპტელთა ცოდნას.

ატლანტისის მკვიდრთა (ე.ი. იბერიელთა-კოლხუათა) ეგვიპტურსა და ამერიკულ კავშირებზე მიუთითებს ისიც, რომ ეგვიპტურ ენაზე გვატემალა ნიშნავს ჩამავალი მზის გზას, ნიკარაგუა – ჩამავალ მზეს და კამპეჩე (მექსიკის ყურესთან მდებარე მექსიკის შტატია) ეგვიპტის ყურეს. (ძალიან გულუბრყვილო ხომ არ იქნება აქ საქართველოს კამბეჩოვანისა და ქართული კამბეჩის (კამეჩის) გახსენება? – ა.ნ.).

სხვათა შორის, რ. ჰაროსი ამერიკის ზოგიერთ სხვა გეოგრაფიულ სახელსაც ეგვიპტური ენის გამოყენებით ხსნის. მაგალითად – მისური მზის შვილებია, მასაჩუსეტსი – მეშამულის შვილებია, ტენესი – იზიდას ქვეყანა და ა.შ.

ამჯერად, ზოგად შტრიხებში, იმ კულტურულ მიღწევებზე ვისაუბროთ, რაც ადამიანებმა ანთროპოგენეზიდან მოყოლებული თითქმის ძველი წელთაღრიცხვის დასრულებამდე შესძლეს და განვიხილოთ მათ მიერ შექმნილი ცივილიზაციები და გავარკვიოთ ვინ და სად შექმნა პირველად ისინი. ბუნებრივია, ამ განხილვის პროცესში, შევეცდებით დავასაბუთოდ, რომ პირველი ცივილიზაციები სულაც არ შეუქმნიათ არა კოლხ-შუმერებს, ეგვიპტელებსა და ბერძნებს და ისინი გაცილებით ადრე ამ მიწებზე ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს.

იმისათვის კი, მკითხველისათვის, რომ უფრო თვალნათელი გახდეს, თუ საიდან დაიწყო ადამიანის ანთროპოგენი, განვითარების რა ეტაპები გაიარა მან, რომელ ეტაპზე ადამიანის რა ტიპი ცხოვრობდა და როდიდან გაჩნდა მატერიალური კულტურის პირველი ნიმუშები, საჭიროდ მივიჩნიეთ ყოველივე ამისი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩვენება, რაც ასეთნაირად გამოიყურება:

4 მილიონი წლის წინათ დაიწყო ადამიანის ანთროპოგენი, 2,2 – 1,8

მილიონი წლები – ცხოვრობდა ჰომო ჰაბილი (მარჯვე ადამიანი), 1,7 მილიონი – 200 000 წლები – ცხოვრობდა ჰომო ერექტუსი, 200 000 – 40-35 000 წლები – ცხოვრობდა ნეანდერტალელი ადამიანი, 40-35 000 – 6000 წლები – ცხოვრობდა კრომანიონელი ადამიანი, იგივე ჰომო საპიენსი – გონიერი ადამიანი.

მატერიალური კულტურის პირველი ნიმუშები – ქვის იარაღები და სახლები (კარვები) ჰომო ჰაბილმა დაამზადა. მანვე ჩაუყარა საფუძველი პირველყოფილი ჯოგის, ანუ გვარამდელი საზოგადოების კულტურას, რომლის შემდგომში განვითარება ჰომო ერექტუსმა გააგრძელა. ამის გარდა, ჰომო ერექტუსმა აითვისა ცეცხლი და გამოიყენა ის გასათბობად და საკვების მოსამზადებლად, შექმნა ძვლისა და ხის შრომის იარაღები, მოახდინა ჯოგის შიგნით შრომის დანაწილება, შექმნა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა და ისწავლა დანაწევრებული მეტყველება. საქართველოში ჰომოერექტუსის არსებობის ყველაზე ადრინდელი სადგომი ნაპოვნია – დმანისში, ხოლო უფრო გვიანდელები – იაშთხვაში, კუდაროში, ფარავანის ტბასთან და ა. შ.

კაცობრიობის კულტურული განვითარების მომდევნო ეტაპი ნეანდერტალელ ადამიანს უკავშირდება, რომლებმაც უკვე ლაპარაკი სხვადასხვა ენაზე დაიწყეს და გაჩნდა აბსტრაქტული განზოგადებული აზროვნება, დაკრძალვის რიტუალები და წესები (მანამდე გარდაცვლილებს დაუტირებლად ყრიდნენ), შექმნეს კაჟისა და ვულკანური მინის (ობსიდიანის) დანები, წვეტიანი მსუბუქი იარაღები, ხელშუბები, ტყავის ტანსაცმელი, დაიწყეს ცეცხლის გაჩენა კვესაბედით, ზამთრისათვის მცენარეული საკვების მარაგის შექმნა, ისწავლეს ოთხკუთხა ქოხებისა და თბილი სახლების შენება და კერიის მოწყობა. აიკრძალა მოუწესრიგებელი სექსი და ის აღარ შეიძლებოდა ახლო ნათესავებს შორის და ნადირობისა და მცენარეული საკვების შეგროვების დროს, გაჩნდა სალოცავები, დათვისა და სხვა ცხოველებისადმი თაყვანისცემა, აღმოცენდა ხელოვნება, თუმცა, ჯერ კიდევ, არსებობდა კაციჭამიობა და საზოგადოების სათავეში უკვე იყო ქალი.

საქართველოში ამ დროის სადგომები აღმოჩენილია საკაჟიისა და ცუცხვათის გამოქვაბულებში და სხვაგანაც.

განვითარების კიდევ ერთ ეტაპს კრომანიონელი ადამიანის მიერ

შექმნილი გვაროვნული თემის კულტურა წარმოადგენდა, რომელიც ნაწილობრივ გამყინვარებასაც ემთხვევა. მათ უკვე ჰქონდათ ძვლისა და ხის ტარიანი ქვის იარაღები და ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი ბუნებაზე, სახლებს ათბობდნენ ცეცხლით, ხოლო ანათებდნენ ქონით. გაჩნდა გვაროვნული თემი და ეგზოგამიური ქორწინება და აიკრძალა გვარს შიგნით ქორწინება. ჩამოყალიბდა დედის კულტი და მემკვიდრეობის გადასვლაც დედის ხაზით დაიწყო. ასევე შეიქმნა მიწის დასამუშავებელი ძვლის იარაღები, ყუნწიანი ნემსები და მახათები, შუბსატყორცნი, მშვილდისარი, ანკესი, ბარჯი, ფეხსაცმელი და ქუდი, ხოლო XII ათასწლეულის ბოლოს გაჩნდა ქონებრივი უთანასწორობაც. ჩაისახა ხელოვნებაც (მხატვრობა, ქანდაკება და ძვალზე გამოსახვა), რომელთაგან მხატვრობის ჩასახვა-განვითარებამ ოთხი საფეხური გაიარა: 1. ცხოველების ძვალსა და ქვაზე გრავირება, 2. გამოქვაბულების მხატვრობა (25-19 000 წ.), 3. გამოქვაბულის ხელოვნების აყვავება (18-15 000 წ.) და 4. სიმბოლური ნიშნების დამკვიდრება (14-10 000 წ).

გვაროვნულ თემთან ერთად გაჩნდა რელიგიაც და ჩამოყალიბდა წარმოდგენები სულეთზე და მცენარეებისადმი თაყვანისცემა, გაჩნდა ანიმიზმი, ტოტემიზმი, ფეტიშიზმი, მაგია, ავგაროზები, შეიქმნა ლოცვები, დაიწყეს შელოცვები და ა. შ.

დიდი ხნის შემდეგ, როცა გვაროვნული წყობა დაირღვა და გაჩნდა კლასები, ქალაქები და სახელმწიფოები სახელმწიფო დამწერლობებით (მესოპოტამია-ეგვიპტე), დასრულდა კაცობრიობის ყველაზე დიდი ეტაპი კულტურული განვითარების ისტორიაში.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როცა მკვლევარები კულტურის ისტორიის პერიოდიზაციას ეხებიან, მათი ერთი ნაწილი თვლის, რომ კულტურის ისტორია ადამიანის გაჩენასთან ერთად დაიწყო, ხოლო მეორე ნაწილი საწყისად ჰომო საპიენსის – გონიერი ადამიანის ანუ კრომანიონელის გამოჩენას იღებს. ჩვენ პირველ მოსაზრებას ვემხრობით და თუ რატომ, ამის ახსნას აქვე შევეცდებით. მაშ ასე, მსოფლიოს შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში კულტურის 3000-ზე მეტი განმარტება არსებობს. რა თქმა უნდა, ჩვენს მიზანს სულაც არ წარმოადგენს თითოეულის განხილვა, საკმარისია დავეყრდნოთ მის ყველაზე მეტად მიღებულ განმარტებას, რაც იმაში მდგომარეობს,

რომ კულტურა ეს არის ადამიანთა ნებისმიერი ჯგუფის მიერ შექმნილი მატერიალური, სულიერი, სოციალური და ზნეობრივი ფასეულობანი, მიუხედავად იმისა, ველურებზეა საუბარი თუ ცივილიზებულ ადამიანებზე.

ჰოდა, აქედან გამომდინარე, ადამიანებს განა 4 მილიონი წლიდან მოყოლებული 40 000 წლამდე მართლა არაფერი არ შეუქმნიათ, თუნდაც, მატერიალური კულტურის სფეროში? რა თქმა უნდა შეუქმნიათ, რასაც ზემოთ მოხმობილი მაგალითებიც ადასტურებენ.

ახლა რაც შეეხება ცივილიზაციას, მეცნიერების დიდი ნაწილი თვლის, რომ საერთო საკაცობრიო ცივილიზაცია არც ყოფილა და არც იქნება, რადგან ის ცალკეული ცივილიზაციების ერთობლიობას წარმოადგენს. ცივილიზაცია იზრდება, სუსტდება და კვდება, ამ სრულ ციკლს დაახლოებით 1000 წლამდე სჭირდება. მოდით აქვე გავარკვიოთ, თუ რა არის ცივილიზაცია და რით განსხვავდება ის კულტურისაგან, რადგან ჩვენ ქვემოთ საუბარი გვექნება ზოგადად, ცივილიზაციათა და კერძოდ, პროტოქართული ცივილიზაციის წარმოშობის თაობაზე, შევეცდებით დავადგინოთ, თუ სად და როდის აღმოცენდნენ პირველი და მომდევნო ცივილიზაციები, რომელი ხალხი (ხალხები) იყვნენ მათი შემქმნელები და სულ დედამიწაზე რამდენი იყო ცივილიზაციათა რაოდენობა.

შესაბამის ლიტერატურაში ცივილიზაციის შესახებაც უამრავი განმარტება არსებობს, მაგრამ მათგან ჩვენის აზრით უფრო ზუსტი და მისაღები ო. შპენგლერის მოსაზრებაა, რომელიც თვლის, რომ ცივილიზაცია წარმოადგენს კულტურის განვითარების ზედა ზღვარს, რომელიც წერტილს უსვამს კულტურის არსებობას და დგება მაშინ, როცა კულტურა ამოწურავს განვითარების ყველა შინაგან შესაძლებლობას და მთლიანად გამოავლენს თავისთავს ხალხთა, ენათა, რწმენა-წარმოდგენათა, ხელოვნებათა, სახელმწიფოთა და მეცნიერებათა სახით.

მეცნიერები დღემდე ცივილიზაციათა რაოდენობაშიც კი ვერ შეთანხმებულან. ერთ-ერთი დიდი მოაზროვნე ა. ტოინბი მიიჩნევს, რომ დედამიწაზე სულ 21 ან 23 ლოკალური ცივილიზაცია არსებობდა და მათგან მხოლოდ 7 მათგანი არის დღეს ცოცხალი. ის არ გამორიცხავდა რა ცივილიზაციათა შორის მემკვიდრეობითობას, თვლიდა რომ

დასავლეთის ცივილიზაცია ელინური ცივილიზაციის შვილი იყო (ელინური პერიოდი მოიცავს ძვ. წ. IV – II საუკუნეებს).

ნ. დანილევსკი მიიჩნევდა, რომ სულ 10 ცივილიზაცია არსებობდა: ეგვიპტური, ჩინური, ასურულ-ბაბილონურ-ფინიკიური, ინდური, ირანული, ებრაული, ბერძნული, რომაული, ახალსემიტური ან არამეული და გერმანულ-რომაული ან ევროპული. ამატებდა მეთერთმეტესაც მექსიკურ-პერუულს, რომელმაც მისი აზრით განვითარების დასრულება ვერ მოასწრო. ნ. დანილევსკის აზრით ჩამოყალიბების სტადიაში არის სლავურ-რუსულიც.

ნ. დანილევსკი აქ რამდენიმე ძალზე პრინციპულ შეცდომას უშვებს: 1. თავის ათულში ისეთი ცივილიზაციები ჰყავს შეყვანილი, რომელთაც მეცნიერთა უდიდესი ნაწილი არ აღიარებს და 2. რატომღაც ამ ათეულში ადგილი ვერ მოუნახა კონკრეტულად შუმერულ და წინაბერძნულ ცივილიზაციებს, მაშინ, როცა, იქ ადგილი სლავურ-რუსულისათვის კი გამოძებნა.

ო. შპენგლერი თვლიდა, რომ ერთიანი მსოფლიო ისტორია არ არსებობდა და ის რვა ისტორიას (ცივილიზაციას) მოიცავდა: ანტიკურს, არაბულს, ბაბილონურს, ეგვიპტურს, ჩინურს, ინდურს, მაიას და დასავლურს. ამათ გარდა ის ამატებდა ხეთებისა და სპარსელების, მისი აზრით, ჩანასახოვან კულტურებსაც. რა თქმა უნდა, პრინციპულად მიუღებელია ო. შპენგლერის ეს ჩამონათვალიც, რადგან მასში არც შუმერულისა და არც წინაბერძნული ცივილიზაციებისათვის არ გამოიძებნა ადგილი, უფრო შორეულს თავიც რომ დავანებოთ.

რვა ცივილიზაციას გამოყოფდა ფ. ბეგბიც: ბაბილონურს, ეგვიპტურს, ჩინურს, ინდურს, კლასიკურს (ბერძნულ-რომაულს), პერუულს (ინკების), ცენტრალურ-ამერიკულს (აცტეკები, მაია, ტოტლეკები) და დასავლეთ ევროპულს. მას მისაღებად მიაჩნდა მეცხრეც – ახლოაღმოსავლური (ბიზანტია, ებრაელები, კოპტები, მარონიტები, მუსლიმური აღმოსავლეთი, ნესტორიანელები, სომხები და ფარსები). რა თქმა უნდა, ფ. ბეგბის ჩამონათვალიც ძალზე შორს არის სრულყოფილებისაგან და თავი რომ დავანებოთ მის ჩამონათვალში გაუგებარი ვითომდა ე. წ. ცივილიზაციების შეტანას, იქ არ მოიძებნება შუმერული და წინა ბერძნული ცივილიზაციებიც კი.

კულტურისა და ცივილიზაციის შესახებ საუბარს ისევ ო. შპენგ-

ლერით დავასრულებ, რადგან ვეჭვობ მასზე ზუსტად და ამომწურავად მათი შედარებითი დახასიათება სხვამ მოახერხოს: „კულტურას თავისი ცივილიზაცია აქვს, ცივილიზაცია გარდაუვალი დასასრულია, მაგრამ ცივილიზაციად ქცეულმა კულტურამ შეიძლება კიდევ ასწლეულები იარსებოს. კულტურა სიცოცხლის ეტაპია, ცივილიზაცია სიკვდილის, კულტურა სულის ბატონობაა, ცივილიზიაცია ინტელექტის, კულტურის ეტაპზე ღმერთის სიყვარულია, ცივილიზაციის საფუძველზე კი უღმერთობა ბატონობს. კულტურის საფეხურზე ადამიანი მიჯაჭვულია თავის მხარეს და პატრიოტია, ცივილიზაციის საფუძველზე კი ის მოხეტიალე კოსმოპოლიტია, კულტურის ეტაპზე ადამიანთა ენერგია მიმრთულია შემოქმედებისაკენ, ცივილიზაციის ეტაპზე დაპყრობისაკენ და ადამიანი კარგავს ღირებულებას და ძირითადი ფასეულობა ხდება ფული. ადამიანის ადგილს იკავებს მანქანა, კულტურა ესაა სულიერების ცოცხალი სხეული, ხოლო ცივილიზაცია მუმიაა, კულტურები ისე იღუპებიან, რომ ერთმანეთს არაფერს არ გადასცემენ."

ცივილიზაციათა წარმოქმნასთან დაკავშირებით დღეისათვის მეცნიერები სამ ჯგუფად იყოფიან, რომელთაგან ერთი თვლის, რომ პირველი ცივილიზაციები შუმერში (მესოპოტამიაში), ეგვიპტესა და აზიაში აღმოცენდნენ. შუმერში, (მესოპოტამიაში შექმნილმა ცივილიზაციამ მეოთხე ათასწლეულის ბოლოდან ძვ.წ. VI საუკუნემდე იარსება და მისი შემქმნელები, იმ დროისათვის, იმ ტერიტორიაზე მცხოვრები შუმერები, არამიელები, ასირიელები, აქადელები, ბაბილონელები, ქალდეველები და ხურიტები იყვნენ.

იმავე, IV-III ათასწლეულთა მიჯნას მიაკუთვნებენ ეგვიპტური ცივილიზაციის შექმნასაც, ხოლო ინდოეთში მოხენჯოდაროს ცივილიზაცია 3250 წლიდან 2750 წლამდე არსებობდა, მასთან პარალელურად 3200 წლიდან თანაარსებობდა პროტოქართველი დრავიდების მიერ იქ შექმნილი ჰარაპის ცივილიზაციაც. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან კი, იქ ცივილიზაცია მისულმა არიელებმაც შექმნეს. მართალია, ინდოეთის ტერიტორიაზე ეს სამი ცივილიზაცია კი არსებობდა, მაგრამ ახსნას არ ექვემდებარება მანსურის რაიონში აღმოჩენილი 10 000 წლის წინანდელი ასი შენობის არსებობა. იქნებ ეს შენობები მეცნიერებისათვის დღემდე უცნობი სხვა ცივილიზაციის რაღაც კვალს

წარმოადგენს? რაც შეეხება ჩინეთს, იქ იანშაოს კულტურა (ცივილიზაცია) III ათასწლეულში არსებობდა.

ამ ჯგუფის მეცნიერები ცალკე ცივილიზაციებად მოიხსენიებენ აქეველურ, ებრაულ და ხეთურ ცივილიზაციებსაც, თუმცა, ამას ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს და თანაც უფრო გვიანდელებიც არიან.

მეცნიერთა მეორე ჯგუფს მიაჩნია, რომ ცივილიზაცია ბერძნებმა შექმნეს და პირველებმა მათ აჩვენეს ადამიანის გონების ძალა. თუმცა, იქვე ვარდებიან წინააღმდეგობაში, როცა წერენ, რომ მათი კულტურული მიღწევების დიდი ნაწილის სათავე სხვა ცივილიზაციებში იძებნება (ე.ი. გამოდის რომ ცივილიზაციები (და არა ცივილიზაცია – ა.ნ.) პირველებს მათ არ შეუქმნიათ, რადგან ბერძნების კულტურული მიღწევების დიდი ნაწილის სათავე თურმე „სხვა ცივილიზაციებში იძებნება – ა.ნ.) ასევე მიაჩნიათ, რომ მათი ცივილიზაციის სიმაღლე და თვითმყოფადობა ეჭვგარეშეა. კი მაგრამ, როგორაა თვითმყოფადობა ეჭვგარეშე, თუკი მათივე თქმით, ბერძნები საწყის ეტაპზე უფრო მაღალგანვითარებული, წინაბერძნული ცივილიზაციების ჩრდილში იყვნენ? აი, ეს კი არის უფრო ახლოს სინამდვილესთან, რადგან ბერძნების კრეტაზე, ბალკანეთსა და ეგეოსის ზღვის აუზში გამოჩენამდე იქ მართლაც ცხოვრობდა მაღალგანვითარებული ცივილიზაციის შემქმნელი ხალხი, რაზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

საქმე კი აი რაშია: ბალკანეთის ნახევარკუნძულის, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების კუნძულებზე სახელმწიფოები პირველად III ათასწლეულის შუა ხანებში გაჩნდნენ, რომელთა განვითარება II ათასწლეულის ბოლოდან უკვე შეფერხდა, რადგან ეგეოსსა და ბალკანეთზე ბარბაროსი ბერძნები (აქეველები – იგივე დანაელები, როგორც ისინი თავიანთ თავს ეძახდნენ) გამოჩნდნენ.

იმ ეტაპზე ბერძნების შემოსევებს გადაურჩა კრეტა და სწორედ, ამან გამოიწვია მისი დანინაურება. კუნძულზე III ათასწლეულის ბოლოს პირველი სახელმწიფოებიც გაჩნდა, რომლის ერთ-ერთი უძლიერესი მმართველი მინოსი იყო და სწორედ, მისი სახელის მიხედვით უწოდა ა. ევანსმა იქაური ბრინჯაოს ხანის ცივილიზაციას (ევროპის პირველ ცივილიზაციას) მინოსური. მინოსის შემდეგ, მალე კნოროსმა მთელი კუნძულიც კი გააერთიანა. ერთი სიტყვით, ძვ.წ. XVIII–XV საუკუნეებ-

ში, მინოსური კრეტა ეგეოსის ზღვის აუზში ჰეგემონს წარმოადგენდა, მაგრამ XV საუკუნეში ბერძნები (აქეველები) კრეტაზეც შეიჭრნენ და ის ხელთ იგდეს. XIV საუკუნეში შეჭრა განმეორდა და კრეტა მთლიანად მიკენური (ბერძნული) ცივილიზაციის ფარგლებში მოექცა (საკუთრივ ბერძნების მიერ შექმნილი პირველი ცივილიზაცია მიკენურად იწოდება და მან აღმავლობა ძვ. წ. XVI საუკუნეში დაიწყო. მიკენური ცივილიზაცია მინოსური ცივილიზაციის უდიდეს გავლენას განიცდიდა).

XIV საუკუნიდან მიკენურმა საბერძნეთმა ჰეგემონია მთელი ეგეოსის ზღვის აუზშიც მოიპოვა. XIV საუკუნეშივე დაუპირისპირდნენ ისინი ხეთებსაც და კოლხებსაც, როცა იოლკოსის სასახლიდან კოლხეთში არგონავტები გაემგზავრნენ.

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვის აუზებში თავდაპირველად პროტოქართული (კოლხურ-პელაზგური) ცივილიზაცია ჩამოყალიბდა, რომელიც ევროპის პირველი ცივილიზაცია (კრეტული) იყო და მას მანამდე ეკავა გაბატონებული ადგილი, ვიდრე ბალკანეთსა და კუნძულებზე ძვ.წ. 2500 -1600 წლებში ინდოევროპელმა ბარბაროსმა ბერძნებმა არ შეაღწიეს და მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ძვ.წ. XVII საუკუნიდან შეიქმნა მიკენური (ე.ი. ბერძნული) ცივილიზაცია, რომელმაც განვითარება კოლხურ-პელაზგური ცივილიზაციის საფუძველზე დაიწყო.

მაგრამ ეს პროცესი უფრო წარმატებული და სწრაფი რომ ყოფილიყო, თანაც თავიანთი თავის გასაკეთილშობილებლად და ბარბაროსობის დასაძლევად, ბერძნებმა გადაწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ წმინდა გრაალი – ოქროს საწმისი, რომელიც კოლხეთში იყო დავანებული და იმ საიდუმლო ცოდნას ინახავდა, რაც სამყაროს კეთილდღეობისა და სიბრძნის სიმბოლოს წარმოადგენდა. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რადგან, მანამდე ხომ ბერძნები, ავაზაკები, ბარბაროსები, ველურები და მძარცველები იყვნენ. გადმოცემის მიხედვით, ბერძნებმა ოქროს საწმისის მოსატაცებლად სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარეს და უპირველეს ყოვლისა, ააგეს გემი „არგო" – სწრაფი, რომლის ეკიპაჟში შედიოდნენ: უფლისწული იაზონი, ზევსის შვილები ჰერაკლე და თეზევსი (ათენის დამაარსებელი), ავაზაკებისა და ქურდების ღმერთ ჰერმესის შვილი ავთოლიკე, მედიცინის ღმერთი ასკლეპიოსი, პოეტთა პოეტი ორფეოსი, აპოლონის, დიონისეს, პოსეიდონის

და კიდევ სხვა ღმერთთა შვილები, ავგეა, ანთეოსი, კენეუსი, ნაერტი, პოლიდევკი, პროკრუსტე, სიზიფე და სხვები. წარმატების მისაღწევად საქმეში სხვა ძალიან სერიოზული ძალებიც იყვნენ ჩართულები და მედეას იაზონით მოხიბლვაში დაეხმარნენ სიბრძნის ღმერთი ათენა, რომელმაც „არგოს" მშენებლობაშიც მიიღო მონაწილეობა, სიყვარულის ღმერთი აფროდიტე და მისი შვილი ეროსი, რომელმაც მედეას ისარი ესროლა, ქალღმერთი ჰერა და სხვები.

საქმე იმდენად სერიოზულად ითვლებოდა, რომ ჰერმესმა შვილს იმისი უფლებაც კი მისცა, რომ მიზნის მისაღწევად, თუ დასჭირდებოდა ტყუილზე მამაც დაეფიცებინა.

ერთი სიტყვით, ბერძნებმა მედეას დახმარებით ოქროს საწმისი მოიპარეს (მოიტაცეს) და ამით კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ქურდობა ჩაიდინეს.

სწორედ, ამის შემდეგ, ოქროს საწმისის ელადაში ჩატანით და მის სიბრძნეზე დაყრდნობით, შესძლეს მათ ბერძნული (მიკენური) ცივილიზაციის რენესანსი და კოლხურ ცივილიზაციაზე დაყრდნობით შექმნეს ბერძნული ცივილიზაცია, რომლისგან შემდეგ შეიქმნა რომაული, ხოლო რომაულზე დაყრდნობით დღევანდელი მსოფლიო ცივილიზაცია, ე.ი. ლოგიკურია ვთქვათ, რომ თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაცია ოქროს საწმისზე არის აღმოცენებული.

აქვე ძალიან მოკლედ, მაგრამ ცალკე უნდა შევეხოთ მედეას ფენომენს და აღვნიშნოთ, რომ ის არამარტო კოლხეთის მეფე აიეტის შვილი იყო, არამედ მედიის – მიდიის დამაარსებელიც იყო შვილთან ერთად. მედეას თავისი შვილები არ მოუკლავს და ისინი მას კორინთელებმა დაუხოცეს, შემდეგ კი მედეას დააბრალეს, რისთვისაც მათ ევრიპიდეს 5 ტალანტი ქრთამი მისცეს და დააწერინეს დრამა, რომელშიც მედეამ თავისი შვილები თვითონ დახოცა ქმრის ღალატის გამო, სინამდვილეში კი, მედეამ იასონის ღალატის გამო (იასონმა კორინთოს მეფის შვილი ელენე შეიყვარა), მისი კორინთოელი საცოლე – კორინთოს მეფის შვილი ელენე მოკლა.

ტროელმა პელაზგებმა (ე.ი ქართველებმა) მედეას შვილების მოკვლის გამო შური იძიეს კორინთელებზე და ელენე მოიტაცეს.

მედეას სახელთან სხვაც ბევრი რამაა დაკავშირებული, მაგალითად, ლათინურად მედეა არის ქალღმერთი, მედეა – მედიცინა, მედიკა

– ექიმი ქალი, მედიკუს – ექიმი კაცი, მედიკოსი – მედიცინის მუშაკი და ა.შ. მედეას სახელს უკავშირდება ტიბეტში იოგით მკურნალობის ჩამოყალიბებაც, რადგან ის სწორედ მედეას დროს გაჩნდა იქ (იოგა ქართული სიტყვაა და იოგებს ნიშნავს), მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, რომ მედეას სახელი ჯვრის პირველგამოსახულებასაც უკავშირდება. საქმე იმაშია, რომ ერთ-ერთ თიხის სურაზე გამოსახულ მედეას ხელთ უჭირავს ჯვრის ფორმის მტევნები, ვაზისავე ჯვრის ტოტით და თან კაბაზე „აი ია" აწერია.

მეცნიერთა და მკვლევართა მესამე ჯგუფს (რომელთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება), რომელშიც შედიან: ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ი. დონელი, ა. ტოინბი, ო. შპენგლერი, ფ.ბ ეგბი, ნ. დანილევსკი, ი. ბრაუნი, კ. შმიდტი, ტ. ჰეიერდალი, ე. დობლჰოფერი, ი. ფრიდრიხი, გ. გიორგაძე, ნ. ხაზარაძე, თ. გამყრელიძე, რ.ერისთავი, კ. კოლხი, გ. კვაშილავა, ბ. სოფია, გ. ოტობაია, ზ. ქაფიანიძე, თ. მიბჩუანი, კ. შელია, ა. შონია, გ. ჭელიძე, მ.ჯანჯღავა, ა. ურუშაძე, ნ. ფოფხაძე, ბ. სართანია, ა. კილასონია, ა. ბაღაშვილი, ვ. ალფენიძე, გ. ვაშაკიძე, ი. კვეკვესკირი, გ. კვარაცხელია და მრავალი სხვა, სხვებისაგან განსხვავებით მიაჩნია და ძალზე არგუმენტირებულადაც ამტკიცებს, რომ თავდაპირველი ცივილიზაციები არცერთ ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ ხალხს არ შეუქმნია და მისი შემქმნელები ქართველთა წინაპრები, პროტოქართველები – იგივე იბერები (კოლხუები) და პელაზგები არიან. სწორედ ასე ფიქრობდნენ ჯერ კიდევ XV საუკუნის ფრანგი მეცნიერი და მისიონერი დე ბურბური და ესპანელი მეცნიერი ი. დონელი, რომ კოლხუამ შექმნა ატლანტიდური ცივილიზაცია და მისი ჩაძირვის შემდეგ მანვე გაავრცელა ის, მის მიერ აღმოჩენილ ამერიკის კონტინენტსა და ყველა იმ მიწაზე, სადაც დამკვიდრება მოუწიათ. მათი აზრით კოლხებმა სათავე მედიტენარულ კულტურასაც დაუდეს.

ზემოთაც ვწერდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ დედამიწის პირველი ცივილიზაცია ატლანტისზე შეიქმნა. თუ იმასაც დავიჯერებთ, რომ ატლანტისის ძირითადი(ერთ-ერთი ძირითადი მაინც) მცხოვრებლები იბერები-კოლხუები ყოფილან, მაშინ გამოდის, რომ პირველი ცივილიზაციის შემქმნელებიც ჩვენი შორეული წინაპრები არიან. მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი კი მიიჩნევს, რომ (და ეს რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება) ცივილიზებული კაცობრიობის ისტორია

წარღვნამდე იწყება და ის სათავეს ანუნაკისაგან იღებს, იმ ანუნაკისაგან, რომელიც ცივილიზაციასთან გაიგივებული ცნებაა და თან ციდან დაშვებულს ნიშნავს (ისევ ცა და ციდან დაშვებული). იქნებ და მართლა უნდა ვიწამოთ ე.წ. მოსულობის თეორია და შევეგუოთ იმ აზრს,რომ დედამიწაზე ადამიანები მართლაც მოსულები და სტუმრები ვართ? გავიხსენოთ „წუთისოფლის სტუმრები ვართ რერო, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება რერო“ (წავალთო, კი არ მოვკვდებითო). ძველი შუმერების მიერ შესრულებულ ნახატებზეც, რომ უცხოპლანეტელები არიან გამოსახულები, ეს მაინც როგორ ავხსნათ? შუმერებმა ყველაფერი ანუნაკისაგან ისწავლესო – ჰოდა, ხომ შეიძლება ასეთი ვარაუდიც – ანუნაკმა ჯერ თვითონ მიიღო ცოდნა-ცივილიზაცია ზეციური ძალებისაგან და შემდეგ სხვებს, ამ შემთხვევაში ატლანტისელ პროტოიბერებს (კოლხუებს) ასწავლა და გადასცა ეს ცოდნა? და იქნებ სწორედ ამიტომ იყვნენ იბერები (კოლხუები) სხვა ხალხებზე მეტად დაწინაურებულნი და განვითარებულნი? ის კი არადა, ერთერთი ცნობით, ატლანტისელებს თვითმფრინავებიც კი ჰყოლიათ.

ერთი სიტყვით, ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა იბერებმა (კოლხუებმა) ჯერ კიდევ ატლანტისზე შექმნეს ბრწყინვალე არქიტექტურა, ასტრონომია, დროის ანგარიში, კალენდარი, მზის კულტი, ოცობით თვლა, პირამიდები და ხელოვნება. უნდა ვივარაუდოთ, რომ იქვე შეიქმნა იდეოგრაფიული და იეროგლიფური დამწერლობებიც.

ხოლო, როცა 11 000 წლის წინათ ატლანტისი ჩაიძირა და მისი გადარჩენილი მცხოვრებლები იბერები (კოლხუები) მთელს მსოფლიოში მიმოიფანტნენ, მათ თავიანთი ეს ცოდნა (ცივილიზაცია) ყველგან მიიტანეს, სადაც კი ფეხი მოიკიდეს და დამკვიდრდნენ. მაგალითად, მათ ამერიკის კონტინენტამდეც მიაღწიეს და მაიას ხალხს გადასცეს თავიანთი ცოდნა (არის ასეთი ჰიპოთეზაც, რომ თითქოსდა მაია ამერიკაში ატლანტისიდან მივიდა და ყველა ცოდნაც თან მიიტანა). დიდი ალბათობით იბერების (კოლხუების) გავლენით შეიქმნა მექსიკის კულტურაც.

იქნებ, ამით მაინც აიხსნას იბერების (კოლხუების) მთელს დედამიწაზე მიმოფანტვით ის უცნაური დამთხვევები, მაგალითად, ბასკური და იაპონური ენები რომ ჰგვანან ერთმანეთს, აინების და აინური ენის მსგავსება ბასკებსა და ბასკურ ენასთან, ინდიელების, შუმერების, ეგვიპტელების,

ძველი ევროპელებისა და წყნარი ოკეანის კუნძულთა იდიოგრამებისა და დამწერლობების ერთმანეთთან მსგავსებები და მრავალი სხვა.

ერთი სიტყვით, ატლანტიდელები, ე.ი. იბერები (კოლხუები) სავარაუდოდ, 11 000 წლის წინათ პირველად მცირე აზიაში მივიდნენ და თან მიიტანეს რა იქ თავიანთი ცოდნა (ცივილიზაცია), ააგეს (დიახ, სწორედ 11 000 წ. წინათ, რაც ზუსტად ემთხვევა წარღვნის თარიღს) უამრავი ეკლესია და ტაძარი ზედ წარწერის მაგვარი ნიშნებით (ყველაფერი ეს გერმანელმა არქეოლოგმა შმიდტმა აღმოაჩინა თურქეთის გიობეკლ – ტეფეში). ამის თაობაზე სწორედ ასეთნაირად წერს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული „დღესასწაულთა წიგნიც“.

შემდეგი აუხსნელი მოვლენა ინდოეთში, მანსურის რაიონში აღმოჩენილი 10 000 წლის წინანდელი ასი შენობაა, რომლის წარმომავლობა დღემდე გაურკვეველია. არადა, როგორ თანხვედრაშია ქრონოლოგიურად ის ატლანტისის ჩაძირვასთან. ცდუნებას ვერ უძლებ იფიქრო, რომ ეს შენობებიც ჩაძირული ატლანტისიდან წამოსულმა ხალხმა ხომ არ ააგო და ხომ არ იყვნენ ისინიც კოლხუათა (იბერთა) წარმომადგენლები? მითუმეტეს, რომ ინდოეთშიც მოგვიანებით პროტოქართველი დრავიდები ცხოვრობდნენ?

მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ 8500 წლის წინათ პროტოიბერებმა დიდი ბრიტანეთის კუნძულების ათვისებაც დაიწყეს, რომელიც მანამდე დაუსახლებელი იყო.

8000 წლის წინათ დაიწყო პროტოიბერების მიერ სამხრეთ ევროპის (საფრანგეთის, სამხრეთ გერმანიის, ავსტრიის, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზების კუნძულთა – მათ შორის კრეტის) ათვისებაც. ამის თაობაზე უკრაინელი მეცნიერი ა. აბაკუმოვი წერს, რომ ქართული ცივილიზაცია ჯერ კიდევ 8000 წლის წინათ არსებობდა და ის ყველაზე ძველად მიჩნეულ შუმერულ (მესოპოტამურ) და ეგვიპტურ ცივილიზაციებს მთელი 2000 წლით უსწრებდა წინ. მისი აზრით, მაშინდელი ქართული ცივილიზაციის გავლენის კვალი დღემდე არის შემორჩენილი გერმანული და ჰოლანდიური ენების დიალექტებში.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ფ.შლოცერი კი წერს, რომ სწორედ, კავკასიელმა ხალხმა შექმნა და გამოიგონა ყველაფერი მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ყველაფერი გონიერი. კავკასიის ხალხია კაცობრიობის ბირთვი, ცენტრი და მის ირგვლივ ბრუნავს სამყაროს ისტორია.

ებრაელი მეცნიერი ლ. ვრანი წიგნში „ობ იბერიისკომ რასსელენნი“ წერს, რომ ძველი იბერიელების თავდაპირველი განსახლების სივრცე იყო ევრაზია.

მეორე ებრაელი მეცნიერი ი.მოსენსკისიც აღნიშნავს, რომ ქართველები იყვნენ ევრაზიული ცივილიზაციის სათავეებთან (მისი წიგნები „პირველ ცივილიზაციათა ქართული კვალი,“ „ქართველები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს უძველესი მცხოვრებნი,“ „ქართველები ძველ ბრიტანეთში,“ „ქართველები ძველი ეგვიპტური კულტურის შემქმნელები,“ „უცნობი ქართველური ენა და ქართული დინასტიის 600 წლიანი მმართველობა მესოპოტამიაში“).

კიდევ ერთი ებრაელი მეცნიერი ბ.გრეინშპოლკიც წიგნში „არიელები და იბერიელები“ წერს, რომ დასავლეთ ევროპის თავდაპირველი ამთვისებლები ქართველები იყვნენ და მათ 4800 წლის წინათ ავსტრიაშიც შექმნეს ბადენის კულტურა. მისი აზრით, ქართველები იყვნენ ტროელებიც და ბრიტანეთის კუნძულებისა და საფრანგეთის პირველი ამთვისებლებიც, ხოლო ბასკები ძველი იბერების (კოლხუეების) ნარჩენები არიან.

მეცნიერთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პირველი კოლხური (იბერიული) ცივილიზაცია, რომელზეც შემდეგ სხვა ცივილიზაციებიც აღმოცენდნენ, 7000 წლის წინათ შეიქმნა. ამის თაობაზე არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ ძველი ავტორებიც წერდნენ. მაგალითად, ჰ.მილეთელი მიიჩნევდა, რომ პირველი ცივილიზაცია იყო კოლხური და ის გავრცელებული იყო კავკასიაში, ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილში, მცირე აზიაში, ხმელთაშუა ზღვის აუზსა და ინდოეთში. ერთი სიტყვით, არიან რა ჩვენი წინაპრები მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან, სწორედ, მათ შექმნეს მედიტერიანული კულტურა და ყველა სახის დამწერლობა კვირბებიდან მოყოლებული.

ქრონოლოგიურად ზემოთ აღწერილ ამბებთან თანხვედრაში მოდის მესოპოტამიაში მიმდინარე პროცესებიც, რადგან თუ ვირწმუნებთ, რომ წარღვნა და ატლანტისის ჩაძირვა 11 000 წლის წინათ მოხდა და მის შემდეგ ქალაქ ქიშში პირველად აღსდგა მეფობა და ცივილიზაცია, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მოგვიანებით 8000 წლის წინათ იქ ჩასულმა ქართებმა (კოლხუებმა – იბერებმა) ბანანურ (კოლხურ) ენაზე იქვე შექმნეს კოლხური (იბერიული) კულტურაც.

მეცნიერების ნაწილი იმაშიც არის დარწმუნებული, რომ სწორედ, ამ დროს შეიქმნა პროტოქართული – კოლხური (იბერიული) ენაც, რომელსაც ბანანურ ენასაც უწოდებენ. ბანანურმა (კოლხურმა) ენამ უცვლელი სახით 2900 წლიდან 4700 წლამდე იარსება. ამ მეცნიერთა აზრით, ქვის ხანის გარდა, ყველა სხვა ხანის მიღწევები სწორედ ბანანურ (კოლხურ) ენაზე მოლაპარაკე ხალხის ნამოღვაწარის საფუძველზე გახდა შესაძლებელი. 4700 წლის წინათ კი, როცა ბანანური (კოლხური) ენის დაშლის პროცესი დაიწყო, პირველი მას ბასკური ენა გამოეყო.

შუამდინარეთში სწორედ, ქართების (კოლხების – იბერების) გამოჩენის შემდეგ გაჩნდა ქვეყანა ენგური და ენგურელი ხალხი, რომელიც ბანანურ (კოლხურ) ენაზე ლაპარაკობდა. არ გეჩვენებათ ძალზე უცნაურ დამთხვევად ისიც, რომ, სწორედ, აქ და თანაც ბანანურ (კოლხურ) ენაზე შეიქმნა თქმულებაც წარღვნის შესახებ (ნამდვილად არ არის მოკლებული ლოგიკას თუ ვიტყვით, რომ თქმულება წარღვნაზე სწორედ იმ ხალხმა შექმნა, რომელმაც ეს მოვლენა თავის თავზე გამოსცადა).

ერთი სიტყვით, იქ (მესოპოტამიაში 6000 წლის წინ მომდევნო სახელმწიფო იბერ-სუბარებმაც შექმნეს და თან მათი განვითარების დონე იმდენად მაღალი იყო, რომ იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობებიც კი შექმნეს და (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია „საქართველოს ისტორია“, 1948 წ. გამოცემა) შეიქმნა მესოპოტამიური პროტოიბერიული ცივილიზაცია, რომელთანაც ისეთი მოვლენებია დაკავშირებული, როგორიცაა: პირველი კანონების შექმნა (6000 წლის წინ), ფერადი მინის დამზადება (4400 წლის წინ), „გილგამეშიანის“ დაწერა (4300 წ. წინ), ჰამურაბის კანონების შექმნა (3800 წ. წინ), ბორბლის, წყლის ამოსაქაჩი ბორბლის და ბრინჯაოს გამოგონება, ასტრონომიის, მათემატიკის, მზისა და მთვარის კალენდრებისა და რუკების შექმნა, საათის შექმნა და მისი დაყოფა 60 წუთად, წრის 360º-ად დაყოფა, ოქროს დამუშავების წესის აღმოჩენა, დღეების შემოღება, მაღალი დონის მედიცინის შექმნა, ზოგადად, მშენებლობის განვითარება, ქალაქების გამაგრებების მოწყობა, ტაძრებისა და პირამიდების აგება, ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორუფლებიანობის დამყარება და მათ შორის, საქორწილო ხელშეკრულებების გაფორმება და მრავალი სხვა.

მესოპოტამიური (ე.ი. პროტოიბერიულ-კოლხური) ცივილიზაცია მოგვიანებით, იქ, ისევ პროტოქართველმა აქადელებმა განავითარეს, თუმცა, რატომღაც მას მეცნიერებმა ბაბილონური ცივილიზაცია უწოდეს.

ატლანტისიდან წამოსულმა კოლხუებმა (იბერებმა) ცივილიზაცია ეგვიპტეშიც მიიტანეს და იქაც დაამკვიდრეს ასტრონომია, დროის ანგარიში, კალენდარი, მზის კულტი, პირამიდების აგების ცოდნა და წყლისა და მზის საათები. ასევე მიიტანეს ლითონისა და გამჭვირვალე ქსოვილების წარმოება, ოქროს, ვერცხლისა და მინის მიღებისა და დამუშავების წესები, მაღალი დონის მედიცინა და მხატვრობა, მათემატიკა, ციფრები და იეროგლიფები. სწორედ ამას გულისხმობდა ი. მოსენსკესი, როცა წერდა, რომ ეგვიპტის ცივილიზაცია შეიქმნა პროტოქართულზე დაყრდნობითო (მისი წიგნი „ქართველები ეგვიპტის კულტურის შემქმნელები“).

გერმანელ მეცნიერ რიხტერს კი მიაჩნდა, რომ (და ეს გენეტიკური ანალიზითაც დამტკიცდა) ეგვიპტის ფარაონები გენეტიკურად კავკასიელები-იბერები (კოლხები) იყვნენ და ისინი იქ 7000 წლის წინათ გადასულან და დამკვიდრებულან.

ეგვიპტის კულტურაზე დიდი ზეგავლენა შემდგომი დროის კოლხურმა კულტურამაც მოახდინა და სწორედ მისგან გადაიღეს მიწათმოქმედება, ღვთაებები და წამალთმცოდნეობა (ასე ფიქრობს გერმანელი მეცნიერი შპრენგელი), კოლხებმა დააარსეს ქალაქ ჰელიპოლისიც, სადაც შემდეგში ასტრონომიასა და ასტროლოგიას აიეტის ძმა აქციუსი ასწავლიდა. ეს ცოდნა კი აქედან შემდეგ დანარჩენ მსოფლიოშიც ვრცელდებოდა. ეგვიპტეში პროტოქართული მითანიდან ორთვალა საბრძოლო ეტლი და რკინის იარაღებიც შეიტანეს.

სიძველით შემდგომი არის ინდოეთში 5300 წლის წინათ პროტოქართველი დრავიდების მიერ შექმნილი ჰარაპის ცივილიზაცია, რომელსაც მოჰყვება 5000 წლის წინათ ჩინეთში შექმნილი იანშაოს კულტურა.

ასევე უძველესია პელაზგური და ტროას პროტოიბერიული (კოლხური) ცივილიზაციებიც, რომლებიც 4500 წლის წინათ შეიქმნა და ძვ.წ. XIII-ს-მდე იარსებს. სწორედ, პელაზგური კულტურა არის ბერძნული ცივილიზაციის საფუძველი, კრეტულ (მინოსურ) კოლხურ (იბერიულ)

ცივილიზაციასთან ერთად, ბერძნული რომაულის და რომაული კი, თანამედროვე მსოფლიოსი.

რუსი ა. ნოგოვიცინის აზრით, სწორედ პელაზგები იყვნენ ბერძენთა მასწავლებლები და დამწერლობაც მათგან აიღეს, რადგან ფინიკიური ალფავიტი პელაზგური წარმოშობისაა.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ კიდევ ერთ პროტოქართულ ცივილიზაციასაც, რომელიც მტკვარ -არაქსის კულტურის სახელით უფრო არის ცნობილი. ის 5500 წლის წინათ დაიწყო და 4000 წლის წინათ დასრულდა, თუმცა, მოასწრო დიდი წვლილის შეტანა მიწათმოქმედებისა და ზოგადად, მეურნეობის განვითარებაში, სპილენძის ფართოდ გამოყენებისა და პატრიარქატის დამკვიდრებაში და ა. შ.

ის, რომ პროტოიბერები (კოლხუები) თითქმის ერთდროულად გამოჩნდნენ ჯერ მცირე აზიაში და შემდეგ დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე, პირენეის ნახევარკუნძულზე, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზებში და შუამდინარეთში (მესოპოტამიაში), ნამდვილად აღძრავს საფიქრალს, რომ ისინი რაღაც გლობალურმა მოვლენამ აიძულა თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან (ატლანტისიდან? – ა.ნ.) აყრილიყვნენ და მორიგი მუდმივი საცხოვრებელი მთელს დედამიწაზე ეძებნათ. მართლაც და ხომ არ იყო ეს გამოწვეული ატლანტისის ჩაძირვით?

არანაკლებ საფიქრალს აჩენს (და მასზე პასუხი მკითხველისათვის მიმინდვია) ის უცნაური დამთხვევები, რაზეც მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ, მაგალითად: ბასკებმა და მესოპოტამიელებმა ერთდროულად 6000 წლის წინათ მიიღეს პირველი კანონები. ვფიქრობთ, საჭიროა მათი შეპირისპირებითი ანალიზი, რაც გვიჩვენებს ჰგავს, თუ არა რაიმეთი ისინი ერთმანეთს და თუ ცოტათი მაინც ჰგავს, მაშინ, რით ავხსნათ ათასობით კილომეტრით ერთმანეთზე დაცილებული ხალხების იდენტური დამოკიდებულება ცალკეული მოვლენებისა და სამართლებრივი ფაქტებისადმი? ასევე, ნუთუ ეჭვს არც ის უნდა იწვევდეს, ასე ერთდროულად თუ როგორ გაჩნდა მესოპოტამიასა და ეგვიპტეში (სხვაგანაც) ძალიან მაღალი დონის მედიცინა, მზის კულტი, დამწერლობები, კალენდრები, საათები, მინა, რუკები, ზღვაოსნობა, ასტრონომია, ასტროლოგია, მათემატიკა, დაიწყეს პირამიდების აგება და სხვა მრავალი? მართლა დავიჯეროთ, რომ ყველაფერი ეს ქვის

ხანის ადამიანებმა შესძლეს? თუ ყოველივე ამისი ცოდნა (ცივილიზაცია) ანუნაკმა ზეციდან მიიღო მოსულებისაგან და შემდეგ ეს ცოდნა კოლხების(იბერების) საშუალებით მთელს დედამიწაზე გაავრცელა? ამაზე მე პასუხი არა მაქვს, თუმცა შინაგანი რწმენა მკარნახობს, რომ საქმე არც ისე მარტივადაა და ის მართლაც უკავშირდება რაღაც არამიწიერ ძალას, რომელმაც ყოველივე ეს (ცოდნა, ცივილიზაცია) ქვის ხანის ადამიანებს გადასცა. ამაზე ფიქრი ჩემო ძვირფასო მკითხველო თქვენთვის მომინდვია და თქვენც ისე გადაწყვიტეთ, როგორც გონებამ გიკარნახოთ.

და ბოლოს გავაკეთოთ ერთგვარი შეჯამება და ჩამოვთვალოთ მხოლოდ ნაწილი იმისა, რაც პროტოიბერებმა (კოლხებმა) პირველებმა გააკეთეს დედამიწაზე და ამით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის კულტურასა და ცივილიზაციების განვითარებაში: მაშ ასე, მათ ააგეს:

ტროა (მედეას შვილიშვილმა ილიოსმა)
ალმოაჩინეს = ამერიკა,
გამოიგონეს = ბორბალი,
ბურთი,
დღეების სახელები (კოლხებმა და ქასქებმა),
ოცობითი თვლა,
ფერადი მინა,
ციფრები,
წყლის საქაჩი ბორბალი,
გამოიყვანეს = პურის უძველესი ჯიშები: ემერი, ზანდური და მახა.

დააარსეს რომი = (აიეტის დის ცირცეას(ცირას) შვილიშვილმა, თუმცა რომის დაარსებაზე კიდევ ორი სხვა ვარიანტიც არსებობს და ორთავე ქართულია: 1. პელაზგების ნაწილი ბერძნებთან დამარცხების შემდეგ აპენინის ნახევარკუნძულზე გადავიდა და იქ 753 წელს პელაზგმა რომულუსმა დაარსა რომი, რითაც საფუძველი ჩაუყარა რომაულ ცივილიზაციას. 2. რომი 753 წელს ააშენეს და რომაულ ცივილიზაციას საფუძველი ჩაუყარეს ეტრუსკებმა.

დაიწყეს = ბეჭდვა (ფესტოსის დისკო, 4000 წლის წინ),
გამჭირვალე ქსოვილების წარმოება,
დროის ანგარიში,

კერამიკის დამუშავება (და გამოიგონეს სამეთუნეო დანადგარი),
მაღალი დონის მშენებლობები,
მინის წარმოება,
მაღალი დონის მიწათმოქმედება,
პირამიდების მშენებლობა,
საათის 60 წუთად დაყოფა,
ტაძრების აგება,
ქალაქების გამაგრებები,
წრის დაყოფა 3600.
იყვნენ = პირველი ასტროლოგები,
პირველი ასტრონომები,
პირველი გემთმშენებლები,
პირველი კარტოგრაფები,
პირველი მეზღვაურები.
მოიშინაურეს = ვაზი,
ცხენი.
შეიმუშავეს = ოქროსა და ვერცხლის მოპოვება – დამუშავების წესები.
შექმნეს = არქიტექტურა,
გვარები (ქასქებმა ძვ.წ. XV ს.),
დამწერლობები (რომელიც თითქმის ყველა პროტოქართულ ტომს ჰქონდა) = იდეოგრაფიული და იეროგლიფური, კვირბები (40 000 წ. წინ). ლურსმული, მაიას ანბანი, მიკენის მინოსური და ლემნოსური დამწერლობები, ოქროს დამწერლობა (ფესტოსის დისკო, 4000 წ. წინ), სურათებიანი ანუ ხატოვანი და ქართული ანბანური (რამდენიმე სახის).
კალენდრები (მზისა და მთვარის),
ლიტერატურა,
მაღალი დონის მედიცინა,
მაღალი დონის მხატვრობა,
მაღალი დონის წამალთმცოდნეობა (საკმარისია მედეას დასახელებაც),
მედიტერიანული კულტურა,
მეტალურგია (ბრინჯაო, რკინა (II ათასწლეულის შუახანებიდან),
ფოლადი (ძველბერძნულად ხალიფი (ხალიბისაგან),

თითბერი (ძველბერძნულად მესინგ (მოსინიკისაგან)

ორთვალა ეტლი,

ორთვალა საბრძოლო ეტლი (მითანში),

პირველი კანონები (ბასკეთსა და მესოპოტამიაში 6000 წ.წინ და ჰამურაბის 3800 წ. წინ).

პირველი მონეტა (ფრიგიაში შექმნეს მუშქებმა ძვ.წ. VII ს.),

პირველი რუკები (კირბებზე არის ზღვის და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი — ა.როდოსელი),

პირველი წიგნები („ანუნაკის" ეფუთი (შეიძლება ითქვას პირველი „ბიბლია", რადგან მასში იყო 10 მცნებაც), „მარგალითი"(ორთავე 7000 წ.წინ), „გილგამეშიანი" (4300წ. წინ), „ტაბუ," „ტოფშა," „ოქროს საწმისი," „ზღაპარი ამირანის შესახებ" და „იბერიული ტაბულა" (ყველა 3500 წ. წინ)

პოეზია,

რელიგიები,

რკინის იარაღები (საბრძოლო და სამუშაო),

საათები (კოლხური წყლის და მზის),

საგალობლები,

ღვთაებები,

ღმერთები,

ხელოვნება,

ცივილიზაციები (რამდენიმე, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ),

განახორციელეს ქალისა და მამაკაცის რეალური თანასწორუფლებიანობა და დაიწყეს მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებების დადება.

ჩემო მკითხველო, თუკი ამ ჩამონათვალის გაცნობის შემდეგაც თქვენ მაინც იმ მეცნიერებს მიემხრობით, რომლებიც ირწმუნებიან, რომ დედამიწაზე პირველი ცივილიზაციები შუმერებმა (არაკოლხმა შუმერებმა), ეგვიპტელებმა და ბერძნებმა შექმნესო, მე ისღა დამრჩენია საფუძვლიანი ეჭვი შევიტანო თქვენს ობიექტურობასა და განსჯის სისწორეში. თუკი ყოველივე ეს, რაც მე ზემოთ ჩამოვთვალე, არ არის ცივილიზაცია, მაშინ იქნებ სხვამ აგვიხსნას რა შექმნეს და გააკეთეს უფრო მეტი ცივილიზაციის შესაქმნელად შუმერებმა (არაკოლხმა შუმერებმა), ეგვიპტელებმა და ბერძნებმა?

ქართველები, რომ მსოფლიოს უძველესი ხალხია, ამის თაობაზე უამრავი ვინმე წერდა და წერს დღესაც. ჰეროდოტეს გამონათქვამი კოლხები მთელ მსოფლიოში არიან განფენილებიო, სულაც არ არის მხოლოდ ფიგურალური გამოთქმა და ის სრულ სიმართლეს შეეფერება, რადგან ისეთი გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი, როგორიც ჰუმბოლდტი იყო, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში წერდა, რომ პირენეის, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების კუნძულების, მცირე აზიის, იტალიის, ბალკანეთის, საბერძნეთის, კავკასიის, პალესტინისა და ინდოეთის ავტოქთონები ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებამდე პროტოიბერები (კოლხები) იყვნენ, რომლებიც კავკასიურ (პალეოკავკასიურ) იბერიულ რასას ქმნიდნენ. ამ რასის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ 1776 წელს წერდა გერმანელი მეცნიერი ბლუმენ ბახი, რომლის აზრით შორეულ წარსულში ისტორიის სათავეებთან იდგა იბერიული რასა. ამ მოსაზრებას XIX საუკუნეში სრულად იზიარებდა დიდი გერმანელი მეცნიერი ჰუმბოლდტიც, ხოლო XX საუკუნეში შოტლანდიელი მეცნიერი დ. მაკლეოდიც (ბევრი სხვაც).

მათი ენა იყო ერთი, რომელსაც ჰქონდა დიალექტები: ბასკური, ეტრუსკული, კოლხური, ლაზური, ლუზიტანური, პელაზგური, სვანური, ტრუდედანტული და ქართული.

ჩვენი წარმომავლობის სიძველეზე ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია ჯერ კიდევ 1948 წელს გამოცემულ თავიანთ „საქართველოს ისტორიაში“ წერდნენ, რომ ჯერ კიდევ წარღვნამდე არსებობდა თუბალ-კაინის ქვეყანა, რომელსაც სპილენძისა და რკინისაგან ყველა იარაღის მჭედელს უწოდებდნენ, მათი აზრით ქართველები სწორედ ამათგან წარმოიშვნენ.

მსოფლიოს მეცნიერთა დიდი ნაწილის მოსაზრებით, კი, ჩვენი შორეული წინაპრები იბერები (კოლხუები) ატლანტისზე ცხოვრობდნენ და მისი ჩაძირვის შემდეგ გადარჩენილები მთელს მსოფლიოში გაიფანტნენ. ამის თაობაზე პეტერბურგში გამოსული „დღესასწაულთა წიგნიც“ წერს, რომ ატლანტიდელები 10 000 წლის წინ ჩავიდნენ ახლო აღმოსავლეთში.

ქართველთა წარმომავლობაზე ორი მოსაზრების არსებობა სულაც არ უშლის ხელს ერთმანეთს და პირიქით ადასტურებენ, რომ ჩვენ დედამიწაზე მართლაც და ყველაზე ძველი წარმომავლობის ხალხი

ვართ. აშშ ერთ-ერთმა სატელევიზიო არხმა თავის ვრცელ გადაცემაში, რომელიც პროტოიბერებს მიუძღვნა, აღნიშნა, რომ 15000 წლის წინათ მთელი ევრაზია პროტოქართულად ლაპარაკობდა. ბ. საიქსი (აშშ) კი გენეტიკური ანალიზით ასკვნის, რომ ევროპელთა უმრავლესობა წარმოშობით ქართველია (გენეტიკური კოდი 10 000 წელიწადში ერთხელ იცვლება), რადგან ქართული გენი აღმოაჩნდათ ესპანელთა 80%, ბრიტანელთა და ფრანგთა 70%, შვეიცარიელთა 50% და გერმანელთა 45%. ერთი სიტყვით, იბერები (კოლხუები) წარღვნამდელი ქართული ტომია და თავდაპირველად ის ატლანტისზე ცხოვრობდა. ისინი ძალიან მაღალი განვითარებისანი იყვნენ და მათ ცოდნა ზეციდან დაშვებული ანუნაკისაგან მიიღეს (ანუნაკი ცივილიზაციაა და კაცობრიობის ისტორიაც მისით იწყება). ასე რომ, სწორედ, ატლანტისიდანაა (ე.ი. იბერებისაგან (კოლხუებისაგან) აღებული ასტრონომიული ცოდნა, დროის ანგარიში, კალენდარი, პირამიდების აგების წესი, მზის კულტი და ა. შ. აქაურია ნოეც, რომელმაც ბალახეულთა საიდუმლო წიგნი შერმის გადასცა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ იქ დამწერლობა ჰქონიათ, რადგან ისე ხომ წიგნს ვერ შექმნიდნენ. ყველაფერი ეს შემდეგ იბერებისაგან (კოლხუებისაგან) დანარჩენ მსოფლიოშიც გავრცელდა. როგორც გერმანელი მეცნიერი ფ. შლოცერი წერს, სწორედ კავკასიის ხალხმა გამოიგონა ყველაფერი მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ყველაფერი გონიერი. ისაა კაცობრიობის ბირთვი, ცენტრი და მის ირგვლივ ბრუნავს სამყაროს ისტორია.

ასევე ფიქრობს ებრაელი მეცნიერი ი. მოსენსკისიც, რომელიც თავის წიგნებში „ქართველები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებნი" და „პირველი ცივილიზაციების ქართული სათავეები" წერს, რომ ევრაზიული ცივილიზაციის სათავეებთან ქართველები იდგნენ.

როგორც „მსოფლიო ენციკლოპედია" წერს, იბერიელებს ეს სახელი ატლანტელი იბერის პატივსაცემად ეწოდათ, რომელიც ტიტან ატლანტის ძმა ყოფილა. წერენ კიდეც, რომ ქვის ხანის გარდა ყველა ხანა ბანანური ენის (სწორედ ამ ენაზე ლაპარაკობდნენ იბერები (კოლხუები) ხალხის ნამოღვაწარის საფუძველზე არის შექმნილიო.

ახლო აღმოსავლეთში დამკვიდრებულმა პროტოქართველმა იბერებმა (კოლხუებმა) პირველი ქართული სახელმწიფო, რომელშიც

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაც შედიოდა, IV ათასწლეულის მეორე ნახევარში დაახლოებით 3300 (ე.ი. 5300) წლის წინათ შექმნეს და მას ენგური-ინგური (რაც წყალს ნიშნავს) ჰქვიოდა. სამეფო რეზიდენცია თავიდან დღევანდელი ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისში მდებარეობდა. ცნობილია ამ სამეფოს ერთ-ერთი ძლევამოსილი მეფე ანმარეც (3185-3120 წწ), რომელმაც შუამდინარეთში ახალი დედაქალაქი კოლხა დაარსა, ქვეყანასაც კოლხა (კოლხეთი) უწოდა და ბაბილონის გოდოლის აგებას შეუდგა.

ქართულად იშიფრება სახელი ანმარეც, სადაც „ან" ზეცაა (კოლხურად) და „მარე" კაცია (სვანურად) ე.ი. ანმარე ზეცის, ანუ ღვთის კაცს ნიშნავდა. აქედან კიდევ ერთი დასკვნის გაკეთებაც შეიძლება: ანმარეს მოღვაწეობისას ერთიან პროტოქართულ ენას ჯერ კიდევ არ არიან გამოყოფილები სვანური და ზანური ენები, რადგან გონიერი კაცი თავის სახელს ერთბაშად ორი სხვადასხვა (სვანური და ზანური) ენისაგან ხომ არ აწარმოებდა.

ანმარეს შემდეგ ქვეყანაში მარედიხა მეფობდა, რომლის სახელშიც ისევ გვხვდება „მარე" (კაცი) და ჩნდება კოლხური „დიხა" (მიწა). ე. ი. მარედიხა უკვე მიწის კაცს ნიშნავდა და არც მის დროს იყო გამიჯნული ზანური, სვანური და ქართული ენები.

XXII საუკუნიდან კი კოლხებმა (იბერებმა) მასიური გადასახლება დაიწყეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც XX საუკუნეში ერთიანი საქართველოს სამეფოც შექმნეს, იქვე გადაიტანეს ღვთაება ეას (აიას-ენქის) კულტი და ენგურის ტაძარიც, ხოლო ქვეყანასა და მთავარ ქალაქს აია (ეა-ნოქალაქევი) დაარქვეს. ერთი სიტყვით ქვეყანას ერქვა ენგური-ინგური, რაც წყალს ნიშნავს, მაგრამ ქართველებზე განაწყენებულმა გერმანელმა ებრაელმა არქეოლოგმა ოპერიტმა (მის განაწყენებაზე ცოტა ქვემოთ უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ) ქვეყანას ენგურის ნაცვლად შუმერი, ენგურელს შუმერელი და კოლხთა (იბერთა) მიერ შექმნილ ლურსმულს შუმერული უწოდა. სამწუხაროდ, ეს სიცრუე მთელს მსოფლიოში გავრცელდა და ინერციით დღესაც ძალაშიც არის.

თავის დროზე ცნობილი ქართველი მოაზროვნე ლეონტი მროველიც წერდა, რომ დასავლეთ საქართველოს თავიდან ენგური ერქვა და მისი დედაქალაქი – კოლხა იყო,რაც მოგვიანებით მთელ ქვეყანასაც ეწოდა.

იბერიული (კოლხური) კვალი ქვემო (სამხრეთ) მესოპოტამიის ჩრდილოეთში, შუა ტიგროსზე, დიაულში და ზაგროსის მთიანეთში ურის III დინასტიის დაცემამდე – XXI საუკუნემდე აშკარად და ძვ.წ. I ათასწლეულის დაწყებამდე უფრო მკრთალად ჩანს. შემდეგ კი ისინი შუამდინარეთიდან ისევ შავი ზღვის სანაპიროზე გადასახლდნენ.

როგორც უკვე ვწერდით, თავიდან კოლხებს იბერები, ხოლო ქვეყანას იბერია ერქვა და ცხოვრობდნენ კავკასიაში, მცირე აზიასა და მის ირგვლივ მდებარე მიწებზე, რასაც გერმანელი არქეოლოგის შმიდტის მიერ თურქეთში ნაპოვნი 11 000 წლის წინანდელი ტაძრებიც ადასტურებენ მათზე დამწერლობის მაგვარი სიმბოლოების არსებობით.

მცირე აზია და დასავლეთ საქართველო დასახლებული იყო ქალდეველებითა და ხეთებით და ქვეყანასაც ამიტომ ქალხეთი ერქვა, რაც ბერძნების მოსვლის შემდეგ კალხეთად – კოლხეთად იქცა. ქალდებიც ბანანურ ენაზე ლაპარაკობდნენ და კონკრეტულად ვანისა (კოლა) და ურმიის ტბების ირგვლივ (სხვაგანაც) ცხოვრობდნენ.

რაც შეეხებათ ხეთებს, ისინი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე – ბოღაზქოიში და დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ.

ავსტრიელი მეცნიერები კრეჩმერი და შახენმაიერი და შვეიცარიელი შვიცერი თვლიან, რომ IV-III ათასწლეულებში მცირე აზიაში, ბალკანეთში და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე ცხოვრობდნენ არაინდოევროპელები, რომელთა ენობრივი ჯგუფი ახლოს იყო სამხრეთ-კავკასიურ და ეტრუსკულ ენებთან, ხოლო ხმელთაშუაზღვის აუზის უძველესი მოსახლეობა, კავკასიის ჩათვლით ერთ ან მონათესავე ენებზე ლაპარაკობდა. ის, რომ ხმელთაშუაზღვის აუზსა და აპენინის ნახევარკუნძულზე კავკასიელების (ქართველების) წინაპრები ცხოვრობდნენ, დაადასტურა გამოჩენილი ჰოლანდიელი ენათმეცნიერის ფურნიეს კვლევებმაც, რომელმაც ამ რეგიონში 5 000 პროტოქართული სიტყვის გავრცელება აღმოაჩინა.

ასე რომ, შეიძლება თამამად ვთქვათ – ქართველთა წინაპრებმა შექმნეს პირენეის, აპენინის, ბალკანეთის, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვების აუზების პროტოიბერიული კულტურა და არიან მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან. მათი სახელმწიფოებრიობა კი სულ მცირე 50 საუკუნეზე მეტს მაინც ითვლის (როგორც ზემოთ ვწერდით პირველი ქართული სამეფო IV ათასწლეულის მეორე ნახევარში შეიქმ-

ნა და ის II ათასწლეულის დასაწყისში ერთიანმა ქართულმა სამეფომ შეცვალა, რომელმაც ამ სახით ძვ. წ. VI-IV საუკუნეებამდე იარსება).

კავკასია თავიდან ერთი ქვეყანა იყო, ერთი ხალხითა და ერთი ენით და ესენი ქართველები იყვნენ.

ქართველ მეცნიერთა ნაწილი სამწუხაროდ, თვლის, რომ კოლხეთისა და იბერიის სამეფოები არ არიან ერთი სამეფოს მემკვიდრეები, რადგან ისინი სხვადასხვა ეთნოსს წარმოადგენდნენ. ამ მოსაზრებას საბედნიეროდ, მოწინააღმდეგეებიც ჰყავს და მაგალითად, მკვლევარი ა. შონია (ბევრი სხვაც) მიიჩნევს, რომ ეს იყო ერთი ქვეყანა, ერთი ხალხი და თავიდანვე ენაც ერთი ჰქონდათ. ასეთნაირად ფიქრობდნენ ჰეროდოტეც (აღმოსავლეთ საქართველო და კავკასია მთლიანად კოლხეთი (იბერია) იყოო)), ი. ჯავახიშვილი (გურულები და იმერლები გაქართველებული მეგრელებიაო, ხოლო მესხები კოლხებია და სწორედ მათ დაარსეს მცხეთა (ხეთა), გ. მელიქიშვილი (აღმოსავლეთ საქართველოს ხალხი მეგრელები იყვნენო), ი. ყიფშიძე (მეგრულ ენას ერქვა იბერიული ენა, სამეგრელოს იბერია და მეგრელებს იბერები და მისი კვალი საინგილოშიც კი ჩანსო).

თავიდან ბერძნები მხოლოდ დასავლელ ქართველებს ეძახდნენ კოლხებს, ხოლო კოლხეთის წინარე ეპოქამდე უკვე მთელ საქართველოს ერქვა იბერია (კოლხეთი) – დასავლეთს ზემო და აღმოსავლეთს ქვემო იბერია-კოლხეთი (აღმოსავლეთ საქართველოში თავის დროზე კოლხები ჭოროხის ხეობიდან გადავიდნენ).

როგორც ჰეროდოტე წერდა, ქართველთა წინაპრები მეწამულიდან კასპიის ზღვამდე სივრცეს ფლობდნენ და მას კოლხეთი ჰქვიოდა. ისინი ცხოვრობდნენ კავკასიაში, მცირე აზიაში, ლაზიკაში, პონტოში და ერაყიდან სპარსეთის ყურემდე ყურეს კოლხების (იბერთა) ყურე ჰქვიოდა.

კოლხური (იბერიული) ცივილიზაცია მთელს მსოფლიოში გავრცელდა ფართოდ, მათ შორის, კავკასიაში, მცირე აზიაში, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზებში, ინდოეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში – დონიდან აღმოსავლეთით მდებარე მიწებზე დაღესტნისა და ყალმუხეთის ჩათვლით (ასევე ქართველთა მონათესავეები არიან ჩერქეზები, ქისტები, და სხვა ჩრდილო კავკასიელებიც, რომელთა კრებითი სახელი სარმატები იყო), სამხრეთ რუსეთში მდინარე ვოლგამდე, შავი

ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ყირიმში, აზოვის ზღვის ირგვლივ, რომელსაც ლაზოვსკოე მორე – ლაზების ზღვა ერქვა და ა. შ.

უფრო მეტიც, ცნობილი რუსი მეცნიერის, ი. მელიშევსკის აზრით, მთელი სამხრეთ რუსეთი ყაზან-რიაზანამდე ლაზებით იყო დასახლებული და ან-ზე დაბოლოებული ქალაქებიც ყველა კოლხური (იბერიული) წარმოშობის ყოფილა.

ერთი სიტყვით, როგორც ცნობილი ქართველი ანთროპოლოგი მ. აბდუშელიშვილი წერს, ბრინჯაოს ხანაში ჩვენი მოსახლეობა უკვე ქართული ანთროპოლოგიური ტიპის ყოფილა და ცხოვრობდნენ კავკასიაში, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზებში, მცირე აზიასა და ჩრდილოეთ ინდოეთში.

კოლხებმა (იბერიელებმა) პირველებმა შექმნეს ცივილიზაცია, რელიგია და სათავე დაუდვეს მედიტერიანულ კულტურას. როგორც გერმანელი მეცნიერი ი. რიხტერი წერს, პირველი ასტრონომები, გემთმშენებლები, კარტოგრაფები და მეზღვაურებიც კოლხები (იბერები) ყოფილან და მათ ასევე პირველებმა მოჭრეს მონეტა ძვ.წ.VII საუკუნეში, შექმნეს წყლის საათი, 4000 წლის წინათ ააგეს პირველი პირამიდა და ა. შ. ასევე კოლხურია (იბერიული) პურის ყველაზე ძველი ჯიშები ემერი, ზანდური და მახაც.

მაგრამ ქართულმა (კოლხურ-იბერულმა) სამეფომ განსაკუთრებულ სიძლიერეს მაინც აიეტის დროს მიაღწია, რომელმაც ააგო ქ. აია (ნოქალაქევი), რომლის კედელი 2 მ სისქისა და 8 მ სიმაღლისა იყო. თვითონ აიეტი ჰელიოსისა და პერსეიდას შვილი იყო. მისი ძმები იყვნენ პერსი – ყირიმში ტავრიის მეფე, აქციუსი – ეგვიპტის ქ. ჰელიოპოლის დამაარსებელი, ალოე – პურის ფქვილის ღმერთი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული სიტყვები – ალაო და ალოობა, დები – ქალღმერთი ქალიფსო, ფასია (ფაცია) – კრეტის მეფე მინოსის ცოლი და არიადნას დედა და ცირცეა (ცირა) – აიას დედოფალი, გერმანელთა მამა ტუისტონის ცოლი, ევროპელთა და აფრიკელთა მითიური დედა, იტალიის პირველი მეფის ავსონის და იტალიის დედა. შვილები: ამსირტი (აფსირტე), რომელიც არგონავტებთან ბრძოლაში დაიღუპა, მედეა – მედეთის, მიდიის დამაარსებელი და ნავთობისათვის ძველი სახელის (მედეაზოილი) მიმცემი. შვილიშვილები (ცირას შვილები): ლათინი – ლათინების ტომის ფუძემდებელი (რომლის შთამომავლები

არიან ბრიტანელები, ესპანელები, იტალიელები და ფრანგები) და ლავრენტიის მეფე, იტალი – სიცილიის მეფე, რომელიც შემდეგ მდინარე ტიბრის ნაპირზე გადავიდა და იტალია დააარსა, ანთეოსი ლიბიის მეფე და იტალიური ტომების ვოლსკისა და მარსების შემქმნელი, ნუმიდიის სამეფო დინასტიის საფუძველჩამყრელი.

მოკლედ უნდა შევეხოთ კოლხ-იბერთა სამეტყველო ენის საკითხსაც, რომელიც ყველაზე ძველია ენათა შორის. აკი, მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ კოლხური ენა კაცობრიობის პირველი ენა იყო და მხოლოდ ქართულ ენაში არის სიტყვა ადამიანი, რაც ადამისაგან მოდის.

საერთოდ კი, პირველი დანაწევრებული მეტყველება ჰომოერექტუსმა აითვისა, ხოლო ნეანდერტალელს უკვე დანაწევრებულთან ერთად პრიმიტიული მეტყველება ჰქონდა და სხვადასხვა ენაზეც დაიწყო ლაპარაკი. გვიან, 8 000 წლის წინ კი, ენობრივი ჯგუფებიც გაჩნდნენ.

მეექვსე ათასწლეულში საერთო ქართველური ენობრივი სისტემის ჩამოყალიბებაც დაიწყო და 7600 წლის წინათ უკვე გაჩნდა პროტოქართული ენა, რომელსაც თავიდან ბანანური, შემდეგ კი კოლხური ენა ჰქვიოდა. ამავე პერიოდიდან იწყებს ჩამოყალიბებას ქართული ეთნოსიც.

ერთიანი სახით ბანანურმა (პროტოქართულმა-კოლხურმა) ენამ დაახლოებით 3 000 წელი იარსება და 4 700 წლის წინ დაშლა დაიწყო. პირველი ამას ბასკური ენა გამოეყო, მეორე სვანური 3 800 წლის წინ, მესამე ზანური 2 800 წლის წინ და მეოთხე ქართული 2 500 წლის წინ.

მას კილოებიც ჰქონდა და ის ძალზე ვრცელ ტერიტორიაზე ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზებში, კავკასიასა და ევროპასა და მეწამულიდან კასპიის ზღვამდე იყო გავრცელებული. ამ ენაზე საუბრობდნენ ბასკები, ზანები, მაკრონები, მესხები, სვანები, ქალდები და ქართები. XV საუკუნემდე კოლხურად საუბრობდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზშიც, მათ შორის კრეტაზეც, სადაც სწორედ ამიტომ, უამრავი პროტოქართულწარწერიანი ნივთები არის ნაპოვნი. სამწუხაროდ, მიუხედავად ამისა, რ. ბარამიძე მაინც ჯიუტად წერდა, რომ მისთვის ძველი კოლხური ენა უცნობი იყო.

კოლხური ენა არა მხოლოდ სამეტყველო, სამწერლობო ენაც იყო,

რასაც ფესტოსის დისკო და ოქროს საწმისიც ადასტურებენ, რადგან დისკოს ენა კოლხურ-პელაზგურია და არა მეგრული, როგორც ამას კუთხურობაში ჩარჩენილი ზოგიერთი ავტორი დაჟინებით ირწმუნება.

პროტოქართული-კოლხური ენა ასე ფართოდ რომ იყო გავრცელებული, სწორედ ამან განაპირობა სხვადასხვა ენებში ქართული სიტყვების მრავლად შესვლა. ჩამოვთვლით მხოლოდ ზოგიერთს:

ბერძნულში=ღვინო (ვაინ, ვინო), პური (პურეი), ფოლადი (ხალიბას-ხალიბებიდან), შვილი (გენი), სიხარული (ხარებო).

გელურში= ცხენი (აჩუ).

გერმანულში = თითბერი (მესინგ-მოსინიკისაგან).

ეგვიპტურში = შენება (კედ-კედელისაგან), პური (ბერი), უფალი (უბენი), მეფე (ბატ-ბატონისაგან)

ვალიურში = ამინდი (ამზეხ-მზისაგან), ბევრი (ბაურ), კარდიფი (კარდუ-კარდუხისაგან), მადლობა (დიოლხ-დიახისაგან), აქვთ ყ, წ, ჭ და რბილად გამოთქვამენ თ, ფ, ქ.

ლიბიურში = მეფე (ბატ-ბატონისაგან).

ინგლისურში = ბოძი (ბოდი), ბავშვი(ბოიშ – ბავშვი – ბოვში, ბოშისაგან).

მეფე არტურის ხმალს კი ესკალიბური (ეს ხალიბური) ერქვა.

ქართული კვალი სხვა ქვეყნებშიც არის შემორჩენილი. მაგალითად, თურქეთში ორ მდინარეს ჰქვია ენგური, ირანში არის მთა ბელქანია, ტუნისში – მთა მაღალია. კაპადოკიაში მდინარე ღალისი – საქართველოში მდინარე ღალიძგა (ღალი – წყალი, ა. ნ.) შუამდინარეთში (სადაც კარდუხები ცხოვრობდნენ) მხარე ხუმუშქია და მდინარე კენტრიტი – საქართველოში მდინარე კინტრიში, შუამდინარეთში (სადაც მუშქები ცხოვრობდნენ) მხარე შუბრია და ა.შ. მრავალ სხვა ქვეყანაშიც ბევრ ადგილს, ქალაქს, სოფელს, არქიტექტურულ ძეგლს და ა. შ. ჰქვია ქართულ-კოლხური სახელები.

აქვე უნდა შევეხოთ კოლხების (იბერების) მიერ დამწერლობის შექმნის საკითხსაც. ძველი ბერძენი ავტორებიდან დაწყებული, თანამედროვე მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ კაცობრიობის პირველი დამწერლობა მათ ჯერ კიდევ 40 000 წლის წინ კირბების სახით შექმნეს. კირბი კი გ. კვაშილავამ ასეთნაირად გაშიფრა: კირბი – კირიბი (კრავი) – კირიბუა – ბეჭდვა.

როგორც აპოლონიოს როდოსელი წერდა, კოლხებმა შემოინახეს მამათა ნაწერი კვირბები, რაზეც ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვრები იყო ჩაწერილი. ის ასევე წერდა, რომ კვირბებზე ნაწერები ძველი კოლხეთის სამეფოსი იყო.

იგივე აზრის იყო ჰეროდოტეც , რომელიც თვლიდა, რომ კოლხებს დამწერლობა ადრეც ჰქონდათ.

დ. სიცილიელი კი ძალზე საყურადღებო ცნობას გვაწვდის და წერს, რომ მედეამ წარწერებიანი სპილენძის სამფეხი თან წაიღოო. არსებობს მეორე ცნობაც იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთ თიხის სურაზე გამოსახულ მედეას კაშაზე „აი ია" აწერია. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მედეას ეპოქის კოლხებს (იბერებს) სულ მცირე 3 300 წლის წინათ მაინც ჰქონიათ დამწერლობა, რადგან მისი არარსებობის შემთხვევაში სამფეხზე როგორ დააწერდნენ რაიმეს. სტრაბონი კი თვლიდა, რომ კვირბები ეს იყო საკრალური სახის წარწერები და ის კრეტელმა კორიბანტებმა (კოლხებმა) შექმნეს.

ასე რომ, ჩვენ დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, კოლხებს (იბერებს) ბერძნების მოსვლისას უკვე ჰქონდათ დამწერლობა და ტყუილია, როცა წერენ, რომ თითქოსდა ანბანური დამწერლობა ძვ. წ. 1 750 წელს შეიქმნა უგარითში.

არადა, კოლხური დამწერლობის არსებობა სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ჩვენს შორეულ წინაპრებს დამწერლობათა შექმნის უზარმაზარი გამოცდილება ჰქონდათ და ეს სწორედ, მათ შექმნეს სხვადასხვა დროს პირველი სურათებიანი ანუ ხატოვანი დამწერლობა, იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობები, რამდენიმე სახის ქართული ანბანური დამწერლობა და ლემნოსური და მიკენის მინოსური დამწერლობები.

არც ის არის ინტერესმოკლებული, რომ ჩვენ, ჯერ კიდევ, „ბიბლიამდე" გვქონდა სულ მცირე 6 წიგნი მაინც: „ანუნაკის ეფუთი," რომელიც 7 000 წლის წინათ შეიქმნა და პირველ „ბიბლიადაა" მიჩნეული, თავად „ბიბლიაში", „მარგალითი," რომელიც ასევე 7 000 წლის წინათაა შექმნილი და „ანუნაკის ეფუთი" სიბრძნის წიგნი იყო, რომელიც სამწუხაროდ, დაკარგულია. დედამიწის პირველი წიგნი ეს „ეფუთი" იყო, რომელშიც მოცემული იყო ათი მცნება (ზოგიერთი ავტორის აზრით, „ეფუთი" მეგრულ ენაზე იყო შექმნილი, რაც არ არის სწორი,

რადგან ის მეგრულზე წინანდელია. ის უფრო ბანანურ (კოლხურ) ენაზე იქნებოდა დაწერილი) და 3 500 წლის წინათ შექმნილი „ტაბუ," „ტოფშა," „ოქროს საწმისი" და „იბერიული ტაბულა." „იბერიული ტაბულა" პირველმა შ. ხვედელიძემ 1975 წელს გაშიფრა, რაც აღიარეს აკადემიკოსმა – ა. ჩიქობავამ, პროფესორებმა – ი. ზიცარმა, ი. ბელოპლედივსკიმ, ა. ბარაჟოვმა და სხვებმა. სხვათა შორის, ამ მიღწევით ქართული დამწერლობის ისტორია სულ მცირე 3 500 წლით მაინც გადაინია უკან, მაგრამ ქართველი მეცნიერების (უპირატესად ფილოლოგების) დიდი ნაწილი არ აღიარებს ამას და მაინც ჯიუტად თვლის, რომ ქართული დამწერლობა „შუშანიკის წამებით" იწყება.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ძველი ბერძენი ავტორის ჰალიფატეს მოსაზრება, რომ „ოქროს საწმისი" ტყავზე ნაწერი წიგნი იყო, რაც შემდეგში სხვებმაც გადაიღეს. მასზე კი ეწერა ოქროს მოპოვებისა და სელის დამუშავების წესები და სხვა მნიშვნელოვან საქმეთა წარმოების საიდუმლოებანი.

საუკუნეების შემდეგ ანალოგიურად ფიქრობდნენ პ. ინგოროყვა და შ. ნუცუბიძეც – კოლხებს ჰქონდათ დამწერლობა, რომელსაც კორიბანტები ინახავდნენო. მას ბერძნები ხრისოგრაფიას – ოქროს დამწერლობას უწოდებდნენ, საიდანაც გაჩნდა სახელი „ოქროს საწმისიც." სწორედ ამ დამწერლობის წესები იყო ვერძის ტყავზე – „ოქროს საწმისზე" ჩაწერილი და მის წასაღებად მოვიდნენ არგონავტები კოლხეთშიო (იბერიაშიო).

კოლხებს (იბერებს), რომ საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ, ამას ყველაზე უტყუარად „ფესტოსის დისკოს" გაშიფვრა ადასტურებს, რაზეც შედარებით ვრცლად ქვემოთ შევჩერდებით.

დისკო 1908 წელს იტალიელმა ლ. პერნიემ კუნძულ კრეტაზე აღმოაჩინა და მას ორივე მხარეს აქვს ნახატი, ნიშნებით შესრულებული წარწერები, რომელიც დაახლოებით 40 საუკუნის წინ ოქროდამწერლობით არის შესრულებული და ჯერჯერობით, ჩვენამდე მოღწეული პირველი ნაბეჭდი ტექსტია.

1894-1909 წლებში კრეტაზე ინგლისელმა ა. ევანსმაც აღმოაჩინა A კლასის ფირფიტები (1427ცალი) ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფებით 40 საუკუნის წინათ დაწერილი. დისკო და ფირფიტები კრეტაზე ინახება.

დისკო და A კლასის ხაზოვანი ნაწერები არის მინოსურ-პელაზგური კულტურის უძველესი ნიმუშები – კვირბები.

მათ გაშიფვრასთან ყველაზე ახლოს მივიდა ავსტრიელი მეცნიერი ჰ.ძებიში, რომელმაც განაცხადა, რომ მათი ენა შეიძლება ყოფილიყო კოლხური (პროტოიბერიული, პროტოქართველური). ის ამ მოხსენებით 1988 და 1991 წლებში გამოვიდა ბუდაპეშტის სიმპოზიუმებზე, თანაც მოგვიანებით, გამოსცა მონოგრაფიები „იბერიული ღმერთების ენა" და „პელაზგური იბერიული ენა," რომლებშიც წერს, რომ პელაზგური ენა ქართველურ ენათა დედას წარმოადგენდა.

მოგვიანებით დისკოც, A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფები და XVII საუკუნის კრეტული ცულის წარწერა გაშიფრა გ. კვაშილავამ და თან მიუთითა, რომ დისკოს ენა, როგორც ჰ.ძებიში ვარაუდობდა, მართლაც პელაზგური (პროტოქართველურ -კოლხური, პროტოიბერიული) აღმოჩნდა. დისკო შექმნილია ძვ.წ. 1856-1600 წლებში. ეს არის თიხის 16 სმ. დიამეტრის მქონე დისკო, რომლის ორივე მხარეზე არის ოქროს ყალიბებით დაბეჭდილი 244 ნახატი ნიშანი და შემდეგ არის გამომწვარი.

ამათმა შემქმნელებმა ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანაში ხმელთაშუაზღვის აუზში შექმნეს პირველი ევროპული კულტურა და ცივილიზაცია – არაბერძნულ, არაინდოევროპულ ენაზე და ეს ენა პროტოქართული იყო.

დისკო მსოფლიოში პირველი მითოსურ-ფოლკლორული და რელიგიური ხასიათის ლიტერატურული ძეგლია, რომლითაც, როგორც მეცნიერები წერენ, თითქოსდა დაიწყო ქართული დამწერლობის ისტორია. ვფიქრობთ საკითხის ასეთი დაყენება არ არის სწორი და უფრო მართებული იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ დისკოდან ბეჭდვა დაიწყო, რადგან დამწერლობა პროტოქართველებს კვირბების სახით გაცილებით ადრეც ჰქონდათ.

დისკოს პირველ გვერდზე ჩაწერილია ვედრება კოლხი კორიბანტებისადმი ოჯახისა და ქვეყნის დაცვაზე, ხოლო მეორე გვერდზე ჩაწერილია სავედრებელი-საგალობელი, რომელიც მიძღვნილია პელაზგ-კოლხთა ნაყოფიერების და მიწის დედაღვთაების ნენასადმი (ნეაკაბილესადმი), თარხონისა და ჰეფესტოსადმი, რათა მათ ააყვავონ, განაახლონ და განწმინდონ ტაძარი, სასახლე და ოჯახი.

A კლასის ფირფიტები კი არის რელიგიური და სამეურნეო-ადმინისტრაციული ხასიათის ტექსტები, რომლებშიც არის კოლხურ-პელაზგურ ღვთაებათა, მცენარეების (ლელვი, სელი, ღვინო, ქერი, ხორბალი) ცხოველების (თხა, ცხვარი, ღორი, ცხენი, მსხვილფეხა საქონელი) სახელები, მთელი რიცხვები, ანგარიშის ტერმინები, წილადი რიცხვები და ა. შ.

სხვათა შორის A კლასის ფირფიტების დამწერლობის მსგავსი არის დაბლა გომში აღმოჩენილი ერთ-ერთი დოქის წარწერაც.

მ. წერეთლის ვარაუდი, ქართველთა სამწერლო ენა უძველესი დროიდან შეიძლება ყოფილიყო სვანური და კოლხური მთელი 20 საუკუნის მანძილზე, ბრწყინვალედ დაადასტურა დისკოს გაშიფვრამ.

დისკოსა და ფირფიტების გაშიფვრით გ. კვაშილავამ უზარმაზარი საქმე გააკეთა, რადგან გაირკვა, რომ დისკოს შექმნის დროს კოლხებს უკვე ჰქონიათ დამწერლობა, პოეზია, საგალობლები და რელიგია, ჰყოლიათ ღმერთები და ღვთაებები (ნანა, ნენანა, თარხონი, ჰეფესტო) და ა. შ.

გ. კვაშილავას მიღწევები მსოფლიომ აღიარა და 2010 წელს ინგლისში გამოვიდა რ. მორიტის წიგნი „ქვები, რომლებიც მეტყველებენ," რომლის დიდი ნაწილი გ. კვაშილავას ეძღვნება და ის ნ. მარის გვერდით არის დაყენებული. იმავე წელს დუბლინშიც გამოვიდა ენციკლოპედია „ატლანტიპედიაც," რომელშიც გ. კვაშილავაზეც არის წერილი მოთავსებული და მისი ნაშრომი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოდ მთელს მსოფლიოში არის რეკომენდებული.

შუმერები

საგანგებოდ უნდა შევეხოთ შუამდინარეთში მცხოვრებ ერთ-ერთ უძველეს ხალხს შუმერებს, რომლებიც, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ იქ, სულ მცირე, 9 500 წლიდან მაინც ცხოვრობენ.

როგორც ზემოთ ვწერდით, ჩვენი შორეული წინაპრები თავიდან ატლანტისზე ცხოვრობდნენ და კაცობრიობის ისტორიაც წარღვნამდე სწორედ იქედან იწყება. დედამიწაზე პირველ ცივილიზაციასაც ჩაეყარა საფუძველი და ის, იქაურ ადამიანებს ზეციდან დაშვებულმა ანუნაკმა გადასცა. ანუნაკი კი, თვითონ ცივილიზაცია იყო და მასზე სხვა არაფერი ვიცით გარდა იმისა, რომ ის ციდან დაშვებულს ნიშ-

ნავს. სხვათა შორის, ჩვენამდე მოღწეული არის უძველესი შუმერული ნახატები, რომლებზეც უცხოპლანეტელები არიან გამოსახულნი და სავარაუდოდ, ისინი მართავდნენ შუმერებს, რომლებმაც ყველაფერი ანუნაკისაგან (უცხოპლანეტელებისაგან?) ისწავლეს.

ატლანტისის ჩაძირვის შემდეგ გადარჩენილი ბანანურ ენაზე (კოლხურად) მოლაპარაკე კოლხ-იბერები (ბ.სოფია, ნ. ფოფხაძე) მთელს მსოფლიოში გაიფანტნენ და მათ ვრცელი მიწები დაიკავეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ტიგროს-ევფრატის სათავეებთან და ვანისა და ურმიის ტბების ირგვლივ. ისინი ძალიან მაღალი განვითარებისანი იყვნენ და მაღალი დონის კოლხურ-იბერიული კულტურაც შექმნეს. აკი, წერენ კიდეც, ქვის ხანის გარდა ყველა ხანა ბანანური ენის ხალხის ნამოღვაწარის საფუძველზე არის შექმნილიო.

სწორედ, ბანანურ (კოლხურ) ენაზე არის შექმნილი კოლხების (ანუ შუმერების) მიერ წარღვნაზე თქმულება „ გილგამეშიანი," რომლის გმირები გილგამეში, არარუ, ენქიდუ, სუმბაბა და უთნაფითში –კოლხები არიან. აქედან მოდიან ამირანი, არამხუტუ, ვერემხუტუ, ჰერაკლე და ჰერკულესიც.

ბანანურ (კოლხურ) ენაზეა შექმნილი 7 აფქალიც, რომლის საფუძველზეც შემდეგში შუმერული ცივილიზაცია შეიქმნა.

კოლხურია (იბერიული) შუმერული მითის კუნძული დილმუნიც (და არა მეგრული), რომელშიც არის აღაპა და 7 აფქალი, რაც დღესაც არის შემორჩენილი მეგრულში. მეგრულში ასევე არის ენქიდუ, ენქია, მარდუკი, სუმბაბა და ა. შ.

არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც წარღვნა შუამდინარეთში მოხდა და მითიურმა ნოემ წარღვნამდე თავისი კიდობანი-ნავი-ნიში სწორედ, ქალაქ ელკურნიაში (დღევანდელ ერაყში) ააგო. ამ ქალაქშივე იყო ედემის ბაღიც, სადაც ადამი და ევა ნებივრობდნენ. ეს კი იმას ადასტურებს, რომ შუამდინარეთში კოლხუას ერა წარღვნამდეც არსებობდა. ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ სწორედ იქ მდებარეობდნენ წარღვნამდელი ქალაქები: ბადთიბირა, ერიდუ (რომლის სახელწოდება კოლხურად იხსნება და სადაც მეფობა შეიქმნა (ციდან დაეშვა). ერიდუში იყო ენქის ტაძარი ენგურიც. აქ საყურადღებოა მეფობის ციდან დაშვებისა და ანუნაკის ზეციდან დაშვებას შორის პარალელის გავლება, რაც შესაძლოა მიანიშნებს იმას, რომ კოლხი-

იბერების განვითარების მაღალი დონე კავშირში ზეციურ ძალებთან (უცხოპლანეტელებთან?) იყოს, ზიფარი (რომელსაც რატომღაც წარღვნა არ შეხებია, ლარაქი და შურუფაქი და წარღვნის შემდეგ გაჩენილი ადამი, ნიფური, ური და ქიში. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ყველა ესენი ქართული წარმომავლობის ქალაქები არიან.

კაცობრიობის განვითარების სათავეებთან, რომ სწორედ, ჩვენი წინაპრები იდგნენ, ამას ისიც ადასტურებს, რომ წარღვნის შემდეგ პირველი დინასტია, ცივილიზაცია და მეფობა ქართული წარმომავლობის ქალაქ ქიშში აღსდგა.

ისევ მივუბრუნდეთ პირველ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც 9 500 წლის წინათ კოლხი-იბერები აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ და VIII ათასწლეულიდან ისინი სავარაუდოდ, ზაგროსის მთიანეთში (ირანი) დამკვიდრდნენ, სადაც VI ათასწლეულამდე გაჩერებულან.

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ზაგროსის მთიანეთში ამ პერიოდში ძალზე მაღალი განვითარების ხალხი ცხოვრობდა, რომელიც თავისი დონით აშკარად გამოირჩეოდა რეგიონის სხვა მოსახლეობისაგან. მათი მაღალგანვითარებულობა ეტყობა ზეციდან დაშვებული ანუნაკისაგან მოდის, რომელმაც მათ ცივილიზაცია და ცოდნა მისცათ.

VI ათასწლეულში კოლხმა-იბერებმა სამხრეთისაკენ გადაინაცვლეს და შუა და სამხრეთ შუამდინარეთში დამკვიდრდნენ. სწორედ ამათი შთამომავლები არიან ნამდვილი შუმერები.

VI ათასწლეულის შუა ხანებიდან სამხრეთ შუამდინარეთში, სადაც კოლხი-იბერები ცხოვრობდნენ, ბახრეინიდან მოსული შავთავიანები შეიჭრნენ. ოპერიტის წყალობით შეცდომით სწორედ მათ შეერქვათ შუმერები.

შავთავიანების მისვლამდე მესოპოტამიაში კოლხები-იბერები, რომ ცხოვრობდნენ, ამას იქაური კოლხური (შუმერულ-ბაბილონური) ტოპონიმებიც ადასტურებენ, რომლებიც შავთავიანთა იქ მისვლამდე მცხოვრებ ხალხს (ე.ი. კოლხ-იბერებს, შუმერებს) ეკუთვნოდათ.

ტოპონიმების გარდა სამხრეთ შუამდინარეთში აგებული იყო ტაძარი, რომლის გოდოლის 7 სართული მიწის ზემოთ, ხოლო ერთი სართული მიწაში მდებარეობდა და მას ქიგალუ (მეგრულად შემოგევლე) ჰქვიოდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მეგრული ხომ კოლხურის ერთ-ერთი მემკვიდრე ენაა.

იქვე არსებობდა კიდევ ერთი აქითუს კოლხური სასახლეც, სადაც მეფე ურნამუ იჯდა (ურ- ქალაქის სახელწოდებაა, ნამუ-კი ღმერთია კოლხურ-მეგრულად) ქ. ურშივე იყო მთვარის ღმერთის ნანას ტაძარიც.

როგორც ვწერდით, კოლხურია შუმერთა ტოპონიმიკა და რელიგიაც (და არა ლაზურ-მეგრული, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი წერს) და ბევრი შუმერული სიტყვა, ტერმინი, ღმერთები, ქალაქების, მთების, ტაძრების, მდინარეების, არქიტექტურული ძეგლების, ლიტერატურული ნაწარმოებებისა და მათი გმირების სახელები კოლხურად იხსნება.

ურის III დინასტიის დაცემის გამო (2024 წ) მესოპოტამიაში შეიქმნა ლიტერატურული ნაწარმოები „ურუში გარა“ (ურუს გოდება), ანუ ტირილით გოდება, რაც სამეგრელოში დღესაც არის შემორჩენილი. ეს კი ადასტურებს, რომ ურის III დინასტიის დაცემის ტრაგედია და ტკივილი კოლხებმა, რომელთა მემკვიდრეები მეგრელები არიან, თავიანთ თავზე გამოსცადეს.

ბანანურ-კოლხურია (შუმერული) ტერმინი ზიმბარაც, რაც ბრინჯაოს ნიშნავს. აქედან დასტურდება, რომ ბრინჯაო ქვემო მესოპოტამიაში მცხოვრები კოლხების შექმნილია (ქვემო მესოპოტამიაში ბრინჯაოს ხანა 2 800 წლიდან დაიწყო.

კოლხური სახელია ბაბილონიც, რაც ვაზის ლერწს (რტოს) ნიშნავს.

შუამდინარელ შუმერებსა (ე.ი. კოლხ-იბერებსა) და მაშინდელი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებლებს შორის არსებულ მჭიდრო კავშირებზე უთუოდ მიანიშნებს ისიც, რომ დღევანდელი სამხრეთ ერაყის ტერიტორიაზე არსებობდა ქართული სამეფო, რომლის მოსახლეობას კოლხები წარმოადგენდნენ და მისი ერთ-ერთი მეფის ქადაშმანის ცოლიც ქართველი ნეფერტიტის მეორე ქალიშვილი ათენა (მენი) იყო.

შუმერებისა და ქართველების ერთიანობასა და ერთ სივრცეში ცხოვრებას ადასტურებს 2012 წელს აზერბაიჯანის საზღვარზე გათხრილი 6 000 წლის წინანდელი კულტურაც, რაც შუმერული (ე.ი. კოლხური) კულტურის იდენტურია.

და ბოლოს, ამ ერთიანობის ნათელი დასტურია 5 300 წლის წინათ

არსებული უზარმაზარი კოლხური სამეფოს არსებობა, რომელშიც დღევანდელი საქართველოს გარდა შედიოდა კავკასია სპარსეთის ყურემდე და მეწამულიდან კასპიის ზღვამდე არსებული ტერიტორიები, ნილოსის ხეობა (დღევანდელი ესპანეთი და პორტუგალია). ამ სამეფოს ერთ-ერთი ძლევამოსილი მეფე და იმავდროულად ქურუმიც იყო ანმარე (შუმერში მეფე ერთდროულად ქურუმიც იყო), რომელსაც რეზიდენცია დღევანდელი ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისში ჰქონდა. 3200 წელს დაარსებული ქალაქი კოლხა კი (შემდგომში დედაქალაქი) მდინარე ბურანუნის (ევფრატის) ქვემო წელში მდებარეობდა.

მეგრულსა და სვანურ ენებში სხვა შუმერული კვალიც არის შემორჩენილი. მაგალითად, ამ ენებში არის შუმერული მითების მსგავსი მითები და ზღაპრები. ეს კვალი ჩანს იმაშიც, რომ კოლხ-იბერები (შუმერები) დიდ პატივს სცემდნენ ღვთაება ნანას. მეგრელებს აქვთ სიმღერები ნანაზე რაც კ. ევბეაზე არის შექმნილი (კოლხ-იბერები იქაც ცხოვრობდნენ), ოდოია და ერეხეთი მერეხეთი, მაშინ როცა შუმერებსაც ჰქონდათ სიმღერები ნანაზე და ქალაქ ერეხეთზე, თუმცა თქმა იმისა, რომ გილგამეში და ვერემხუტუ ლაზურ-მეგრული წარმოშობის გმირებია, არ არის სწორი. უნდა ვთქვათ რომ ისინი კოლხურ-იბერიული წარმოშობისანი არიან.

ნამდვილი შუმერები-კოლხ-იბერები მესოპოტამიაში შავთავიან შუმერთა მოსვლამდე ცხოვრობდნენ, სადაც მათ 7600 წლის წინ შუმერული კულტურის შექმნა დაიწყეს. მაშინ ქვეყანას ენგური, ხალხს კი ენგურელი ჰქვიოდა, მაგრამ ეს ყველაფერი შეცვალა და გააყალბა გერმანელმა ებრაელმა არქეოლოგმა ოპერიტმა და ქვეყანას დაარქვა შუმერი, ხალხს შუმერელი და ენას და მათ ლურსმულ დამწერლობას შუმერული. ამით მან ნამდვილი შუმერების კოლხ-იბერების, ენგურელების ისტორია გვიანდელ შავთავიან შუმერებს მიაკუთვნა. ეს ოპერიტი XIX საუკუნის ბოლოს გათხრებს აწარმოებდა სამხრეთ საქართველოში, სადაც კონფლიქტი მოუვიდა და ძალიან განაწყენდა ქართველებზე. მან შური იმით იძია, რომ მესოპოტამიაში არსებულ ქვეყანა აიას-ეას-ენგურს-ინგურს შუმერი დაარქვა.

როგორც ზემოთ ვწერდით, ნამდვილი შუმერები-კოლხი-იბერები ბანანურ (კოლხურ შუმერულ) ენაზე საუბრობდნენ. ბანანური (კოლხ-

შუმერული) ენა კი ქართულ-მეგრულ-სვანურის ერთობლიობა არის და მისი შექმნა 7 600 წ. დასრულდა. პროტოქართულ ბანანურ (კოლხურ-შუმერულ) ენაზე მესოპოტამიაში XXV ს-შიც კი საუბრობდნენ, ხოლო სახელმწიფო კანცელარიის ენად ის კიდევ უფრო გვიანდლამდე შემორჩა. ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნემდე კი ის მეცნიერებისა და რელიგიის ენაც იყო. ერთიანი ბანანური (კოლხურ-შუმერული)ენის დაშლა 4 700 წლის წინ დაიწყო როცა პირველი მას ბასკური ენა გამოეყო. 3 800 წლის წინ გამოეყო სვანური, 2 800 წლის წინ ზანური (ჭანური) ლაზურისა და მეგრულის წინაპარი ენა და 2 500 წლის წინ ქართული ენები.

ზოგიერთი მკვლევარი თავს სასაცილო მდგომარეობაში იგდებს, როცა წერს, რომ პროტოქართული ენა იყო ქართულ-მეგრულ-სვანურის წინაპარი ენა და ეს მეხუთე ათასწლეულიდან მეგრული არისო (სწორი იქნებოდა თუ დაწერდა კოლხურს, ბანანურს, შუმერულს). კი, მაგრამ რანაირად შეიძლება ყოფილიყო მეგრული, უფრო მეტიც ზანური, (რომელიც მეგრულის წინაპარი ენაა) იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ზანური და მით უფრო მეგრული ენები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოყოფილნი მეხუთე ათასწლეულში. სწორი არც ის არის, როცა წერენ ჯერ არსებობდა კოლხური ენა, რომელიც შემდეგ გაიყო ქართულად და მეგრულადო. სწორია ის, რომ თავიდან არსებობდა ბანანური (კოლხური, შუმერული) ენა და მისი დაყოფა დაიწყო 4 700 წლის წინ, რომელსაც პირველი 4 700 წლის წინ გამოეყო ბასკური, 3 800 წლის წინ სვანური, 2 800 წლის წინ ზანური და 2 500 წლის წინ ქართული. ისიც ტყუილია, რომ როცა წერენ მეგრული იყო ფუძე ენა და მისგან გაჩნდა ქართული ენა, ფუძე ენა იყო ბანანური (კოლხური, შუმერული) და სწორედ მისი დაშლის შედეგად გაჩნდნენ მეგრულიც და ქართულიც.

მესოპოტამიაში დამკვიდრებულმა კოლხ-იბერებმა ანუნაკისაგან მიღებული ცოდნა თან წაიღეს და ის თავიანთ ახალ სამკვიდრო ტერიტორიაზე გაავრცელეს. ასე რომ, მესოპოტამიაში სწორედ მათი შექმნილია პირველი კანონები მეოთხე ათასწლეულში და ჰამურაბის კანონები ძველი წელთაღრიცხვის XVIII საუკუნეში, ფერადი მინა 2 400 წ, გილგამეშიანი 2 300 წ, არითმეტიკა, ასტრონომია, ბორბალი, წყლის ამოსაქაჩი ბორბალი, მზისა და მთვარის კალენდრები, მსოფლიო რუკა, მედიცინა, მშენებლობა, ოქროს დამუშავების წესი, პირამიდები, საათი

(რომელიც 60 წუთადაც დაჰყვეს), წრე დაჰყვეს 360°, შემოიღეს დღები და ქალაქთა გამაგრება, დაიწყეს ტაძრების აგება და მრავალი სხვა.

ეთნიკურად მეგრული წარმომავლობის ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი წერს, რომ თითქოსდა მესოპოტამიაში ლაზ-მეგრელები ცხოვრობდნენ და ლაზურ-მეგრულად ლაპარაკობდნენ, რაც არასწორია და მას პროვინციალიზმის სუნი ასდის. თუ გვინდა, რომ ვინმემ რაიმე დაგვიჯეროს, ასეთ იაფფასიან მოსაზრებებზე უარი უნდა ვთქვათ. თუნდაც იმის გამო, რომ 7 600 წლის წინათ უბრალოდ არ არსებობდნენ არც იმერლები, არც კახელები, არც ლაზები, არც მეგრელები და ა. შ. იყო შუმერის (კოლხ-იბერების) ქვეყანა, რომელსაც ენგური ჰქვიოდა, ხოლო ხალხს ენგურელები და ლაპარაკობდნენ ისინი ბანანურ (კოლხურ, შუმერულ) ენაზე. ასე რომ, როცა წერენ იქ ლაზურ-მეგრული კულტურა იყოო, ეს ტყუილია, რადგან სწორია, რომ იქ იყო კოლხურ-იბერიული კულტურა ბანანური (კოლხური, შუმერული) ენით. ვიმეორებ: იყო ენგურის ქვეყანა, რომელშიც ენგურელები ცხოვრობდნენ (კოლხი-იბერები, შუმერბი) და არა ლაზ-მეგრელები და ისინი ლაპარაკობდნენ ბანანურ (კოლხურ, შუმერულ) ენაზე და არა მაშინ არარსებულ ლაზურ-მეგრულ ენაზე, რადგან ზანური (ლაზურისა და მეგრულის წინაპარი ენა) ხომ ბანანურს (კოლხურს, შუმერულს) 2 800 წლის წინათ გამოეყო.

ბანანურ (კოლხურ-შუმერულ) ენაზე იხსნება ფესტოსის დისკოზე მოხსენიებული მდინარეების: ტიგროსის (იდიგნა) და ევფრატის (ბურანუნი) სახელებიც და არა მეგრულ ენაზე, როგორც ამას ზოგიერთი წერს, რადგან მაშინ მეგრული ენა ცალკე ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ვუახლოვდებით რა შუმერებზე საუბრის დასასრულს კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ შუმერები ორად იყოფიან: 1. ნამდვილი შუმერები იგივე კოლხი-იბერები და 2. დამპყრობი, ანუ შავთავიანი შუმერები, რომლებიც ოპერეტის წყალობით შეცდომით ასევე შუმერებად ინოდებიან.

ნამდვილი შუმერები IV ათასწლეულიდან ძვ. წ. XVIII საუკუნემდე უკვე მესოპოტამიის სამხრეთში ცხოვრობდნენ და მათ ძალიან მაღალი განვითარების საზოგადოება ჰქონდათ. შუმერულ ოჯახში მთავარი მამა იყო, თუმცა დედასაც დიდი უფლებები ჰქონდა. თანასწორები იყვნენ ცოლ-ქმარიც და მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებაც კი

იდებოდა. ყოველ ქალაქ-სახელმწიფოს ჰყავდა მფარველი ღმერთი, თუმცა იყვნენ ისეთი ღვთაებებიც, რომელთაც მთელს მესოპოტამიაში სცემდნენ თაყვანს. მაგალითად: ცის (ან), მიწის (ენლილი), წყლის (ენქი) და ა. შ. ღვთაებებს ცოლ-შვილიც ჰყავდათ და თაყვანს მათაც სცემდნენ (ზოგჯერ უფრო მეტსაც კი) მაგალითად, ანუს ცოლი იყო იშთარი – ბაბილონელთა მთავარი ღვთაება, ჰყავდათ ქალი ღვთაებებიც. მაგალითად, ინანა, რომელიც ქალაქ ურუქის მფარველი იყო და ა. შ.

და ბოლოს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ქართველ მეცნიერთა გარკვეული ნაწილის ძალიან უცნაურ პოზიციას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი ცოცხალი თავით არ აღიარებენ არამარტო შუმერთა, არამედ ბევრ სხვათა რაიმე შესაძლო კავშირს ქართულ ფესვებთან. ეს რომ ცალკეული მეცნიერის კერძო აზრი იყოს ჯანდაბას, კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ როცა მათმა ასეთმა პოზიციამ სახელმძღვანელობშიც გადაინაცვლა, ეს უკვე მოუთმენელი და საგანგაშოა. მაგალითისათვის ავიღოთ „კულტუროლოგიის" ერთ-ერთი ქართული სახლმძღვანელო, რომელშიც 204-ე გვერდზე წერია, რომ „მცდელობები გამოეკვლიათ შუმერებს ნათესაური კავშირი ქართულ, კავკასიურ, ეტრუსკულ და სხვა ხალხებთან, სამწუხაროდ უშედეგოდ დასრულდა", კი მაგრამ დავიჯერო, რომ ამ სტრიქონების ავტორს და წიგნის რედაქტორს, მართლა არ წაუკითხავთ ან არ გაუგიათ მაინც იმ ასობით ნაშრომის შესახებ (როგორც ქართველ, ისე უცხოელთა), რომლებშიც შუმერთა და კოლხ-იბერთა წარმომავლობა და ნათესაური კავშირები ცხადზე უცხადესია? კი მაგრამ თუ კი უცხოელი მეცნიერები გვიმტკიცებენ ამას, ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა და რატომ უარვყოფთ ყოველივეს? ეს, რომ მართლაც ასე იყოს შენ პირველი ნუ გამოხტები და ნუ დაიწყებ მტკიცებას, არა ჩვენ არანაირი კავშირი არ გვქონია შუმერებთანო, მაგრამ არა, აბა რა ქართველები იქნებიან, თუკი თავზე ნაცარი არ წაიყარეს და არ იყვირეს – ყველა უცხოელი (ქართველიც ვინც ასე ფიქრობს) ტყუისო. ნუთუ ასე ძნელია აღიარო, რომ იმ უცხოელმა (ბევრმა ქართველმაც) შენს აზროვნებას აჯობა და ახლებურად შეხედა მოვლენებს, თუნდაც ძველს რომ თავი დავანებოთ, ახალ მეცნიერულ მონაპოვართა საფუძველზე?

ვაგრძელებთ რა საუბარს ცალკეული პროქართული ხალხების

შესახებ. უპირველეს ყოვლისა, მოკლედ შევეხოთ მათი განსახლების გეოგრაფიას კონტინენტებისა და რეგიონების მიხედვით.

როგორც ცნობილი მეცნიერი ბ. გრეინშპოლკი (და ბევრი სხვაც) წერს, დასავლეთ ევროპის პირველი ამთვისებლები პროტოქართველები იყვნენ, რაც იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი, მხოლოდ დასავლეთ ევროპაში ცხოვრობდნენ. მათი განსახლების არეალი ძალიან დიდი იყო და როგორც ებრაელი მეცნიერი ლ. ვრანი წერს, კოლხიბერთა პირველი განსახლების ადგილი მთელ ევრაზიას მოიცავდა.

პროტოქართველები V ათასწლეულიდან ძვ. წ. XV საუკუნემდე ცხოვრობდნენ დასავლეთ და სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზებში, შავი და აზოვის ზღვების სანაპიროებზე, ჩრდილოეთ აფრიკაში სუდანის ჩათვლით, ირანის ზაგროსის მთიანეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში დაღესტნისა და ყალმუხეთის ჩათვლით, სამხრეთ რუსეთში ყაზანამდე და რიაზანამდე, ყირიმში, მთელს ამიერკავკასიაში კასპიის ზღვამდე, მცირე აზიაში, ახლო აღმოსავლეთში მეწამულ ზღვამდე, მესოპოტამიაში (შუა მდინარეთში), ინდოეთსა და შრილანკაში (ეს ყველაფერი რაც მსოფლიოს მეცნიერების მიერ უკვე აღიარებული და დამტკიცებულია) და ჰიპოთეზის დონემდე იაპონიისა და აღდგომის კუნძულებზე და სამხრეთ, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ამერიკაში.

მსოფლიო სახელის მქონე XIX საუკუნის დიდი გერმანელი მეცნიერი ჰუმბოლდტი თვლიდა, რომ ევროპის გვიანდელი მოსახლეობა პროტოიბერიული რასიდან მოდის, რომელთაგან მხოლოდ ბასკები და ქართველები გადარჩნენ.

შოტლანდიელმა მეცნიერმა დ. მაკლეოდიმ კიდევ უფრო დააკონკრეტა ყოველივე ეს და წერს, რომ ინდოევროპელთა მოსვლამდე ევროპაში ბატონობდა იბერიული რასა – კავკასიაში ქართველები, საბერძნეთში პელაზგები, იტალიაში ეტრუსკები, ესპანეთში იბერები და ბრიტანეთში პიქტები.

ამ მოსაზრების სისწორეს ციურიხის გენეალოგიული კვლევის ცენტრის დირექტორის რ. შოლცის კვლევებიც ადასტურებს, რომელმაც დნმ კვლევის საფუძველზე სენსაციური აღმოჩენები გააკეთა: გაირკვა, რომ ესპანელთა 80%, ბრიტანელთა და ფრანგთა 70%, შვეიცარიელთა 50% და გერმანელთა 45% ქართული გენები აქვთ, უფრო მეტიც, თვით

ეგვიპტის ფარაონ თუთანჰამონსაც კი ქართული გენები აღმოაჩნდა. რ. შოლცის აზრით, ეს იმიტომ, რომ ევროპელთა წინაპრები 9 500 წლის წინათ ჯერ კიდევ კავკასიაში ცხოვრობდნენ და ისინი, მხოლოდ 7 000წლის წინათ გადავიდნენ ევროპაში საცხოვრებლად, როგორც მისი პირველამთვისებლები. 4 800 წლის წინათ კი ქართველებმა, პირველებმა, ცხენიც მოიშინაურეს და ავსტრიის ტერიტორიაზე ბადენური კულტურაც შექმნეს.

ეხებოდა რა კაცობრიობის მიერ წარღვნის შემდგომ განვლილ გზას, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ნიკო მარი წერდა, რომ ეს გზა ასეთი იყო: ნოუ + მისი ძე + იაფეტური (პროტოიბერიული) კაცობრიობა. იაფეტი ნოესთან ერთად გადაურჩა წარღვნას და ქართველთა წინაპრად სწორედ იაფეტის შვილიშვილი თარგამოსი (იაფეტის შვილ თარაშის ძე) არის მიჩნეული. აი, ამ თარგამოსის მეორე შვილი იყო ქართლოსი. რა თქმა უნდა ეს უფრო ლეგენდას ჩამოჰგავს, რადგან მეცნიერული თვალსაზრისით ნ. მარი მხარს იმ მოსაზრებას უჭერდა, რომ პროტოქართული ტომები მცირე აზიიდან გაიფანტნენ და მათ მჭიდრო ნათესაობა აკავშირებდათ ბასკებსა და ურარტუელებთან.

პროტოქართველების სალაპარაკო ენა

მოკლედ შევეხოთ პროტოქართველების სალაპარაკო ენის საკითხსაც, რადგან უფრო კონკრეტულად მას, ცალკეული ტომის საკითხის განხილვის დროს შევეხებით.

ზოგადად, მეტყველების განვითარებამ ასეთი გზა განვლო: ა) ჰომოერექტუსის დროს (200 000წლამდე) გაჩნდა დანაწევრებული მეტყველება; ბ) ნეანდერტალელის დროს (200 000 – 40 000 წ.) უკვე მეტყველება პრიმიტიული იყო და თან სხვადასხვა ენაზე მეტყველებაც დაიწყო; გ) კრომანიონელი ადამიანის დროს (40 000 – 6 000 წლებში) ადამიანთა მეტყველება ახალ დონეზე განვითარდა და ფართოდ დამკვიდრდა სხვადასხვა ენებზე მეტყველება, ამავე პერიოდში 8 500 – 8 000 წლების წინათ კი ენობრივი ჯგუფებიც ჩამოყალიბდა.

მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ კაცობრიობის პირველი ენა იყო კოლხური (იბერიული) – პელაზგური ენა, როგორც აშშ ერთ-

ერთი ტელევიზიის არხმა ამ პრობლემებისადმი მიძღვნილ სპეციალურ სამეცნიერო გადაცემაში აღნიშნა, 15 000 წლის წინ (ე.ი. ატლანტისის ჩაძირვამდე, წარღვნამდე) მთელი ევრაზია პროტოქართულ ენაზე ლაპარაკობდა. თითქმის, იგივე აზრის იყო ჰუმბოლდტიც, რომელიც თვლიდა, რომ დასავლთ ევროპაში იბერიული (კოლხური) ენა ბატონობდა. (მკითხველს შევახსენებ, რომ პროტოქართველთა თავდაპირველი სახელწოდება იბერები იყო და მათ შემდეგში ეწოდათ კოლხები).

გამოჩენილი ენათმეცნიერი ი. ბრაუნი კი თვლის, რომ მსოფლიოში უძველესია ქართველური ენები და მათი წინამორბედი იყო 7 600 წლის წინათ გაჩენილი საერთო ქართველური ფუძე ენა, რომელმაც დაშლა 4700 წლის წინათ დაიწყო და პირველი მას ბასკური ენა გამოეყო, შემდეგ კი თანმიმდევრობით – სვანური, ზანური და ქართული ენებიც.

რაც შეეხება დამწერლობას, აქ საქმე ცოტა უფრო სხვაგვარად არის, რადგან არსებობს რამდენიმე მკვეთრად განსხვავებული პოზიცია. საქმეს ართულებს ისიც, რომ ესა თუ ის მეცნიერი თავისი პოზიციისაგან განსხვავებულ პოზიციას ან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარყოფს, ანდა დუმილით უვლის მას გვერდს, რაც სულაც არ შველის ჭეშმარიტებასთან მიახლოებას. მაგალითად, მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ყველაზე უძველესი დამწერლობა კოლხმა-იბერებმა,ჯერ კიდევ 40 000 წლის წინათ შექმნეს კირბების სახით, რისი მატერიალური დადასტურებაც (წარწერებიანი ქვები) არსებობს.

მაგრამ, რატომღაც ყველა დუმილით უვლის გვერდს 2006 წელს ტაიმირზე (ხატანგასთან) აღმოჩენილ 17 000 წლის წინანდელ 15 მ. სიდიდის უამრავ წიგნს (რომლის შექმნის თარიღი ეჭვს არ იწვევს) და რომელიც გაუშიფრავია. არავინ იცის რა ენაზე (ენებზე), ან რომელი ხალხის (ხალხების) მიერ არის შექმნილი ეს წიგნები. საინტერესოა ისიც, რომ ეს წიგნები იქ, ტაიმირზეა შექმნილი თუ არა? თუ იქ არის შექმნილი, მაშინ ალბათ დასტურდება ის, რომ დედამიწაზე 11 000 წლის წინ მომხდარმა კატასტროფამ მართლაც შეცვალა პოლუსის მდებარეობა.

ასევე ბურუსითაა მოცული და წაუკითხავია ჩინეთში ნაპოვნი წარწერებიანი ქვაც, რომლის შექმნის თარიღი 10 000 წლით თარიღდება.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ დასტურდება – დამწერლობა უკვე

იცოდნენ ატლანტისზე, სადაც ჩვენი შორეული წინაპრები – იბერები (კოლხუები) ცხოვრობდნენ. ამ აზრისაა ამერიკელი მეცნიერი ე. მატფორდიც, რომელიც წერს, რომ ალფავიტი წარღვნამდეც არსებობდა.

ფაქტიურად, იგივეს ადასტურებს პ. სმიტიც (აშშ), რომელიც წერს, რომ ადამმა შეადგინა მცნებათა წიგნი. ე.ი. რაკი წიგნი შეადგინა, არსებობდა დამწერლობაც, რადგან დამწერლობა რომ არ ყოფილიყო, ისე წიგნს როგორ შეადგენდა?

ადამიანებმა დამწერლობათა შექმნის რამდენიმე საფეხური გაიარეს. პირველად ის გვაროვნულ წყობილებაში შეიქმნა პიქტოგრაფიული (ხატოვანი) დამწერლობის სახით. შეიძლება ითქვას, რომ ის ფაქტიურად არც იყო დამწერლობა, რადგან ნახატს წარმოადგენდა და მხოლოდ შემახსენებელ ფუნქციას ასრულებდა. გავრცელებული იყო ჩრდილოეთ ამერიკაში, მელანეზიაში, აფრიკასა და რუსეთის ჩრდილოეთში.

მეორე ეტაპი იყო იდეოგრაფია, რომელიც გავრცელებული იყო შუმერში (III ათასწლეულში), ინდიელებში, აღდგომის კუნძულსა და ჩუკოტკაზე.

მესამე იყო ლოგოგრაფიულ-სილაბური, ანუ სიტყვიერ-მარცვლოვანი, რომელიც იყო ძველ ეგვიპტური (IV ათასწლეული) და შუმერული (III ათასწლეული), თუმცა ჰქონდა სახეობები (სოლისებრი ანუ აქადური), პროტოელამური იეროგლიფური (III ათასწლეული), პროტოინდური (III ათასწლეული), კრეტული (II ათასწლეული), ჩინური (II ათასწლეული), ხეთური (II ათასწლეული) და მაიას (ახ.წ. I ათასწლეული).

მეოთხე იყო სილაბური ანუ მარცვლოვანი, რომელსაც 5 ჯგუფი აქვს:

ა) სოლისებრი სილაბური (ელამური და ძველი ირანული).

ბ) დასავლეთ სემიტური სილაბური (სინაური და პროტოპალესტინური).

გ) ბიბლოსის, კვიპროსისა და ფესტოსის სილაბური, რომელიც კრეტული ლოგოგრაფიულ-სილაბურიდან მოდის).

დ) იაპონური და კორეული, რომელიც ჩინურის გამარტივებითაა მიღებული.

ე) ინდური და ეთიოპური სილაბური.

გაანბანურების გზას ყველაზე ადრე დაადგა ძველი ირანული სოლისებრი (ძვ. წ. VI-IV საუკუნიდან), თუმცა მან ვერ მოასწრო ნამდ-

ვილ ანბანად ქცეულიყო. მარცვლოვანი დამწერლობები უფრო ინდოეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გავრცელდა.

მეხუთე იყო ანბანური სისტემები, რომელიც II ათასწლეულიდან იღებს სათავეს ძველი სემიტურიდან, ფინიკიიდან, სირიიდან და პალესტინიდან. ფინიკიური საფუძვლად დაედო წინააზიურ და ბერძნულ დამწერლობებს, რითაც საფუძველი ჩაეყარა დასავლურ ანბანურ სისტემებს. ფინიკიური, აგრეთვე დაედო საფუძვლად არამეულსაც, რამაც მთელს შუა და ახლო აღმოსავლეთში დაუდო სათავე ანბანებს. არამეულის ერთ შტოს წარმოადგენდა არმაზული დამწერლობაც.

არამეულის და ბერძნულის პრინციპებით ჩამოყალიბდა ქართული დამწერლობაც, რომლის სამი სახეობა არსებობს: მრგლოვანი ანუ ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. ფინიკიურის საფუძველზე შეიქმნა ბერძნული დამწერლობაც (არქაული ბერძნული ძვ. წ. IX-V ს), დასავლეთ ბერძნულის საფუძველზე კი ძვ. წ. VII საუკუნეში შეიქმნა ეტრუსკული, ლათინური (VI ს) და გერმანული რუნული (III ს) დამწერლობებიც.

სოლისებრი (ლურსმული) დამწერლობა III ათასწლეულში შუმერებმა შექმნეს და გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში. თავიდან, მისი წერის მიმართულება იყო ვერტიკალური და მარჯვნიდან მარცხნივ, ხოლო შემდეგ ჰორიზონტალური და მარცხნიდან მარჯვნივ.

III ათასწლეულშივე გადაიღეს ის აქადელებმა, ასურელებმა, ელამელებმა, ხეთებმა, ხურიტებმა, ლუვიელებმა, ურარტუელებმა და სპარსელებმა, მაგრამ I ათასწლეულის შუა ხანებიდან ის გამოვიდა მასიური ხმარებიდან და, მხოლოდ იურიდიული და რელიგიური ტექსტებისათვის იყენებდნენ აქადურსა და შუმერულზე.

თავისებური იყო II ათასწლეულში უგარითში შექმნილი სოლისებრი დამწერლობაც, სადაც ის გამოიყენეს, როგორც ანბანური დამწერლობა. გაანბანურების გზას დაადგა ის ძველ სპარსულ ენაშიც, მაგრამ მისი განვითარება შეწყდა ძვ. წ. IV ს. და დარჩა, მხოლოდ მარცვლოვან დამწერლობად.

IV ათასწლეულის ბოლოდან გაჩნდა იეროგლიფური დამწერლობის ეგვიპტური ხატოვანი ნიშნები, II ათასწლეულიდან კი ჩინური და ხეთური.

ძალზე საინტერესოა ისიც, რომ ერთმანეთს ჰგავს კანარელი გუანჩების, ამერიკელ ინდიელთა, შუმერთა, ეგვიპტელთა და ოკეანიის კუნძულთა დამწერლობები. საიდან ეს მსგავსება? ხომ არა აქვთ ყველას ამათ ერთი საფუძველი და ერთი წყარო? და ეს წყარო და საფუძველი ხომ არ არის ატლანტისელი იბერები (კოლხები) რომლებიც მისი ჩაძირვის შემდეგ მთელს მსოფლიოში გაიფანტნენ? (გუანჩების გარდა, რადგან ისინი თვლიან, რომ დარჩნენ ჩაძირული ატლანტისის გადარჩენილ ნაწილზე).

მეცნიერთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ პირველი ლურსმული დამწერლობა IV ათასწლეულში (ე.ი. 6000 წლის წინათ) მესოპოტამიაში გაჩნდა და ის, ჩვენმა იბერიელმა (კოლხმა) წინაპრებმა შექმნეს, ოღონდ მას განაწყენებულმა ოპერეტმა შუმერული უწოდა, რომელშიც ის ნამდვილ შუმერებს კი არა, შავთავიან შუმერებს გულისხმობდა.

სხვაგვარად არის „გილგამეშიანში," თუ მისი მიხედვით ვიმსჯელებთ, მზის შვილმა ენმერქარმა – ურუქის მეფემ, დამწერლობა თიხის ფირფიტაზე 4 000 წლის წინათ შექმნა, რასაც ქრონოლოგიურად ემთხვევა ფესტოსის დისკოს შექმნის თარიღიც, რომელიც კოლხურ (მისონურ-პელაზგურ) უძველეს წერით ნიმუშს წარმოადგენს. ეს დამთხვევა სულაც არ არის, შემთხვევითი, რადგან ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს იბერების (კოლხების) მიერ დამწერლობის შექმნასთან. ალბათ, ფინიკიურ ალფავიტსაც პელაზგურს, ე. ი. კოლხურს, იმიტომ უწოდებენ, რომ ის სათავეს სწორედ მისგან იღებს.

III ათასწლეულში იეროგლიფური (ხატოვანი და ლურსმული) დამწერლობა ჩვენმა წინაპარმა სუბარებმა და ხეთელებმაც შექმნეს. ნუთუ, აქაც შემთხვევითია ქრონოლოგიური დამთხვევა? IV ათასწლეულში პირველი ლურსმული დამწერლობა იქმნება მესოპოტამიაში კოლხი-იბერების მიერ და III ათასწლეულში იმავეს ქმნიან ასევე ჩვენი წინაპრები – სუბარები და ხეთები, ოღონდ მცირე აზიაში. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მცდარია მოსაზრება პირველი ანბანური დამწერლობის ძვ. წ.1750 წ. უგარიტში შექმნის შესახებ, რადგან სხვას ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ , რა ვუყოთ ტაიმირის 17 000 წლის წინანდელ წიგნებს და 10 000 წლის ჩინურ გაუშიფრავ ქვას?

გადასახედია მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ, როგორც ამას

პროფესორი რ. პატარიძე ასაბუთებს თავის კარგ წიგნში „ქართული ასომთავრული." ქართული ასომთავრული დამწერლობა გაჩნდა ძვ. წ. V ს. თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ რა ვუყოთ დღემდე გაუშიფრავ 7 000 წლის წინანდელ ქვებზე შესრულებულ უამრავ ხევსურულ წარწერას, რომლებიც გვინდა თუ არ გვინდა არსებობენ, დროდადრო თავს გვახსენებენ და პასუხის გაცემას ითხოვენ? ანდა დავათის სტელას, რომელზეც 37 ქართული ასომთავრული ანბანი და ციფრი 5 320 არის გამოსახული, რაც მისი (ამ ანბანის) შექმნის თარიღად ძვ. წ. 680 წ. მიგვანიშნებს? ყოველივე ამას მეცნიერულად დასაბუთებული პასუხის გაცემა უნდა.

ეტრუსკები

მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ხალხს ეტრუსკებს (ტირენებს) ძველ ავტორთა გარკვეული ნაწილი ატლანტისიდან მოსულებად თვლიდნენ. მაგალითად, დ. ჰალიკარნასელი მათ ატლანტისელთა შთამომავლებად და აპენინის ნახევარკუნძულის ავტოქთონებად მიიჩნევდა,ხოლო პლატონი თვლიდა, რომ ეტრუსკები (ტირენები) წარღვნამდელი, ჰერაკლეს დროინდელი ხალხი იყო და ესპანეთის ქ. გადირის (კადისის) ახლოს მდებარე ქ. ტარტესის მოსახლეობაც ეტრუსკები (ტირენები) იყვნენ.

ჰეროდოტე და ტაციტუსი კი თვლიდნენ, რომ ტირენია ანუ ეტრურია ლიდიის მეფე ტირენ ატირის ძემ დაარსა.

საერთოდ, ეტრუსკების წარმოშობაზე ოთხი ჰიპოთეზა არსებობს. 1. არიან ჩრდილოეთიდან მოსულები, 2. არიან ავტოქთონები 3. არიან მცირე აზიიდან მოსულები (ჰეროდოტე), 4. არიან კოლხეთიდან მისულები და 6 000 წლის წინ გადავიდნენ აპენინისა და პირენეის ნახევარკუნძულებზე, ხმელთაშუა ზღვის აუზსა და სანაპიროებზე, ევროპასა და აფრიკაში. მაშინ ისინი კუნძულ ლემნოსზეც დამკვიდრდნენ, საიდანაც ბერძნების მისვლის შემდეგ აპენინის ნახევარკუნძულზე გადავიდნენ და იქ საფუძველი ჩაუყარეს რომაულ ცივილიზაციას (რომელიც მესამე იყო დედამიწაზე არსებულ ცივილიზაციათა შორის) და მედიტერიანულ კულტურას.

ეტრუსკებს კოლხეთიდან მისულებად თვლიდნენ ე. დემოლინსი და ბ. კუფტინიც. უფრო მეტიც, თვლიან, რომ იტალია დააარსა ცირას

შვილმა (აიეტის დისშვილმა) იტალმა, ხოლო ლათინი – ლათინებისა და ლათინური ენის შემქმნელი იყო, კოლხი ქალღმერთის კირკეს (ცირცეს, ცირას) შვილი (აიეტის დისშვილი), რითაც აიხსნება ლათინურ ენაში ასობით ქართული სიტყვის შესვლა. მაგალითად, გუგუიუს – გუგული, ოფოფი – ოფოფი, სკამი – სკამი, ფუფურ – ფუფუ (ცუდი), ფაზანი – ხოხობი (ფაზისიდან) და ა. შ.

ეტრუსკებმა 753 წელს ააგეს ქ. რომი, რომელსაც 600-500 წლებში ეტრუსკი ტარკვინიუსების დინასტია მართავდა.

ჰეროდოტე იმასაც წერდა, რომ განსაკუთრებულ სიძლიერეს ეტრუსკებმა ძვ.წ. VIII–I საუკუნეებში მიაღწიეს და მათი მოხარკე კორსიკაც კი იყო. ისინი მცირე აზიიდან (ზოგი ვარაუდით ლიდიიდან) მეფე ტირენის მეთაურობით მივიდნენ და შექმნეს 12 ქალაქი, სახელმწიფო. მცირე აზიიდან მისულობის მომხრეების პოზიციებს უთუოდ ამყარებს ის, რომ ეტრუსკთა სკულპტურები მრავლად შეიცავენ ხეთურ ელემენტებს.

ეტრუსკები ანთროპოლოგიურად ორად იყოფოდნენ: პირველი იყო აბორიგენული და მეორე აღმოსავლურ-მედიტერიანული ტიპი (თვითონ თვლიდნენ, რომ ეთნიკურად აღმოსავლელები იყვნენ).

ეტრუსკები პროტოქართველებად მიაჩნდა ჰუმბოლტსაც, რომელიც თვლიდა, რომ ლაზები, ეტრუსკები და ტროელები ერთნი იყვნენ.

ეტრუსკების კოლხეთიდან დასავლეთისაკენ წასვლის გამოძახილი უთუოდ არის რუსი ჟურნალისტის ო. სოლოვიოვას მიერ 2006 წ. კუნძულ სარდინიაზე ნახული ქართული ცეკვა, რომელსაც იქაურთა გადმოცემით ძველი ფესვები აქვს და სათავეს იღებს იბერიელთა დასავლეთისაკენ მიგრაციის დროიდანო. ჩვენ კი, აქ გავლილი იბერიელების (კოლხების) შთამომავლები ვართო.

ეტრუსკებს 40 ღმერთი ჰყავდათ, რომელთაგან მთავარი მამრი ტინი და მდედრები მენევრა და უნი იყვნენ. მათ VI საუკუნეში შექმნეს 12 ქალაქის ფედერაცია, დააარსეს ქ. ბოლონია და რავენა, დაიპყრეს კორსიკა და ვოლსკები, დაამარცხეს რომი და ა. შ.

ამ 12 ქალაქ-სახელმწიფოს თავთავიანთი მეფეები ჰყავდათ და ისინი მხოლოდ რელიგიურ-კულტურული თვალსაზრისით ერთიანდებოდნენ და ირჩევდნენ მეფე-ქურუმს, რომელიც ქ. ვოლსინში იჯდა. მათში ძლიერი იყო მატრიარქატის გადმონაშთები და იყო ქალის, დე-

დის კულტი. ქალი თავისი უფლებებით მამაკაცს უთანასწორდებოდა.

ამ ყველაფრის შესახებ მოთხრობილი იყო მათ წმინდა წიგნ „დისციპლინა ეტრუსკაში.“ ცალკე ფენომენს წარმოადგენს ეტრუსკული ენა, რომელიც ლემნოსური ნაწერების ენას ჰგავს და ჭარბად შეიცავს ეგეოსურ-მცირე აზიურ ელემენტებს. ეტრუსკული ენა საერთო ქართველური ენის ერთ-ერთ დიალექტს წარმოადგენდა. ეტყობა მის შექმნაში მონაწილეობდნენ ავტოქთონი მედიტერიანები, პელაზგები, დასავლეთ მცირე აზიელები და ანატოლიელები. დღეისათვის დაუდგენელია ენის სტრუქტურა. ბევრი მას ხეთურს, კავკასიურს (ქართულს), ბასკურს, ალბანურს, დრავიდულს და ა. შ. უკავშირებს.

ეტრუსკული ენა არც ერთ სხვა ენას არ ჰგავს და დღემდე გაუგებარია. ის ტიპოლოგიურად (გრამატიკა და ლექსიკა) უფრო ქართველურ ენებს ჰგავს. საყურადღებოა ისიც, რომ ხევსურეთში მიკვლეული 7000 წ. წინანდელი ქვების წარწერები ვიზუალურად ძალიან ჰგავს ეტრუსკულს.

ჩვენამდე მოაღწია 11 000-მდე ეტრუსკულმა წარწერამ, ძირითადად, ბერძნული ანბანით, თუმცა გვხვდება ორენოვანიც – ეტრუსკულ-ბერძნული და ეტრუსკულ-ლათინური, რომელთაგან, მხოლოდ 300-ის გაშიფვრა მოხერხდა, ისიც გაშიფრულია მხოლოდ რელიგიური ტექსტები, საფლავის ქვებისა და ყოფითი წარწერები და ბილინგვები (ორენოვანი) წარწერები. დანარჩენები კი მომავალ მკვლევარებს ელოდებიან.

ეტრუსკული დამწერლობა ძვ. წ. VIII საუკუნიდან დასავლურ ბერძნული დამწერლობის საფუძველზე შეიქმნა. თუმცა, მეორე მოსაზრებით ეტრუსკებმა საკუთარი დამწერლობა კუნძულ ლემნოსზე პელაზგური ენის გამოყენებით შექმნეს (სხვათა შორის იტალიაშიც ანბანური დამწერლობა მათ გაავრცელეს).

საინტერესო იყო ეტრუსკული წერის წესებიც. ისინი სიტყვებს არ აცილებდნენ და ასეთნაირად წერდნენ:

I სტრიქონი ———> იწყებოდა მარცხნიდან

II სტრიქონი <——— იწყებოდა მარჯვნიდან

III სტრიქონი ———> იწყებოდა მარცხნიდან

IV სრტიქონი <——— იწყებოდა მარჯვნიდან და ა. შ.

ვფიქრობ, წერის ასეთი რთული სისტემის არსებობამ ვერ გახადა შესაძლებელი ეტრუსკული ენის გაშიფვრა, მიუხედავად იმისა, რომ მასზე მსოფლიოს უამრავი მეცნიერი 1800 წელია გულმოდგინედ მუშაობს. უნდა ითქვას, რომ ეტრუსკების განსაკუთრებული კულტურული აღმავლობა VIII ს. (მათი უძველესი ძეგლები VIII-VII ს.მიეკუთვნება) დაიწყო და აყვავებას VI-V და III ს. მიაღწია. მათ კულტურას ბევრი საერთო ჰქონდა ბერძნულსა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ძველ ხალხთა კულტურებთან, ხოლო შემდეგ ის ელინურის გავლენის ქვეშ მოექცა. საბოლოოდ, ეტრუსკების კულტურული მონაპოვარი რომს გადაეცა (სპორტული თამაშები, გლადიატორობა და ა. შ.)

509 წელს რომაელებმა მოახერხეს და ტარკვინიუსები რომიდან განდევნეს, რამაც დასაბამი მისცა ეტრუსკების დასუსტებას. მისი მიწების ნაწილი კელტებმაც დაიპყრეს. III საუკუნეში ეტრუსკები რომმა წელში საბოლოოდ გადატეხა, დაიწყო მათი დაქვეითება და დაჩქარებული ასიმილაცია – რომის ხელში გადასვლა, რაც კიდევ უფრო დაჩქარდა ძვ. და ახ. წ-თა მიჯნაზე.

ახ. წ. 20-იანი წლებიდან კი ეტრუსკული ენა და დამწერლობა მხოლოდ საკულტო წესების შესასრულებლად შემორჩა (ახ. წ. II საუკუნემდე).

ე გ ვ ი პ ტ ე

ქართული კვალი შემორჩენილია ეგვიპტეშიც, სადაც ცივილიზაცია, როგორც ამას ცნობილი ებრაელი მეცნიერი ი. მოსენსკისი წერს წიგნში „პირველ ცივილიზაციათა ქართული კვალი," IV ათასწლეულში ეგვიპტეში პროტოქართველების მისვლის შემდეგ პროტოქართულ ცივილიზაციაზე დაყრდნობით შეიქმნა. ეს მოსაზრება ახალი არ არის და როგორც ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მიერ 1948 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორია" წერდა, ხეთურ-იბერიული მოდგმის ხალხი ეგვიპტეში (ქიმეთში) და სუდანში ჯერ კიდევ 6000 წლის წინათ ცხოვრობდა.

გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ ეგვიპტეში ასტროლოგიის, ასტრონომიის (ეგვიპტეში, სწორედ, აიეტის ძმა აქციუსმა დააარსა ქ. ჰელიოპოლი, სადაც ასტრონომიასა და ასტროლოგიას ასწავლიდნენ, რაც შემდეგში მთელმა მსოფლიომ გაიცნო), მათემატიკის, დროის ანგარიშის, ციფრების, იეროგლიფების, კალენდრის,

პირამიდების აგების (პირველი ხეოფსის პირამიდა იქ 2600 წ. აიგო, მაშინ როცა კოლხებმა ის 6000 წ. წინ ააგეს), წყლისა და მზის საათები, მზის კულტი, მუმიების კეთება (პირველი მუმია III ათასწლეულში დედოფალ ხეტემი ხერესისა იყო), ლითონის, ოქროსა და ვერცხლის დამუშავების წესები, მინის, მაღალი დონის მედიცინის, გამჭირვალე ქსოვილების, მხატვრობის შექმნა და ა.შ. პროტოქართველებთან არის დაკავშირებული და სწორედ, მათ შეიტანეს ეს ყველაფერი იქ. ეგვიპტელთა კულტურაზე კოლხურმა კულტურამ სხვა მხრივაც მოახდინა დიდი გავლენა, რადგან გერმანელი მეცნიერის შ. შრენგელის აზრით, სწორედ კოლხებისაგან ისწავლეს მათ მიწათმოქმედება, ნამალთმცოდნეობა, ღვთაებები და ა. შ.

ჯერ კიდევ ჰეროდოტე წერდა, რომ ეგვიპტელები და კოლხები ერთნი იყვნენ, ჰქონდათ მსგავსი ენები და ცხოვრების წესი, ფარაონებიც გენეტიკურად იბერიელები იყვნენ, რასაც თუთანჰამონის დნმ ანალიზიც ადასტურებს, რომელსაც ქართული დნმ აღმოაჩნდა. (ეს კი რ. შოლცმა შეისწავლა, რომლის აზრით ისინი ეგვიპტეში 7 000 წ. წინ გადავიდნენ).

ეგვიპტელ ფარაონთა კოლხებთან მჭიდრო კავშირზე ისიც მიუთითებს, რომ ფარაონთა სამარხებში კოლხური ოქროულობაც მრავლად არის ნაპოვნი.

საინტერესო გამოდგა ვლ. ალფენიძის მიერ შედგენილი კოლხურ-ეგვიპტური ლექსიკონიც, რომელშიც ბევრი ენობრივი მსგავსება აღმოჩნდა. მაგალითად, ეგვიპტელებისათვის მთვარისა და ცოდნის ღმერთი იყო თოთი, რაც კოლხებისათვის (მათი დღევანდელი შთამომავალი მეგრელებისთვისაც) თუთა არის, ეგვიპტურად შენება არის კედ,, ქართულში, კი გვაქვს სიტყვა კედელი,

ეგვიპტურად პური არის ბერი, ქართულად – პური,

ეგვიპტურად უფალი არის უბენი, ქართულად – უფალი,

ეგვიპტურად სამეფო ტიტული არის ბატ, ქართულად – ბატონი და ა. შ.

ქართულ-ეგვიპტური მჭიდრო ურთიერთობების შესახებ მრავლის მეტყველია სხვა კავშირებიც. მაგალითად, XIV ს. ეგვიპტის ფარაონ ეხნატონის (II ვარიანტით უნაჩინას) ცოლი იყო მითანის ქართული სამეფოს, მეფის, რატის და – ნეფერტიტი (თათუ) (სხვათა შორის

ნეფერტიტი უცხოეთიდან ჩამოსულ ლამაზ ქალბატონს ნიშნავს), მაგრამ ეხნატონი მალე გარდაიცვალა და ნეფერტიტი (თათუ) თვითონ გახდა მთელი 10 წელი ფარაონი, რომელსაც ოთხი წელი თანამოსაყდრედ თავისი ქალიშვილი ათენა ჰყავდა. რაც შეეხება მცირეწლოვან თუთანჰამონს, ის, ფარაონი, მხოლოდ ნეფერტიტის (თათუს) სიკვდილის შემდეგ გახდა და ქვეყანას დედის ძმის, აიეს დახმარებით მართავდა, რომელიც ეგვიპტის უმაღლესი ქურუმი და ქვეყნის ფაქტიური მმართველიც იყო, ხოლო თუთანჰამონის გარდაცვალების შემდეგ მთელი 10 წელი ფარაონიც იყო. ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ცნობილი ებრაელი მეცნიერის ი. მოსენსკისის შესანიშნავი წიგნი „ქართველები ძველეგვიპტური კულტურის შემქმნელები".

პ ე ლ ა ზ გ ე ბ ი

ა. როდოსელის აზრით, პელაზგები ზღვის ხალხი იყო და ისინი არკადიაში ჯერ კიდევ წარღვნამდე ცხოვრობდნენ. მათ ელინებამდე იქ მაშინ უცხოვრიათ, როცა ყველა ციური სხეული ჯერაც არ ბრწყინავდა ცარგვალზე (გავიხსენოთ ე.ი. დედამიწის მიერ მთვარის მიტაცებამდე); დანაელთა რასა ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი და პელაზგთა ქვეყანას დევკალიონის შვილნი ჯერაც არ განაგებდნენ.

პელაზგებს თავიდან იბერები (კოლხები) ერქვათ და ქვეყანასაც იბერია ეწოდებოდა. მეორე ვარაუდით, ისინი თავიდან კავკასიაში, ენგურის ხეობაში ცხოვრობდნენ და მხოლოდ წარღვნის შემდეგ გადავიდნენ საბერძნეთში, მცირე აზიასა და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ, ხოლო მოგვიანებით, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კუნძულ კრეტასა და კუნძულ ლემნოსზე და ტროაშიც დამკვიდრდნენ (ტროელებიც ქართველები, კოლხები, პელაზგები იყვნენ). ყოველივე ამას ნაწილობრივ გერმანელი არქეოლოგის შმიდტის მიერ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მიკვლეული 11 000 ტაძარიც ადასტურებს, რომლებიც შმიდტის აზრით ქართული წარმომავლობისანი უნდა იყვნენ და მათზე მოცემული წარწერის მაგვარი ნიშნებიც ძველ-კოლხურ-იბერიულ (ხევსურულ) ნაწერებს მიაგავს.

პელაზგი (პელაგონი) კოლხური სიტყვაა და ის ღრმას, ჩქარს, საშიშ მდინარეს, დაუოკებელ ძალას ნიშნავს.

სტრაბონის აზრით პელაზგები უძველესი ხალხი და ყველა ტომის მამამთავრები იყვნენ.

პლუტარქე, ა. როდოსელი, იგივე სტრაბონი, ჰეროდოტე და ჰესიოდეც თვლიდნენ, რომ დედამიწის პირველი ადამიანი პელაზგი იყო და სწორედ მათ შექმნეს ღმერთების კულტები.

ჰეროდოტე უფრო შორსაც წავიდა და პირდაპირ განაცხადა, რომ კოლხები, რომლებიც მთელ საქართველოში იყვნენ განფენილნი და სავარაუდოდ, ატლანტისიდან მოვიდნენ, წინაპრები პელაზგები იყვნენ. ისინი საბერძნეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველაზე უძველესი კოლხური ტომი იყო და სწორედ, მათ შემოიღეს იქ ღმერთების კულტი.

გერმანელი მეცნიერის ე. კორციუსის აზრითაც, ისტორიის დასაწყისში ელადის ცენტრში სწორედ პელაზგები იდგნენ.

პელაზგები რომ კოლხები იყვნენ, პირველებმა შექმნეს მედიტერიანული კულტურა და კოლხეთიდან გადავიდნენ საცხოვრებლად ბალკანეთისა და აპენინის ნახევარკუნძულებზე და ხმელთაშუა ზღვის აუზში, რაც ფრანგი მეცნიერის ე. დემოლინსისა და ჰოლანდიელი ენათმეცნიერის ფურნიეს კვლევებმაც დაადასტურეს. მაგალითად, ფურნიემ ამ რეგიონში უძველეს პერიოდში 5000-მდე ქართული პელაზგური სიტყვის არსებობას (გავრცელებას) მიაკვლია.

რუსი აკადმიკოსის ა. ნოგოვიცინის აზრით კი, ბერძნების პირველი მასწავლებლები ღვთაებრივი წარმოშობის ხალხი – პელაზგები იყვნენ და მათ ცივილიზაცია და დამწერლობაც პელაზგებისაგან მიიღეს. სწორედ, ამიტომ, როგორც ავსტრიელი მეცნიერი კრეჩმერი წერს, ბერძნულში ბევრი არის პელაზგურიდან შესული სიტყვები.

XV საუკუნიდან ბერძნებმა ბალკანეთიდან კუნძულებზეც მოიკიდეს ფეხი და განსაკუთრებით დაიწყეს კრეტაზე მცხოვრებ კოლხ-პელაზგთა განადგურება, სადაც XX-XV საუკუნეებში პროტოქართველები დომინანტობდნენ და ბუნებრივია, ენაც და კულტურაც მინოსური, ე. ი. პელაზგური იყო. პელაზგური ენა კი, როგორც მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, ქართული სტრუქტურისა და კაცობრიობის პირველ ენას წამოადგენდა და ეს ყველაფერი XIII-XII ს. კოლხ-პელაზგთა და მათი ცივილიზაციის განადგურებითა და VII ს. ასიმილაციით დასრულდა.

XIII ს. ბერძნებმა ტროას კოლხურ-პელაზგური ცივილიზაციაც მოსპეს, რომელიც კუნძულების კოლხურ-პელაზგურ ცივილიზაციასთან ერთად ბერძნული ცივილიზაციის საფუძველს წარმოადგენდა.

ამიტომ იყო სწორი ზ. გამსახურდია, როცა წერდა, რომ პელაზგური კულტურა ელინურ პერიოდში დაკნინდა და განადგურდაო.

გადარჩენილი პელაზგები ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან, კუნძულ კრეტადან, კუნძულ ლემნოსიდან და ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვა კუნძულებიდან ბერძნების მოსვლის შემდეგ აპენინის ნახევარკუნძულზე (შუა იტალიაში) გადავიდნენ, სადაც, როგორც გერმანელი მეცნიერი ოიეგერი წერს, იბერიული წარმოშობის ოსქები და საბელები ცხოვრობდნენ და იქ საფუძველი რომაულ ცივილიზაციას ჩაუყარეს, ხოლო 753 წელს ააგეს რომი (რომულუსი, ისევე როგორც აქილევსი, ზევსი და პრომეთე პელაზგები იყვნენ).

ის კი არადა ტ. ჰეიერდალის თქმით, აცტეკებში, ინკებსა და მაიაშიც ცივილიზაცია თავის დროზე პელაზგებს შეუტანიათ.

ბრიტანეთი

პროტოიბერთა კვალი შესამჩნევად ჩანს დიდი ბრიტანეთის კუნძულებზეც, რომელსაც, როგორც მსოფლიო ისტორიული ენციკლობედია წერს, ბრიტანეთის იბერნია ატლანტელი ტიტანის, იბერის პატივსაცემად ეწოდა (თავის დროზე ატლანტისის ხალხსაც, ამიტომ ეწოდა იბერები). იბერი კი ტიტან ატლანტის ძმა იყო.

პროტოიბერები ბრიტანეთის კუნძულებზე V ათასწლულიდან XV საუკუნემდე ცხოვრობდნენ და როგორც ტაციტუსი წერს, სწორედ, მათ მოახდინეს ამ კუნძულების პირველი კოლონიზაცია.

იგივეს ასაბუთებს ცნობილი ინგლისელი მეცნიერი მორტონიც, რომელიც ინგლისის ისტორიის პირველ თავს მთლიანად იბერებს უთმობს და წერს, რომ დასავლეთ ინგლისის, შოტლანდიის, უელსის, კორნუელის და ჩრდილოეთ სატერლენდის პირველი მაცხოვრებლები იბერიელები იყვნენ და ისინი იქედან სკანდინავიაშიც ხშირად გადადიოდნენ.

ფაქტიურად იგივე აზრისაა მეორე გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი ი. არაკიანიც (თუმცა ის ცოტათი განსხვავებულ თარიღებს იძლევა), რომელიც წერს, რომ ბრიტანეთის კუნძულებზე იბერიელები III

ათასწლეულის ბოლოს მოვიდნენ და იქ ძვ.წ. აღ. VIII საუკუნემდე სწორედ ისინი იყვნენ წამყვანები, შემდეგ კი კუნძულებზე გელები შეიჭრნენ. და რაკი კუნძულების პირველი მაცხოვრებლები იბერიელები იყვნენ, არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ ბრიტანელთა 70%-ს ქართული გენები აღმოაჩნდათ.

ებრაელი მეცნიერის ლ. ვრანის აზრით კი, იბერიელთა პირველი განსახლების ადგილი ევრაზია რომ იყო, ამას შოტლანდიური სახელწოდების ჰიბერნიანის (იბერიის) არსებობაც ადასტურებს.

მეორე ებრაელი მეცნიერის ბ. გრეინშპოლკის აზრითაც დასავლეთ ევროპის, მათ შორის ბრიტანეთისაც, პირველი ამთვისებლები ქართველების წინაპრები იყვნენ და ისინი, როგორც მსოფლიო ისტორიის ენციკლობედია წერს, კუნძულებზე 8500 წლის წინათ მისული იბერიული წარმოშობის პიქტები გახლდნენ, რომელთა მიერ არის აგებული ცნობილი სტინჰეჯებიც (მათი ანალოგიური ნაგებობანი მხოლოდ სამხრეთ საქართველოში არსებობენ). 6000 წლის წინ კი, ბრიტანეთში დღევანდელი ესპანეთის მდინარე გვადიანის ნაპირებიდან კელტები შეიჭრნენ და პიქტები დაიმორჩილეს.

კელტებზე დამატებით ისიც უნდა ვთქვათ, რომ ისინი პირველ ათასწლეულში ცხოვრობდნენ მდინარეების ლუარის, რაინის და სენის აუზებში, დუნაის სათავეებში, პოს ველზე გალიაში, უფრო გვიან ბელგიის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და ავსტრიის მიწებზე, გერმანიის სამხრეთში, ჩრდილოეთ იტალიაში, ესპანეთის დასავლეთსა და ჩრდილოეთში, ბრიტანეთში, უნგრეთსა და ჩეხიაში. მათ რომაელები გალებს უწოდებდნენ. ძვ.წ.აღ III ს. ისინი მცირე აზიაშიც შევიდნენ და გალატები ეწოდათ.

რაც შეეხება კელტურ ენებს, მას მიეკუთვნება გალური, კელტიბერიული, ბრეტონული, კორნეული, უელსური, შოტლანდიური, ირლანდიური და მენური ენები, (გალური და კელტიბერიული უკვე მკვდარი ენებია), რომლებიც ძალიან ჰგვანან ხეთურ ენას.

ასევე კელტური ტომია ბრიტებიც, რომელიც ძვ.წ.აღ VIII ს-დან ცხოვრობდნენ ბრიტანეთში.

იბერიული – პროტოქართული კვალი ბრიტანეთში სხვა მხრივაც ჩანს. მაგალითად, სახელწოდება ალბიონი მოდის ხალბიონიდან (ხალბებიდან), ბრიტანეთის იბერნია – იბერიიდან, ბოდი – ბოძიდან, ბოიშ

– ბიჭი, ბავშვი, ბოვში, ბოშიდან, ჰიბერნიანი – იბერიიდან და ა. შ.

შოტლანდიელი მცნიერის დ. მაკლეოდის აზრით, კელტური პოეზია ძველი იბერების სულიერებას უკავშირდება. საინტერესოა ისიც, რომ ესპანეთში აღმოჩენილ კელტურ ბარელიეფზე (მორტონის აზრით კელტები თავიდან პირენეის ნახევარკუნძულზე, მდინარე გვადიანის სანაპიროებზე ცხოვრობდნენ) გამოსახულია ბორჯღალი, რომელიც ქართველთა ერთ-ერთ სიმბოლოს დღესაც წარმოადგენს. ამ ფაქტს ესპანელი მეცნიერები იმით ხსნიან, რომ გალისიის ტერიტორიაზე 5000 წ. წინათ იბერიელი კელტ-იბერები ცხოვრობდნენ და სწორედ მათი შექმნილი იყო ეს ბარელიეფი. კელტიბერების დედაქალაქი იყო ტარტესი, სადაც ასევე აღმოჩენილი არის პექტორალი, რომელიც ჩვენს „ოქროს საწმისს“ ჩამოჰგავს.

ხ ე თ ე ბ ი

ერთ-ერთი უძველესი ხალხი, რომელთა წარმომავლობა IV ათასწლეულიდან (ე.ი. 6000 წლის წინ) იღებს სათავეს, იყო მცირე აზიული პროტოხეთური წარმოშობის ხათები, რომლებმაც 2000 წელს ამაევე სახელწოდების სამეფოც შექმნეს. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე მცირე აზიაში ხეთებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც, ხეთურ (ნესიტურ) ენაზე ლაპარაკობდნენ და ხათის მემკვიდრეებს წამოადგენდნენ (ხეთური ეთნოსი შეიქმნა XVII საუკუნეში, ხათების ნესიტებთან შერევით. ხეთური (ნესური) ენა ძვ.წ.აღ XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა ანატოლიაში და წერისათვის იყენებდნენ აქადურ და სირიულ სოლოსებრ დამწერლობას, რომელიც აქადურის ერთ-ერთი სახეობიდან მოდის. დედაქალაქი იყო ხათუსა (ხათუშა), რომელიც დღევანდელი ანკარის სიახლოვეს მდებარეობდა.

ინგლისელი მეცნიერი ჯ. ტომსონი თვლიდა, რომ ხეთები მცირე აზიაში კავკასიიდან მივიდნენ და შექმნეს საკუთარი სამეფო. ისინი საკუთარ თავს იევუსებს უწოდებდნენ. ხეთების კავკასიელობას (კოლხობას) როგორც რუსი აკადემიკოსი ბ. კუფტინი წერდა, ისიც ადასტურებს, რომ ხეთურ ცილინდრებზე ქურუმებს ხელში კოლხური ცულები უჭირავთ.

როგორც 1948 წელს გამოცემული ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას „საქართველოს ისტორია“ წერდა.

ხეთურ-იბერიული მოდგმის ხალხები მცირე აზიაში, სამხრეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში ჯერ კიდევ 6000-5000 წლის წინ ცხოვრობდნენ. დედაქალაქი III ათასწლეულიდან იყო ხათუსა და ქვეყანას ერქვა ქალხეთი ე. ი. ქალდებისა და ხეთების ქვეყანა, რაც ბერძნების მოსვლის შემდეგ კოლხეთად შეიცვალა.

ხეთების საცხოვრისი არეალი ვრცელი იყო და მოიცავდა მცირე აზიას, სადაც ბოღაზქოიში 1906 წელს აღმოაჩინეს ხეთურ ენაზე (ლურმნულად) შესრულებული მრავალი ტექსტი, რაც ადასტურებს, რომ იქ, სწორედ, ხეთები ცხოვრობდნენ, ამასვე ადასტურებს ანატოლიაში მდინარე ღალისის არსებობაც. (საქართველოში არის მდინარე ღალიძგა და ორთავეს ფუძე ღალ-წყალი არის). ღალისის სათავეში, პარიადრეს მთიანეთში კი მდებარეობდა იბერიის ოლქი და ა. შ. დასავლეთ საქართველოს, სადაც ახლაც არის სოფელი ხეთა, დღევანდელ ისრაელს, სადაც ისინი ებრაელების მისვლამდე ცხოვრობდნენ და ჯერ კიდევ 5000 წლის წინ იქ დააარსეს ქალაქი იერუსალიმი. გვიან ისინი ებრაელთა მეფემ დავითმა დაიპყრო და დედაქალაქი იერუსალიმი სიონის მთაზე გადაიტანა (მოგვიანებით იქაური ხეთელები (იევუსები) ებრაელებს შეერწყნენ. ასე, რომ ებრაელთა ძარღვებში ჩვენი წინაპრების სისხლიც ჩქეფს.

XIV-XIII საუკუნეებში ხეთა იმდენად გაძლიერდა, რომ 1278 წელს მეფე ხატუშილ III ეგვიპტე და სირიაც კი დაამარცხა და იქ ცხენი და ორთვალიანი სამარი ეტლიც შეიყვანა. გამარჯვებულმა მეფემ ლოცვა ასე დაიწყო: „ჩემმა მზემ", რასაც ჩვენთან ახლაც ასე ამბობენ და ეს იმიტომ, რომ ხეთების (ე.ი. ჩვენი წინაპრების) მთავარი ღვთაება ქალღმერთი მზე იყო. ამ გამარჯვების შემდეგ, იმავე წელს, ხატუშილ III ეგვიპტის ფარაონთან დადო სამუდამო მეგობრობის ხელშეკრულება, რაც მსოფლიო ისტორიაში ჩვენამდე მოღწეული ამ ტიპის პირველი ხელშეკრულებაა.

ხეთა კულტურულ-რელიგიური თვალსაზრისითაც ძლიერ ქვეყანას წარმოადგენდა და მათ ჯერ კიდევ III ათასწლეულში შექმნეს საკუთარი იეროგლიფური (ხატოვანი და ლურსმული დამწერლობები), პირველი იურიდიული ტექსტები, „გილგამეშიანი" და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, ხეთების (და სუბარების) მთავარი ღვთაება იყო ქალღმერთი მზე, რომლის მეუღლე იყო ავდრის ღმერთი, ხოლო შვილი ტელეფინუ – ნაყოფიერებისა და მცენარეების ღმერთი.

XIII საუკუნის ბოლოს 1200 წ. ხეთა დაიშალა, მაგრამ IX საუკუნის დასაწყისში ხეთურ-სუბარული მოდგმის ხალხმა ბაიანმა მაინც შესძლო სხვა ხეთურ- სუბარული მოდგმის ხალხის (მათ შორის არახეთურ-სუბარული მანასაც) დამორჩილება და შექმნა ურარტუს (ხალდის) ქვეყანა, რომლებიც თავიანთ თავს სუბარს უწოდებდნენ.

ბასკები

ბასკები (ბასკურად ეუსკადია ჰქვია და ბისკაის ყურის სანაპიროზე ცხოვრობდნენ) თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ხალხია თავიანთი უძველესი ენითა და კულტურით. რა თქმა უნდა, ჩემს მიზანს არ წარმოადგენს ამ სტატიაში მათი ისტორია განვიხილო, არც ქართველებთან მათი ისტორიული კავშირების შესახებ ვისაუბრო ვრცლად, რადგან ამაზე იმდენი დაწერილა ქართველი თუ უცხოელი ავტორების მიერ, ოდნავ საფუძვლიანად მაინც რომ ვისაუბრო, ამას წიგნებიც კი არ ეყოფა. მინდა მხოლოდ იმაზე მივანიშნო, ჩვენ და ბასკები დასაბამიდან ერთნი რომ ვიყავით და ამის მაგალითები მოვიტანო.

პირენეის ნახევარკუნძულზე, დღევანდელი ესპანეთის ტერიტორიაზე, უძველესი მოსახლეობა იბერები (ბასკების წინაპრები) იყვნენ, რომლებიც გვადიანის ნაპირზე ცხოვრობდნენ, იქვე ცხოვრობდნენ კელტებიც, რომელთაგან, მხოლოდ ბასკები გადარჩნენ.

პირენეის ნახევარკუნძულზე ბასკების დამკვიდრების 4 ძირითადი ვარიანტი არსებობს: პირველი ვარიანტით ესპანეთის უძველესი მცხოვრებლები იბერები (ბასკების წინაპრები) იქ ატლანტისიდან მივიდნენ და დარჩნენ კიდეც ნახევარკუნძულის სანაპიროზე (იბერიად იწოდებოდა ნახევარკუნძულის ის ნაწილი სადაც მდინარე იბერუსი (ებრო) ოკეანეს ერთვის). პლატონი, მაგალითად, იმასაც კი წერდა, რომ ესპანეთის ქალაქი გადისი (კადისი) ატლანტთა პროვინციას წარმოადგენდა, ხოლო რუსი მეცნიერი ს. იშევსკი თვლიდა, რომ ძველი იბერიელებისგან (ატლანტისელებისაგან) მხოლოდ ბასკები და ქართველები გადარჩნენ.

მეორე ვარიანტით, ბასკები პირენეის იბერიული ტომის გასკონების (ვასკონების) შთამომავლები არიან, რომლებიც, როგორც თვითონ ბასკები თვლიან, იქ III ათასწლეულში აღმოსავლეთიდან სპილენძის

ძიებაში მივიდნენ და ძვ.წ.აღ XV საუკუნეში დიდი იმპერიაც შექმნეს.

მესამე ვარიანტით, რომელიც ერთ-ერთ უძველეს წერილობით ძეგლ „იბერიულ ტაბულაში“ არის მოცემული (ტაბულა 1975 წელს გაშიფრა შ.ხვედელიძემ) წერია, რომ ძვ.წ.აღ XV საუკუნეში საქართველოში მომხდარა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც ქართველთა ბელად როის უწინასწარმეტყველებია. მისი მოწოდებით მიწისძვრამდე თავის გადარჩენის მიზნით, საქართველოდან 400 000 კაცი დასავლეთისაკენ წასულა და მათი ნაწილი ბასკეთში, პირენეის მთებსა და ბასკეთის ყურის სანაპიროზე დამკვიდრებულა.

მეოთხე ვარიანტით ბასკები პირენეის ნახევარკუნძულზე აფრიკიდან მისულან და შემდეგ იქედან დიდ ბრიტანეთშიც გადასულან (აფრიკაში საიდან მივიდნენ, იქნებ ატლანტისიდან?).

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ბასკურ ენასაც, რომელიც ჯერ კიდევ 4700 წლის წინ გამოეყო ერთიან პროტოქართულ (კოლხურ, შუმერულ) ენას და ის ქართულის გარდა არცერთ სხვა ენას არ ჰგავს. ქართულთან კი მას საოცარი მსგავსება გააჩნია. უფრო მეტიც, ბასკურ-ქართული 1700 სიტყვა ერთნაირია, მათაც აქვთ მრგლოვანი ასოები და ენებს შორის არის დიდი მორფოლოგიური მსგავსება.

პირენელი იბერები (ბასკების წინაპრები) ყველაზე განათლებული და კულტურული ხალხი იყო და ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა, ლიტერატურული ძეგლები, თხზულებები, პოემები, 6000 წლის წინათ ლექსად დაწერილი სჯულდებანი, სიმღერები და ა. შ. განსაკუთრებით, განათლებულები იყვნენ ტრუდიტანის (სამხრეთის) იბერები.

ბასკებსა და ქართველებს შორის სხვა უამრავი მსგავსებაც არის. მაგალითად, ბასკური გვარების უმრავლესობა ქართული გვარების იდენტურია. მათი გვარებია: ალანია, ბედია, ბერია, ბადიაური, ბოკერია, გამირია, გიგაური, დანელია, ერისთავი, ემხვარი, კორშია, ლაშაური, ლოლუა, ლორია, მელია, მეუნარგია, ნარსია, ოჩიაური, ურიდია, ფილია, ტებოგარი და ა. შ.

გვაქვს ერთი და იგივე დასახელების დასახლებული პუნქტებიც. მაგალითად: არიანო (ჩვენთან ვარიანი), ბედია, გურგუგარენი (ჩვენთან გუგარენი), ვანა (ჩვენთან ვანი), თელავი, ლენტეხი, მესტია, ონართე (ჩვენთან ონარა) და ა. შ. მდინარეები რიო (ჩვენთან რიონი) და არაგვი და ა. შ.

არის სხვა მსგავსებებიც. მაგალითად, ბასკურ „იავნანაში" არის ლუა, რაც მეგრულად დაიძინეს ნიშნავს და სკუა, რაც ასევე მეგრულად შვილს ნიშნავს. გვაქვს ერთნაირი ტრადიციები, რიტუალები, თვლის სისტემა, მრავალხმიანი სიმღერები, ფიცხი ხასიათი, ვართ შავგრემანები და საგრძნობი ნაწილი ხვეულთმიანები და ბოლოს, როგორც ნ. ბრაუნი წერს, იბერიული ცეკვის კვალი ასევე ძლიერია მსოფლიო საცეკვაო ეთნოკულტურაში, განსაკუთრებით, კი ესპანურშიო.

ქალდები

როგორც ი. ჯავახიშვილი წერდა, ხალდე ანუ ქართუ, კარდუ, კარდუხი ჩვენს თავდაპირველ სამშობლოს წარმოადგენდა და მას ქალდეა ჰქვიოდა. ქალდები ცხოვრობდნენ შუამდინარეთში (I ათასწლეულის დასაწყისიდან), მცირე აზიაში (ვანის ტბის ირგვლივ), დასავლეთ საქართველოში, ქიმეთში (ეგვიპტე), ერაყსა და სუდანში. ქალდეა კოლხურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ისინი პირველად ძვ.წ. აღ IX ს. მოიხსენიებიან, როცა ბაბილონის სამხრეთით დამკვიდრდნენ და IX საუკუნეშივე ის დაიპყრეს.

ქალდები რომ ვანის ტბის (კოლა) ირგვლივ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ამას ადასტურებს ვანის ტბის ირგვლივ 1827 წელს ნახული ქალდეურ ენაზე შესრულებული უამრავი ლურსმული ნაწერებიც.

როგორც მკვლევარი ბ. სართანია თვლის, ქალდები ქართველთა წინაპრები იყვნენ და მათგან წარმოიშვნენ სპერები, რომელთაგან შემდეგ გაჩნდნენ ზანები, მესხები და სვანები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები – ქორთუ, სპერი კოლხებისაგან წარმოიშვნენ.

ქალდეა ურარტული სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა (ურარტუ მას ჩვენ შევარქვით) და ბერძნები მას გორდის, ხალდეს, ხალიბს ეძახდნენ. ქალდები კი უფრო კრებითი სახელია და მასში გორდის, ხალდეს და ხალიბის გარდა აგოროველები, არამეელები, ასირიელები, აქადები, კარდუხები, მესხები (მუსკები), ტაბალები, ტამალები, ტიბრები, ქასქები, შუმერები და ჰენიოხებიც იგულისხმებიან. ხალდეს, ხალობს უწოდებდნენ ურარტუს ჰ. მილეთელი და ქსენოფონტეც.

როგორც უკვე ვწერდი, მცირე აზიასა და დასავლეთ საქართველოში, ქალდები და ხეთები ცხოვრობდნენ, რის გამოც ქვეყანას ქალხეთი

– ქალდებისა და ხეთების ქვეყანა ჰქვიოდა, რაც იქ ბერძნების მისვლის შემდეგ კალხეთად – კოლხეთად გადაიქცა. ეს, რომ, სწორედ, ასე იყო, ამას ადასტურებს საქართველოში დღესაც არსებული სოფლები ხალდე და ხეთა, გვარი ქალდანი, ციხე ქალდეა, მდინარე კინტრიში (იქ მდინარე კინტრიტი) და ა. შ.

ქალდები და ზანები რომ ერთნი იყვნენ, ამას სტრაბონიც წერდა. ფაქტიურად იგივეს წერენ სომხური წყაროებიც, რომ ქალდები ჭანები (ზანები) იყვნენ.

ქალდები (კარდუხები) ბანანურ ენაზე ლაპარაკობდნენ და ისინი ზანების, მესხებისა და სვანების წინაპრები იყვნენ. სწორედ, მათ ტერიტორიაზე დაარსდა 3200 წ. ქალაქი კოლხა, რომელიც რამდენიმეჯერ „ყურანშიც“ კი არის მოხსენიებული. კოლხა – დედაქალაქი ქართველი ნაბუქოდონოსორის დროსაც იყო. გვიან კი მას იუდეველებმა ნიმროდი დაარქვეს.

ქალდეური ენა იყო ხეთურ-იბერიული (განსაკუთრებით ქართულის) აგებულებისა, ხოლო მათ მიერ შექმნილი კულტურა (მათ საკუთარი დამწერლობაც ჰქონდათ) ხეთურ-სუბარული ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენდა.

საინტერესოა ისიც, რომ იესო ქრისტეს სალაპარაკო ენა ქალდეური პროტოქართული ენა ყოფილა. ამ აზრის არიან ლევინსონი, ლიმენი, ფრიდრიხი, ცებიში, ჰომელო, სომხური წყაროები და ა.შ. ცებიში იმასაც კი წერდა, რომ ღმერთების ენა იბერიულ-ქართულ ენაშია დავანებული.

იესო რომ ქალდეურად ლაპარაკობდა, ამას ადასტურებს ნაბუქოდონოსორის სასახლის კედელზე იესოს ხელით გაკეთებული ქალდეური წარწერაც, რაც, მხოლოდ ქალდეველმა დანიელ წინასწარმეტყველმა გაიგო და ნიშნავდა „ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე?“ („ელი, ელი, ლამა საბაქთან“).

რადგან იესო ქალდეურ (ე. ი. პროტოქართულ) ენაზე ლაპარაკობდა, სწორედ, ამიტომ დაწერა იოანე ზოსიმემ, რომ იესო ქრისტე მეორედ მოსვლისას ყველას ქართულ (ე.ი. ქალდეურ) ენაზე განიკითხავსო.

როგორც ზემოთ ვწერდით, IX საუკუნეში ქალდები სამხრეთ მესოპოტამიაში შევიდნენ, ხოლო მოგვიანებით (იმავე საუკუნეში) მთელი ბაბილონიც დაიპყრეს. VIII საუკუნეში კი შექმნეს ხალდიას

სამეფო, რომლის ცენტრს ტრაპეზუნი წარმოადგენდა. VII საუკუნეში ბაბილონი აუჯანყდა ასურეთს. აჯანყებას ქალდელი ნაბუფალასარი ხელმძღვანელობდა, რომელიც გამეფდა კიდეც ბაბილონში და საფუძველი ჩაეყარა ახალი ბაბილონის ქალდეურ დინასტიას (ნაბუქოდონოსორ II) და ბაბილონი გახდა ასურეთიდან დამოუკიდებელი. თვითონ ქალდეველები კი იერუსალიმსა და პალესტინაში VIII-V საუკუნეში ბატონობდნენ, ხოლო ძვ.წ.აღ 540 წელს კიდევ უფრო გაძლიერებულმა ქალდეამ ბაბილონი და სირიაც დაიპყრო და შექმნა დიდი იმპერია, სადაც ჰქონდათ საკუთარი ტაძარი, ენგური და დაიწყეს ქრისტიანობის გავრცელება, რისთვისაც ისინი პალესტინიდან განდევნეს. განდევნილებმა ევფრატის სათავეებთან ააგეს ციხესიმაგრე ჯიბერი (მეგრულად მტკიცე), რომელსაც ისინი X საუკუნემდე ინარჩუნებდნენ.

კრეტა და კრეტელები

კუნძულ კრეტას (კარიეთს) რომელიც ცენტრს, შემოფარგლულ მიწას ნიშნავს, ბიბლიის მიხედვით ქართი ჰქვიოდა, ხოლო ერთ მხარეს, კუნძულზე, დღესაც ლაზეთი ჰქვია.

უნდა ითქვას, რომ ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზების პირველი ამთვისებლები კოლხები იყვნენ, რომლებიც იქ 8500-8000 წლის წინათ მივიდნენ ბერძნების გამოჩენამდე, XV საუკუნემდე დომინანტობდნენ კიდეც და იქ, ენაც და კულტურაც, ბუნებრივია, კოლხური, ე. ი. იბერიულ- პროტოქართული იყო. ბერძენი მეცნიერი კაფანტარისიც წერს, რომ კრეტაზე კოლხები ცხოვრობდნენ და ისინი ბატონობდნენ (ჰეგემონები იყვნენ) კიდეც მთელს ხმელთაშუა ზღვაზე (კუნძულ ევბეაზეც კოლხური სახელმწიფო არსებობდა).

საინტერესოა, რომ ერთმანეთს ჰგავს კრეტული, ინდიელთა, შუმერთა, ეგვიპტელთა, ძველ ევროპელთა და ოკეანიის კუნძულთა დამწერლობები – იდიოგრამები, ხოლო ლემნოსური და მინოსური დამწერლობები, რომლებიც კოლხებმა შექმნეს,უნებლიეთ აჩენს საფუძვლიან ეჭვს კრეტის პირველ ამთვისებელთა წარმომავლობით კავშირზე ატლანტისელებთან (გუანჩები ხომ ატლანტისელთა გადარჩენილ ნაწილად მოისაზრებიან).

სტრაბონი ხაზგასმით წერს, რომ კრეტაზე, ევბეაზე, სამოთრაკეზე,

სხვა კუნძულებსა და ფრიგიაში მეტალურგიის ღვთაებები, კორიბანტები, ჰელიოსის ვაჟები და აიეტის ნახევარძმები კოლხეთიდან იყვნენ მისულები. წინა ბერძნული, კოლხური სახელმწიფოები კი, იქ, 2000 წ. შეიქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებისათვის დღეს სადავო აღარაა, რომ მინოსურ ეპოქაში კუნძულ კრეტაზე კოლხები ცხოვრობდნენ და მათი მეფეც კოლხი მინოსი იყო, რომლის ცოლიც აიეტის და, ასევე კოლხი პასიფეა იყო და ასევე კოლხები ცხოვრობდნენ ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულებზეც. „კულტუროლოგიის" სახელმძღვანელოში 333 გვერდზე მაინც დაჟინებით წერია, რომ იქაური წინა ბერძნული მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობა დაუდგენელიაო, რაც, რა თქმა უნდა, მტკნარი სიცრუეა.

კი, მაგრამ, ის რაც სტრაბონიდან მოყოლებული მეცნიერების დიდი ნაწილის ჩათვლით თუკი გასაგებია (რომ წინა ბერძნული მოსახლეობა კუნძულებზე და სხვაგანაც პროტოქართული-კოლხური-იბერიული იყო), რატომ ვერ გახდა გასაგები და სარწმუნო ეს ამ სახელმძღვანელოს შესაბამისი თავის ავტორისათვის? ამას, ხომ სერიოზული დასაბუთება უნდა, რაც მასში არ ჩანს.

ტრაგიკული მოვლენები კრეტელებისათვის ძვ.წ.აღ 1500 წელს დაიწყო, როცა კუნძულ თერაზე ვულკანმა ამოხეთქა, მან კრეტამდეც მიაღწია და იქ ბევრი რამ გაანადგურა. ამით ისარგებლეს აქაველებმა და კრეტაზე ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს. XIV საუკუნეში კი აქაველებმა კუნძული მთლიანად ჩაიგდეს ხელში და იქ ბერძნული ენა, კულტურა და მიკენური (ბერძნული) ცივილიზაცია გაბატონდა. სწორედ, აქედან დაიწყო ბერძნული ცივილიზაცია, რომელიც მინოსურის (ე. ი. კოლხურის) დიდ გავლენას განიცდიდა.

სუბარები

6000 წლის წინ, მთელ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ასურეთის ჩათვლით, ტიგროსის ზემო დინების აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში, ევფრატის ზემო დინებაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, მცირე აზიასა და კავკასიაში ცხოვრობდა სუბარების (სუბართუ) იბერიული ტომის ხალხი, რომლებმაც IV ათასწლეულში უკვე შექმნეს საკუთარი სახელმწიფო, ხოლო II ათასწლეულში იეროგლიფური (ხატოვანი) და ლურსმული დამწერლობები. მათი ენა ენათესავებოდა თანამედროვე

ქართულს, თუმცა სუბარული სიტყვების დიდი ნაწილი ხურიტულია (საგრძნობი ნაწილი კი ზაგროს-ელამურიდან არის) და ეს, არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან სუბართუ ხომ ხურიტული ტომებისაგან შედგებოდა.

სუბარების საცხოვრისის სამხრეთ ნაწილს ჰარის უწოდებდნენ. II ათასწლეულში სუბართუ ხურიტებით იყო დასახლებული და მალე საკუთარი სამეფო შექმნეს, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს ისე გაძლიერდა, რომ შექმნეს საბრძოლო ეტლები, რკინის იარაღები და დაიპყრო ასურეთი და სირია, ხოლო ეგვიპტეს წარმატებით ებრძოდა და იქ, თავისი გამოგონილი საბრძოლო ეტლები შეიტანა.

XIV საუკუნეში სუბართის დედაქალაქი იყო ფაზისურა, ფაზისყანა (ვენახოვანი), ხოლო ერთ-ერთ ქალაქს ბაბილოვანი (ვაზის ლერწი, ტოტი) ერქვა. მოგვიანებით, ეს სახელი ქალაქ ბაბილონსა და ქვეყანა ბაბილონსაც დაერქვა. ამ ქართული სამეფოს მეფე იყო რატი, ხოლო მთავარსარდალი მეფის ძმა ართაშური. მეფის შვილი, ნეფერტიტი (თათუ), კი ეგვიპტის ფარაონ ეხნატონის ან უნაჩანის ცოლი იყო (ნეფერტიტი ნიშნავს უცხოეთიდან ჩამოსულ ლამაზ ქალბატონს).

ნეფერტიტის (თათუს) სიკვდილის შემდეგ ქვეყანას ათი წლის ნეფერტიტის შვილი თუთქანქი-ათენა მართავდა, რომლის მრჩეველი კოლხი უმაღლესი ქურუმი აიე იყო. თუთანჰამონის დედის ბიძა რატის ძმა კი, აიე იყო ქვეყნის ფაქტიური მმართველი და ის თუთანჰამონის შემდეგ მთელი 10 წელი მართავდა ქვეყანას. ნეფერტიტის შვილი ათენა კი შემდეგში ქართველი მეფის ქადაშმანის ცოლი გახდა ერაყში.

II ათასწლეულის ბოლოს სამეფი წვრილ-წვრილ სამეფო-სამთავროებად დაიშალა. მაგალითად, სუბართის (XI ს.), მუსკების (X ს.), თუბალების (IX ს.) და ა. შ. თავის მხრივ, თუბალთი იმდენად დიდი იყო, რომ მასში 24 სამეფო-სამთავრო შედიოდა. მისი ერთ-ერთი დიდი ქალაქი იყო მელითი. „ბიბლიაშიც" კი წერია, რომ თუბალ-კაინის ქვეყანა იყო კვერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა (კაინი მჭედელს ნიშნავს). სუბარებმა რკინის გამოყენება II ათასწლეულის შუა ხანებიდან დაიწყეს, ხოლო „გილგამეშიანი" და პირველი იურიდიული ტექსტები უფრო ადრე შექმნეს.

IX საუკუნის დასაწყისში ხეთურ-სუბარული მოდგმის ხალხმა, ბა-

იანმა, დაიმორჩილა სხვა ხეთურ-სუბარული მოდგმის (არა ხეთურ-სუბარული მანაც) ხალხი და შექმნა ურარტუს (ხალდეს) ქვეყანა, რომლის მაცხოვრებლები თავიანთ თავს სუბარებს უწოდებდნენ.

ვაგრძელებთ საუბარს პროტოქართული წარმომავლობის ხალხების შესახებ და ამჯერად, იმ კვალის შესახებ მოგითხრობთ, რაც მათ საბერძნეთის ტერიტორიაზე დატოვეს.

ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების კუნძულებზე შეიძლება ითქვას ყველაზე მძლავრად ჩანს ქართული კვალი, რადგან მათი პირველამთვისებლები ხომ პროტოიბერები (კოლხები, პელაზგები) იყვნენ.

პირველი ბერძნები ბალკანეთზე ძვ.წ.აღ 2500-1600 წლებში გამოჩნდნენ და სწორედ, აქედან გადავიდნენ შემდეგ ისინი კუნძულებზეც, მათ შორის, ეგეოსის აუზშიც და დაიწყეს პროტოქართველი აქაველების, იონიელებისა და პელაზგების განადგურება, რაც ძვ.წ.აღ XII საუკუნეში დაასრულეს კიდეც, მათთან ასიმილაცია კი ძვ.წ.აღ. VII საუკუნეში დამთავრდა.

როგორც სტრაბონი წერდა, კუნძულ ევბეაზე, კრეტაზე, სამოთრაკზე, სხვა კუნძულებსა და ფრიგიაში აიეტის ნახევარძმები, კორიბანტები, მეტალურგიის ღვთაებები და ჰელიოსის ვაჟები კოლხეთიდან იყვნენ მისულები, ხოლო ბერძენი – იბერთ ძენს ნიშნავს.

მცდარია ყველა ის მოსაზრება, რომელშიც ხაზს უსვამენ, რომ თითქოს და კაცობრიობის პირველი ცივილიზაცია ბერძნებმა შექმნეს. არაბერძნული (ელინური) ცივილიზაცია კაცობრიობის მხოლოდ რიგით მეორე ცივილიზაცია იყო და ის კოლხურ-იბერიულ, ანუ პელაზგურ და ტროას ცივილიზაციებზე დაყრდნობით აღმოცენდა.

ინგლისელი მეცნიერი ჩედვიკი საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ ძვ.წ.აღ XX საუკუნეში ბერძნული ენა არც კი არსებობდა და ის მხოლოდ ბერძნების მიერ სხვათა მიწების დაპყრობის შემდეგ შეიქმნა, ადგილობრივ მკვიდრთა (ე.ი. კოლხ-იბერთა, პელაზგთა) ენასთან შერევით. სწორედ, ამიტომ არის, როგორც ავსტრიელი მეცნიერი კრეჩმერი წერს ბერძნულ ენაში პელაზგურიდან და წინა ბერძნულიდან (ე.ი. პროტოქართულიდან ვინც იქ ცხოვრობდა) შესული სიტყვები მრავლად. უფრო კატეგორიულები არიან იგივე კრეჩმერი, მეი (საფრანგეთი), შაშენმაიერი (ავსტრია) და შვიცერი (შვეიცარია), როცა წერენ,

რომ წინაბერძნული მოსახლეობის ენების გასაცნობად აუცილებლად ქართველურ ენებს უნდა მივმართოთ.

ასე, რომ ძველი ბერძნული ენა სულაც არ არის დამოუკიდებელი და ორიგინალური წარმოშობის, ხოლო რაც შეეხება ბერძნულ დამწერლობას ის უფრო ეგვიპტურის საფუძველზე არის შექმნილი.

ი ბ ე რ ე ბ ი

მეცნიერებისათვის იბერების განსახლების სამი ძირითადი არეალი არის ცნობილი: პირველი – ატლანტისი, მეორე – პირენეის ნახევარკუნძული და მესამე – კავკასია.

ატლანტისზე რომ იბერები (კოლხი, კოლხუა იბერები) ცხოვრობდნენ და მისი ჩაძირვის შემდეგ გადარჩენილები მთელს მსოფლიოში გაიფანტნენ, ამის თაობაზე ზემოთ არაერთგზის ვწერდით. ამჯერად, კი, უფრო დაწვრილებით ესპანეთისა და კავკასიის იბერებზე მოგითხრობთ.

ყველაზე უძველესი ხალხი, რომლებიც პირენეის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ იყვნენ იბერიელი პიქტები, რომლებიც 8500 წლის წინათ საცხოვრებლად ბრიტანეთის კუნძულებზე გადავიდნენ. აქ თუ გავიხსენებთ ატლანტისის ჩაძირვის თარიღსაც (11 000 წლის წინათ მოხდა), მაშინ გამოდის, რომ ატლანტისიდან გადარჩენილი იბერები იგივე პიქტები ხომ არ იყვნენ?

რაც შეეხება თავად ესპანეთის იბერებს, ისინი თავდაპირველად 5000 წლის წინათ გალისიაში ცხოვრობდნენ და ამ ქვეყნის ერთ-ერთ უძველეს მოსახლეობად ითვლებიან იბერიული პიქტების შემდეგ. ძვ.წ.აღ VII-III საუკუნეებში კი ისინი უკვე მთელს პირენეიზე ცხოვრობდნენ. ერთი ვარაუდით იბერები პირენეიზე ჩრდილოეთ აფრიკიდან მივიდნენ, მაგრამ გასარკვევია აფრიკაში საიდან მოხვდნენ და ხომ არ არიან ისინი გადარჩენილი ატლანტისელი იბერების მემკვიდრეები?

ესპანეთის იბერთა ერთ-ერთი მოწინავე ტომი იყო ტრუდედანტები, რომლებიც ანდალუსიასა და მურსიაში ცხოვრობდნენ და სადაც ძვ.წ.აღ 1100 წლიდან ტარტესის სახელმწიფო არსებობდა.

ძვ.წ.აღ VI-III საუკუნეებში პირენეელი იბერები და ესპანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები კელტები ერთმანეთს შეერწყმნენ და ჩამოყალიბდა ახალი კელტ-იბერთა ტომი.

ესპანელი იბერები მაღალი განვითარების ხალხს წარმოადგენდა, რაზეც ისიც მიუთითებს, რომ მათ საკუთარი დამწერლობაც ჰქონდათ. მოგვიანებით, ისინი ჯერ კართაგენელებმა, ხოლო ძვ.წ.აღ III-II საუკუნებში რომაელებმა დაიპყრეს და მოხდა იბერიის რომანიზაცია.

რაც შეეხება იბერიულ ენებს მათში პირენეის და სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის ტერიტორიების ენები შედიან და მათი წარწერების უმრავლესობა ფინიკიურ დამწერლობას, ხოლო ზოგიც კრეტულს უახლოვდება და დღემდე არ არის გაშიფრული. მეცნიერები ამ ენებს ბასკურის წინაპარ ენებად მიიჩნევენ.

კავკასიელი იბერები, იბერ-ივერიელები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ხალხი იყო და მათ იქ საკუთარი სახელმწიფოც ჰქონდათ. ივერია კი მთელს საქართველოს ჰქვიოდა (დასავლეთს – ქვემო ივერია და აღმოსავლეთს – ზემო ივერია ეწოდებოდა) ეს სახელი მას ელინისტურ ხანაში შეერქვა.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ნიკო მარის მოსაზრებით, ქართველი იბერიელები მცირე აზიიდან არიან მოსულები და ბასკებისა და ურარტუელების ნათესავები იყვნენ, მაგრამ ის უფრო შორს აღარ მიდის და არ, ან ვერ, აკონკრეტებს, თუ, საიდან მოხვდნენ ისინი მცირე აზიაში.

მოგვიანებით ბერძნები ივერიას ქართლსაც უწოდებდნენ, მასში დიდი როლს მესხები თამაშობდნენ, რომლებიც მცირე აზიაში, ხეთურ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტში ცხოვრობდნენ.

ურარტუ

ერთ-ერთი უძველესი პროტოქართული ქვეყანა იყო ურარტუ, რომელსაც ბერძნები გორდის, ხალიბს, ხალდის უწოდებდნენ. ხალიბს, ხალდის უწოდებდნენ მას ჰ. მილეთელი და ქსენოფონტეც, სადაც ხალიბი – ძველი, ხოლო ხალდი – უფრო გვიანდელი ტერმინია.

ურარტუ ასურული სახელია და ის ჩვენ შევარქვით მას. ურარტუს ხალხი კი თავიანთ თავს ბიაინალის ეძახდნენ.

ურარტუ (ბიაინალი) ძვ.წ.აღ II ათასწლულში მითანის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ძვ.წ.აღ XIII ს. დამოუკიდებლობის მოპოვება შესძლო, ხოლო ძვ.წ.აღ IX ს. შექმნა დიდი და მძლავრი სამეფო, რომლის დედაქალაქი ტუშფა (ვანი) გახდა. არსებობს მოსაზრება, რომ

საქართველოში მდებარე ქ. ვანის სახელწოდებაც ურარტული წარმოშობის არის.

ურარტუ იმდენად მძლავრი ქვეყანა გახდა, რომ მან IX საუკუნეშივე შეავიწროვა ასურეთი, დაიპყრო ვანის ტბასთან მდებარე მხარე ხუბუშქია, მუსასირი, ურმიის ტბასთან მდებარე მანა, ამიერკავკასიის მიწების ნაწილი, დიაოხი, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე არმავირი და წარმატებით ებრძოდა კოლხასაც, მაგრამ ასეთი წარმატებები დიდხანს არ გაგრძელებულა და ძვ.წ.აღ VII ს. ურარტუ და კიმერიელები ისევ დაახლოვდნენ და მათ ერთობლივად ილაშქრეს მცირე აზიაში და გაანადგურეს ფრიგია (მუშქები). ძვ.წ.აღ VI ს. ურარტუ ისე დასუსტდა, რომ ის იოლად დაიპყრეს ბაბილონმა და მიდიამ. მისი ჩრდილოეთი ნაწილი კი ამიერკავკასიელებმა და სკვითებმა დაიპყრეს.

ჰეროდოტეს აზრით, ურარტუელთა შთამომავლები არიან ალაროდიელები, მატიენები და სასპერები.

ურარტუს მაღალგანვითარებული კულტურა ჰქონდა და მან საკუთარი ლურსმული (სოლისებრი) დამწერლობაც კი შექმნა(გადიოდა ასურეთისაგან), რომელზედაც შესრულებული პირველი ტექსტები ძვ.წ.აღ IX ს. მიეკუთვნება. ურარტული ენა ხურიტულს ენათესავებოდა (რომელიც მითანელთა ენას წარმოადგენდა) და ჰგავდა ქართველურ ენებს. ურარტული ენის ცალკეული სიტყვები დღესაც არის შემორჩენილი ქართულ ენაში.

ბაბილონი

ბაბილონი III ათასწლეულში, ევფრატის სანაპიროებზე დააარსეს შუმერებმა. მისი მეფეებიდან განსაკუთრებით ცნობილია ძვ.წ.აღ XVIII ს. მოღვაწე ჰამურაბი, თავისი ლეგენდარული კანონებით. ბაბილონი ძვ.წ.აღ III საუკუნემდე ძველი აღმოსავლეთის ცენტრს წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს მისი აღება მოახერხეს კიროს II, ალექსანდრე მაკედონელმა და სელევკე I.

ბაბილონურ-ასურული კულტურა წარმოადგენდა IV-I ათასწლეულებში შუმერების, აქადების, ასურელებისა და ბაბილონელების მიერ შექმნილ კულტურას და იყო ძალიან მაღალი დონის. ისინი ჯერ კიდევ III ათასწლეულიდან ფლობდნენ მეტალურგიას, ოქროსა და ვერცხლის დამუშავების ტექნოლოგიებს, იცოდნენ საომარი ეტლების

აგება, ჯაჭვის პერანგისა და ხმლის გამოყენება, უკვე II ათასწლეულში ჰქონდათ რკინა, ალმასის ბურღი, წყლის ამოსაქაჩი ბორბალი (II-ათასწლეულის ბოლოს), ფლობდნენ მეცნიერულ ცოდნას, ანგარიშს, იცოდნენ მათემატიკური რიცხვები და მათი გამრავლება, გაყოფა, ფესვის ამოღება, განტოლებათა ამოხსნა, სხვადასხვა მათემატიკური ცხრილების შედგენა, პითაგორას თეორემა პითაგორამდე 1000 წ. ადრე, ხაზვა, ქიმია (II ათასწლეულში ჰქონდათ ბრინჯაო), ადგენდნენ მსოფლიოს რუკებს, ჰქონდათ მაღალი დონის მედიცინა (მათ შორის ვეტერინარიაც, ქირურგია, ასტროლოგია, ასტრონომია, იცოდნენ მაღალი დონის ზუსტი კალენდრების შედგენა, მაღალ დონეზე იყო ისტორია, ფილოლოგია, რელიგია, მითოლოგია, მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება და მრავალი სხვა, და ეს ყველაფერი მათ მიიღეს ჩვენი წინაპარი შუმერებისაგან.

ერთი სიტყვით, ბაბილანური ცივილიზაცია წარმოადგენდა შუმერული ცივილიზაციის ბოლო ფაზას.

ბაბილონი IX ს. დაიპყრეს ქალდებმა, VI ს. აქემენიდურმა ირანმა, IV ს. სელევკიდებმა და მისი კულტურა მოექცა სპარსული და გვიანდელი ელინისტური კულტურის გავლენის სფეროში.

ა ფ რ ი კ ა

რა გინდ გასაკვირი უნდა იყოს, პროტოაფრიკული კულტურა იბერიულ კულტურად ითვლება, რასაც საფუძველი შორეულ წარსულში ჩაეყარა (აქ ჩვენ უკვე აღარ შევეხებით ქიმეთსა (ეგვიპტე) და სუდანს, რადგან ზემოთ მათზე ცალ-ცალკე უკვე ვისაუბრეთ).

პროტოქართველთა აფრიკის კონტინენტზე მოხვედრა უძველეს „იბერიულ ტაბულაში" არის გადმოცემული, რომელიც შ. ხვედელიძემ 1975 წ. გაშიფრა. ძვ.წ.აღ XV ს. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც ქართველთა მაშინდელ ბელადს როის უწინასწარმეტყველებია და ხალხისათვის თავის გადარჩენის მიზნით ქვეყნის დატოვება ურჩევია. ხალხს როისათვის დაუჯერებია და დასავლეთისაკენ დაძრულა. მათი დიდი ნაწილი ჩრდილოეთ აფრიკაშიც შესულა და საცხოვრებლად დღევანდელი ტუნისისა და ლიბიის ტერიტორიაზე დარჩენილა. სწორედ, ასე გაჩნდა ჩრდილოეთ აფრიკაში კართაგენი – ქართთა გენი, აია (ტრიპოლს

ჰქვიოდა), მთა მაღალია (კართაგენთან დღესაც ასე უწოდებენ მას) და ა.შ.

ლიბია-ტუნისის მთიელები კი თავიანთ თავს დღესაც ქართებს ეძახიან, ხოლო ტუნისელები თავიანთ წინაპრებად საერთოდაც იბერიელებს მიიჩნევენ, ამიტომ არც ისაა გასაკვირი, კართაგენის ერთ-ერთი ლიდერი ქართალონი რომ იყო, ხოლო ბერბერული ენა, რომელიც მთელი ჩრდილოეთ აფრიკის ვრცელ ტერიტორიაზე არის გავრცელებული და მასზე მრავალი მილიონი ადამიანი ლაპარაკობს, ჰგავს კოლხურს (დღევანდელ მეგრულს).

ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო ჩანაწერები გააკეთა ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა ელისეევმა მაროკოს ქ. ურგალაში, სადაც ის გადააწყდა იქაურ შავკანიან ქართველებს, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ ენა, გვარები, ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი. მათი კულინარია კი ჰგავს მეგრულ კულინარიას და ა. შ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

საფრანგეთი

პირველ ქართველთა (პროტოიბერთა) კვალი დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორიაზე არის შემორჩენილი, რომლის პირველი ამთვისებლები ცნობილი მეცნიერის ბ. გრეინშპოლკის აზრით პროტოქართველები იყვნენ.

იგივე აზრისაა ე. დემოლინსიც, რომელიც თვლის, რომ იბერების საფრანგეთში ცხოვრების კვალი შემონახულია და ეს კვალი არის ფრანგულ ენაში არსებული ადგილებისა და მდინარეების სახელწოდებებში.

პლუტარქეს კი მიაჩნდა, რომ ფრანგთა წინაპარი გალები (გელები) კოლხები იყვნენ. კიდევ უფრო ღრმა არის ეს კვალი კორსიკაზე, სადაც ჰუმბოლდტის აზრით, დასაბამიდან იბერიული ენა ბატონობდა.

კორსიკელები თავიანთ კუნძულსა და ენას დღესაც ქართს უწოდებენ და თავიანთ წარმოავლობას ასეთნაირად ხსნიან: ძვ.წ.აღ VI ს. საქართველოში ძლიერ მიწისძვრა მომხდარა, რაც ქართველთა მაშინდელ ბელადს როის ნაადრევად უწინასწარმეტყველებია და ხალხისათვის თავის გადარჩენის მიზნით, ქვეყნის დატოვება მოუწოდებია. მისი მოწოდებით 400 000 კაცს მართლა დაუტოვებია ქვეყანა და დასავ-

ლეთისაკენ წასულა. აი, სწორედ, ამ 400 000 კაცის ნაწილი დარჩენილა და დასახლებულა კირსიკაზე, როგორც მისი პირველამთვისებლები. ყველაფერი ეს კი წერია „იბერიულ ტაბულაში", რომელიც 1975 წ. წაიკითხა და გაშიფრა შ. ხვედელიძემ.

საინტერესოა, რომ კორსიკელებმა დღემდე შემოინახეს ჩვენნაირი ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, სამზარეულო (ძირითადად მეგრული კულინარია) მრავალხმიანი სიმღერები, ცეკვები და ა. შ. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის კომპლექსური შესწავლა მომავლის საქმეა და ის უფრო მრავალფეროვან მასალას მოგვცემს აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად.

ფ რ ი გ ი ა (მუშქები)

IV-III ათასწლეულებში მთელს მცირე აზიაში მხოლოდ ფრიგელები (მუშქები) არ იყვნენ ინდოევროპელები, რომლებმაც ძვ.წ.აღ XII ს. შუამდინარეთში საკუთარი სახელმწიფოს შექმნაც კი მოახერხეს.

როგორც სტრაბონი წერდა, ფრიგიაში აიეტის ნახევარძმები, კორიბანტები, მეტალურგიის ღვთაებები და ჰელიოსის ვაჟები კოლხეთიდან იყვნენ მისულები. თავიდან ფრიგიელები ბალკანეთში (თრაკიაში) ცხოვრობდნენ და მცირე აზიაში ძვ.წ.აღ IX ს. გადმოვიდნენ. VIII ს. კი შექმნეს საკუთარი სამეფო, თუმცა VIII საუკუნეშივე მათ კიმერიელები შეესივნენ, ხოლო VII ს. ის ლიდიის ქვეშევრდომი გახდა.

ფრიგია ძალიან მაღალი განვითარების ქვეყანა იყო, რომელსაც ჰქონდა საკუთარი წარმოების ბრინჯაო და რკინა, მოიპოვებდნენ ოქროს და ამუშავებდნენ მას ძალიან დიდი ოსტატობით, ფლობდნენ ქსოვის უმაღლესი დონისა და ხის დამუშავების ოსტატობას, შექმნეს ანბანური დამწერლობა (ჩვენამდე არის მოღწეული ძვ.წ.აღ VIII-V ს. ფრიგიულ ენაზე შესრულებული ტექსტები), სალამური, ფლეიტა და მრავალი სხვა.

ფრიგიელებმა ძვ.წ.აღ VII ს. მსოფლიოში პირველებმა მოჭრეს ფულის ერთეული – მონეტაც.

ფრიგიის დედაქალაქი იყო გორდიონი, სადაც არქეოლოგებმა გათხრებისას ძვ.წ.აღ VIII ს. ძეგლებს მოაკვლიეს. გორდიონი ძვ.წ.აღ. VII ს. კიმერიელებმა დაანგრიეს.

ირანი

ქართული კვალი (თუმცა მკრთალი) შემორჩენილი არის ირანშიც, სადაც ზაგროსის მთიანეთში (სამხრეთ-დასავლეთით) ძალზე მაღალგანვითარებული ხალხი ცხოვრობდა და სავარაუდოდ, ისინი კოლხი-იბერები უნდა ყოფილიყვნენ.

გვიან, III ათასწლეულიდან კი, ირანში ელამური ხანა დაიწყო და იქ შუმერიდან აქადური ლურსმული დამწერლობაც გავრცელდა, რომელმაც სათავე შუმერული პიქტოგრაფიიდან აიღო. ეს დამწერლობა ფართოდ გამოიყენებოდა, რადგან ელამში ძირითადად აქადურად წერდნენ. ძვ.წ.აღ VII ს. ელამი მიდიაში შევიდა.

ძვ.წ.აღ I ათასწლეულის ბოლოს კი მიდიაში არიელებიც შეიჭრნენ. შეიძლება ითქვას, რომ მიდიელები და არიელები ერთნი იყვნენ და ამიტომ, მათი ენებიც ერთმანეთის მსგავსნი არიან. სწორედ, იქ მოხდა კიროს II დროს (550-530წ.) ლურსმული დამწერლობის ფორმირება, სადაც ასევე იყენებდნენ აქადურ (ბაბილონურ), ელამურ და ძველ სპარსულ ენებსაც. ყოველივე ამის თაობაზე ძალზე საინტერესოდ მოგვითხრობს ცნობილი მეცნიერი ბ. გრეინშპოლკი თავის წიგნში „არიელები და იბერიელები".

მიდია ირანის ჩრდილო-დასავლეთში მდებარეობდა და მისი დაარსება მედეასა და მის ვაჟს მიეწერება. წერილობით წყაროებში ის პირველად IX ს. იხსენიება, ხოლო VII ს. შექმნილი სამეფო იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან მალევე დაიპყრო მანა, ასურეთი, ურარტუ და მცირე აზია, მაგრამ ამ წარმატებებს წერტილი კიროსმა დაუსვა, რომელმაც მიდია დაიპყრო.

რაც შეეხება მიდიურ დამწერლობას, ის ურარტულიდან განვითარდა.

აინები

აინები ძირითადად იაპონიის კ. ჰოკაიდაზე ცხოვორბენ, თუმცა მცირე ნაწილი სხვა ახლომდებარე კუნძულებზეც არიან და მათი საერთო რაოდენობა სულ რაღაც 20000-მდეა. მართალია, მათი წარმომავლობა უცნობია, თუმცა, ზოგი მეცნიერი მაინც ფიქრობს, რომ ისინი გაფანტულ ატლანტისელთა შთამომავლები უნდა იყვნენ და აქედან გამომდინარე, კავშირი აქვთ კოლხუა-იბერებთან.

საინტერესოა ისიც, რომ მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აინები, ერთადერთნი არიან, რომლებიც არ ჰგვანან აზიელებს არც ფიზიკურად (დიდები არიან), არც კანის ფერით (თეთრები არიან) და სახეზე ამოსდით წვერი.

თავი რომ დავანებოთ სხვა ლიტერატურას, თვით ქართულ ენციკლობედიაშიც კი, არაფერი არ წერია თუნდაც ჰიპოთეზის დონეზე, რომ ამ ხალხს შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდათ ატლანტისელ კოლხუებთან (იბერებთან). მაშინ, როცა, რუსი აკადემიკოსი რ. შენკი, ხაზგასმით წერს, რომ კოლხებმა იაპონიამდეც კი მიაღწიესო, ხომ შეიძლება ასეთი ვერსიის დაშვება, რომ აინები იყვნენ აინები აიადან და იქნებ სწორედ, ამიტომ ჰქვიათ მათ აინები (ე.ი. აინები აიადან), მითუმეტეს, რომ მათ დღემდე აქვთ შემორჩენილი ტირიფის ტოტზე ლოცვა (ხომ არ გაგონებთ ეს პროცესი ჩვენში გავრცელებულ ტირიფობასა და გურული ჩიჩილაკის ტრადიციას?)

კიდევ უფრო მეტი ბურუსითაა მოცული, თუ რას უნდა გამოეწვია აინური და ბასკური (ე.ი. პროტოქართული) ენების მსგავსებაც.

ი ნ დ ო ე თ ი

როგორც ზემოთ უკვე ვწერდით, პროტო-ქართველთა განსახლების ერთ-ერთ არეალად ინდოეთიც არის მოხსენიებული, სადაც დრავიდების ოჯახის წარმომადგენელი თამილები მე-3 ათასწლეულში ხმელთაშუა ზღვიდან მისულან საცხოვრებლად და 3 200 წელს იქ ჰარაპის ცივილიზაციაც შეუქმნიათ. ძვ.წ.აღ. პირველი ათასწლეულის დასაწყისში კი, ისინი იქედან შრილანკის (ცეილონის) კუნძულზეც გადასულან და დღეისათვის იქ ცხოვრობს თამილების ორი ჯგუფი – უძველესი ლანკელი თამილები და გვიან მოსული ინდოელი თამილები, რომელშიც მალაიალებიც შედიან.

ძვ.წ.აღ მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში ინდოეთში ჩრდილო-დასავლეთიდან არიელებიც მივიდნენ, რომლებიც მოგვიანებით ინდოარიელებად ჩამოყალიბდნენ და ძვ.წ.აღ. პირველი ათასწლეულის შუა ხანებში შრილანკაზეც გადავიდნენ. ძვ.წ.აღ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში კი თამილების, ინდოარიელების და შრილანკის ავტოქთონური მოსახლეობის – ვედების (დღეისათვის მათი რაოდენობა მხოლოდ 1000 კაცამდეა შემორჩენილი) შერ-

წყმით ჩამოყალიბდა შრილანკის დღევანდელი დომინანტი ხალხი – სინჰალები.

ენობრივი თვალსაზისით ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ჯერ თამილური (უძველესი ხმელთაშუაზღვაური წარმომავლობის გამო) და შემდეგ მალაიალამური და სანსკრიტული ენები.

გამოსაკვლევია ამ ენების ურთიერთკავშირები და საერთო ნიშნები პროტოქართულ, ქართველურ და ქართულ ენებთან. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არც თუ ისე ცოტაა ქართულსა და ამ ენებს შორის საერთო სიტყვები. მაგალითად:

სანსკრიტულ ენაშია:	**ქართულ ენაშია:**
ბანდჰ (შეკვრა)	შებანდვა, შეკვრა
ენ (ენა)	ენა
კუდი (კონა,ფოჩვი)	კონა, კუდი, ფოჩვი
კუტი (მოსახვევი)	მოკუტული, მოლუნული, მოხრილი
ლამბი (სამკაული)	ლამბვა
ლატა (ხვიარა მცენარე)	ლატანი
მალა (აკინძვა)	ხერხემალი
მარ (სიკვდილი)	მარადი, მარხვა, სამარე, სამარხი
მილ (შეერთება)	მილი, შემაერთებელი
მუშტი (მუშტი)	მუშტი
ნავ (ნავი)	ნავი
სურიტა (თეთრი)	გამოსუსურიტებული, სუსტი, ფერმკრთალი
ტან (ტანი)	ტანი
შარდჰ (დასველება)	შარდი, ჩასველება
შიავ (შავი)	შავი
მალაიალამურ ენაშია: (დრავიდების ჯგუფი)	**ქართულ ენაშია:**
ენუ (ენა)	ენა
კალუ (პურის მარცვალი)	კალო
კარუ (ქარი)	ქარი
ნავ (ნავი)	ნავი
ტანუ (ტანი)	ტანი

თამილურ ენაშია: (დრავიდების ჯგუფი)	ქართულ ენაშია:
ტუტი (ტუჩი)	ტუჩი
ციტი (ცუდი)	ცუდი
ცურო (ცური)	ცური

ძვირფასო მკითხველო, ეს ყველაფერი მიგნებულია არა საგანგებო კვლევის შედეგად და არა ამ ენების ღრმად მცოდნეების მიერ.

ამერიკა

მსოფლიოს მრავალი მეცნიერისათვის უტყუარი და დადასტურებული ფაქტია, რომ ქართველებმა (კოლხმა-იბერებმა) ამერიკის კონტინენტამდეც მიაღწიეს და ეს მოხდა ატლანტისის ტრაგედიის შემდეგ.

მაგალითად, ი. დონელი წერდა, რომ მაია იყო ატლანტისიდან მისული კოლხუას კულტურული მემკვიდრე და მათში ცივილიზაცია ატლანტისიდან შევიდა.

იგივეს წერდა ტ. ჰეირდალიც, აცტეკებსა და მაიაში ციყილიზაცია კოლხებმა შეიტანესო.

ხოლო დ. ბურბური, ი. დონელი და დ. ლანდა მიიჩნევდნენ, რომ ამერიკა კოლხუამ აღმოაჩინა, მაიას შეუქმნა ანბანი და ცენტრალურ ამერიკაში დაამკვიდრა ცივილიზაცია თავისი ბრწყინვალე არქიტექტურითა და ხელოვნებით, შეუქმნა კალენდარი, გადასცა ასტრონომიული ცოდნა, ასწავლა ოცობითი თვლა, იეროგლიფური და იდეოგრაფიული დამწერლობები, რომელიც დღესაც გაუშიფრავია, ჩამოჰგავს ეგვიპტურს და საფუძვლიანად გვაფიქრებს, რომ მათ საერთო წარმოავლობა გააჩნიათ.

XVI ს. მოღვაწე და მკვლევარი დ. ლანდა ჯერ კიდევ მაშინ წერდა, რომ მაიას დამწერლობა მათმა ღმერთმა იცამნამ კი არა, კოლხუამ შეუქმნა.

ისრაელი

ქართული კვალი დღევანდელი ისრაელის ტერიტორიაზეც ჩანს, სადაც ჯერ კიდევ 5000 წ. წინათ ხეთებმა ქ. იერუსალიმი დააარსეს. მეცნიერების ნაწილი სახელწოდება ებრაელის გაჩენას ასეთნაირად ხსნის – იბერიელი – იბერაელი – ებრაელი. მათი აზრით, მდინ-

არე იორდანეს სახელწოდებაც კი იორის დინებას უნდა უკავშირდებოდეს.

ძვ.წ.აღ VIII ს. ჩვენმა წინაპარმა ქალდებმა იერუსალიმი და პალესტინაც დაიპყრეს და ეს ტერიტორიები ძვ.წ.აღ 540 წელს შექმნილ თავიანთ მძლავრ იმპერიაში შეიყვანეს. იქ ააგეს ტაძარი ენგური და მოგვიანებით დაიწყეს ქრისტიანობის გავრცელებაც, რისთვისაც ისინი იქედან განდევნეს. განდევნილებმა მდინარე ევფრატის სათავეებთან ააგეს ციხე ჯიბერი, რაც მეგრულად მტკიცეს ნიშნავს და მას მე-10 საუკუნემდე ვფლობდით კიდეც.

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილის უცნაური პოზიცია აქაც გამოიხატა, რადგან ისინი თვლიან, რომ თვალი უნდა დახუჭონ ქართველთა უძველეს წარმომავლობაზე და კიდევ ერთხელ დააფიქსირეს ქართული „კულტუროლოგიის" სახელმძღვანელოში (გვ.300), „რომ მსოფლიოს უძველესი ხალხი ებრაელები არიან". ეს, ხომ აშკარად ტყუილია და სწორი იქნებოდა, თუ დაწერდნენ „ერთ-ერთი უძველესი ხალხი".

ქ ა ს ქ ე ბ ი (ქაშქები, აბეშლა)

ცხოვრობდნენ პონტოს მთებში, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, კავკასიაში და ლაზიკაში. ისინი წინახეთური კოლხური მოდგმის ხალხი იყო და პირველად ძველი წელთაღრიცხვის XVII-XIII საუკუნეებით იხსენიებიან წერილობით წყაროებში. მათ ძვ.წ.აღ XV საუკუნეში დაარბიეს ხეთების დედაქალაქი ხათუსა. XII საუკუნეში კი ისინი თუბალებისა და მუშქების მეზობლად გადავიდნენ საცხოვრებლად. ქასქებს მეგრულის მსგავსი გვარები ჯერ კიდევ ძვ.წ. აღ XV ს. ჰქონდათ და განასხვავებდნენ კაცისა და ქალის გვარებს, ისევე, როგორც მეგრულში. მაგალითად, ადამია – ადამხე, შონია – შონხე, გოგოხია – გოგოხე და ა. შ.

ქასქური ენა, სიტყვები და დღის სახელებიც ძალიან ჰგავდა მეგრულს. მაგალითად, კვირის დღეების სახელები ქასქურად ასეთნაირად წარმოითქმებოდა: ორშაბათი – თუთაშხა(მთვარე), სამშაბათი – თახაშხა, ოთხშაბათი – ჯუმაშხა, ხუთშაბათი – ცაშხა(ცა), პარასკევი – ობიშხა, შაბათი – საბატუნი(ღმერთების დღე), როცა არ შეიძლებოდა სახლიდან გასვლა და ცეცხლის დანთება და კვირა – შაშხა(მზე).

ირლანდია

ქართული კვალი არის ირლანდიაშიც, სადაც იბერები III ათასწლეულის ბოლოს მივიდნენ და იქ ძვ. წ.აღ. VIII საუკუნემდე, გელების (გალების) შეჭრამდე ცხოვრობდნენ. ამას ბევრი რამ ადასტურებს, მათ შორის მათი ამჰარული ანბანი, რომელიც ჰგავს ქართულს, არიან ტემპერამენტიანები, აღმერთებენ მუსიკასა და პოეზიას, აქვთ საგუნდო და მრავალხმიანი სიმღერები, წმინდა გიორგისა და სტუმრის კულტი, მათი ზღაპრები ჰგავს ქართულ ზღაპრებს. მაგალითად, ძროხის წიგნი და ჩვენი წიქარა, ზღაპარი ჯადოსნურ ყანწზე (ამ დროს ვენახი საერთოდ არ ხარობს ირლანდიაში), ზღაპარი ზარმაც ჯეკზე და ჩვენი ნაცარქექია, ზღაპარი ხუროთმოძღვარ გობზე და ჩვენი არსაკიძე, ზღაპარი სახალხო გმირ კუპულანოზე და ჩვენი არსენა და ა. შ.

ხოლო, რაც შეეხება მსოფლიო საცეკვაო ეთნოკულტურას, რომელშიც ირლანდიური ცეკვებიც გამოირჩევიან, როგორც ებრაელი მეცნიერი ნ. ვრანი წერს თავის წიგნში „ობ იბერიისკომ რასსელენიი," მასში განსაკუთრებით კი ირლანდიურში, ძალიან ძლიერია იბერიული ცეკვის კვალი.

არიელები

მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ არიელები პროტოქართველები იყვნენ და ისინი მეორე ათასწლეულის შუა ხანებში მივიდნენ ინდოეთში ავღანეთიდან და შუა აზიიდან, სადაც ისინი ინდოარიელებად ჩამოყალიბდნენ.

ძვ.წ. პირველი ათასწლეულის ბოლოს ევროპელი არიელები მიდიაშიც შეიჭრნენ (მიდიელები და არიელები ერთნი იყვნენ და მათი ენებიც ამიტომაა მსგავსი). სწორედ, იქ მოხდა კიროს II დროს ლურსმული დამწერლობის ფორმირება (550-530 წწ), თუმცა მიდიაში ასევე იყენებდნენ აქადურ (ბაბილონურ), ელამურ და ძველ სპარსულ ენებსაც. თუ მკითხველს ეს საკითხები უფრო საფუძვლიანად დააინტერესებს, შეუძლია წაიკითხოს ცნობილი მეცნიერის ბ. გრეინშპოლკის წიგნი „არიელები და იბერიელები."

აქადები

აქადები III ათასწლეულიდან ჯერ მესოპოტამიის ჩრდილოეთით, ხოლო მოგვიანებით სამხრეთითაც ცხოვრობდნენ. მათ II ათასწლეულში შუმერების შევიწროება დაიწყეს, რაც მათი ურთიერთშერწყმით დასრულდა. ამას შედეგად შუმერული ენის სიკვდილი მოჰყვა, ხოლო აქადური ენა ლურსმულ დამწერლობასთან ერთად მთელს ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა და მას თვით ფარაონებიც კი იყენებდნენ.

აქადებმა შესძლეს და მესოპოტამური ცივილიზაცია კიდევ უფრო განავითარეს, რამაც გვიან ბაბილონური კულტურის სახელი მიიღო. ასე, რომ ბაბილონის ცივილიზაცია შუმერული კულტურის ბოლო ფაზას წარმოადგენდა.

აქადურ ენას ორი დიალექტი ჰქონდა – ასურული და ბაბილონური და ორთავე შუმერულის ძლიერ გავლენას განიცდიდა, მაგრამ შემდეგში აქადების შევიწროებაც დაიწყო და ძვ. წ აღ VI ს. აქადური ენა მესოპოტამიის მხოლოდ ქალაქებში შემორჩა. სახელმწიფო ენა კი მთელს მესოპოტამიაში არამეული ენა გახდა.

ხურიტები (ურარტუელები)

III-II ათასწლეულთა მიჯნაზე ურარტუს ტომის ხალხს, ხურიტებს, ეკავათ ტერიტორიები ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან ცენტრალურ ამიერკავკასიამდე, ხოლო II ათასწლეულში ისინი უკვე იყვნენ მითანის მცხოვრებნი და ნარმოადგენდნენ არმენიის ავტოქთონებს.

II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჩრდილოეთ არაბეთიდან იქ შევიდნენ არამელები და მოახდინეს ხურიტების ასიმილაცია, რომლებიც იმდენად მაღალი განვითარებისანი იყვნენ, რომ საკუთარი ლურსმული დამწერლობაც კი გააჩნდათ.

რაკი ხურიტები ურარტუს ტომის ხალხს წარმოადგენდნენ, ხოლო ურარტუელები თავის მხრივ ერთ-ერთი პროტოქართული ტომის ხალხი იყო, ამიტომ ლოგიკურია ჩავთვალოთ, რომ ხურიტებიც ძველი პროტოქართული სამყაროს ნაწილს წარმოადგენდნენ.

ტროა

ტროა მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთით არსებული ქალაქი-სახელმწიფო იყო, რომელსაც ილიონიც ჰქვიოდა. პირველი ვერსიით ის ფრიგიის (მუშქების) მეფის ვაჟმა ტროსმა, ხოლო მეორე ვერსიით

ტროსის ვაჟმა ილიოსმა დააარსა. (ტროსის ცოლი და ილიოსის დედა სავარაუდოდ მედეა იყო) ტროას ადგილზე უძველესი ნამოსახლარი ძვ.წ.აღ 3 000 წლით თარიღდება.

მეცნიერების დიდი ნაწილისათვის უკვე საეჭვო აღარ არის, რომ ტროელები ხეთურ-იბერიული (პელაზგური) მოდგმის ხალხს წარმოადგენდნენ და როგორც ცნობილი მეცნიერი ბ. გრეინშპოლკი წერს თავის წიგნში „ტროელები და იბერიელები" ქართველები იყვნენ. სწორედ, ამიტომ იყვნენ ტროელთა მოკავშირეები ღალისელი ხალიზონები (ხალიბები) „ილიადაში" აღწერილ ბრძოლაში.

ტროელთა ქართველობას (პელაზგობას) ადასტურებენ სტრაბონი და ჰეროდოტეც. ტროა 1200 წელს დაანგრიეს ბერძნებმა და მის ნანგრევებზე შექმნეს თავისი კულტურა, ისტორია კი გააყალბეს.

ბაიანი

ერთ-ერთი უძველესი პროტოქართული ტომის ხალხი იყო ხეთურ-სუბარული მოდგმის ხალხი ბაიანიც, რომელმაც ძვ. წ აღ. IX საუკუნის დასაწყისში დაიმორჩილა სხვა ხეთურ-სუბარული მოდგმის ხალხები (მათ შორის არა ხეთურ-სუბარული მანაც) და შექმნა ურარტუს (ხალდეს) ქვეყანა, რომლებიც თავიანთ თავს სუბარს უწოდებდნენ.

მილეთი

ერთ-ერთი უძველესი პროტოქართული ტომის ხალხი მილეთელები იყვნენ, რომლებიც მცირე აზიაში, დღევანდელი თურქეთის უკიდურეს დასავლეთში – იონიაში ცხოვრობდნენ. სწორედ, ამ მილეთელებმა (და არა ბერძნებმა) შექმნეს საქართველოს შავიზღვისპირეთში ე. წ. ბერძნული ახალშენები. გერმანელი მეცნიერი ე. კორციუსი აძლევს რა შეფასებას იონიელებს. წერს, რომ ისტორიის დასაწყისში, ელადის ცენტრში სწორედ, იონელები იდგნენ.

გერმანია

როგორც ცნობილი მეცნიერი ე. დემოლინსი წერს, ქართული კვალი გერმანიაშიც არის შემორჩენილი, რაც უპირველესად გერმანულ ენაში არსებული ადგილებისა და მდინარეების პროტოქართული სახელწოდებების არსებობაში გამოიხატება.

არის მეორე, უფრო მნიშვნელოვანი კვალიც, რაც იმით დასტურდება, რომ სამხრეთ გერმანიაში ცხოვრობდნენ უძველესი იბერები გერმანული ტომის ებორონების სახელით. ებორონების სახელწოდებას მეცნიერთა ნაწილი ასეთნაირად ხსნის: ებორონები-იბერონები-იბერები.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამხრეთ გერმანული (ავსტრიული) ბადენური კულტურა, რომელიც 4800 წლის წინათ ჩამოყალიბდა, პროტოქართველების მიერ არის შექმნილი.

აქაველები

პროტოქართველები იყვნენ აქაველებიც, რომლებიც ძვ. წ.აღ პირველ ათასწლეულში ჩრდილოეთ საბერძნეთში ცხოვრობდნენ. მათ ძვ.წ.აღ XV საუკუნეში შექმნეს მიკენის კულტურა, მაგრამ XIII საუკუნეში მათი ძლიერება დაეცა. XII საუკუნეში კი დორიელების იქ შეჭრის შემდეგ იძულებულნი გახდნენ დასავლეთ მცირე აზიაში და ეგეოსის კუნძულებზე გადასულიყვნენ. VIII საუკუნეში კი იტალიაშიც შექმნეს კოლონიები და დასახლდნენ კორინთოს სრუტესთანაც.

VII საუკუნეში ბერძნებმა აქაველების ასიმილაცია დაასრულეს.

აქაველების წარმომავლობასთან დაკავშირებით მეორე მოსაზრებაც არსებობს, რომლის მიხედვითაც ისინი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მოსახლე ხალხი იყო, რომლებსაც ჯერ კიდევ XIV-XIII საუკუნეში ჰქონდათ ახიავას გაერთიანება – აქიავაშა.

არამეელები

არამეელები თავიდან ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ცხოვრობდნენ, სადაც ისინი II ათასწლეულის შუა ხანებში ჩრდილოეთ არაბეთიდან შევიდნენ და XIII საუკუნეში უკვე პატარ-პატარა სახელმწიფოებიც შექმნეს. ძვ.წ.აღ X საუკუნეში კი, ისინი სირია-მესოპოტამიაშიც დამკვიდრდნენ. ბერძნებმა მათ სირიელები შეარქვეს, რაც დღემდე მოჰყვებათ კიდეც.

ძვ.წ. აღ VIII საუკუნეში კი მთელი სირია უკვე არამეულ ენაზე ლაპარაკობდა, ხოლო კიროს II ზეობის დროს (550-530 წწ) არამეული ენა უკვე მთელს მესოპოტამიაში (დასავლეთ ირანამდე) სახელმწიფო ენა გახდა, რომელშიც უკვე ანბანს იყენებდნენ და არა ლურსმულს.

ახ. წ.აღ I საუკუნეში არამეელები ბაბილონელებსა და ქალდეველებს შეერწყნენ.

ალბანელები

ალბანელები ერთ-ერთი უძველესი პროტოქართული ტომის ხალხი იყო, რომლებიც დღევანდელი აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ და კოლხურ ენაზე ლაპარაკობდნენ. ამ აზრის, თავის დროზე არა მხოლოდ ჰეროდოტე და ჰ. ბიზანტიელი იყვნენ, არამედ ასე ფიქრობს დღევანდელი მეცნიერების მრავალი წარმომადგენელიც, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა აზერბაიჯანელები, რომლებისთვისაც ალბანელთა წარმომავლობის არააზერბაიჯანული ვერსია მტკივნეული და მიუღებელია. ამას ემატება სომეხი ისტორიკოსების დიდი ნაწილიც, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ (თუმცა წარუმატებლად) ალბანელთა სომხური წარმომავლობა.

კოლხები

კოლხუების, კოლხი-იბერების შესახებ ჩვენ დეტალურად წინა სტატიებში ვწერდით. ამჯერად ჩვენ აქ კოლხების მხოლოდ იმ ნაწილს შევეხებით ორიოდე სიტყვით, რომლებიც ტრადიციული გაგებით ჩვენებურ კოლხებს მიეკუთვნებიან.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები კოლხები (მეგრელები) ერთ-ერთი უძველესი ხალხია და ისინი ძვ.წ.აღ XII საუკუნის კოლხის (კილხის) სახელით მოიხსენიებიან, რომლებმაც მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში უკვე შექმნეს თვითმყოფადი კოლხური კულტურა, რაც სხვა ქართული ტომების – მაკრონების, მოსინიკების, სასპერების, ტიბარენებისა და სხვათა ტერიტორიებზეც იყო გავრცელებული. მათ ძვ. წ.აღ მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში უკვე საკუთარი სამეფოც ჰქონდათ შექმნილი, რაზეც ჩვენ ზემოთ ვრცლად უკვე ვისაუბრეთ.

მუშქები (მოსხები-მესხები-მუსკები) = პირველად ძვ. წ.აღ. პირველ ათასწლეულში მოიხსენიებიან. მოსხები არიან მუშქების შთამომავლები და მესხების წინაპრები. ძვ.წ.აღ X საუკუნეში შექმნეს საკუთარი სამეფო მუსკებმაც. მუშქების (ფრიგიის) სამეფოს დაცემის შემდეგ ძვ. წ. აღ. VII საუკუნეში ისინი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გადასახლდნენ.

რაც შეეხებათ მესხებს, ისინი ძვ.წ.აღ. I საუკუნიდან „მოსხიკედაც“ მოიხსენიებიან და ცხოვრობდნენ აჭარაში, კლარჯეთში, ტაოში, სპერსა და შავშეთში.

მ ი თ ა ნ ი = ძვ. წ. აღ. XVI საუკუნეში შეიქმნა მითანის სამეფო, რომელიც ჩრდილოეთ შუამდინარეთში მდებარეობდა. მითანში სახელმწიფო ენა ხურიტული იყო. მითანი მეორე სახელით ხურითაც (ხური-მითანი) მოიხსენიება. II ათასწლეულის პირველ ნახევარში იქ არიელები შევიდნენ. მითანელები (იგივე ხურიტები) სხვადასხვა დროს წარმატებით ებრძნოდნენ სირიას, ეგვიპტეს, ხეთას და ასურეთს, მაგრამ ბოლოს ჯერ ხეთამ გაანადგურა, ხოლო შემდეგ ასურეთმაც დაიპყრო.

XIV საუკუნის ბოლოს მას არამეელები დაეპატრონნენ. როგორც ჰეროდოტე წერს, მითანის სამეფოსა და ხალხისაგან ბოლოს მხოლოდ სახელი მაითანი შემორჩა. შესაძლოა აქედან მოდიოდეს ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომის – მატიენთა სახელიც.

ხ ა ლ ი ბ ე ბ ი = ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული უძველესი პროტოქართული ტომის ხალხი იყო. მათ ხალდებადაც მოიხსენიებდნენ და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებში ხალიბებმა უკვე დაიწყეს რკინის გამოდნობა, რომლითაც სახელი მთელს მსოფლიოში გაითქვეს. მათ ლითონის დამუშავებასთან ერთად შექმნეს ოქროსა და ვერცხლის დამუშავების ტექნოლოგიებიც. ძვ.წ. აღ VIII საუკუნეში კი საკუთარი სამეფოც ჩამოაყალიბეს, რომლის ცენტრი დღევანდელი ტრაპიზონი იყო. სამეფო იმდენად ძლიერი იყო, რომ ხალიბებმა ძვ. წ. აღ VI საუკუნეში ბაბილონი და სირიაც კი დაიპყრეს.

ი ო ნ ი ე ლ ე ბ ი = მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის,რომ პროტოქართველები იყვნენ იონიელებიც, რომლებიც ძვ.წ.აღ XI-IX საუკუნეებში დასახლდნენ იონიის არქიპელაგის კუნძულებზე, სადაც მანამდე, მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან აქაველები ცხოვრობდნენ. კუნძულებიდან იონიელები დორიელებმა განდევნეს და ისინი მცირე აზიაში, შავი და მარმარილოს ზღვების სანაპიროებზე გადავიდნენ საცხოვრებლად.

ზ ა ნ ე ბ ი (სანები, სანიგები, ჭანები, ლაზები) = უძველეს ქართულ ტომს წარმოადგენდნენ და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ტრაპიზონამდე) და ჭოროხის ზედა წელში ცხოვრობდნენ. ისინი ზა-

ნურ ენაზე ლაპარაკობდნენ. ჯერ კიდევ 1 800 წლის წინათ ზანური ენის ლაზური და მეგრული დიალექტები მოსაზღვრე ენები იყვნენ, მაგრამ შემდეგ მათი შეხება გათიშა იქ მისულმა და დამკვიდრებულმა სხვა ქართულმა ტომმა.

ოსკები = პროტოქართველებად მიიჩნევიან დღევანდელი იტალიის ტერიტორიაზე მცხოვრები იტალიკურ-ეტრუსკული ტომის ხალხი — ოსკები, რომელთა შესახებ მაინცადამაინც ბევრი არაფერი ვიცით. ჩვენამდე მოღწეულია ძვ. წ აღ V-I საუკუნეებში ბერძნულ-ლათინური ანბანით შესრულებული 300 ოსკური წარწერა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე წაკითხული.

საბელები = ასევე, პროტოქართულ ტომად არიან მიჩნეულები მეორე იტალიური ტომი – საბელებიც, რომლებიც აპენინის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ და საბოლოოდ ძვ. წ.აღ III საუკუნეში რომმა დაიპყრო.

კ ი მ ე რ ი ე ლ ე ბ ი = უძველესი ქართული ტომია კიმერიელებიც, რომლებიც VIII-VII საუკუნეებში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, თრაკიამდე ცხოვრობდნენ. მათ ეს სახელი ასურელებმა შეარქვეს. გაძლიერებულმა კიმერიელებმა VII საუკუნეში დაიპყრეს კაპადოკია, ლიდია და ფრიგია და საბოლოოდ კაპადოკიელებს შეერივნენ. სხვათა შორის არის ისეთი ქართული სიტყვები, რომელთა წარმოშობა და ახსნა ბოლომდე ვერ ხერხდება. ერთ-ერთი ასეთი სიტყვა გახლავთ გმირი, რომელიც შესაძლოა კიმერიელს უკავშირდებოდეს. კიმერები იმდენად მებრძოლი და მამაცი ხალხი ყოფილან, რომ იქნებ მართლაც და ასეთნაირად ავხსნათ სიტყვა „გმირი" – კიმერი, გიმერი – გმირი. ამ პრინციპით შეიძლება ავხსნათ იმერიც (იმერელი) – კიმერი – იმერი.

ს ა რ მ ა ტ ე ბ ი (ჩერქეზები) = ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა საერთო სახელწოდებას წარმოადგენდა, რომლებმაც ძვ.წ. აღ III-II საუკუნეში აითვისეს ჩრდილოეთ კავკასია და ბოსფორი და ახ. წ. I საუკუნეში უკვე დუნაის სანაპიროებამდეც და ამიერკავკასიაშიც ილაშქრეს და დასახლდნენ რომის იმპერიის საზღვრებთან, საიდანაც ისინი მოგვიანებით გუთებმა და ჰუნებმა გამოაძევეს.

ტ ი ბ ა რ ე ნ ე ბ ი (ტიბართები, ტიბარანი) = ერთ-ერთი უძველესი პროტოქართული ტომის ხალხი იყო და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ.

ასირიელები = ერთ-ერთი უძველესი ხალხია და პროტო-ქართველებად მოისაზრებიან. ისინი ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ცხოვრობდნენ და მეორე სახელით ასურებადაც მოიხსენიებიან. მათ პროტოქართველობას ცნობილი რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი ბ.კუფტინიც მიანიშნებდა, როცა წერდა, რომ ასირიულ ცილინდრებზე იქაურ ქურუმებს ხელში კოლხური ცულები ეჭირათ ე.ი ამით იმისი თქმა შეიძლება, რომ როგორც მინიმუმი ასირიელებსა და კოლხებს ერთიანი კულტურული სივრცე გააჩნდათ. თვითონ ასურული ხე-ლოვნება კი მეორე ათასწლეულში აქადისა და ხეთების კულტურათა ზეგავლენით არის შექმნილი.

სპერები (სასპერ-იბერები) = ერთ-ერთი უძველესი პროტოქართუ-ლი ტომის ხალხი იყო და ისინი სამხრეთ დასავლეთ-საქართველოში შავ ზღვამდე, ჭოროხის ზემო აუზში და აღმოსავლეთ საქართველო-ში ცხოვრობდნენ. ისინი აღმოსავლელი ქართველები იყვნენ და მათ ჰეროდოტე სასპერებს უწოდებდა. ცნობილია, რომ მათზე ლაშქრობა ბერძენმა იაზონმა თავისი ცნობილი არგონავტების ლაშქრობის დროს განახორციელა.

არსებობდა სპერების მეორე ჯგუფიც – სპერი-კოლხები, რომელთა-გან შემდეგში აღმოსავლელი ქართველები – ქორთუები წარმოიშვნენ.

აბარნები = ერთ-ერთ უძველეს პროტოქართულ ტომად მი-იჩნევა ალტაელი აბარნებიც (იბერნები-იბერები), რომელთა შესახებ მაინცადამაინც ბევრი რამ არ არის ცნობილი და ეს უფრო მომავალი კვლევის საქმეს წარმოადგენს.

კასიტები = ერთ-ერთი უძველესი პროტოქართული ტომის ხალხი იყო, როგორც ამას ცნობილი ებრაელი მეცნიერი ი. მოსენსკისი წერს. მათი ენაც კოლხური იყო და სწორედ, ამ ენაზე მართავდნენ ისინი ბაბილონს ძვ. წ.აღ XVIII-XII საუკუნეებში.

გორდიები = ერთ-ერთი უძველესი პროტოქართველები იყვნენ, რომლებიც ჩინებული იარაღის მკეთებლები და სახელგანთქმული ხუროთმოძღვრები ყოფილან.

აქაიები = ერთ-ერთი უძველესი ტომი იყო და კერკეტების, ჯიქეშისა და ჰენიოხების მეზობლად ცხოვრობდნენ.

მინოსელები = მეცნიერების მიერ პროტოქართველებად და პროტოქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხად არიან მიჩნეულნი.

პროტოქართული მოდგმის ხალხებად ასევე მიჩნეულნი არიან: აგოროველები, ალაროდები (ურარტუელთა შთამომავლები იყვნენ), ახიაველები (აქიავაშა), გალები, გარეში, გელები, გორდიები, გუგარები, დიაოხელები, ეგეოსელები, ებორონები, თუბალები, კართაგენელები, კარიელები, კელტ-იბერები, კერკეტები, ლელეგები, ლიკიელები, მაკრონები, მარგველები, მატიენები, მინოსელები, მისიმიანელები, მოსინიკები, სკვითები (სკვითინები), ტრუდედანტები (ესპანელი იბერების ერთ-ერთი ტომი), შავშ-კლარჯები ჯიქები, ჰენიოხები და კიდევ შესაძლოა სხვებიც.

დაკვირვებული მკითხველისათვის ძნელი არ იქნება მიახლოებით მაინც დაითვალოს პროტოქართული მოდგმის ხალხთა რაოდენობა (ჩვენი გამოთვლით მათი რიცხვი 80-მდე აღწევს) ამათგან ბევრის შესახებ საკმაო მონაცემები უკვე არსებობს, ხოლო გარკვეულ ნაწილზე მონაცემები იმდენად მწირი და მცირეა, რომ ყველაფერი თავიდან არის საკეთებელი.

ვფიქრობთ, ყველაფერს ამას უნდა მიეცეს ორგანიზებული სახე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ცალკე ერთეულად შექმნას სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც საგულდაგულოდ შეისწავლის ზემოთ ჩამოთვლილი პროტოქართული მოდგმის ხალხების ისტორიას, ეთნოლოგიას, ენებს, წარმომავლობას, განსახლების გეოგრაფიას, ანთროპოლოგიას და ყველაფერს იმას, რაც მათი ქართულ სამყაროსთან შესაძლო კავშირების დადასტურებას შეუწყობდა ხელს. რა თქმა უნდა ეს ჩვენ, ქართველებმა უნდა გავაკეთოთ, თუ გვინდა, რომ ამ შესწავლამ ორგანიზებული ხასიათი მიიღოს, რადგან მას რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ამერიკელი და ა.შ სხვა არ გააკეთებს, რადგან მას რუსი იმიტომ არ გააკეთებს რომ მან ხაზი არ გაუსვას ჩვენს უძველეს წარმომავლობას (აქ ცალკეულ რუს მეცნიერებზე არ არის საუბარი, რადგან ასეთები იყვნენ, არიან და მომავალშიც იქნებიან); სომეხი იმიტომ, რომ მას თვითონ აქვს ამბიცია ყველაფერი სომხურად გაასაღოს და მონათლოს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ამისი საფუძველი და სულაც არ დახარჯავს ფულს იმ საქმეზე, სადაც ქართველის პირველობა იქნება ხაზგასმული; აზერბაიჯანელი იმიტომ, რომ ის ვერ იქნება ობიექტური (მათ ხომ დავით გარეჯიც კი აზერბაიჯანული კულტურის ძეგლად, ხოლო ინგილოები არაქართველე-

ბად მიაჩნიათ), ამერიკელი იმიტომ, რომ მათ სულაც არ სურთ ჩვენი უძველესი ისტორიისა და წარსულის ფონზე თავიანთ უწარსულობას გაუსვან ხაზი. დიახ, დიახ, უწარსულობას და ისტორიის უქონლობას, რადგან მათ რომ ისტორია გააჩნიათ (250 წლისაც კი არა) იმ ასაკის ხეები ან ოდა სახლები უდგათ ძირძველ ქართულ ოჯახებს ეზოებში.

ამ გზაზე უპირველესი ნაბიჯი ვფიქრობ სპეციალური ბიბლიოთეკის შექმნა უნდა გახდეს, სადაც თავი მოეყრება პრობლემის ირგვლივ დაწერილ და გამოქვეყნებულ წიგნებსა და სტატიებს (განსაკუთრებით უცხოეთში გამოცემულს, რადგან მათზე ხელის მიწვდომა თითქმის შეუძლებელია).

მე, რა თქმა უნდა მესმის, რომ ეს ხანგრძლივი და რთული პროცესია, მაგრამ ოდესღაც ხომ უნდა დაიწყოს ვინმემ და რაკი ეს აუცილებლად მოსახდენია, მოდით ჩვენ დავიწყოთ და თანაც ახლა და შემდგომი თაობები მას აუცილებლად გააგრძელებენ. მითუმეტეს, რომ ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ და კარგი ახალგაზრდობაც გვეზრდება.

გადასაწყვეტი დარჩა მხოლოდ ორი „მარტივი" საკითხი: პირველი – ფსიქოლოგიური მზადყოფნა საქმის დასაწყებად (რაც მიღწევადია) და მეორე – ცენტრის შექმნისათვის დაფინანსების გამოყოფა რაც ეროვნული მთავრობის სურვილისა და მონდომების გარეშე არ იქნება. მაგრამ ჩვენი ხელისუფლება რომ ეროვნულია და თანაც ამ საქმის მოგვარების სურვილიც გაუჩნდება, განა ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება? ალბათ არც ის უნდა იყოს კითხვის ნიშნის ქვეშ დასასმელი, რომ იმაზე უკეთესი განა რა უნდა გავაკეთოთ, ვიდრე ეს ჩვენი ეროვნული წარმომავლობის სათავეების კვლევა არის.

და ბოლოს, შეიძლება ვინმე შემომედავოს, რომ წიგნს სამეცნიერო აპარატურის გამოყენების წესწბის სრული დაცვით არა აქვს მითითებული ლიტერატურა და წყაროები და ის ამაში მართალიც იქნება, რადგან ჩვენ ეს შეგნებულად გავაკეთეთ ასეთნაირად. რადგან ჯერ ერთი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომისათვის ეს მიღებული წესია და მეორეც, ორიათასზე მეტი წლის მანძილზე მხოლოდ „ატლანტოლოგიურ ლიტერატურაში დაგროვდა 25 000 ტომი, რომელთაგან ზოგიერთი 500-ზე მეტ გვერდს შეიცავს"... თანაც „კაცმა, რომ თქვას, ამ ათასეული ტომების კითხვაც დიდი არაფერი ბე-

დენაა, რადგან მათი შემთხზველნიც ისევე იქცეოდნენ, როგორც ამ წიგნის ავტორი – წინა მორბედთა ნაშრომებს იყენებდნენ" (ლ. ზაიდლერი „ატლანტისი").

ჩვენ მოკრძალებული მიზანი გვაქვს მკითხველს გავაცნოთ მსოფლიო და ქართული სამეცნიერო ლიტერატურისა და ნყაროების თუნდაც ის მცირე ნაწილი, რომელიც ჩვენს შორეულ წარსულს შეხებია და შეძლებისდაგვარად დავსვათ ის კითხვები და აქცენტები გავაკეთოთ იმაზე, რაც ჩვენის აზრით, ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია და ამით ახალგაზრდებში გავზარდოთ ინტერესი, რათა ისევ გაიზარდონ ისეთი მეცნიერები, რომლებიც იმ უამრავ გაუშიფრავ ტექსტებს წაიკითხავენ და ახალ აღმოჩენებს გააკეთებენ, რაც არა მხოლოდ ჩვენი შორეული წინაპრების, არამედ მსოფლიოს ხალხთა წარსულის უკეთ შესწავლაშიც დაგვეხმარება.

პრესა და პრესისადმი დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918–1921 წლები)

1918 წელს გაზეთები საქართველოში ქართულ ენაზე მხოლოდ ხუთ ქალაქში თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთსა და ფოთში გამოდიოდა. მათი დიდი ნაწილი ცალკეულ პარტიათა გამოცემას წარმოადგენდა და შესაბამისად ამა თუ იმ პარტიის ინტერესების გამომხატველი იყო. 1918 წლის 28 მაისს, ახლადშექმნილი რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ყოველდღიური სამთავრობო გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის" დაარსების შესახებ. შესაბამისად, მიღებული იქნა კანონიც და მის პირველ რედაქტორად გაზეთ „კავკაზის" რედაქტორი პ. ქავთარაძე დაინიშნა. გაზეთის პირველი ნომერი 25 ივლისს გამოვიდა. მოგვიანებით, 1918 წელსვე რედაქტორად პ. საყვარულიძე დაინიშნა. ბუნებრივია, რაკი გაზეთი მთავრობის ოფიციალური ორგანო იყო, ის ხელისუფლების ინტერესების დამცველს წარმოადგენდა. თავისი პირველი ნომრის მოწინავეში იგი წერდა კიდეც, რომ მთავრობის ამ ოფიციალურ ორგანოში „განუწყვეტლივ იმეტყველებს მთელი ხალხის საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ სახელმწიფოებრივი ენა, კანონი და სამართალი."[1]

„საქართველოს რესპუბლიკის" გამოსვლასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ გააუქმა გაზეთი „კავკაზი", რომელიც მანამდე უპირველეს ორგანოს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში.

„საქართველოს რესპუბლიკის" გარდა, 1918 წელს ქართულ ენაზე შემდეგი გაზეთები გამოდიოდა თბილისში: „ალიონი", „ახალი საქართველო," „ახალი სხივი", „ბრძოლა", „ერთობა", „თავისუფალი გზა", „კლდე", „მათრახი", „მუშის ბრძოლა", „რაჭის ხმა", „რევოლუციური ნობათი", „რუსთაველი", „საქართველო", „სახალხო საქმე", „სოციალისტ-ფედერალისტი", „შრომა", „ჩემი საქმე", (მოხეტიალე მუსიკოს ი.

---

[1] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1918წელი, №1

ქურხულის გაზეთი), „ჩვენი რესპუბლიკა“ და „ჯარისკაცი“. ქუთაისში: „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სოციალ-დემოკრატი“, „სოციალისტ-რევოლუციონერი“, „ჩვენი ბრძოლა“, „ჩვენი ქვეყანა“, „ხალხის მეგობარი“ და „ხმა ქართველი ქალისა“, ბათუმში – „მუშის სიმართლე“, ოზურგეთში – „გურიის ხმა“ და ფოთში – „ამხანაგი“. ქართული გაზეთი გ. კერესელიძის რედაქტორობით ბერლინშიც გამოდიოდა და იგი ტყვეებისათვის იყო განკუთვნილი. მისი სულ 18 ნომერი გამოვიდა და 12 სექტემბერს გამოცემა შეწყდა.

1918 წელს ჟურნალები, ალმანახები და კრებულებიც გამოდიოდა თბილისში – „ახალი კვალი“, „ახალი სიტყვა“, „ახალი ძალა“, „განათლება“, „ექიმის თანაშემწე“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „თებერვალი“, „კავკასიის ქალაქი“ (მას ქალაქთა კავშირი ქართულ და რუსულ ენებზე სცემდა), „კავშირი“, „კუნწულა“, „მებრძოლთა ხმა“, „პირველი ნაბიჯი“, „პრომეთე“, „რესპუბლიკის ჯარი“, „რუსთაველი“, „საქართველოს ეკონომისტი“, „საქართველოს კალენდარი“, „საქართველოს სიძველენი“, „სახალხო კალენდარი“, „ხმა ებრაელისა“, „ჯარი და ერი“ და „წინსვლის ემბლემა“. ქუთაისში – „აისი“, „ლიგეია“, „მეცნიერება და მელვინეობა“ და „სასოფლო გაზეთი“.

ამ სფეროში საკვლევი პერიოდის მთავარ პრობლემას ის წარმოადგენდა, რომ გაზეთებში ხშირად სიცრუეზე დაყრდნობილი მასალები იბეჭდებოდა, რაც სერიოზულ ზიანს აყენებდა ქვეყანას. უმეტესად ასეთი რამეები შეგნებულად კეთდებოდა. ამიტომ, 30 ივლისს, მწერალთა მონაწილეობით გაიმართა ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა შეკრება, სადაც განიხილეს აღნიშნული საკითხი და მისი აღმოფხვრისათვის შეთანხმდნენ შეექმნათ ბეჭდვითი სიტყვის ბიურო, რომელიც ინფორმაციებს მთავრობისაგან მიიღებდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიაწვდიდა მას პრესას. კრებამ წესდებაც მიიღო და ბიუროს თავმჯდომარედ პ. სურგულაძე, მდივნად ა. სიგუა, ხოლო წევრებად ა. ასათიანი, მ. ბერძენიშვილი და დ . დუმბაძე აირჩიეს.[1]

თავის მხრივ იუსტიციის სამინისტრომაც მიიღო გადაწყვეტილება და ის რედაქტორები, რომლებიც ამ წესს დაარღვევდნენ და ყალბ ინფორმაციებს დაბეჭდავდნენ, სამართალში მიეცემოდნენ.[2]

---

[1] გაზეთი „საქართველო“, 1918 წელი, №127-134.

[2] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წელი. №92.

პრესისათვის ობიექტური ინფორმაციების მიწოდების მიზნით თავისი საინფორმაციო ბიურო 1918 წელს საგარეო საქმეთა სამინისტრომაც დააარსა,[1] ასევე გადაწყდა თბილისში ფუნიკულიორზე მძლავრი რადიო სადგურის აგებაც.[2]

როგორც ზემოთ ვწერდით, ყოველი გაზეთი თავისი პარტიის ინტერესებს გამოხატავდა, მაგრამ ყველა ისინი მაინც შეიძლება ორ უმთავრეს ბანაკად დავაჯგუფოთ ე. ი. ერთი ოფიციალური ხელისუფლების მხარდამჭერი და მეორე ოპოზიციური. ოფიციალურიდან ყველაზე აქტიურ ბრძოლას ოპოზიციური პრესის წინააღმდეგ „ერთობა“ ეწეოდა. განსაკუთრებული დაპირისპირება იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით. თავდაპირველად მენშევიკებს და მათ გაზეთ „ერთობას“, სულ სხვა პოზიცია ეკავათ ამასთან დაკავშირებით. ამის საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითის მოყვანაც შეიძლება – გაზეთმა პირველ გვერდზე დაბეჭდა ვ. ნიკურაძის წერილი, რომელშიც ასეთი რამ იყო გაცხადებული: „ჩვენი დემოკრატია, რომელიც იბრძოდა რუსეთის დემოკრატიასთან ერთად და მზად იყო კვლავ ამ ძველი, ნაცადი გზით ევლო, იძულებული შეიქნა თავისი მოქმედების ასპარეზი საქართველოს ფარგლებით განესაზღვრა. ერთის მხრით საერთაშორისო მდგომარეობამ, გარეშე მტრის საფრთხემ და მეორეს მხრით ა/კ მთლიანობის დარღვევამ აიძულა ქართული დემოკრატია გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა... შეუძლია ქართველ დემოკრატიას ნაციონალისტებთან ერთად (ვ. ნიკურაძის აზრით ნაციონალისტები იყვნენ ი. ეკალაძე, გაზეთი „საქართველო“ და სხვა ეროვნული მოღვაწეები – ა. ნ.) მიიღოს მონაწილეობა ამ სადღესასწაულო ზეიმში (ზეიმით საქართველოს დამოუკიდებლობას აღნიშნავდნენ – ა. ნ.)? ცხადია არა, იმიტომ, რომ ქართველ დემოკრატიას ჯერ კიდევ არ მიუღწევია თავის მიზნისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობა მის მიზანს არ შეადგენდა, ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ ისეთ პატარა ერს, როგორიც არის ქართველობა, დამოუკიდებლად არსებობა დღევანდელი კაპიტალისტური წყობილების დროს არ შეუძლია და საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადებას

[1] გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი, №212

[2] გაზეთი „საქართველი“, 1918 წელი, №114.

დღევანდელ პირობებში დემოკრატია უცქერის, როგორც იძულებით ნაბიჯს (დემოკრატებად მენშევიკები მხოლოდ თავიანთ თავს თვლიდნენ. ა. ნ.), გარეშე ძალთა მიერ ნაკარნახევს, როგორც საშუალებას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქართველი ერის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას."[1]

„ერთობა" სხვა დროსაც წერდა, რომ „ჩვენი სურვილია ა/კ ფედერაცია ე. ი. აღდგენა იმისა განახლებული სახით, რაც ასეთი ულმობელობით, ასე უდროოდ შთანთქა ამ რამდენიმე თვის წინათ ისტორიის ბედის ტრიალმა". „ერთობის" ის პოზიცია მკაცრად გააკრიტიკა „საქართველოში" ლ. ჯაფარიძემ. ამით აღშფოთებულმა „ერთობამ" არა თუ დაიცვა თავისი მოსაზრება, დასცინა „საქართველოს" და განსაკუთრებით ცინიკურად მოიხსენია ლ. ჯაფარიძე.[2] ეს არცაა გასაკვირი, რადგან „ერთობა" დარწმუნებული იყო, რომ „ნახევრად ველურ ქართველ თავადებს არ შეუძლიათ დღეს ქვეყნის მართვა.[3]

„ერთობამ" „საქართველო" შემდეგაც გააკრიტიკა რ. ინგილოს ერთ-ერთი წერილისათვის – „განა სამარცხვინოა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სახელის ტარება? ამას გვიკიჟინებს იგი (ე. ი. რ. ინგილო – ა. ნ.), ინგილოს აზრით ერთა სოლიდარობა დანაშაულია. იგი გადაგვარებულ თავადაზნაურთა იდეოლოგიაა.[4]

მკაცრად გააკრიტიკა „ერთობამ" „საქართველო" და „სახალხო საქმე" საინგილოს და სამხრეთ საქართველოს საზღვრებზე ხმის ამოღებისთვისაც – „ოცნებობს სახალხო საქმე ახალციხე-ბათუმისა და ლაზისტანის დაბრუნებაზე. შეიძლება ასეთი ლაღი ფანტაზია?"[5]

ქვეყნის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით მაშინდელი ხელისუფლების პოზიციაზე ძალზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ემიგრანტმა, სოციალისტ-ფედერალისტმა, ამერიკაში მცხოვრებმა პროფესორმა გ. ნაკაშიძემ, რომელმაც 1993 წელს ინტერვიუ მისცა ა. ერქომაიშვილს. აქ ჩანს, თუ როგორ უყურებდნენ დამოუკიდებლობას მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები – „ჟორდანია იყო, ოო!

---

[1] გაზეთი „ერთობა", 1918 წელ, . №113

[2] გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, №152.

[3] იქვე, №161.

[4] იქვე, №116.

[5] იქვე, №121-221.

იგივე ფილიპე მახარაძე... საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო მოულოდნელი ამბავი, საქართველოს დამოუკიდებლობას არ გამოაცხადებდნენ, რომ თურქები და გერმანელები არ შემოსულიყვნენ საქართველოში. ეს იმათ გამოაცხადებინეს დამოუკიდებლობა. ჟორდანია უმალ თავს ჩამოიხრჩობდა, ვიდრე რუსეთსა და პლეხანოვს ულალატებდა. გერმანიამ აიძულა დამოუკიდებლობის გამოცხადება, სოციალ-დემოკრატებს საქართველოს დამოუკიდებლობა არ სწამდათ, ფედერალისტები კი დამოუკიდებლობაზე არ ფიქრობდნენ. ავტონომია, ტერიტორიული ავტონომია და ფედერაციაა – სხვა არაფერი. დამოუკიდებლობა სჯეროდა მარტო მიხაკო წერეთელსა და გიორგი ჯორჯაძეს, მეტს არავის.

ხალხი სოციალ-დემოკრატებს უჭერდა მხარს, ინტელიგენცია კი სოციალ-ფედერალისტებს. ჟორდანია ნამდვილი ხალხის ლიდერი იყო, საპრეზიდენტო კაცი იყო ივანე ჯავახიშვილი, ის ათ ჟორდანიას სჯობდა, ჯორჯაძესაც. ნოე რამიშვილი ათჯერ სჯობდა ჟორდანიას, დაუძინებელი მტერი ბოლშევიზმისა, უნიჭიერესი იყო, მეორე სტალინი, ოღონდ დადებითი. საქართველოს დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდეც. მერე შეტრიალდნენ სოციალ-დემოკრატები, თუ არა რამდენჯერ ჩამოვუგდივარ ტრიბუნიდან, როცა ვიტყოდი დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოს-თქო. სოციალ-დემოკრატებს რუსეთის სოციალ-დემოკრატებისაგან გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინათ, ისინი რუსეთს გამოეყვნენ მას შემდეგ, რაც მოულოდნელად გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.[1]

სოციალ-ფედერალისტების და მათი გაზეთის „სახალხო საქმის“ კრიტიკა პირველივე ნომრიდან დაიწყო „საქართველოს რესპუბლიკამაც.“

გამორჩეულად განსხვავებული პოზიცია ეკავათ „საქართველოს“, „სახალხო საქმეს“, „ჩვენ ქვეყანას“ და „კლდეს“, რომლებისთვისაც ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება უპირველესი საზრუნავი იყო. ძალზე საინტერესო მასალებს ბეჭდავდა ამ მხრივ ქუთაისში გამომავალი ედპ გაზეთი „ჩვენი ქვეყანაც“, (რედაქტორი დ. კვირკველია). რომელშიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა კ. კაპანელი – ჭანტურაიას ბრწყინვალე წერილები „ერი და თავისუფლება“ (№102),

[1] გაზეთი „ლიტერატურული საქართველო,“ 1993 წელი. №31-32.

„სული და სოციალიზმი“ (№111), „წარსული და იდეალი“ №117), „ერი და ინტელიგენცია“ (№120). „რელიგია და იდეალი“ (№128-129), „ერის სული და სამშობლოს იდეა“ (№132), „საქართველო და სოციალიზმი“ (№148), „ეროვნული სული“ (№150-151-154-161), „ამაოება“ №153), „სამშობლოს იდეა და სიყვარული“ (№108), ი. ეკალაძის „რევოლუცია და პიროვნება“ (№137), „საქართველო აღსდგა“ (№95), „ქვეყნის დამოუკიდებლობა“ (№110), ა. თორაძის „დასელები და საქართველოს ავტონომია – ისტორიული ანალიზი“ (№140) და მრავალი სხვა.

1919 წელს ქართულ ენაზე შემდეგი გაზეთები გამოდიოდა: „ამხანაგი“ (ფოთში), „ახალი ნაკადი“, „ახალი სხივი“, „განახლებული მესხეთი“ (ახალციხეში), „ერთობა“, „თავისუფალი გზა“, „ია“, „ივერია“, „კლდე“, „მათრახი“, „მესხეთ-ჯავახეთი“ (ახალციხეში), „მთლიანი საქართველო“ „(ბათუმში),“ „მილიცია“, „მიწა“, „მნათობი“ (სოხუმში), „მუშათა ბიულეტენი“ (ხაშურში), „მშრომელი“, „ნაციონალისტი“, „პიტალო კლდე“, „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის ხმა“ (თბილისში), „რევოლუციური დროშა“, „რუსთაველი“, „სალი კლდე“, „სამუსულმანო საქართველო“ (ბათუმში), „საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „სახალხო საქმე“, „სიტყვა ქართული“, „სოციალ-დემოკრატი“ (ქუთაისში), „სოციალ-ფედერალისტი“, „შრომა“, „ჩვენი საქმე“, „ჩვენი ქვეყანა“ (ქუთაისში), „ხალხის მეგობარი“ (ქუთაისში) და „ხაშურის მუშათა ბიულეტენი“. ჟურნალები, ალმანახები და კრებულები: „ახალი კვალი“, „ახალი ნაკადი“, „ახალი ძალა“, „ახირებული“, „განათლება“, „დამფუძნებელი კრება“, „დემოკრატიული კალენდარი“, „ერობა და ქალაქი“, „ექიმი“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და მუსიკა“ (ქუთაისში),“ თეატრი და ცხოვრება“, „თებერვალი“, „თოლაბულისის სარტყელი“, „კავკასიის ქალაქი“, „კავშირი“, „კრონოსის სარკე“, „კუნწულა“, „მევენახეობა და მეღვინეობა“, „მეოცნებე ნეამორები“, „მოსამსახურე ფარმაცევტი“, „მუშათა ცხოვრება“, „მხედარი“, „პირველი ნაბიჯი“, „პროლეტარი“, „რესპუბლიკის ჯარი“, „საქართველოს კალენდარი“, „საქართველოს სიძველენი“, „სახალხო კალენდარი“, „სმარაგდი“, „ფოსტა-ტელეგრაფის ხმა“, „შვიდი მნათობი“, „ცისარტყელა და ხელოვნება“ (ქუთაისში).

წინა წელს არსებული დაპირისპირება პოზიციურსა და ოპოზიციურ პრესას შორის (უნდა ითქვას, რომ საერთოდ იყო ძალზე მტრული დამოკიდებულება საქართველოში გამომავალ გაზეთებს შორის) 1919

წელს კიდევ უფრო გამწვავდა, აქედან გამომდინარე, ხელისუფლებისა და „ერთობისათვის", პრინციპულად მიუღებელი გახდა გაზეთი „სახალხო საქმე," რადგან იგი მისთვის იყო „ქუჩური ზნეობისა" და „ჭორიკანა" გაზეთი, რომელშიც ნაცარქექიები და ღვარძლიანები მუშაობდნენ.[1] „ერთობის" აზრით, მასში ერთი ჭკვიანიც არ ერია და იგი ლპებოდა და იხრჩობოდა ოპოზიციის ჭაობსა და სისულელეების ბეჭდვაში.[2] „სახალხო საქმეში" თურმე ბერწი პოლიტიკოსები მუშაობდნენ, რომლებიც ისტერიაში ვარდებოდნენ ვინმე განის წერილებით. „ერთობა" მათ უწოდებდა ცბიერად მოცრემლეებს, უჭკუოებს, რომლებიც გასაწკეპლავები იყვნენ „ერთობის" სალანძღავი წერილების გამო.[3]

უნდა ითქვას, რომ ამდენი ლანძღვით გაღიზიანებულ „სახალხო საქმესაც" აევსო მოთმინების ფიალა და მანაც გვარიანად შეამკო „ერთობა" ტერმინების „უმეცარი", „კლარიოკი", „უმგვანო ენა", „კალმით მოცულლუტე", „ენაჭარტალა", „ქუჩური ჟარგონი და სტილი", „უხეირო", „საქართველოს ყველა კუთხიდან თავმოყრილი უვიცნი", „რომელთა ინტელექტუალურ აელადიდებას ბაჭია ცალი ფეხით წაიღებდა" და ა.შ. გამოყენებით.

„ერთობა" აღაშფოთა „სახალხო საქმეში" დაბეჭდილმა დეპუტატ ს. დადიანის წერილმაც, რომელიც სავსებით სამართლიანად მიუთითებდა და ამხელდა მენშევიკებსა და ხელისუფლებას იმაში, რომ მათ დიდი თანამდებობები მისცეს მკვლელებს კარტოზიასა და წულუკიძეს (ეს წერილი „საქართველოშიც" დაიბეჭდა). „ერთობის" აზრით, ამ წერილის დაბეჭდვა იყო მთავრობის შეურაცხყოფა. გაზეთმა დაბეჭდა ბ. ჩხიკვიშვილის წერილიც, რომელშიც იგი „ერთობის" პოზიციას იცავდა. ბ. ჩხიკვიშვილის თქმით, მართალია კარტოზიამ კი მოჰკლა კაცი, მაგრამ სიმთვრალეში, მოუფიქრებლად და ბოროტი განზრახვის გარეშე. წულუკიძესაც... უცაბედად მოუკლავს სამიკიტნოში შემოსვლის დროს მეარღნე და იგი თურმე... ერთი თვე ჯავრობდა ამის შემდეგ.[4] მკითხველი აქ თვითონ გააკეთებს დასკვნას, თუ ვის იცავდა

[1] გაზეთი „ერთობა", 1919 წ. №184-234.

[2] იქვე, №276

[3] იქვე, №282

[4] გაზეთი „ერთობა", 1919 წ. №233

„ერთობა". აი, რა ზნეობრივ-სამართლებრივ პოზიციებზე იდგა იგი და აქედან გამომდინარე, მისი პარტია და ხელისუფლება.

„ერთობას" ასევე სძულდა ედპ და მისი პრესაც. იგი „საქართველოს" პოლიტიკური საჭურისების გაზეთს (განი) ეძახდა და მას ქვეყნის ყველაზე დიდ მტრად თვლიდა.[1] რაკი გაზეთი „საქართველო" სოციალისტების მოწინააღმდეგედ გამოდიოდა, „ერთობა" მას გასაუქმებლად მიიჩნევდა.[2] გაზეთი „საქართველო" „ერთობისათვის" სასაცილო იმიტომაც გახდა, რომ მან ასეთი მოსაზრების დაბეჭდვა „გაბედა:" „მენშევიკებს ისე აქვთ გამჯდარი ძვალ-რბილში სოციალისტობა, რომ სენატიც სოციალისტური უნდათ, მთავრობაც, ერობაც, სამართალიც და ადმინისტრაციაც", „მაგრამ განა დანაშაულია ეს? კითხულობდა გაოცებული „ერთობა" და გაზეთ „საქართველოს" იმიტომაც ლანძღავდა (თითქმის ყველა ნომერში), რომ მასში მუშაობდნენ გ. ლეონიძე და პ. ინგოროყვა, ხოლო გაზეთისადმი მიძღვნილ საღამოზე გამოვიდნენ ვ. ანჯაფარიძე, ც. ამირეჯიბი და პ. იაშვილი.[3]

„ერთობას" სძულდა ედპ-ს მეორე გაზეთი „ივერიაც" და თვლიდა, რომ იგი ჩაფლული იყო უზნეობის ჭაობში და თვითონაც შიგ ცურავდა. გაზეთი იყო წაბილწული, გარყვნილი და ზნეობრივად გახრწნილი.[4] „სასაცილო არაა, წერდა „ერთობა", ივერიაში" ს.დადიანი და ს.ბარათაშვილი გვიწუნებდნენ სოციალისტობას? ისინი გვასწაელიან სოციალისტობას სოციალ-დემოკრატებს?"[5]

თავის უფროს „ძმას" – „ერთობას", არც ქუთაისში გამომავალი „სოციალ-დემოკრატი" ჩამორჩებოდა იქვე გამომავალ ედპ გაზეთ „ჩვენი ქვეყნის" ლანძღვაში.

წინააღმდეგობა არა მხოლოდ „ერთობასა" და ოპოზიციურ პრესას შორის არსებობდა, არამედ ზოგჯერ ერთმანეთს თვითონ ოპოზიციური გაზეთებიც უპირისპირდებოდნენ. ამის მაგალითად გამოდგება „სახალხო საქმეში" დაბეჭდილი კ. კობახიძის დიდი წერილი ი. მეუნარგიას დასაფლავებაზე. როგორც მოგვიანებით გაირკვა, კ. კო-

---

[1] იქვე, №153
[2] იქვე, №259
[3] იქვე, №20-224
[4] იქვე, №276
[5] გაზეთი „ერთობა", 1919წ. №288

ბახიძის ეს წერილი ცილისმწამებლური და ბოროტი თესლის გამღივებელი აღმოჩნდა, რომელიც საქართველოს ცალკეულ კუთხეებს უპირისპირებდა ერთმანეთს. კ. კობახიძე წერდა, რომ დასაფლავებაზე თითქოსდა გამოსულიყოს მეგრელ ავტონომისტთა „მაფალუს" სახელით მათი წარმომადგენელი და ეთქვას სამეგრელოს დაჩაგრულობაზე და მოეთხოვოს მხარის თავისუფლება.[1] საპასუხო წერილი ბატონ კოტე კობახიძის პროვოკაციის გამო „საქართველოში" ვინმე მ.კ-მ დაბეჭდა. როგორც იგი აღნიშნავდა, კ.კობახიძე ცილისმწამებელი იყო. სინამდვილეში იგი დაკრძალვაზე სამეგრელოს კულტურის მოტრფიალეთა სახელით გამოსულა და აღუნიშნავს ის დიდი წვლილი, რაც ი. მეუნარგიას სამეგრელოს ცხოვრებაში შეუტანია. მ. კ. კატეგორიულად უარყოფდა მისადმი დაყენებულ ავტონომისტობის ბრალდებას.[2]

ოპოზიციური პრესის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ სიტყვით არ შემოიფარგლებოდა და ხელისუფლებამ აშკარად დაიწყო მათი ჯერ შევიწროება და შემდეგ დახურვებიც კი. თუ თავიდან ეს პროცესი უფრო „მოკრძალებული" იყო და 1918 წელს, მხოლოდ ერთხელ დაიხურა რამდენიმე დღით გაზეთი „საქართველო" (მის ნაცვლად გამოსვლა დაიწყო „ახალმა საქართველომ", მაგრამ მალე ისიც დაიხურა), 1919 წლიდან ასეთი მოქმედებები უფრო გახშირდა. მაგალითად, 1919 წელს „საქართველო" დაიხურა ივლისში, ნოემბერში (12 ნოემბრიდან რედაქციამ ეშმაკობას მიმართა და გაზეთი „ახალი საქართველოს" სახელწოდებით გამოდიოდა რამდენიმე დღეს) და ორჯერ დეკემბერში. ასევე დაიხურა „მთლიანი საქართველო" (იგი ბ. ჩხიკვიშვილმა იმ წერილისათვის დახურა, რომელშიც გამოთქმული იყო სურვილი, ისტორიული ქართული მიწების დაბრუნების შესახებ ტრაპიზონამდე. ბ. ჩხიკვიშვილის აზრით, ასეთი მოწოდება პროვოკაციული იყო, რადგან შუღლს აღვივებდა თურქეთთან),[3] და „სამუსულმანო საქართველო" ბათუმში (იგი ბათუმში საქართველოს განსაკუთრებულმა რწმუნებულმა გ. გიორგაძემ შეაჩერა 470-ე ნომერში დაბეჭდილი „ნაციონალისტური" (ე.ი. პარტიული – ა. ნ.) მოწინავის გამო და ეს მიუხედავად იმისა, რომ გაზეთს არ

[1] გაზეთი „სახალხო საქმე", 1919 წ. №540.
[2] გაზეთი „საქართველო", 1919 წ. №134
[3] გაზეთი 'ერთობა", 1919 წ. №203

დაურღვევია ქვეყანაში 1920 წლის 7 მაისიდან გენერალური შტაბის მიერ შემოღებული სამხედრო ცენზურის მოთხოვნები) და „კლდე“ და „სალი კლდე“ თბილისში და ა. შ. ცალკე უნდა შევეხოთ გაზეთ „კლდის“ დახურვის საკითხს. იგი პირველად 1919 წლის 15 თებერვალს დაიხურა ერთი კვირით, მასში რ. გაბაშვილის წერილის დაბეჭდვის გამო, ხოლო მეორედ გაზეთი (ახლა მას „სალი კლდე“ ჰქვიოდა) ივლისში დაიხურა და კვლავ რ. გაბაშვილის გამო („სალ კლდეს“ 54-ე და 55-ე ნომრებში დაბეჭდილი წერილების გამო მინათმოქმედების სამინისტრომაც უჩივლა). უფრო მეტიც, რ. გაბაშვილს ჯერ ბინა გაუჩხრიკეს, შემდეგ რედაქცია და 30 ივლისს დააპატიმრეს კიდეც! მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „საქართველოს“ ცუდი ურთიერთობა ჰქონდა „სალ კლდესთან“, იგი მაინც გამოვიდა გაზეთის დასაცავად, რადგან ასეთი ქმედებები მან პრესის დევნად ჩათვალა.[1] საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ მისმა განხილვამ პარლამენტშიც გადაინაცვლა. 2 აგვისტოს, 45-ე სხდომაზე, ედპ-ს წარმომადგენელმა ს. კედიამ დასვა შეკითხვა გაზეთის დახურვის თაობაზე და რ. გაბაშვილის დაპატიმრება მიიჩნია სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ კანონის უხეშ დარღვევად. ს. კედიამ ასეთი პასუხი მიიღო: „თუ თქვენ ჩაუკვირდებით იმ მოღვაწეობას, რომელსაც აწარმოებდა „სალი კლდე“ და მისი ჯგუფი, დამეთანხმებით, რომ მთელი ეს მოღვაწეობა ფაქტიურად მიმართული იყო ჩვენი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.“ გაზეთის დახურვის მიზეზი კი გამხდარა... ინგლისელ ბიჩზე დაბეჭდილი ყალბი ცნობები და ი. გველესიანის წერილი, რომელშიც ასეთი წინადადებაც ყოფილა: „ჩვენი ქვეყანა განუვითარებელი არის, ეკონომიკა – ძალიან დაქვეითებული“. ხელისუფლების აზრით ეს ყოფილა პროვოკაცია, რაც თურმე ძირს უთხრიდა ქვეყნის დამოუკიდებლობას. ხელისუფლება განსაკუთრებით აღუშფოთებია რ. გაბაშვილის წერილს „პასუხი ინგლისს“, რომელიც „საქართველოს სახელით შვება ამას, რაც დონკიხოტობა არის.“ დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა გაზეთის დახურვა. „სალი კლდის“ დახურვა და რ. გაბაშვილის დაპატიმრება „ერთობამაც“ მოიწონა, რადგან მის წერილებს თურმე ინგლისთან ურთიერთობა გაუმწვავებია.[2]

---

[1] გაზეთი „საქართველო“, 1919 წ. №162

[2] გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. №175

17 ივლისს პროკურატურამ „საქართველოს კომუნისტიც“ დახურა. გაიცა სანქცია მისი რედაქტორის, მ. ორახელაშვილის დაპატიმრებაზეც, თუმცა მან მიმალვა მოასწრო. გამომძიებელმა დილევსკიმ რედაქციის 45 თანამშრომელს ჩამოართვა ხელწერილი, რომ მათ სასწრაფოდ დაეტოვებინათ ქვეყანა.[1] სხვებისაგან განსხვავებით, ხელისუფლება ამ შემთხვევაში სწორი იყო, რადგან „საქართველოს კომუნისტი“ მართლაც, აშკარად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ქვეყანაში არსებული ხელისუფლების დასამხობად და გამოდიოდა ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა თვითგამორკვევის მოწოდებით. იმავე წელს სასამართლომ „ახალგაზრდა კომუნისტის" გამოსვლაც შეაჩერა.[2]

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ პრესაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხებზე მსჯელობას. პრობლემისადმი მიდგომაში აშკარად იყო გამოკვეთილი ორი პოზიცია და თუ „ერთობისათვის“ (და იგი ხელისუფლების პოზიციას გამოხატავდა) იგი სამწუხარო რეალობას წარმოადგენდა, ოპოზიციური პრესისათვის სანუკვარი რეალობა იყო. ამის მაგალითად გამოდგება შემდეგიც: 1919 წლის 26 მაისის მოწინავეში „ერთობა“ წერდა – „სანამ ძლიერი იყო რესეთის რევოლუცია, სანამ მისი დემოკრატია ერთს მთლიან ფრონტს წარმოადგენდა, დამოუკიდებლობაზე არავის უფიქრია. ამ მხრით მედგარი და შეუპოვარი იყო ჩვენი პოზიცია..., მაგრამ რუსეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ იძულებული გავხდით გვეფიქრა დამოუკიდებლობაზე... თუ ხალხის, დემოკრატიის ინტერესები მოითხოვენ, ჩვენ არც შემდგომში შევუშინდებით სხვა სახელმწიფოსთან შეერთებას. მაგალითად, ა/კ ფედერაციაში შესვლას, რუსეთის თუ ევროპის შეერთებული შტატების (აშკარა გამოძახილი ლენინის სტატიაზე! ა. ნ.) ერთ-ერთ წევრად გახდომას“.[3]

„ერთობის“ ეს ყოვლად მიუღებელი პოზიცია გააკრიტიკა „საქართველომ“ – თუ სამშობლოს დამოუკიდებლობის მოტრფიალე დღესაც არ ხარ, თუ იდეალად მას არ ისახავ, თუ იგი შენი ფეტიში არ ყოფილა

[1] გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ. №851, „ერთობა“, №142
[2] გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. №280
[3] გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. №116

და არც არის, სად გექნებათ ზნეობრივი ძალა ხალხს, ერს, სამშობლოს დაუძახო ქუდზე კაცი გამოიყვანოს და განემზადოს უდიდესი მსხვერპლის, სიცოცხლის შესაწირავად? სად არის უზენაესი იმპულსი?"[1] ამით აღშფოთებულმა „ერთობამ" განმეორებით განაცხადა, რომ ისინი ისევ იგივე, სწორ აზრზე იყვნენ. „ჩვენთვის დიდი და პატარა სახელმწიფოც საშუალებაა, გარდამავალი საშუალებაა სულ სხვა მიზნისათვის. ხალხის სამსახურისათვის საბოლოო მიზანი, სანუკვარი ღვთაება, ჩვენი არის – სოციალიზმი და აი, ამ სოციალიზმის განხორციელების გზაზე ჩვენ არ შევჩერდებით არც დამოუკიდებლობის და არც სხვა სახელმწიფოსთან შეერთების წინაშე... ნაციონალისტები ყოველთვის ცდილობდნენ ერის დამოუკიდებლობა ფეტიშად ექციათ."[2]

ცოტა მოგვიანებით, „ერთობამ" ქუთაისში გამომავალი ქართულენოვანი გაზეთი „ხმა ებრაელისაც" არ დაინდო (ეს იყო სიონისტთა საოლქო ორგანიზაციის გაზეთი), დაიწუნა იგი და მთლიანად სიონიზმი, რადგან „ებრაელები დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობდნენ." „ერთობამ" უტოპიად მიიჩნია ებრაელთა თავმოყრა და მათი სახელმწიფოს შექმნა.[3]

ყველაზე გამოკვეთილად დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ გვარდიის II ყრილობაზე განაცხადა, რაც „ერთობამ" მაშინვე აიტაცა – „ჩვენ, მარქსისტები, თეორიულად ფედერაციასთან ავტონომიას ვაძლევთ უპირატესობას, მაგრამ, როგორ პრაქტიკულად მოგვიხდა არჩევა: სეპარაცია ან ხალხის ფიზიკური განადგურება, ჩვენ ვარჩიეთ სეპარაცია."[4] ძნელი წარმოსადეგი სულაც არაა, თუ, როგორ იბრძოდა რესეთთან შეერთების (დაპყრობის) წინააღმდეგ ქვეყნის „სეპარატისტი", ხელმძღვანელი ნ. ჟორდანია.

სამაგიეროდ, ენერგიულად იცავდა დამოუკიდებლობის იდეას „საქართველო", „სახალხო საქმე", „კლდე", „ჩვენი ქვეყანა" და სხვა ოპოზიციური გაზეთები. მაგალითად, „საქართველოში" დაიბეჭდა ისეთი საყურადღებო წერილები, როგორებიც იყო მ. ჯანიშვი-

[1] გაზეთი „საქართველო", 1919 წ. №110
[2] გაზეთი „ერთობა", 1919 წ, №119
[3] გაზეთი „ერთობა", 1919 წ. №176
[4] გაზეთი „ერთობა", 1919 წ. №260

ლის – „ქართველობა" (ერთიანობასა და კუთხურობაზე უარის თქმის მოწოდებით),[1] ი. ვართაგავას – „კატალინა რომის კართანაა, ჩვენ კი ვმსჯელობთ" (ინტილიგენციისადმი მოწოდებით – ეჩვენებინა ქვეყნის დაცვის მაგალითი),[2] მოწინავე „ეროვნული დროშა" და ა. შ. ამ უკანასკნელში გაკრიტიკებული იყო ხელისუფლება იმის გამო, რომ იგი (ე. ი. ხელისუფლება) არ ტოვებდა არცერთ შესაძლებლობას, რათა არ გამოსულიყო დეკლარაციით რუსეთის „ჭეშმარიტ დემოკრატიასთან" შეერთების შესახებ. „სწორედ, ამიტომ უფრთხოდნენ მენშევიკები ყოველგვარ ეროვნულ ნიშნებს. სასახლის თავზე არ ფრიალებდა ეროვნული დროშა და იქ აღმართული იყო წითელი დროშები. მთავრობამ იძულებით შექმნა ჯარი, ფული, ეროვნული დროშა. სასახლეზე აღმართულია რევოლუციის ბაირაღი, დიდი და უზარმაზარი და მის დაბლაა შეუმჩნეველად ორი ეროვნული დროშა, ამის თაობაზე ამერიკელებმაც აღნიშნეს.[3]

წერილი, „ეროვნული დროშა", ს. ფირცხალავამაც დაბეჭდა „სახალხო საქმეში". როგორც ავტორი წერდა, „იგი ნიშანია ერის სუვერენობის, თავისუფლების. მისი პატივისცემა არის პატივისცემა ერის თვითარსებობისადმი. ვერ მივაქციეთ ამას სათანადო ყურადღება. პირველ ხანებში თითქოს გვეშინოდა და გაბედულად ვერც კი გამოვაჩინეთ. მთელი წლის განმავლობაში არ იყო აღმართული სასახლეზე იგი. ახლა ამშვენებს დამფუძნებელ კრებას ორი პატარა დროშა, მაგრამ აქაც იგივე გაუბედაობა და მორიდება მოსჩანს, თითქოს კიდევ ვყოყმანობთ. ამით სახლემწიფო არც აშენდება და არც დაიქცევა, მაგრამ ხშირად პატარა მოვლენა ბევრ რამეს ააშკარავებს. ამერიკელებმაც კი მიაქციეს ყურადღება სასახლეზე აღმართულ დროშებს და უხერხულობა დაინახეს. ადამიანები, ვინც ეროვნულ დროშას გულით ვერ დაენდობიან, მტკიცე სახელმწიფოს ვერ შექმნიან, ვინაიდან არა აქვთ მტკიცე რწმენა ამ სახელმწიფოსი. დიდად მიყვარს წითელი დროშა, ემბლემა რევოლუციისა და სოციალიზმისა, მაგრამ საქართველოს აქვს თავისი დროშა. ესაა უპატივცემულობა ეროვნული შემოქმედებისა, დამოუკიდებლობისა. არ შეიძლება ეროვნული დროშის აბუ-

[1] გაზეთი „საქართველო", 1919 წ. №149

[2] გაზეთი „საქართველო", №114

[3] გაზეთი „საქართველო", 1919 წ. №219

ჩად აგდება, უნდა დაჩქრდეს გაეროვნებაც, კვლავ რუსულად წერენ. სამინისტროში რომ შეხვალთ, თავი რუსეთში გეგონებათ. გაეროვნებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ზოგან რაც გაკეთდა, იმასაც აუქმებენ და კვლავ რუსულზე გადადიან."[1]

ქვეყნის ეროვნული ერთობის იდეის განმტკიცების თვალსაზრისით ძალზე საყურადღებო მასალებს ბეჭდავდნენ ორენოვანი „სამუსულმანო საქართველო" და ახლადდაარსებული ასევე ორენოვანი გაზეთი „განახლებული მესხეთიც" (რედაქტორები ლ.რუხაძე და ო. მიქელაძე).[2] ამ გაზეთების ასეთი პოზიცია მოიწონა „საქართველოს რესპუბლიკამაც",[3] რომელიც უნდა ითქვას, რომ „ერთობისაგან" აშკარად გამოირჩეოდა ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხებისადმი უფრო სწორი და ჯანსაღი მიდგომით. ეს ალბათ იმის გამოც, რომ გაზეთის რედაქტორებად ყოველთვის მუშაობდნენ ისეთი გამოცდილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: პ. ქავთარაძე, პ. საყვარელიძე, ა. ახნაზაროვი, გ. მაჭავარიანი და ვ. ნოზაძე (ეს უკანასკნელი გაზეთს ხელს როგორც რედაქტორის მოვალების შემსრულებელი 1919 წლის 2 მაისიდან აწერდა, როცა პ. საყვარელიძე დამფუძნებელი კრების დეპუტატი გახდა) და ა. შ.[4]

როცა დემოკრატიული საქართველოს პრესაზე ვწერთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა მათგანი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა იმ მასალებს, რომლებიც უცხოეთში ქვეყნდებოდა საქართველოს შესახებ. მაგალითად, ასე იყო გაზეთ „საქართველოში", განსაკუთრებით, „ერთობაში" და ა. შ. ეს უკანასკნელი ხშირად არა უბრალოდ გადმობეჭდავდა მათ, არამედ ურთავდა საფუძვლიან კომენტარს, რაც ყოველდღიურ რუბრიკაში „უცხოეთის პრესა საქართველოს შესახებ". ასევე თვალშისაცემია იმ წლების პრესაში (განსაკუთრებით ოპოზიციურში) ისეთი თარიღის ფართოდ აღნიშვნა, როგორიც 26 მაისი იყო, შუქდებოდა ამ თარიღისათვის მზადება, მისი ჩატარება და ა. შ.

---

[1] გაზეთი „სახალხო საქმე", 1919 წ. №648

[2] გაზეთი „სამუსულმანო საქართველო", 1919 წ. №10, „განახლებული მესხეთი" №1

[3] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919 წ. №143,156.

[4] უნდა ითქვას, რომ 1919 წ. 26 სექტემბრიდან, დამფუძნებელი კრების დადგენილებით, „საქართველოს რესპუბლიკა" ყველა სახელმწიფო დაწესებულებას სავალდებულო წესით გამოეწერა.

1919 წლის 26 მაისის ზეიმი ფართოდ აღინიშნა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, გალში, ქვეყნის სხვა დაბა-ქალაქებში და თვით ბაქოშიც კი (ბაქოში გამართულ ზეიმში თვით აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრიც მონაწილეობდა). თბილისში, ამ დღეს ჯარების პარადი 10 საათზე დაიწყო და იგი ნ. ჟორდანიამ ჩაიბარა. მასთან ერთად იყვნენ ამერიკის, აზერბაიჯანის, ინგლისის, იტალიის, საბერძნეთის, სომხეთისა და მთელი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც. აღლუმში მონაწილე ჯარი მუსიკითა და სიმღერით გაემართა ვაკეში, მისთვის საგანგებოდ მოწყობილ სტადიონზე. ქალაქს გადაუფრინეს თვითმფრინავებმა, ისროლეს ზარბაზნებიდან და ა. შ. ვაკეში საგანგებოდ იყო მორთული კარვები მთავრობის, პარლამენტის და უცხოელთა წარმომადგენლებისათვის. ზეიმში მონაწილე ხალხი დაწყობილი იყო ისეთნაირად, რომ კოლონები ცალკეულ მხატვრულ ფიგურებს ქმნიდნენ. ეროვნულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი მომღერლები. აღლუმში მონაწილეობდა „შევარდენის" მოსწავლეები, სოფლებიდან ჩამოსული დელეგაციები, ამქრები, აბჯარ-მუზარადში გამოწყობილი ხევსურები და ა. შ. სულ 100 000-მდე კაცი. დღესასწაული სტადიონზე ორ საათზე დაიწყო „დიდების" შესრულებით. შესრულდა სხვა ჰიმნებიც კ. ფოცხვერაშვილის დირიჟორობით, გაიმართა სპორტული ვარჯიშები, ხევსურთა ფარიკაობა, ფეხბურთის მატჩი, საღამოს თეატრებში გაიმართა საზეიმო წარმოდგენები, ჰაერში აუშვეს მაშხალები და ა.შ.[1]

განსაკუთრებული მასშტაბურობით ჩატარდა ზეიმი სოხუმსა და გალში, სადაც საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ხელმძღვანელთა პორტრეტების გვერდით რუსთაველის, ილიას, აკაკის და სხვა ქართველ მწერალთა პორტრეტებიც გამოიტანეს.

1919 წელს სოციალიზმის მშენებელმა ხელისუფლებამ და მისმა პრესამ, ძალზე ფართოდ აღნიშნეს პირველი მაისი, მარქსის, ენგელსის, პლეხანოვისა და საერთოდ, სხვა სოციალისტური საიუბილეო თარიღები და ა. შ.

1918-1919 წლების ტენდენცია არც 1920 წელს დარღვეულა და არაერთი ჟურნალ-გაზეთის დახურვა-გაუქმებასთან ერთად, ახლებიც არსდებოდა. 1920 წელს საქართველოში გამომავალი ქართულენოვანი

---

[1] გაზეთი „ერთობა, 1919 წ. №116

პრესა ასე გამოიყურებოდა: გაზეთები – არლიკინი, ახალი ნაკადი, ახალი საქართველო, ახალი სხივი, ბათომის ფურცელი, ბათომის ცხოვრება, ბარიკადი, გურიის ერობის მოამბე (ოზურგეთში), ერთობა, ერი, ივერია, კლდე, კომუნისტი, მათრახი, მნათობი (სოხუმში), მსახიობის დღე, მშრომელი, პოეზიის დღე, რკინიგზელი, სასოფლო გაზეთი, საქრთველო, საქართველოს რესპუბლიკა, სახალხო საქმე, სოფლის მუშა, სოციალ-დემოკრატი (ქუთაისში), სოციალისტ-ფედერალისტი, სოციალური დახმარება, სოციალური საზოგადოება, ფოთის მოამბე, ქართველი სტუდენტი, ქუთაისი, შევისწავლოთ სოციალიზმი, შრომა, ჩემი საქმე (ქუთაისში), ჩვენი გზა, ხალხის მეგობარი (ქუთაისში) და ხუმარა. ჟურნალები, ალმანახები და კრებულები: ახალი კვალი, ბაღდადის წეროები, ბუნება და ხელოვნება, განათლება, გზათა უწყების მოამბე, დამფუძნებელი კრება, ელამი არლეკინი (ბათუმში), ერთობა, ერობა და ქალაქი, ეშმაკის მათრახი, ვაზი და ღვინო, თბილისის ქალაქის საბჭოს მოამბე, თეატრი და ცხოვრება, თებერვალი, იმედი (სიღნაღში), კავშირი, კუნწულა, ლეილა, მევენახეობა და მებაღეობა, მეურნე, მზიური საქართველო, მომავალი, მუშათა ცხოვრება, მხედარი, ნაკადული (მოზარდებისათვის), ნაკადული (მცირე წლოვანებისათვის), პარნასი, პირველი ნაბიჯი, პროლეტარული მწერლობა, რიყრაჟი (ფოთში), საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა, საქართველოს კალენდარი, საქართველოს მუშგლეხკაცი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, საქართვლოს სიძველენი, სახალხო გვარდიელი, სახალხო კალენდარი, სკოლა და ცხოვრება, ტფილისი, ფოსტა-ტელეგრაფის ხმა, ქართველი სტუდენტი, ღვინო და ვაზი, შევარდენი, შვილდოსანი, შოლტი (სამტრედიაში), ჩვენი ქალაქი, ცისარტყელა, ჭლექი და მასთან ბრძოლა, ხათაბალა, ხელოვნება (ქუთაისში) და ჯეჯილი.

სიტუაცია დიდად არც ცალკეული გაზეთების ერთმანეთთან დაპირისპირებულობის თვალსაზრისით შეცვლილა. კვლავ დაუნდობლად ებრძოდა პოზიციური პრესა ოპოზიციურს. ამ ბრძოლაში, რა თქმა უნდა, ტონის მიმცემი მენშევიკური „ერთობა“ იყო, რომლის უპირველეს სამიზნეს ედპ-ს გაზეთები „საქართველო“ და „ჩვენი ქვეყანა“ წარმოადგენდა.

„ერთობისათვის“ „საქართველო“ (რედაქტორი ს. კედია) გაერთიანებული რეაქციის ორგანოს წარმოადგენდა და მას, იმდენად აღიზიანებდა „საქართველოს“ თითქმის ყოველი პუბლიკაცია, რომ უპა-

სუხოდ არ ტოვებდა არცერთ მათგანს. ასე მოხდა მასში ს. დადიანის წერილის პუბლიკაციის დროსაც, რომელშიც ავტორი გულისტკივილს გამოხატავდა ინტელიგენციის უკიდურესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო. „ერთობისათვის" ესეც კი აღმოჩნდა მიუღებელი და დადიანი მისი დასაცინი გახდა. იგი ირონიულად პასუხობდა მას – „მაშ გაუმარჯოს საკუთარი ჯიბის გასქელებას."[1] „ერთობის" შეფასებით „საქართველო" იყო სპეკულიანტების ორგანო, როსკიპი ქალი, ყოყლოჩინა და სიყალბის გამავრცელებელი, მიწათმოქმედების სამინისტროს საქმიანობაზე სისტემატურად სიცრუეების მბეჭდავი, თავშიშველა ბავშვების თავშესაფარი, მატყუარა, ყვითელი პრესა, ბურჟუაზიის მაჩანჩალა გაზეთი, მყრალი ლექსიკონის მქონე და ა. შ. „ერთობა" თვლიდა, რომ „საქართველო" უმიზეზოდ იყო გადაკიდებული მომარაგების სამინისტროსა და უდიპლომო მინისტრებზე, ხოლო მთავრობას ასევე ყოვლად უსაფუძვლოდ აკრიტიკებდა მუშების გამორჩეულ მფარველობასა და ინტელიგენციისადმი უყურადღებობაში.

გაზეთ „საქართველოს" დემაგოგობის დასამტკიცებლად „ერთობა" წერდა, რომ იგი მას თითქოსდა ინტელიგენციასთან ბრძოლას აბრალებდა, რაც არ შეეფერებოდა სინამდვილეს, რადგან „ერთობამ" იცოდა ინტელიგენციის ფასი.[2]

თავის მხრივ, დიდად კულტურული სიტყვებით არც „საქართველო" პასუხობდა „ერთობას", რომლისთვისაც იგი იყო ქუჩური ლექსიკონის, მდაბალი გულისთქმისა და ქვენური დემაგოგიის მატარებელი და გახრწნილი. „საქართველოს" აზრით, „ერთობის" რედაქციიდან ყურით უნდა გაეთრიათ და ქუჩის ლაზღანდართა თავშესაფარში მიეჩინათ ბინა ურცხვ და ყოველივე სიფაქიზეს მოკლებულ, ბრიყვ და უჭკუო თანამშრომლებისათვის, რადგან მათთვის თურმე დამახასიათებელი ყოფილა მენშევიკური ურცხვობა, ცინიზმი, ტაციობა, ღორმუცელობა, ჩაფუნთულებული ლოყები, ძვირფასი კრაველის ტარება, აზნაურებისა და ბურჟუაზიის ნასუფრალით მუცლის ავსება და ა. შ.[3]

„საქართველოს" ასეთივე გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა გაზეთ „კლდესა" და მის რედაქტორ გ.ვეშაპელთანაც.

---

[1] გაზეთი „ერთობა", 1920 წ. №24

[2] გაზეთი „ერთობა", №219,221,223,226,227

[3] გაზეთი „ერთობა", №22

1920 წლის 8 აპრილს გაზეთმა „საქართველომ" მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო შეწყვიტა გამოსვლა და იგი მხოლოდ 15 აგვისტოს განაახლა, მაგრამ ახლა შინაგან საქმეთა სამინისტრომ დახურა ერთი კვირით. დახურვის მიზეზი გახდა საეკლესიო საკითხებზე (გელათის მონასტერში დაცულ სიძველეებზე) მთავრობასთან მომხდარი განხეთქილება. მინისტრმა ნ. რამიშვილმა, „საქართველოს" თქმით, მათ ამ საკითხებზე წერა აუკრძალა, რასაც რედაქცია არ დაეთანხმა. სწორედ, ამის გამო დახურულა გაზეთი.[1] შეჩერებული „საქართველოს" ნაცვლად გამოსვლა დაიწყო „ახალმა საქართველომ", მაგრამ 13 ნოემბერს ისიც დაიხურა. ამჯერად, „ახალი საქართველოს" ნაცვლად „ივერია" გამოვიდა, მაგრამ იგივე საეკლესიო საკითხების გამო მალე ისიც დაიხურა. „ივერიის" ნაცვლად გამოსული „ახალი საქართველო" 2 დეკემბერს კიდევ ერთხელ დაიხურა. მკითხველი იოლად დარწმუნდება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ნამდვილად არ ყოფილა დემოკრატი პრესასთან (ამ შემთხვევაში „საქართველოსა" და მის მემკვიდრეებთან) მიმართებაში.

ასევე იდევნებოდა ედპ ქუთაისში გამომავალი გაზეთი „ჩვენი ქვეყანაც"და იგი შინაგან საქმეთა მინისტრმა დახურა 1919 წლის დეკემბერში, მასში არმიასა და გვარდიაზე გამოქვეყნებული წერილის გამო.[2]

„ერთობის" თავდასხმებს განიცდიდა „სახალხო საქმეც". 1920 წელს „ერთობა" განსაკუთრებით გააღიზიანა „სახალხო საქმეში" დაბეჭდილმა ს. დადიანის ერთ-ერთმა წერილმა, რომელშიც საუბარი რსდმპ ეროვნულ პოზიციაზე იყო. „25 წელია, წერდა ს. დადიანი, რაც რსდმპ და მისი კავკასიის განყოფილება თავგამოდებით ებრძოდა ხალხში ეროვნული გრძნობის შეტანასა და ეროვნული ინტერესების შეგნებას, მაგრამ ისტორიამ საშინლად დასცინა მათ, ისტორიამ ისინი დააჩოქა ეროვნული სამსხვერპლოს წინაშე და თაყვანი აცემინა იმისათვის, რასაც იგი გუშინ გმობდა. ასე გაამტყუნა ისტორიამ სოციალ-დემოკრატების გეგმები, აზრები და ლოზუნგები". ამის შემდეგ ს. დადიანი აქებდა ფედერალისტებს, განსაკუთრებით კი, ა. ჯორჯაძეს, რომელიც მისი თქმით

---

[1] გაზეთი „საქართველო", 1920 წ. №164

[2] გაზეთი „ჩვენი ქვეყანა", 1920 წ. №1

„გრძნობდა, რომ ეროვნული თვითშეგნება მხოლოდ ჩაფერფლილი იყო და მალე იფეთქებდა. ა. ჯორჯაძის ასეთმა მოხსენიებამ აღაშფოთა „ერთობა“ და მან დაუყონებლივ უპასუხა ს. დადიანს – „ჯორჯაძე ხედავდა და ჟორდანია ვერა? სისულელეა ეს თქვენი იწილო-ბიწილო“.[1]

„ერთობა“ ებრძოდა „კლდესაც“ და მას უზნეოდ, შავრაზმელების, სამშობლოს მოღალატეებისა და გამყიდველების გაზეთად თვლიდა. „რომ შეიძლებოდეს, წერდა ვინმე განი „ერთობაში“, „კლდეს“ გავყიდდი ძალიან იაფად, მაგრამ ვის უნდა, იგი ვარგა მხოლოდ „დლია მუზეია დურნოგო ვკუსა“.[2]

როგორც უკვე ვწერდით ერთგან, სახელისუფლებო გაზეთებიდან შედარებით სწორ პოზიციაზე „საქართველოს რესპუბლიკა“ იდგა. იგი ნაკლებად ებმებოდა ასეთ, ერთმანეთის შეურაცხმყოფელსა და სალანძღავ დისკუსიებში და უფრო თავისი აკადემიურობით გამოირჩეოდა. 1920 წელს დამფუძნებელმა კრებამ განიხილა გაზეთის საქმიანობა და დეკრეტით დაუმტკიცა მას ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.[3] განხილვის დროს, გაზეთის რედაქციას მწვავედ შეუტიეს სოციალისტ-ფედერალისტებმა და ესერებმა. ამ უკანასკნელებმა, მაგალითად, მისი დახურვაც კი მოითხოვეს, რადგან მათი აზრით გაზეთი ... სუსტი იყო. უთუოდ სწორი იყო დამფუძნებელი კრების რეაქცია ამაზე, რომ ნაკლის გამო გაზეთი კი არ უნდა დახურულიყო, არამედ მიეღო ზომები მის გამოსასწორებლად. განსაკუთრებით, მკაცრად იქნა დაწუნებული გაზეთის საინფორმაციო სამსახურის მუშაობა. ლ. შენგელიას აზრით, გაზეთს აუცილებლად უნდა დაემკვიდრებინა მოწინავე სტატიების ბეჭდვა, რომლებშიც მთავრობის პოლიტიკა უნდა ასახულიყო (რაკი გაზეთი სამთავრობო იყო).

„ერთობამ“ ლ. შენგელაიას ეს ერთობ უწყინარი და სავსებით სწორი გამოსვლაც ხელისუფლების ღირსების შელახვად ჩათვალა და მყისვე უპასუხა მას: „ლ. შენგელიას გაზეთის სიკარგე კი არ აწუხებს, არამედ, ის, რომ მისი წერილები და გამოსვლები არ იბეჭდება იქ ვრცლად. ნუ უკვირს ეს მას, რადგან იგი მთავრობის გაზეთია და ამიტომ მასში მთავრობის წევრთა სიტყვები იბეჭდება ვრცლად.[4]

---

[1] გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. №25

[2] გაზეთი „ერთობა“, №208

[3] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. №108

[4] გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. №122

ცალკე უნდა შევეხოთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამომავალი ბოლშევიკური პრესის ფლაგმანს, გაზეთ „კომუნისტს“ (მისი გამოსვლა რუსეთთან 1920 წ. ზავის დადების შემდეგ გახდა შესაძლებელი), რომელიც აშკარად ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას ახალგაზრდა სახელმწიფოს წინააღმდეგ და გამოდიოდა მოწოდებებით შეიარაღებული გზითა და რუსეთის დახმარებით დაემხოთ ხელისუფლება. გაზეთის ირგვლივ თავი მოიყარეს უცხო ქვეყნის (რესეთის) მოქალაქეებმა, ქვეყნის ორგულმა და მოღალატე ქართველებმა და დაიწყო არმიასა და გვარდიაში თავიანთი იდეების პროპაგანდა, რითაც ცდილობდნენ დაესუსტებინათ ჩვენი ფრონტი აზერბაიჯანელი და სხვა მუსულმანი მეამბოხეების წინააღმდეგ (მათ გამოსვლებს თურქული გაზეთი „სუდაი მილეთი“ ხელმძღვანელობდა). სხვა ქართული გაზეთები, უპირატესად კი, „ერთობა“, რუბრიკაში, „პრესის მიმოხილვა“, ყოველდღიურად ამხელდა „კომუნისტის“ ასეთ ნაბიჯებს. ამას დაემატა ისიც, რომ მთავრობამ ხელთ იგდო დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, თუ, როგორ დააყენა ჩვენი ჯარისკაცები ღალატის გზაზე „კომუნისტმა“. მათ მიატოვეს ფრონტი აჭარაში და ამით საფრთხეში ჩააგდეს ხულოში მოქმედი ჩვენი ჯარი. „კომუნისტმა“ ს. პრესმანის ხელით 5 ივნისს გაავრცელა ორი მოწოდებაც (პრესმანი დააპატიმრეს ნატანებში, როდესაც ეს მოწოდებანი მას ბათუმში მიჰქონდა), რომელსაც ხელს რუსეთის კომპარტიის ბათუმის კომიტეტი აწერდა. ერთი მიმართული იყო მთავრობის, ხოლო მეორე ინგლისელთა წინააღმდეგ. მათში იყო აშკარა მოწოდება, რუსეთთან ერთად დაემხოთ საქართველოს კანონიერი ხელისუფლება. პრესმანის განმარტებით, ეს ფურცლები მას თბილისში „კომუნისტის“ სტამბაში მისცეს. ასევე გამოიყენა „კომუნისტმა“ ოსური ბანდების გამოსვლაც მთავრობის საწინააღმდეგოდ და მოითხოვა ოსების, აფხაზეთის და აჭარის თვითგამორკვევა, რაც, ფაქტიურად, ამ მხარეთა დაკარგვას ნიშნავდა. ყოველივე ამის გამო, მთავრობა იძულებული გახდა „კომუნისტი“ დაეხურა.[1]

ხელისუფლების ყოვლად გაუმართლებელი რბილი პოზიციის გამო, მალე ისევ განახლდა ბოლშევიკთა გაზეთის გამოსვლა. ოღონდ,

[1] გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. №133

ამჯერად, ახალი სახელწოდებით – „საქართველოს კომუნისტი". რა თქმა უნდა, შეიცვალა მხოლოდ გაზეთის სახელწოდება, მისი საქმიანობა კი კვლავ იგივე დარჩა. „საქართველოს კომუნისტმა" გამოსვლის პირველი დღიდანვე დაიწყო ინტელიგენციის გადაბირებისათვის მუშაობა და იწონებდა რუსეთის ინტელიგენციის იმ ნაწილის მოქმედებას, რომელიც ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა. „ერთობამ" „საქართველოს კომუნისტის" მზაკვრული ჩანაფიქრიც ამხილა.[1]

გაზეთ „კომუნისტის" დემაგოგიას ერთა თვითგამორკვევის შესახებ „ერთობაში" საფუძვლიანად უპასუხა ლ. ნათაძემ სტატიით „ერის თვითგამორკვევა" და „კომუნისტი". სამართლიანად წერდა ლ. ნათაძე, რომ „კომუნისტი" აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და მოითხოვდა საქართველოში მცხოვრებ ყველა ერს მისცემოდა თვითგამორკვევის უფლება. ადრე კომუნისტები თვითგამორკვევას ბურჟუაზიულ ლოზუნგად თვლიდნენ, მაგრამ შემდეგ შეიცვალეს აზრი და საქართველოში მცხოვრები ერების თვითგამორკვევის მხარდაჭერით, ფაქტიურად, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გაილაშქრეს. რაც შეეხებოდა რუსეთს, კომუნისტები თვითგამორკვევას მხარს არ უჭერდნენ, რადგან ისინი არ სცნობდნენ თვით მთელი ერის თვითგამორკვევის უფლებას მაშინაც კი, როცა ამ ერს არ სურდა რუსეთთან ერთად ყოფნა და პარადოქსია, რომ სცნობდნენ რომელიმე ერის მცირე ნაწილის თვითგამორკვევის უფლებას. რა თქმა უნდა, სწორი იყო ლ. ნათაძე, როცა წერდა, რომ ჩვენ კი გვწამს ერის თვითგამორკვევის უფლება, ოღონდ ეს უნდა იყოს მთელი ერისა. მაგალითად სომხეთში სომეხ ერს აქვს ამის უფლება, მაგრამ სხვაგან მცხოვრებ სომხებს არა, არა აქვთ ამის უფლება არც ბაქოში მცხოვრებ 10 000 ქართველს. საქართველოში თვითგამორკვევის უფლება აქვთ მხოლოდ ქართველებს, სხვებს არა, რადგან მათი ძირითადი ნაწილი საქართველოს ტერიტორიის გარეთ არის. ჩვენ არ გვსურს ქართველთა თვითგამორკვევა ბაქოში ალაგირში, ნალჩიკში, მოზდოკში... სომხების თვითგამორკვევა უნდა მოხდეს სომხეთში და არა საქართველოში, აზერბაიჯანლებისა აზერბაიჯანში, რუსებისა რუსეთში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში მცხოვრებ რუსებს, თათრებს და სომხებს მივცეთ თვითგამორკვევის უფლება. კომუნისტები რომ წერთ საქართველოში მცხ-

[1] გაზეთი „ერთობა", №136,146

ოვრებ ეროვნულ უმცირესობებს მიეცით თვითგამორკვევის უფლებაო, ე. ი. უნდა შეიქმნას მანგლისისა და აღბულანის რუსთა რესპუბლიკები, თბილისის, ბორჩალოსა და სოხუმის ოლქის სომეხთა რესპუბლიკები, გორის მაზრის ოსთა რესპუბლიკა, ოსეთის კანტონი (ხომ მოითხოვეს ეს ოსებმა) ე. ი. შევწიროთ საქართველო ამას? კომუნისტებს სწორედ ეს სურთ. კომუნისტებს ამის თქმა გჭირდებათ არა იმიტომ, რომ მართლა გსურთ ერთა თვითგამორკვევა, არა, თქვენ გსურთ აქ მონური თანაგრძნობები ეროვნულ უმცირესობათა სახით. თუ დასჭირდათ მათ (ე. ი. კომუნისტებს – ა. ნ.), ისინი ამ ეროვნულ უმცირესობებსაც გათელავენ. ასე ქნეს მათ, მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში და არ მისცეს მათ თვითგამორკვევის უფლება. „კომუნისტი" გაზეთ „ერთობას" აბრალებს, რომ მათ სურთ საქართველო ქართველებისათვისო. „ტყუილია ეს, ჩვენ გვინდა საქართველოში ეროვნულ უმცირესობებს ჰქონდეთ მეტი უფლებები. ი. წერეთელი იცავს შეკვეცილ კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას. ჩვენი პარტია (მენშევიკების – ა. ნ.) კი მიიჩნევს, რომ ეროვნულ კავშირებს არ მიეცეთ საჯარო უფლებები, თუმცა ჰქონდეთ მცირე ერებს კონსტიტუციური გარანტიები". ლ. ნათაძე იხსენებს იმასაც, რომ ერთ დროს კულტურული ავტონომიის მიცემის წინააღმდეგიც კი იყო სტალინი აფხაზებისა და ოსებისათვის, მაგრამ ახლა კომუნისტები თავს იკლავდნენ იგივე ოსების თვითგამორკვევისათვის. ე. ი. აქედან დასკვნა – მათ, როცა, როგორც სჭირდებათ ისე ამბობენ. „მათ ფეხებზე ჰკიდიათ ერების ბედი, ყველას გათელავენ, გაარუსებენ, თუ ის ხელს შეუწყობს მათ რუსეთთან შეერთებას. დიახ! მათ მარტო რუსეთის ინტერესები ალაპარაკებთ, მათი ლოზუნგია „საქართველო რუსეთისათვის".[1]

მალე საქართველოში „კომუნისტმა" რუსულადაც დაიწყო გამოსვლა და ისიც იმავე პოზიციაზე დადგა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საესებით სწორი იყო „ერთობა", რომელმაც „კომუნისტის" პოზიცია გააკრიტიკა. ხელისუფლება კი იძულებული გახდა 17 ივლისს იგი დაეხურა და პროკურორის გადაწყვეტილებით რედაქტორი თუმანოვი დაეპატიმრებინა. [2] რამდენადაც ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება სწორი იყო, იმდენად გაუგებარსა და ალოგიკურს წარმოადგენდა მისი მეორე ნაბიჯი – სწორედ, კომუნისტ, კიროვის

[1] გაზეთი „ერთობა", 1920 წ. №145.

[2] გაზეთი „ერთობა", 1920 წ. №147,161

საქმიანობის გაკრიტიკებისათვის დაიხურა გაზეთი „გრუზიაც".[1]

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა რადიოსადგურის მშენებლობისთვისაც (თბილისსა და ბათუმში მძლავრი რადიოსადგურების აგებაზე სერიოზული ფიქრი ჯერ კიდევ 1918 წ. დაიწყო) და გადაწყდა 1920 წელს იგი საფრანგეთის დახმარებით აეგოთ თბილისში (ბათუმში უკვე მოქმედებდა, თუმცა არა დიდი სიმძლავრისა). მისი მოქმედების რადიუსი 5000 კმ. იქნებოდა და მას სააქციო საზოგადოება „ევრაზია" ააგებდა.[2] რადიოსადგური იმდენად მძლავრი იქნებოდა, რომ პირდაპირ დაუკავშირდებოდა ევროპის რადიოსადგურებს. „ევრაზიასთან" მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემდეგ, მოხსენება მისი აგების თაობაზე მთავრობამაც მოისმინა და გადაწყდა სასწრაფოდ დაწყებულიყო მისი აგება. რადიოსადგურის აგების ინიციატორი საქართველო-საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა იყო, ხოლო პროექტი ფრანგმა ემერმა შეადგინა.[3]

თბილისში მოქმედებდა საინფორმაციო ბიუროც, თუმცა ძალზე არაეფექტურად, ის პრესაში მხოლოდ იმ ინფორმაციებს აგზავნიდა, რასაც უცხოეთიდან ღებულობდა.[4] ამიტომ, სავსებით ლოგიკურად დაისვა საკითხი, რომ შექმნილიყო საქართველოს პრესბიურო, რომელიც ხელს შეუწყობდა საქართველოს საქმიანობის სწორ გაშუქებას საქართველოსა და უცხოეთში.[5] მალე, დეკრეტით, მართლაც შეიქმნა საქართველოს დეპეშათა სააგენტო ,17 საშტატო ერთეულითა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით და იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შევიდა.[6]

მალე დეპეშათა სააგენტოს საქმიანობა და ხარჯთაღრიცხვა დამფუძნებელმა კრებამაც განიხილა და სამართლიანად გამოთქვა კრიტიკული შენიშვნები მისი საქმიანობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ.[7]

ცალკე უნდა შევეხოთ იმას, თუ რა თემატიკით იყო დაკავებული

---

[1] გაზეთი „გრუზია" , 1920 წ. №90

[2] გაზეთი „საქართველო", 1920 წ. №93, „ერთობა", №187

[3] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წ. №164, 172, „ერთობა", №168, 201.

[4] გაზეთი „ერთობა", 1920 წ. №144

[5] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წ. №47

[6] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №125.

[7] გაზეთი „ერთობა", 1920 წელი, №122.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა. მიუხედავად ამა თუ იმ ბეჭდვითი ორგანოს პარტიული კუთვნილებისა, ყოველი მათგანისათვის ერთ-ერთ უპირველეს საკითხს ქვეყნის დამოუკიდებლობა წარმოადგენდა. განსაკუთრებით, ფართედ შუქდებოდა 26 მაისისათვის მზადება და ჩატარება. მაგალითად, 1920 წლის პრესა დანვრილებით წერდა იმაზე, თუ, როგორ ჩაიარა 26 მაისმა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში და სხვა დაბა-ქალაქებში. თბილისში მოეწყო პარადი, გაიმართა მიტინგი, ჩატარდა მრავალი სანახაობითი ღონისძიება, გაიმართა სპექტაკლები, თეატრში მოეწყო „შევარდენის" გამოსვლა და ა. შ. დიდი ზეიმი იყო სოხუმშიც, ხოლო ფოთში იგი იმითაც გამოირჩეოდა, რომ აქ გამოვიდნენ აფხაზურად, აჭარულად, მეგრულად, ქართლურად, მთიულურად და ა. შ. მორთული გოგონები.

ასევე ფართედ შუქდებოდა ყოველწლიურად საპირველმაისო სამზადისი და ზეიმი.

1920 წელს საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა სოციალისტური ინტერნაციონალის დიდი დელეგაცია, ეს მოვლენა წარმოუდგენლად ფართოდ გააშუქა პრესამ. განსაკუთრებით ითქმის ის „ერთობაზე". მაგალითად, მისი 210-ე ნომერი მთლიანად მიეძღვნა სტუმრებს და სხვა მასალებთან ერთად დაიბეჭდა გ. ქუჩიშვილის, ვ. რუხაძის, დ. მეჩონგურეს, ვ. ტუსიშვილის და სხვათა ლექსებიც.

პრესის ერთ-ერთი წამყვანი თემა იყო რუსეთთან ურთიერთობა, გარდა იმისა, რომ შუქდებოდა რუსეთის ყოველდღიური ცხოვრება, იბეჭდებოდა ანალიტიკური ხასიათის წერილებიც. მაგალითად, „ერთობაში" გამოქვეყნდა ვ. ნოზაძის წერილების სერია „თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა",[1] „საქართველოში" გ. გვაზავას „რუსეთის პრობლემა და კავკასია" და „რუსების დამკვიდრება საქართველოში და გმირი ლევან ბატონიშვილი,"[2] „სახალხო საქმეში" ს. ფირცხალავას წერილები და ა. შ. გაზეთ „საქართველოს" კი 1919 წლიდან შემოღებული ჰქონდა რუბრიკა „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები," რომელშიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა მ. ჯანაშვილის „ჩერქესნი" (№196), „ჩაჩნები" (№196), „ლეკები" (№200), „ლეკების გმირები"

[1] გაზეთი „ერთობა", 1920 წ. №216, 217, 226, 227

[2] გაზეთი „საქართველო", 1920 წ. №96, 97, 101, 102, 105, 107, 109, 209.

(№201), „ოსები" (№204), ი. დიდიძის „საჩაჩნეთი" (№243) და ა. შ.

1920 წელს ასევე წამყვანი თემა გახდა გორში მომხდარი მიწისძვრა და მისი ტრაგიკული შედეგები. ფართედ შუქდებოდა ის დიდი თანადგომა რასაც დაზარალებულებისადმი მთელი ქვეყანა იჩენდა.

განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ისტორიულად მძიმე დღეში მყოფ კუთხეებსაც. მაგალითად, საინგილოზე დაიბეჭდა რ. ინგილოს „გაწამებული მხარე".[1] ზ. ედილის „ზაქათალის ოლქის (საინგილოს) მნიშვნელობა ჩვენთვის,"[2] ჯავახეთზე „მწარე ფიქრები, ახალქალაქის ტრაგედია" (წერილში საუბარი იყო მთავრობისაგან მიტოვებულ იქაურ ქართველთა მასიურ მკვლელობებსა და უმძიმეს მდგომარეობაზე, რაც განსაკუთრებით კუთხიდან ოსმალების გასვლას მოჰყვა თან. ქართულმა ჯარმა მხარე მხოლოდ 1919 წლის 4 დეკემბერს დაიკავა),[3] რ. ინგილოს „მგზავრად მესხეთში",[4] სამაჰმადიანო საქართველოზე „ქართველი მაჰმადიანები",[5] პ.სურგულაძის „სამაჰმადიანო საქართველო" (მასში საუბარია საქართველოზე ახლად შემოერთებულ მიწებზე) და ა. შ.

ძალზე ბევრი იწერებოდა ე. წ. სამუსულმანო საქართველოზე და პრესა თითქმის ყოველ ნომერში აშუქებდა აჭარის, ართვინის, არტაანისა და არტანუჯის ცხოვრებას. მაგალითად, „ერთობა" წერდა რა ართვინის (არტაანის) ოლქზე, რომელიც 1919 წლიდან საქართველოს შემადგენლობაში შემოდიოდა (იგივე ირუშეთი, იყოფოდა ორტყიან და ვაკის ადმინისტრაციულ ერთეულებად) აღნიშნავდა, რომ ოლქი მოიარა ბათუმის კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა, რომელმაც მოინახულა სომხური ეკლესია და მეჩეთი და გასცა განკარგულება მეჩეთის შეკეთების თაობაზე.[6] იმავე წლის სექტემბერში არტაანისა და ბათუმის ოლქები ა. ჩხენკელმა და გენერალმა ზაქარიაძემაც მოინახულეს. ისინი იყვნენ არტაანში, ართვინში, არტანუჯში, ბორჩხაში, მურლულში და ფოცხოვში, სადაც ადგილობრივი მცხოვრებლები მათ დიდი ზეიმით შეხვდნენ.[7]

ასევე დაიბეჭდა „ერთობაში" წერილი ართვინის კულტურულ

---

[1] იქვე , №163

[2] გაზეთი „სახალხო საქმე", 1920 წ. №839.

[3] გაზეთი „საქართველო", 1920 წ. №161

[4] გაზეთი „ერთობა", 1919 წ. №174

[5] გაზეთი „ერთობა", №97

[6] გაზეთი „ერთობა", 1920 წ. №190.

[7] გაზეთი „ერთობა", №215

მდგომარეობაზეც და აღინიშნა, რომ საჭირო იყო იქ ფართე კულტურული მუშაობის გაჩაღება.[1] ყურადღებას იმსახურებს ბათუმის პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციის სურვილიც – 1920 წლიდან დაეარსებინათ გაზეთი „ლაზისტანი", რომელსაც უზარმაზარი საქმე ექნებოდა გასაკეთებელი, მას თავის ისტორიულ ფესვებთან უნდა დაებრუნებინა სამშობლოს ოდესღაც ბედუკუღმართობით მოწყვეტილი ქართველობა. „ერთობამ" ასევე დასვა საკითხი არდაგანამდე რკინიგზის სასწრაფოდ გაყვანის შესახებ.[2] 1920 წლის 7 ივლისს ბათუმი დედა სამშობლოს დაუბრუნდა და იქ ქართული ჯარი შევიდა. ეს უდიდესი მოვლენა ფართედ აღინიშნა პრესაში. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა „ერთობაში" დაბეჭდილი საუბარი ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილთან, სადაც იგი იზიარებდა რა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებით გამოწვეულ დიდ სიხარულს. აღნიშნავდა, რომ უნდა განხორციელებულიყო მათი სარწმუნოების ხელშეუხებლობა და ფართედ გაშლილიყო კულტურული მუშაობა, რისთვისაც აუცილებელი იყო დამხმარე ძალების თბილისიდან გაგზავნა.[3]

დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის უმეტესი ნაწილი ძალიან გულუხვად წერდა სოციალიზმის თეორიისა და მშენებლობის საკითხებზეც. და ეს არცაა გასაკვირი, თუ გავიხსენებთ იმას, რომ მენშევიკების მთავარ მიზანს ხომ სოციალიზმის აშენება წარმოადგენდა. უფრო მეტიც, 1920 წელს თბილისში ხელისუფლების ხელის შეწყობით გაზეთი „შევისწავლოთ სოციალიზმიც" კი გამოვიდა.

პრესისათვის ტონის მიმცემი ყველაზე დიდი სოციალისტის ნოე ჟორდანიას თეორიული დებულებები იყო და ისიც შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ თითქმის ყოველ თავის გამოსვლაში ხაზი არ გაესვა სოციალიზმის მშენებლობის აუცილებლობისათვის მთელს ევროპასა და საქართველოში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ, 1920 წლის 25 მარტის, მისი ასეთი გამონათქვამი „უნდა გადაჭრით განვაცხადო, რომ ჩვენ სოციალისტურ წყობილებას მანამ ვერ დავამყარებთ, სანამ ევროპაში არ იფეთქებს სოციალური რევოლუცია".[1]

---

[1] გაზეთი „ერთობა", 1920 წ. №194

[2] გაზეთი „ერთობა", №208

[3] გაზეთი „ერთობა", №168

ნოე ჟორდანია ძალიან წუხდა ევროპაში რევოლუციის დაგვიანებაზე.

1920 წლის „ერთობის" 58-ე ნომრის პირველ გვერდს, რომელიც მთლიანად რუსეთის რევოლუციის მესამე წლისთავს მიეძღვნა, უზარმაზარი სათაური „გაუმარჯოს სოციალიზმს" ამშვენებდა.[2] რუსეთის რევოლუციის მესამე წლისთავს საქართველოს დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომაც მიეძღვნა.[3] გამოვიდა კაუცკის წიგნიც „სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში," პრესამ ასევე ფართედ აღნიშნა გ. პლეხანოვის გარდაცვალების ორი წლისთავიც (საერთოდ მენშევიკები აღმერთებდნენ პლეხანოვს და თითქმის ყველაფერს მის სახელს არქმევდნენ), ფ. ენგელსის დაბადებიდან 100 წელი, რომლის საზეიმო სხდომას 28 ნოემბერს ნ. ჟორდანია და კ. კაუცკიც ესწრებოდნენ (ნ. ჟორდანიამ სიტყვაც წარმოთქვა)[4] და სხვა სოციალისტური თარიღები.

1921 წლის 12 იანვარს საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად აღიარეს. ამის გამო, საქართველოში 6 თებერვალს დიდი ზეიმი გაიმართა. ყოველივე ეს ჩვენი პრესის ერთ-ერთი წამყვანი თემა გახდა.

1921 წლის თებერვლიდან კი საქართველოს პრესის ფურცლებზე უმთავრესი ადგილი სამხედრო-პატრიოტულმა თემატიკამ და საბრძოლო ოპერაციების აღწერამ დაიჭირა, რაც სრულებით არ იყო შემთხვევითი – ქვეყნის დამოუკიდებლობას გარედან აშკარა საფრთხე დაემუქრა. 18 თებერვლიდან ქართული გაზეთების გამოცემა ორგვერდიანი გახდა, თანაც ისინი მთლიანად საბრძოლო ამბების აღწერასა და საომარ მოწოდებებს ეთმობოდა.

1918-1921 წლებში, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა პრესის გავრცელების ორგანიზაცია. ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობა პერიფერიებში, ან საერთოდ არ მიდიოდა, ანდა თუ მიდიოდა ძალზე დიდი დაგვიანებით. მაგალითად, ქუთაისშიც კი, სადაც მოქმედებდა (აშკარად სუსტად) ი. კვიცარიძის პრესის გამავრცელებელი კანტორა,

---

[1] გაზეთი „ერთობა," 1920 წელი, №74

[2] გაზეთი „ერთობა", №58

[3] გაზეთი „ერთობა"

[4] გაზეთი „ერთობა", №268

პრესა მხოლოდ მესამე დღეს ჩადიოდა. პრესის გამოწერის შესახებ ინტენსიური პროპაგანდის მიუხედავად, ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჟურნალ-გაზეთების ტირაჟები ძალზე დაბალი იყო. პერიფერიების დიდი ნაწილი საერთოდ იყო პრესის გარეშე დარჩენილი და ხშირ შემთხვევაში ამ ინფორმაციულ ვაკუუმს მოწინააღმდეგე მხარის პროპაგანდისტული მანქანა იკავებდა.

ჟურნალისტთა ცხოვრებაში უთუოდ საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა 1920 წლის 31 მარტს გამართული კრება, სადაც მოხსენებით დ. დუმბაძე გამოვიდა. ეს იყო პირველი ნაბიჯი, გადადგმული ჟურნალისტთა კავშირის ჩამოყალიბების გზაზე. კრებამ აირჩია შვიდკაციანი საორაგნიზაციო კომიტეტი (ყოვლად აუხსნელი მიზეზების გამო ამ შვიდიდან ქართველები მხოლოდ დუმბაძე და ჯაფარიძე იყვნენ), რომელმაც თავის მხრივ თავმჯდომარედ ბუქშტეინი, ხოლო მდივნად კროტოვი აირჩია. მალე დაიბეჭდა ჟურნალისტთა კავშირის წესდებაც.[1]

გარკვეული (თუმცა სუსტი) ნაბიჯები გადაიდგა ჟურნალისტთა უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც და 1920 წლის 13 მაისს შეიქმნა თბილისის ჟურნალისტთა პროფკავშირებიც (თავმჯდომარედ ანინი იქნა არჩეული).

ცალკე განვიხილოთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამომავალი რუსულენოვანი პრესა, რომელიც უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე მრავალრიცხოვანი იყო. 1918 წელს რუსულ ენაზე გამოდიოდა: „გრუზია", „ბორბა", „ედინენიე", „ზნამია ნაროდა", „ევრეისკი გოლოს", „რაბოჩი სოიუზ", „ზნამია ტრუდა", „იზვესტია ზაკავკაზსკოგო რუსკოგო ნაციონალნოგო სოვეტა", „ნოვოსტი დნია," „პრობუჟდენიე" (აზერბაჯანელთა ორგანო), „რეჩ", „ნაროდნაია სვობოდა", „სვობოდნი პუტ", „სოციალ-დემოკრატ", „ვოზროჟდენიე", „კავკაზსკოე სლოვო", „ოტელიკი ტიფლისა", „სუხუმსკი ლისტოკ" და „ჟურნალ კლუბა სლუშატელეი ცენტრალნოგო ნაროდნოგო უნივერსიტეტა". 1919 წელს გამოდიოდა: „ედინენიე", „რაბოჩი სოიუზ", „გრუზია", „ბორბა", ნაროდნოე ზნამია", „იზვესტია ზაკავკაზსკოგო რუსკოგო ნაციონალნოგო სოვეტა", „ნოვოსტი დნია", „სვობოდნი პუტ", „სოციალ-დემოკრატ", „ვიზროჟდე-

[1] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა," 1920 წ. №74, 87

ნიე", „კავკაზსკოე სლოვო", „ზაკავკაზსკოე სლოვო", „სლოვო", „სუხუმსკი ლისტოკ", „ვოლნა", „ვოლნი გორეც", „ზნამია სოციალიზმა", „რევოლუციონნაია ზნამია", „ნა რუბეჟე", „ზნამია ნაროდა", „ნაშე სლოვო" (სოხუმში), „ნოვი დენ", „ნაშ კრაი" (ბათუმში), „ტიფლისკი ლისტოკ", „ობნოვლენიე", „ნაროდნოე სლოვო", „გოლოს ტრუდა" (ბათუმში), „გოლოს რუსკოგო რაბოჩეგო", „სუვერნი კავკაზ", „ტიფლისკაია გაზეტა", „ბატუმსკი ვესტი", „ნაშა ზნამია", „ზნამია ნაროდა" და „ნაროდნოე ზნამია". 1920 წელს გამოდიოდა: „რაბოჩი სოიუზ", „გრუზია", „ბორბა", „იზვესტია ზაკავკაზსკოგო რუსკოგო ნაციონალნოგო სოვეტა", „ნოვოსტი დნია", „ვოზროჟდენიე", „სლოვო"(სომეხთა ორგანო), „ვოლნი გორეც" (ჩრდილოეთ კავკასიელთა ორგანო), „ნაშ კრაი" (ბათუმში), „ნოვაია გრუზია", „ბათუმსკაია ჟიზნ", „ევრეისკაია ჟიზნ", „ვესტ", „გოლუბოე ზნამია", „კომუნისტ", „კომუნისტ გრუზიი", „ნოვოსტი დნია", „გოლოს რაბოჩეგო", „ტიფლისკაია გაზეტა", „ზნამია სოციალიზმა", „კავკაზსკოე სლოვო", „ნოვოსტი" და „სოციალ დემოკრატ". 1921 წელს გამოდიოდა „რაბოჩი სოიუზ", „გრუზია", „ბორბა", „სლოვო", „ბატუმსკაია ჟიზნ", „ევრეისკაია ჟიზნ" და სხვა. (აქ „და სხვას" როცა ვწერთ მხედველობაში გვაქვს ლიტერატურული და სამეცნიერო ხასიათის გამოცემები, რომლებიც შესაბამის თავებში გვაქვს განხილული).

დასახელებული რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთების ნაწილს ქართველებიც სცემდნენ. მაგალითად, „გრუზიას" (რედაქტორები სხვადასხვა დროს იყვნენ ლ. ჯაფარიძე და ე. გორდელაძე), „ბორბას" (რედაქტორობდა დ. შარაშიძე), „ვოზროჟდენიეს" რედაქტორობდა ე. გორდელაძე), „ობნოვლენიეს" (რედაქტორობდა რ. ივანიცკი, ხოლო გამოსცემდა ე. გორდელაძე) და ა. შ.

უნდა ითქვას ისიც, რომ ამ გამოცემათა აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი ფაქტიურად რუსულ აგენტურას წარმაოდგენდა და მას რუსეთი აფინანსებდა. ეს, რომ მართლაც ასე იყო, როგორც სამართლიანად წერდა ამის თობაზე „ერთობა", დასტურდება შემდეგითაც – გაზეთის ერთი ნომერი, რომელიც 30 მანეთი ჯდებოდა, სავაჭრო ქსელში 10 მანეთად იყიდებოდა.[1]

საქართველოში გამომავალი რუსული პრესა პრაქტიკულად ორ

[1] გაზეთი „ერთობა", 1920 წ. №280

დაჯგუფებად იყოფოდა და ერთი რუსების, ხოლო მეორე სომხების ინტერესებს იცავდა. უნდა ითქვას ერთიც, რა თქმა უნდა რუსების პრესა პირველ რიგში სწორედ რუსეთის ინტერესებს იცავდა, მაგრამ ისინი იმავდროულად ასევე აშკარად იდგნენ სომხურ პოზიციაზე, რადგან თვით სომხები იყვნენ რუსული ორიენტაციისანი.

ამ გაზეთების დიდი ნაწილი არა უბრალოდ მტრობდნენ საქართველოს, არამედ ბეჭდავდნენ ცრუ ინფორმაციებს და ამით ძაბავდნენ ურთიერთობებს მეზობელ სახელმწიფოებთან. ასე მაგალითად, რუსი კადეტების გაზეთი „ნოვოე სლოვო", ცდილობდა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა საქართველო და სომხეთი. „ყველა ღირსეული რუსის მოხელენი, წერდა გაზეთი, დარჩებიან თავის ადგილებზე სომხეთში, საქართველოში კი არა, რადგან იქ საქმის წარმოება რჩება რუსულ ენაზე." ამას გვერდი თვით „ერთობამაც" კი ვერ აუარა (მიუხედავად მისი პოზიციისა რუსეთის მიმართ) და იგი იძულებული გახდა რუსული გაზეთი გაეკრიტიკებინა.[1]

ასევე აგდებდა შუღლს ოსმალეთთან „ზნამია ტრუდაც". იგი თავისი პუბლიკაციებით თითქოსდა გამოესარჩლა ოსმალებს და ამით ხელოვნურად დაძაბა ურთიერთობა მუსულმან ქართველებთან. ეს აღნიშნა თავის გამოსვლებში გაზეთმა „ერთობამაც."[2]

რეაქციონური ხასიათისად მონათლა საქართველოს მთავრობის ეროვნული პოლიტიკა რუსულმა „სოციალ-დემოკრატმაც." ამის გამო იგი „საქართველოს რესპუბლიკამ" გააკრიტიკა.[3]

რუსული გაზეთები ძალზე გააღიზიანა და აღაშფოთა იმანაც, რომ საქართველოში ტექნიკურ, სასურსათო, სამხედრო და საფინანსო საქმეებში უცხოელი ინსტრუქტორების მოწვევა დაიწყეს. მათ შეეშინდათ, რომ ამით საქართველოში უცხოელი, ე.ი. სხვა ქვეყნების წარმომადგენლები გაძლიერდებოდნენ და ამით რუსეთის გავლენა შესუსტდებოდა. განსაკუთრებით ბევრს წერდა ამის თაობაზე „ვოზრაჟდენიე," რისთვისაც იგი „ერთობამ" მკაცრად გააკრიტიკა.[4]

სამწუხაროდ, ზოგჯერ რუსებს გვერდით გადაგვარებული ქართველებიც ედგნენ და თბილისში ისინი უზარმაზარ ენერგიას ხარ-

---

[1] გაზეთი „ერთობა", 1918 წ. №165

[2] გაზეთი „ერთობა", №110,112.

[3] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა," 1918 წ, №1.

[4] გაზეთი „ერთობა", 1918 წ. №161.

ჯავდნენ რუსული გაზეთების გამოცემაზე. მაგალითად, 1919 წელს თბილისში ორი რუსული გაზეთი მთლიანად ქართველთა ძალებით გამოდიოდა. ამ საქმეში ყველაზე სამწუხარო მაინც ის იყო, რომ ისინი საკუთარ ხალხს უთხრიდნენ ორმოს და მტერს ემსახურებოდნენ. აბა, სხვა რა შეიძლება ითქვას გადაგვარებულ ქართველ ლ. ყიფიანზე, რომელიც თავგამოდებით იცავდა რუსებს „კავკაზსკოე სლოვოსა" და „იდინენიეში" (ის ამათი აქტიური ავტორი იყო). სავსებით მართებულად უპასუხა ლ. ყიფიანს „ერთობამ," რომ ჩვენ ვლანძღავდით არა საერთოდ რუსებს, არამედ ცალკეულ რუსებს, რომლებიც აშკარად მტრობდნენ საქართველოს.[1] ლ.ყიფიანი „საქართველომაც" გააკრიტიკა — „ყიფიანი საქართველოში იძულებულია რუსულად წერდეს და სომხურად იღებდეს." რაკი ლ. ყიფიანი „საქართველომ" გააკრიტიკა, „ერთობამ" უცბადვე შეცვალა თავისი პოზიცია (როგორც საერთოდ სჩვეოდა მას) და იგი ახლა მის დამცველად მოგვევლინა.[2]

ძალზე პრინციპული იყო ამ კუთხით გაზეთი „საქართველო," რომელმაც 1918 წელს დაბეჭდა რ. ინგილოს წერილი „დაყოვნება შეუძლებელია" რაშიც ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ეწერა, რომ „საქართველოს მართავდნენ ისინი, ვისი მიზანიცაა საქართველოს სახელმწიფოს დაშლა, ასეთია რუს მოხელეთა აზრი, ამათ კი (ე.ი. მტრებს) ხაზინა ასაზრდოებს. პარლამენტში დავსვით მეორე შეკითხვაც, რომ საქართველოს რუსები (ესენი კი უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებია) სცემენ ყოველდღიურ გაზეთებს და მათში ბეჭდავენ ყალბ ცნობებს საქართველოს წინააღმდეგ. ისინი ასაბუთებენ, რომ საქართველო დაინგრეს და შეუერთდეს რუსეთს. ეს რუსული პრესა ერთმანეთს ეჯიბრება საქართველოს დამცირება-გამასხრებაში, გვიპირისპირებენ ტყუილებით გერმანიას, მთავრობა კი არაფერს აკეთებს ამის საწინააღმდეგოდ. დამოუკიდებლობის შემდეგ, მაშინვე უნდა მიგვეღო კანონი ქვეშევრდომების შესახებ და იგი მოსპობდა ბევრ გაუგებრობას.[3]

გარდა ამისა, რომ ქართული პრესა სისტემატიურად ამხელდა

---

[1] გაზეთი „ერთობა," 1919 წ.№215.

[2] გაზეთი „ერთობა", №216.

[3] გაზეთი „საქართველო" 1818 წ. №135.

არაქართულ ენოვან ორგანოებში დაბეჭდილ ცილისმწამებლურ და მტრულ პუბლიკაციებს, ხელისუფლება იძულებული იყო არც თუ იშვიათად, ადმინისტრაციული ნესითაც ჩართულიყო მათ საქმიანობაში და მიეღო გადამჭრელი ზომები. მაგალითად, 1918 წელს ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოთა გადაწყვეტილებით დაიხურა ან დროებით შეჩერდა ა/კ სდმპ ორგანო, გაზეთი „ზნამია ტრუდა" (101-ე ნომერში დაბეჭდილი წერილისათვის „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება," რომელიც შუღლს აღვიებდა მეზობელ სახელმწიფოებთან), ბოლშევიკური „სოციალ-დემოკრატი", რომელიც ენერგიულად იბრძოდა ა/კ ფედერაციის აღდგენისათვის და შემდეგ მისი რუსეთის შემადგენლობაში შეყავნისათვის, „ეოზრაჟდენიე", სდმპ ორგანო „ტრუდოვოე ზნამია" (მისი რედაქტორი პასუხისგებაშიც კი მიეცა მტრული პროპაგანდისათვის, რაც №57 დაბეჭდილი წერილით გამოიხატა, რითაც მან გადაგვკიდა გერმანია),[1] კადეტების ორგანო „ნაროდნაია სვობოდა", „ზნამია რევოლუციი", „ზნამია ნაროდა", „რეჩ", „კავკაზსკოე სლოვო," „ზაკავკაზსკოე სლოვო," „ნოვოე სლოვო" (მისი რედაქტორი სიცრუისათვის დააპატიმრეს) და ა. შ. თუმცა საქმეს ესეც არ შველიდა, რადგან ერთი დახურული გაზეთის ნაცვლად მეორე დღეს სახელშეცვლილი ახალი გაზეთი გამოდიოდა, რომელიც პოზიციას მაინც არ იცვლიდა. მართალია 1918 წელს არ დახურულა, მაგრამ საქართველოსადმი დიდი სიმპატიებითაც არ გამოირჩეოდნენ „ედინენიე", „სლოვო," მუსულმანთა ახალდაარსებული გაზეთი „პრობუჟდენია," „გრუზია" (მის რედაქტორად პეტროგრადიდან მოწვიეს „პეტროგრადსკოე ვედომოსტის" რედაქტორი ა. ჩერქეზიშვილი, რომელიც იქაურ ქართველთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეც იყო),[2] ჟურნალი „კავკასიის ქალაქი" და ა. შ.

1919 წელს თბილისში გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „სეევრნი კავკაზმაც", რომელმაც თავი მალე იმით გამოიჩინა, რომ უცერემონიოდ დაიწყო საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა. იგი აშკარად იცავდა სხვა ქვეყნის ინტერესებს. გაზეთი „საქართველო" სამართლიანად წერდა თბილისში „სეევრნი კავკაზის" გამოსვლის წინააღმდეგ.[1]

---

[1] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა," 1918 წ. №50

[2] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა," №43

ასევე გაუმართლებელი იყო ხელისუფლების მოქმედება იმასთან დაკავშირებითაც, როცა იგი თბილისში თავისი ხარჯებით სცემდა ორენოვან ჟურნალ „კავკასიის ქალაქს" რუსულ და ქართულ ენებზე. ამასთან დაკავშირებით, სწორად მიუთითებდა გაზეთი „საქართველი", რომ, თუ ჟურნალი საქართველოსი იყო, მაშინ მას შესაცვლელი ჰქონდა სახელწოდება, მაგრამ სინამდვილეში ჟურნალი საქართველოს ინტერესებს სულაც არ ემსახურებოდა. ხელისუფლება არც ამჯერად ღალატობდა თავის ყბადაღებულ ინტერნაციონალიზმის პრინციპს — „ჩვენ ვიცით, წერდა გაზეთი, რა იმალება ამის იქეთ, დროა საქართველომ თავიდან მოიშოროს ეს ინტერნაციონალური ბუტაფორიები, რომელიც ხელს უშლის ეროვნულ თვითგამორკვევას. ასევე არ ვიცით რატომაა ნახევარი რუსული, ან რატომაა კოლეგიაში საქართველოს მტერი სმირნოვი?"[2]

„კავკასიის ქალაქის" წინააღმდეგ გაილაშქრა „საქართველოს რესპუბლიკამაც," რომლისთვისაც მიუღებელი იყო ფაქტიურად ეს რუსულენოვანი ჟურნალი. ამან აღაშფოთა „ერთობა" და დაიცვა ჟურნალი. მისი აზრით, პირიქით, კარგი იყო ის, რომ ჟურნალი რუსულადაც იბეჭდებოდა, რადგან იგი აზერბაიჯანში, სომხეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაშიც ვრცელდებოდა და როგორც იმათ ეხმარებოდა ქალაქების თვითმმართველობების უკეთ მოწყობაში, ისე ჩვენთვისაც სასარგებლო ყოფილა, რადგან ამით თურმე გავიცნობდით მათ გამოცდილებასაც.[3] რა თქმა უნდა, „ერთობის" ეს მოსაზრება მცდარი იყო, რადგან თუ გამოცდილების გადმოღებამდე იყო საქმე მისული, მაშინ არა ამათგან უნდა გადმოგვეღო (ანდა რა ჰქონდათ მათ გადმოსაღები?), არამედ აჯობებდა ეს საქმე მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებიდან გაგვეკეთებინა. თანაც, საქართველოს იმ დროს ძალიან უჭირდა ფინანსურად, არ ჰქონდა ქაღალდი თვით ძალზე აუცილებელი საჭიროებისთვისაც კი და ამ დროს, არიქა, სხვა რესპუბლიკებმა გამოცდილება მიიღონო, ამისათვის გვებეჭდა მათთვის ჟურნალი?

მაგრამ არ გასულა დიდი დრო და ინტერნაციონალიზმისა და რუ-

---

[1] გაზეთი „საქართველო," 1919 წ. №44

[2] გაზ. „საქართველო", 1919 წ. №20.

[3] გაზეთი „ერთობა," 1919 წ. №234

სეთთან ურთიერთობის მეხოტბე „ერთობამ“, სრულიად მოულოდნელად, შეიცვალა პოზიცია ჟურნალთან მიმართებაში. მისი აზრით ეს ჟურნალი უნდა გადაქცეულიყო ერობის ორგანოდ, რისთვისაც საკმარისი იქნებოდა მასში შესულიყვნენ ერობის წარმოამდგენლებიც.

კიდევ უფრო გახშირდა რუსულენოვანი გაზეთების დახურვები 1919 -1920 წლებში და დაიხურა, ანდა დროებით შეჩერდა 1919 წელს „ტიფლისკი ლისტოკ“, „ვოლნა“, „ნაროდნოე ზნამია“, „სლოვო“, „ზნამია სოციალიზმა“, „რევოლუციონნაია ზნამია“, „ზნამია ნაროდა“, „ტიფლისკაია გაზეტა“ (რედაქტორი ლებედევი თბილისიდანაც გააძევეს), „ნოვოსტი დნია“, „გრუზია“, „ვოზროჟდენიე“, „ნაშ კრაი“ (იგი ბათუმში ინგლისელებმა შეაჩერეს ოთხი დღით და ძველი რედაქტორის ნაცვლად დანიშნეს თბილისიდან გაძევებული დენიკინელი რედაქტორი ფრანჩესკი), „კავკაზსკოე სლოვო“, „ვოჟრიჟდენიე“ (რედაქტორი ოპოჩინინი თბილისიდანაც გააძევეს), „ბატუმსკაია ვესტი“ (დახურეს ინგლისელებმა, მის ნაცვლად გამოვიდა „ნაშ კრაი“), „ნოვი დენ“, „ნაშა ზნამია“ (ქონების კონფისკაციითა და რედაქტორის პასუხიმგებლობაში მიცემით), „სოციალ-დემოკრატი“ (რედაქტორები ზურაბოვი და ფირუმოვი, თბილისიდანაც გააძევეს), „ტიფლისკი ლისტოკ“, „ზნამია ნაროდა“, „ნაროდნი ზნამია“, „ზნამია სოციალიზმა“ და „რევოლუციონნაია ზნამია“, 1920 წელს – „კომუნისტ გრუზიი“, „კომუნისტ“, „გრუზია“, „ნოვოსტი დნია“, „გოლოს რაბოჩეგო“, „ზნამია სოციალიზმა“, „კავკაზსკოე სლოვო“, „ნოვოსტი“ და „ნაშ კრაი“ (ბათუმში).

1918 -1921 წლებში საქართველოში ჟურნალ-გაზეთები სხვა ენებზეც გამოდიოდა: „აფსნი“ (აფხაზურ ენაზე, 1919 წლის თებერვლიდან), ამიერ კავკასიის გერმანელთა კავშირის გაზეთი „კაუკაზიშე პოსტ“ (კვირაში ორჯერ 1918 წელს გამოვიდა №91, 1919 წ. №26, 1920 წ. №99 და 1921 წ. №6), პოლონურად კვირეული ჟურნალი (1918 წელი), უკრაინულად „უკრაინკა ნაროდნა რესპუბლიკა“ (ეს იყო უკრაინის სამხარეო რადის ყოველდღიური ორგანო), რუსულ-თურქულად „ნაშ კრაი“ (ბათუმში), ქართულ-თურქულად „სამუსულმანო საქართველო“ (ბათუმში), ქართულ-აზერბაიჯანულად „განახლებული მესხეთი“ (ახალციხეში), თურქულად „სედნი მილეთ“ (ბათუმში, დაიხურა მტრული პოზიციის გამო 1920 წელს), ინგლისურად „ჯორჯიენ მაილ“, „ტრან-

სკაუკაზიენ პოსტ“ (კვირაში ორჯერ), „ვენის ისტ ნიუს“ (სცემდა ამერიკის დამმხმარე კომიტეტი).

თბილისში განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა სომხური პრესა („აშხატავორ“, „ნორ აშხატავორ“, „მშაკ“ და ა. შ.). სომხები გაზეთებს არა მხოლოდ სომხურ, არამედ ქართულ და რუსულ ენებზეც სცემდნენ, რომელთა უმეტესი ნაწილი, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენდამი დიდი სიყვარულით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მათზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით, რადგან ისინი ზოგადად განხილული გვაქვს თავში „სომხური კულტურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ და თანაც მიგვაჩნია, რომ სომხურ ენოვანი პრესა უნდა გახდეს სომხური ენის კარგად მცოდნე სპეციალისტების საგანგებოდ შესწავლის საგანი. იგივე ითქმის საქართველოში გამოცემულ სხვა ენოვან გამოცემებზეც.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიტერატურული პერიოდიკა

(1918 წ. მაისი – 1921 წ. თებერვალი)

მე-20 საუკუნის 10-იანი წლები საქართველოში მძაფრი ლიტერატურული ცხოვრებით გამოირჩეოდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ორი უმთავრესი ქალაქი – თბილისი და ქუთაისი ასრულებდნენ. ლიტერატურული პროცესები კიდევ უფრო გააქტიურდა 1918 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღიდან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან დამოუკიდებლობის აღდგენამ მძაფრი სტიმული, როგორც მთლიანად ლიტერატურის, ისე მისი ცალკეული ჟანრების აღდგენასაც მისცა.

ბუნებრივია, მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული პროცესების აღმავლობის ერთ-ერთი უპირველესი პირობა მხატვრული პრესის არსებობაა. ამ მხრივ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საკმაოდ ხელსაყრელი პირობები ჩამოყალიბდა მისი შექმნის პირველი დღიდანვე. ზედიზედ იქმნებოდა და გამოდიოდა მწერალთა ცალკეული ჯგუფებისა და მიმართულებების ინტერესების გამომხატველი ლიტერატურული ჟურნალები.

თუმცა, აქვე ისიც უნდა მივუთითოთ, რომ ასეთი ჯგუფების არამყარობა თვით ჟურნალების არსებობის ხანმოკლეობასაც იწვევდა. სწორედ, ამიტომ, არაა გასაკვირი, რომ 1918-1921 წლებში, საქართველოში, ათეულობით ლიტერატურული ჟურნალი გამოდიოდა, რომელთა ხანგრძლივობა მხოლოდ რამდენიმე ნომრით განისაზღვრებოდა. ასე მაგალითად, 1918 წელს თბილისში გამოვიდა ჟურნალ „პრომეთეს" პირველი ნომერი, რომლის სარედაქციო წერილი განსაზღვრავდა მის სამოქმედო პროგრამას: „კულტურული მუშაობა ერის ისტორიულ ცხოვრებას განუყრელად სდევს თან. კაცობრიობის კულტურული ჭირნახულის კალოს ის ერი შემატებს ყველაზე მეტს, რომელიც თვით პოლიტიკური ქარიშხალის დროსაც ხელს არ უშვებს

კულტურულ საქმიანობას".[1] „პრომეთე" იყო ლიტერატურული, პოლიტიკური და მეცნიერული ჟურნალი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა თანამედროვე და ძველი მწერლობა და თარგმანები. ,,პოლიტიკურ მიმოხილვაში დაცული იქნება სრული მიუკერძოებლობა და ობიექტურობა", მეცნიერებაში ძირითადი ადგილი დაეთმობა ისტორიას, მწერლობის წარსულს, ეკონომიკას, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას, ენას, მემუარებს, მოგზაურობას, კრიტიკას, ბიბლოგრაფიას და ასე შემდეგ". ჟურნალის პირველივე ნომრიდან ცხადი გახდა, რომ მის ირგვლივ ავტორთა გამოცდილ და სერიოზულ ძალებთან ერთად ახალგაზრდებიც შემოიკრიბნენ. ესენი იყვნენ: დ. კლდიაშვილი, ა. პაპავა, კ. მაყაშვილი, ა. ჭუმბაძე, ს. ფაშალიშვილი, კ. გამსახურდია (პირველ ნომერში დაიბეჭდა მისი ლექსი „ბერლინი"), ა. შანიძე (დაბეჭდილია მისი წერილი და ლექსები „ქართული ეროვნული ჰიმნი," „ლოცვაი წმინდისა იერემიასი" და „გამოსვლათაი"), ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი და ა. შ. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ა. პაპავა, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე და კ. გამსახურდია, ხოლო გამომცემელი ი. სტურუა იყო.

საინტერესო მასალები დაისტამბა მეორე ნომერშიც: ვაჟა- ფშაველა, ვ. ბარნოვი („ამქრის მშვენება", დასაწყისი), ა. ჭუმბაძე, ა. პაპავა, კ. გამსახურდია (ორი ლექსი), კ. ჭიჭინაძე, ს. გორგაძე, პ. ინგოროყვა („კავკასიის ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო"), რ. მეველე და ა. შ. თარგმნილი ლიტერატურა მასში წარმოდგენილი იყო ტერ -ტრიგორიანცით, მეორე ნომრიდან ცვლილება მოხდა სარედაქციო კოლეგიაში, სადაც აკაკი შანიძის ადგილი პავლე ინგოროყვამ დაიჭირა.

ასევე საყურადღებოა მესამე ნომერიც, რომელიც დაისტამბა ა. პაპავას (იწყება მისი მოთხრობა), ი. გრიშაშვილის, კ. გამსახურდიას (ორი სონეტი), ვ. ბარნოვის (გრძელდება „ამქრის მშვენება"), კ. ჭიჭინაძის, ს. წეველის, გ. ახვლედიანის, ე. თაყაიშვილის, დ. უზნაძის (დასაწყისი) და ვ. ჩერქეზიშვილის მხატვრული ნაწარმოებები და სამეცნიერო ნაშრომები.

1918 წელს თბილისში გამოვიდა (იგი 1917 წელს დაარსდა) სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველკვირეულ ჟურნალ „პირველი ნაბიჯის" მორიგი ნომერიც, რომელშიც ა. წეველის, ობოლი

---

[1]. ჟურნალი „პრომეთე", 1918 წელი №1

მუშის, ს. ირემაშვილის და სხვათა ნაწარმოებები იყო დაბეჭდილი.

1918 წლის ივნისში ქუთაისშიც გამოვიდა ჟურნალ „ლიგეიას“ მეორე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ი. გრიშაშვილის, კ. ნადირაძის, შ. კარმელის, ე. პოს, კ. სამსუნის, ნ. მიწიშვილის და სხვათა ნაწარმოებები. 1918 წელს ჟურნალის მესამე ნომერიც გამოვიდა. სამწუხაროდ, ბიბლიოთეკებში მისი ნომრები არაა დაცული, ხოლო ცნობა მათი გამოსვლის შესახებ შემოგვინახა გაზეთმა „ხალხის მეგობარმა“ (№ 158-177).

1918 წელს კიდევ ერთი ახალი ჟურნალი „თოლაბულისის სარტყელი“ გამოვიდა, რომლის რედაქტორ-გამომცემელი გ. ცეცხლაძე იყო. უნდა ითქვას, რომ მან ჟურნალის ირგვლივ საკმაოდ საინტერესო ავტორები შემოიკრიბა (რა თქმა უნდა სუსტებიც საკმაოდ იყვნენ). სულ ჟურნალის ორი ნომერი გამოვიდა და მასში დაიბეჭდა გ. ტაბიძის, რ. გვეტაძის, შ. კარმელის, ლ. მაჭავარიანის, გ. ცეცხლაძის (ორჯერ), გ. ლეონიძის, რ. გოგოხიას, კ. ებრალიძის, ლ. ლანის, შ. ლორდელის, გ. მეგრელიშვილის, ი. ყიფიანის, ა. ბერეკაშვილის და Narcis-ის (თითოჯერ) ლექსები. ჟურნალის მეორე ნომერში დ. კაკაბაძისა და ლ. გუდიაშვილის ნახატების რეპროდუქციებიც გამოქვეყნდა.

ჟურნალის შესახებ „ჩვენ ქვეყანაში“ დაიბეჭდა ვინმე მარინეტის რეცენზია, რომელშიც მაღალი შეფასება ჰქონდა მიცემული გ. ტაბიძის, გ. ლეონიძისა და შ. კარმელის ლექსებს. კარგად იყო შეფასებული გ. მეგრელიშვილის ლექსებიც, ხოლო საშუალო დონის პოეტებად იყვნენ ჩათვლილი რ. გვეტაძე და ლ. მაჭავარიანი. რაც შეეხება ჟურნალის დანარჩენ ავტორებს, რეცენზენტი მათ სუსტ ავტორებად თვლიდა.[1]

მიუხედავად ამისა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწერალთა ცალკეული ჯგუფები დროდადრო სცემდნენ საკუთარი ინტერესების გამომხატველ გამოცემებს, მწერალთა კავშირი მაინც ცდილობდა ჰქონოდა საკუთარი ორგანო და ამ მიზნით გადაწყვიტა დაეარსებინა ჟურნალი „სიტყვა ქართული.“ ამის თაობაზე პრესაში განცხადებებიც იქნა მოთავსებული, თუმცა, იმ ეტაპზე ეს ვერ მოხერხდა.[2] ჟურნალმა მაშინვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება და გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ა. გაბუნიას რეცენზია, რომელშიც ჟურნალის პირველი ნო-

[1] გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ. №63.

[2] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ. №11-17.

მერი იყო მიმოხილული. რეცენზენტის აზრით, მასში შედევრად იყო მიჩნეული ი. გრიშაშვილის პოემა „ლოტოსი", მაღალი შეფასება ჰქონდა მიცემული პ.კაკაბაძისა და ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებებს და როსტანის ს. შანშიაშვილისეულ თარგმანს, ხოლო სუსტ ნაწარმოებადაა მიჩნეული ლ. ქიაჩელის „მკვლელობა კოხტა გორაზე."

1919 წელს ქართველ მწერალთა კავშირმა „საქართველოში" დაბეჭდა წერილი „ქართველ მწერლებისადმი", რომლითაც იუწყებოდა ახალი ლიტერატურული კრებულის დაარსებას ამიერკავკასიის კოოპერატივთან ერთად. კავშირი მწერლებს კრებულისათვის ახალი ნაწარმოებების მიწოდებას პირველ სექტემბრამდე სთხოვდა.

კრებულში შექმნილი იყო პროზის, პოეზიის, ასტეტური მხატვრობისა და მუსიკის, თეატრის, მხატვრობისა და ქანდაკების განყოფილებები. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ ა. აბაშელი, ა. პაპავა, გ. რობაქიძე და ი. ცაგარელი (კოოპერატივის წარმომადგენელი).[1]

1919 წლის აპრილში გამოვიდა ახალი სქელტანიანი (315 გვ.) ლიტერატურული ჟურნალი „შვიდი მნათობი". იგი დიდი ფორმატისა იყო და ხელს სარედაქციო კოლეგია აწერდა.

კიდევ დიდი მოცულობისა იყო მეორე ნომერი (467 გვ.), რომელიც ოქტომბერში გამოვიდა. ჟურნალის ორივე ნომერში საინტერესო, ორიგინალური ნაწარმოებებით არიან წარმოდგენილნი ი. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი, პ. კაკაბაძე, ნ. ლორთქიფანიძე, გ. რობაქიძე, პ. იაშვილი და ს. შანშიაშვილი. დაბეჭდილია თარგმანები – ე. როსტანის „შორეული დედოფალი" (თარგმნა ს. შანშიაშვილმა), ო. უაილდის „სალომე" (თარგმნა გ. რობაქიძემ), მ. ტოროშელიძის, რ. არსენიძის, შ. გოგებაშვილის, ვ. ნოზაძის, ს. კაკაბაძის, დ. კაკაბაძის, ი. ბერიტაშვილის და სხვათა წერილები. ჟურნალში წერილები სხვადასხვა დარგებიდანაა წარმოდგენილი. ესენია: მხატვრობა, პოლიტიკა, მედიცინა, ეკონომიკა, კოპერაციული მოძრაობის ისტორია, ისტორია, წიგნების მიმოხილვა (ბიბლიოგრაფია), თეატრი და ასე შემდეგ.

რეცენზია ჟურნალის მეორე ნომერზე გაზეთ „ერთობაში" ა. ჟორჟოლიანმაც დაბეჭდა. „აგერ ოთხი – ხუთი წელია, წერდა ა. ჟორჟოლიანი, რაც ჩვენ ვიკვებებით საგაზეთო ლიტერატურით... ლიტერა-

[1] გაზეთი „საქართველო", 1919 წ. №162.

ტურამ ძალაუნებურად მიიღო ცალმხრივი, ერთფეროვანი ხასიათი. ის დამჩატდა, დაკნინდა, რადგან სერიოზულ მრავალფეროვან გამოკვლევებს, ან დიდ მხატვრულ ნაწარმოებს გაზეთი ვერ იტანს. გაზეთი, აი ჩვენი დროის ლიტერატურა. მკითხველის გონება გაშრა, გაერთფეროვანდა, ასეთ დროს ყოველი დიდი წიგნის ან სქელი ჟურნალის გამოსვლა დიდი საქმეა". ა. ჟორჟოლიანი მთლიანობაში დადებით შეფასებას აძლევდა ჟურნალს, თუმცა აღნიშნავდა, რომ „მხატვრულ ლიტერატურას ჟურნალში ეტყობა ერთგვარი გაურკვეველობა, უფიზიონომობა". რეცენზენტი დაუნდობლად ილაშქრებდა ჟურნალში დაბეჭდილი პ. იაშვილის ლექსის „წერილი დედას" და გ. რობაქიძის ლექსის „საქართველოს" წინააღმდეგ. მათი დაბეჭდვა ა. ჟორჟოლიანს ავტორთა დაუმსახურებელ პატივისცემად მიაჩნდა. რეცენზიაში დადებითადაა შეფასებული შ. შანშიაშვილის „ელბერდ ბატონიშვილი" და ნ. ლორთქიფანიძის „ძლიერნი სულნი".

ა. ჟორჟოლიანი, რომ ჟურნალს, უპირველეს ყოვლისა, პარტიული პოზიციებიდან აფასებდა, ეს კარგად ჩანს თვით რეცენზიაშიც. მაგალითად, იწონებდა რა იგი ს. კაკაბაძის მონოგრაფიას ერეკლე მეორეზე, მაინც თვლიდა, რომ გამოკვლევაში არ უნდა ყოფილიყო ასეთი ცრუ გამოთქმა „გაჭირვების ჟამს თავადები ხშირად გამოდიოდნენ ეროვნულ მედროშედ, მებაირახტრედ". ა. ჟორჟოლიანი მაღალ შეფასებას აძლევდა მარქსისტი რიჟკოვის წერილსაც „რუსეთის მე-19-20 საუკუნეების ისტორიის საკითხები". იგი აღფრთოვანებული იყო იმით, რომ მტკიცე მარქსისტ ნ. ჟორდანიას აზრი საოცრად ემთხვეოდა მარქსისტი რიჟკოვის აზრს.

გაუგებარია ისიც, თუ რატომ ილაშქრებდა ა. ჟორჟოლიანი ჟურნალში თარგმანების ბეჭდვის წინააღმდეგ.[1]

„შვიდ მნათობთან" დაკავშირებით „ერთობამ" სარედაქციო წერილიც დაბეჭდა. საქმე იმაშია, რომ გაზეთისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ის კრიტიკული წერილები, რაც ჟურნალის პირველ და მეორე ნომერში დაიბეჭდა (უდა ითქვას, რომ გაზეთმა არა მარტო კრიტიკა მთლიანად ჟურნალიც ძალიან სუსტად მიიჩნია). ამის მიზეზს კი „ერთობა" იმაში ხედავდა, რომ „კრიტიკა ბოლო დროს სუსტია, მან გად-

[1] გაზეთი „ერთობა", 1919 წელი N 159.

აუხვია ძველ გზას და იმიტომ, რომ ნიჭიერ კრიტიკოსთა დიდი ნაწილი დაკავებულნი არიან სხვადასხვა თანამდებობებზე. კრიტიკა კი სხვებს ჩაუვარდათ ხელთ. ეს გარემოება უნდა ჩავთვალოთ იმის მიზეზად, რომ ხშირად ვკითხულობთ ყოვლად უმნიშვნელო და უშინაარსო კრიტიკულ შენიშვნებს, რომლის საუცხოო ნიმუშებს წარმოადგენს ჟურნალ „შვიდი მნათობის" პირველ და მეორე ნომრებში მოთავსებული კრიტიკული შენიშვნები"...

კრიტიკა არ უნდა მიენდოს ისეთ კაცს, რომელსაც არც ძალა და არც ცოდნა აქვს, რომ აეტორის აზრებს თავი და ბოლო უნახონ.[1]

ლიტერატურული ჟურნალის აუცილებლობაზე, თუმცა პარტიულზე, წერდა 1919 წელს ა. ჟორჟოლიანიც გაზეთ „ერთობაში" – სდმპ-ს სურს თავისი ჟურნალის დაარსება. ეს განპირობებულია იმით, რომ ბევრი რამაა შესასწავლი. აიღეთ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა, პოეზია, ისტორია, ეს უკანასკნელი ჩვენ ხომ სულ დაუმუშავებელი გვაქვს, რამაც ასე გაამწვავა ჩვენს შკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოების საკითხი. ყოველივე ამის გარკვევა უნდა დამშვიდებით, ვრცლად, მეცნიერების დასკვნების საშუალებით, განათლება, ჩვენი მარქსისტული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით".[2]

ქართველ მწერალთა ხანგრძლივი და მონდომებული მცდელობა, ჰქონოდათ საკუთარი ლიტერატურული ორგანო, რომელიც არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ სისტემატურად გამოვიდოდა, წარმატებით გადაიჭრა და რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის კულტურა-განათლების კომისიამ 1919 წლის დეკემბერში გამოსცა პირველი ნომერი ყოველთვიურ ჟურნალ „ცისარტყელასი". ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ ი. გომართელი, ს. აბაშელი, პ. ირეთელი, ა. რუხაძე და ობოლო მუშა. ჟურნალს ჰქონდა პოეზიის, ბელეტრისტიკის, დრამის, კრიტიკის და ბიბლიოგრაფიის განყოფილებები. ჟურნალი იხსნებოდა სარედაქციო წერილით, რომელშიც სავსებით სწორად იყო დაყენებული საკითხი ხელოვნებათა შესახებ. „საქართველოში არიან ხელოვანნი, რომელთა თვალებს უყვარს ასახვა ცეცხლის თამაშისა, მაგრამ რად არის მათ ხელებში

---

[1] გაზეთი „ერთობა", N 282.

[2] გაზეთი „ერთობა",1919 წელი, № 246

ჩირაღდნები ჩამქრალი? რადა დევს უქმად ვერცხლის ნკირა, რომელმაც უნდა გააღვიძოს საქართველოს ხელოვანთა ქნარის სიმებზე მიძინებული სიმღერა? საქართველოს მწერლებმა უნდა აიღონ ხელში ეს ნკირა... თავისუფალი შემოქმედება, პატივისცემა ჭეშმარიტი ნიჭისა და ბრძოლა შაბლონის წინააღმდეგ, აი, ის გზა, რომლითაც ივლის ცისარტყელა".[1]

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ჟურნალში ფართოდ (თუმცა უმეტესობა სუსტი ავტორებია) იყო წარმოდგენილი პოეზია. გამოსულ 14 ნომერში სულ 25 ავტორია დაბეჭდილი. თითქმის ყოველ ნომერშია წარმოდგენილი ობოლი მუშა (ს.თავაძე) – 12-ჯერ, (მე-7 ნომერში ამ უკანასკნელის პოემა „ნაადრევი ვარსკვლავიზაციაა" დაბეჭდილი), ხ. ვარდოშვილი 7-ჯერ, დ. მეგრელი 4-ჯერ, დ. მეჩონგურე, ბაბილინა, გელა და ნ. ჩხიკვაძე 3-3-ჯერ, კ. რატიშვილი და ქნარი 2-2-ჯერ, ხოლო თითოჯერ დაიბეჭდა ი. გრიშაშვილის, ა. წერეთლის, ს. ბერეჟიანის, ი. ტოფაძის, ე. დარახველიძის, დ. ჯავახიშვილის, ს. წეველის, ქ. ფირუზის, ა. რუხაძის, ვ. ტუქსიშვილის და ს. შანშიაშვილის ლექსები. ცხადია, დიდი განსწავლულობა არაა საჭირო იმისათვის, დავინახოთ წარმოდგენილ ავტორთა დიდ ნაწილს რაიმე მნიშვნელოვანი კვალი ქართულ ლიტერატურაში რომ არ დაუტოვებიათ. ჟურნალი ძირითადად, მაინც ე. წ. პროლეტარული მიმართულებისა იყო.

შედარებით უფრო საინტერესოა პროზა. საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველად ქართველ მკითხველს სწორედ „ცისარტყელამ" მიაწოდა შ. არაგვისპირელის „გაბზარული გული" (დაიბეჭდა გაგრძელებით ცხრა ნომერში), ნ. ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავე" (დაიბეჭდა გაგრძელებით სამ ნომერში) და დ. კლდიაშვილის „ბაკულას ღორები". ჟურნალში ასევე გამოქვეყნდა ლ. ქიაჩელის (ორჯერ), ვ. ბარნოვის (ორჯერ) და დ. შენგელაიას (ორჯერ) მოთხრობები, კ. გამსახურდიას (ორჯერ) და ნ. ლორთქიფანიძის (ერთხელ) ნოველები. ჟურნალში პროზა ასევე წარმოდგენილია ვ. მალაქიაშვილის, ს. პართენაშვილის, ს. რემონიძის, ბაბილინას, ა. უსტიაშვილის (თითოჯერ) და ი. მჭედლიშვილის (ორჯერ) მოთხრობებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალმა ზემოთ დასახელებული ქართუ-

[1] ჟურნალი „ცისარტყელა", 1919 წელი, №1

ლი ლიტერატურის ოქროს ფონდში შესული ნაწარმოებები გამოაქვეყნა, რაც უდაოდ ჩაეთვლება მას დიდ დამსახურებად. ჟურნალის პროზა მთლიანობაში მაინც ძალზე სუსტი იყო და ეს არცაა გასაკვირი, რადგან მისი ძირითადი ავტორები ხომ ა. რუხაძე და დ. თურდოსპირელი იყვნენ – თითოეული მათგანი ხუთ-ხუთჯერ დაიბეჭდა ჟურნალში.

ასევე სუსტადაა წარმოდგენილი დრამაც. გამოსულ 14 ნომერში სულ ორი ავტორის ტ. რამიშვილის და კ. მერგესელის 3 პიესაა დაბეჭდილი.

მეტად უმნიშვნელოა თარგმანებიც – კ. გამსახურდიამ დაბეჭდა „წმინდა უპანიშდების ნიმუშების" და ა. აბაშელმა ა. პშიბიშევსკის მოთხრობის თარგმანები.

ჟურნალის ფურცლებიდან ჩანს, რომ იგი ცდილობდა მრავალფეროვანი ყოფილიყო კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებები. იყო ცდები შეძლებისდაგვარად შეეფასებინათ მიმდინარე ლიტერატურული პროცესებიც. თუმცა, ამ შემთხვევაში მისი ყურადღების სფეროში ძირითადად მაინც ან პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები ხვდებოდნენ, ანდა ისინი, ვინც ამ ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ი. გომართელის თანამშრომლობა „ცისარტყელაში". მან ჟურნალის არსებობის მანძილზე მასში რამდენიმე წერილი დაისტამბა. აქედან ერთში (№1) განხილულია ვ. რუხაძის პოეზია, „სალიტერატურო შენიშვნებში" (№6) კი მკაცრადაა დაწუნებული ჩინჩხალისა და ს. ერთაწმინდელის ლექსების წიგნები, ხოლო მოწონებულია რ. გოგოხიას ასევე ლექსების კრებული. ი. გომართელმა თავის მომდევნო წერილში (№3) უაღრესად მაღალი შეფასება მისცა გ. ქუჩიშვილის წიგნს, ხოლო მკაცრად გააკრიტიკა კ. ნადირაძე და ხაზი გაუსვა მის პესიმიზმს, თუმცა, ვერც მის ნიჭიერებას აუარა გვერდი. ძალზე საყურადღებო და ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ი. გომართელმა ჟურნალის ბოლო (№14) ნომერშიც – „გასული წლის სიტყვაკაზმული მწერლობა". ეს წერილი პირველ რიგში საყურადღებო იმითაა, რომ მასში ავტორი შეეცადა (რა თქმა უნდა კვლავ თავისი პარტიული პოზიციიდან) მთელი ერთი წლის ლიტერატურული ცხოვრების ანალიზი მოეცა.

ი. გომართელს ჟურნალში კიდევ ერთი წერილი აქვს დაბეჭდილი (№4), თუმცა იგი უფრო ზოგადი ხასიათისაა და ხელოვნებას ეხება.

სხვადასხვა დროს ჟურნალში ასევე დაბეჭდილი იყო ა. აბაშელის და

ა. რუხაძის წერილები ნ. ჩხიკვაძეზე და რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, ვ. ხუროძის ძალზე ვრცელი წერილი გ. ტაბიძის შემოქმედება (კრიტიკული ცდა)". ვ. ხუროძე გ. ტაბიძეს, რომელიც იმ დროისათვის უკვე ორი წიგნის ავტორი იყო, ძალიან დიდ შეფასებას აძლევდა.

ჟურნალი ცდილობდა არ ჩაკეტილიყო მხოლოდ ეროვნული ლიტერატურული ცხოვრებით და სხვა ერთა ლიტერატურულ გამოცდილებაზეც მიექცია ყურადღება. ამ მხრივ საყურადღებოა ვ. ხუროძის წერილი (№5) „ემილ ვერჰარნი" და კ. გამსახურდიას ბერლინში დაწერილი „ფრაგმენტები" (№12-13). როგორც ავტორი მიუთითებს, ეს იყო ტრილოგიის „ხელოვნება: სიტყვა, ხატი, მუსიკა," ნაწილი. საყურადღებოა მისივე „უსამშობლოთა სამშობლო", „გამოთქმის ტექნიკისათვის" და „სტილი და სული". ჟურნალის ყურადღების სფეროში მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა არ იყო მოქცეული. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მთელ ექვს ნომერში გაგრძელებებით დაბეჭდილი ა. პაპავას „ფიქრები თეატრის კრიზისზე", რომელშიც პროფესიული მსჯელობაა ქართული თეატრის წარსულსა და იმდროინდელ ყოფაზე.

ჟურნალის საქმიანობა უყურადღებოდ არ დარჩენილა. პირველსავე ნომრებზე რეცენზიები გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში" (მიმოხილულია 1,2 და 3 ნომრები),[1] „ერთობაში" და ა. შ. „ერთობაში" დაბეჭდილ წერილში „რევოლუცია და მწერლობა", ს. დევდარიანი „ცისარტყელას" 1 და 2 ნომრებს მიმოიხილავდა. იგი საერთოდ დადებითი შეხედულებისა იყო და გამოჰყოფდა ვ. რუხაძის, გ. ქუჩიშვილის, ბაბილინას და შ. არაგვისპირელის ჟურნალში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს, თუმცა ამ უკანასკნელის რომან „გაბზარულ გულზე" კრიტიკასაც საკმაოდ გამოთქვამდა. მას მიაჩნდა, რომ ავტორმა მხატვრულად ვერ დასძლია დიდი შინაარსი და საჭირო იყო რომანის გადაკეთება. მკაცრად აკრიტიკებდა ს. დევდარიანი ჟურნალში დაბეჭდილ დ. მეგრელის, ობოლი მუშის (მას კრიტიკოსის აზრით მებრძოლი კილო არ ჰქონდა), დ. თურდოსპირელის და ა. რუხაძის (ამ უკანასკნელებს საყვედურობდა უიმედობის გამო) ნაწარმოებებს. მისი აზრით, ჟურნალს ჯერ კიდევ ბევრი რამ, მათ შორის შორსმხედველობა და ფრთების სიმაგრე აკლდა.[2]

---

[1] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი, №73.

[2] გაზეთი „ერთობა", 1920 წელი, №60.

ქართველი ინტელიგენციის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოინვია 1919 წლის თებერვალში, ქუთაისში, ცისფერყანწელთა ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების“ პირველი ნომრის გამოსვლამ ვ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით (მეორე ნომერი ოქტომბერში გამოვიდა).

ჟურნალმა ირგვლივ ძალზე ნიჭიერი და მრავალრიცხოვანი ავტორები შემოიკრიბა. საკმარისია გადავხედოთ ჟურნალში დაბეჭდილი ავტორების სიას და ამაში იოლად დავრწმუნდებით: მესამე ნომერში (1919 წლის დეკემბერი) გამოქვეყნდა გ. რობაქიძის, რ. გვეტაძის, ტ. ტაბიძის, შ. ამირეჯიბის, ვ. გაფრინდაშვილის, კ. ნადირაძის, ნ. მიწიშვილის, შ.კარმელის, ს. ცირეკიძის, ს. კლდიაშვილისა და დ. ჩიანელის პოეტური და პროზაული ნაწარმოებები; ს. ცირეკიძისა და ვ. გაფრინდაშვილის წერილები და ლ. გუდიაშვილის ერთი ნახატის რეპროდუქცია, ხოლო მეოთხე ნომერში (გამოვიდა 1920 წლის აპრილში) გ. რობაქიძის, კ. ნადირაძის, ვ. გაფრინდაშვილის, გ. ჯაფარიძის, ინრე-ჟანის და ს. ცირეკიძის ლექსები, ს. კლდიაშვილის ნოველები და ვ. გაფრინდაშვილისა და ტ. მაჩაბელის წერილები (ჟურნალის ბოლო, მეხუთე ნომერი 1921 წლის იანვარში გამოვიდა). გაზეთმა „ერთობამ“ დაბეჭდა ვ. ბაქრაძის წერილების სერია „კრიტიკული შენიშვნები (ჩვენი სიმბოლისტები)“, რომლებშიც განხილული იყო ჟურნალები „მეოცნებე ნიამორები“, „თოლაბულისის სარტყელი“ და „აისი“. უნდა ითქვას, რომ ვ. ბაქრაძე ძალზე უარყოფითად იყო განწყობილი სიმბოლისტების მიმართ და მკაცრად იწუნებდა პ. იაშვილის, ტ. ტაბიძისა და ვ. გაფრინდაშვილის ლექსებს. რეცენზენტს მიაჩნდა, რომ „მათი ლექსების შინაარსი მეტად ბუნდოვანია, ძნელია გაგება იმისა, თუ რას ამბობენ ისინი, ან რისი თქმა სურთ“. ვ. ბაქრაძე განსაკუთრებით აკრიტიკებდა შ. აფხაიძის წერილს „ქართული პოეზიის პერსპექტივები“, რომელიც „მეოცნებე ნიამორებში“ იყო დაბეჭდილი. მისი აღშფოთება გამოუწვევია შ. აფხაიძის მოსაზრებას, რომ „ახალმა სკოლამ დაამარცხა ძველი და ამ გამარჯვების დღიდანვე იწყება ახალი ხანა ქართული ლიტერატურისა, მისი რენესანსი. ამ რენესანსის სადავე ახალმა შკოლამ – სიმბოლისზმა დაიკავა ხელში“.[1] ვ. ბაქრაძე დასცინოდა შ. აფხაიძეს ამ მოსაზრების გამო და არა მარტო მას აკრიტიკებდა მკაცრად,

[1] ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“, 1919 წელი, №1.

არამედ დასცინოდა ზემოთ ნახსენებ ავტორებსაც. მან ასევე მკაცრად გააკრიტიკა სიმბოლისტების მანიფესტი, პ. იაშვილის „წითელი ხარი“, ე. დარიანის „ფერადი სონეტი“, ნ. ნადირაძის ლექსები და ა. შ. ერთი სიტყვით, ვ. ბაქრაძეს მიაჩნდა, რომ „ძნელია უფრო ტლანქი, უფრო ულამაზო, უფრო უშნო ეპითეტების და მეტაფორების გამოძებნა, ვიდრე ამას ჩვენ „ცისფერყანწელების“ ლექსებში ვხვდებით“.[1]

მკაცრად უარყოფითი პოზიცია დაიკავა „მეოცნებე ნიამორების“ მიმართ დია ჩიანელმაც. „ვგრძნობ წმინდა ტაძარში ისეთებიც შეპარულან, რომელნიც სამიკიტნოებში უნდა მღეროდნენ და თავისი ხრინწიანი ხმით მხოლოდ ღამის ვირთაგვებს აფრთხობდნენ. დაპირებანი, მანიფესტები, სიტყვის მშრალი რახუნი და მეტი ჯერ არაფერი, რომელიც არ გამოვიდა მათი ალმანახი ან კრებული, ყოველთვის ერთი აკლიათ მათ... ქართული მზიანი სული, აღმოსავლეთის მრავალფეროვანი დაგვა, სუსტად გამოკრთის ხოლმე მათ შემოქმედებაში. ტიციან ტაბიძეში არ გაოცებთ ქართული ქალაქის სახე, კოლაუ ნადირაძე ხატავს ავზნიან ქალაქებს, პირდაჭრილს, დაღრეჯილს, არლანის ჭრიალით გაბრუებთ. სამაგიეროდ, ეხერხებათ პიტერის ან პარიჟის დახატვა. ქართველ მწერლებზე არას იტყვიან, სამაგიეროდ ენას არ მოაბრუნებენ ვერლენი, უაილდი, ბოლდერი არ ახსენონ. გაფრინდაშვილი რომ ახსენებს ჭლექიან მამიას, ამისგან ბევრი უნდა ისწავლონ ამ სკოლებმა, ესაა მათი ცენტრალური ფიგურა“.

მიუხედავად ასეთი განწყობისა, დ. ჩიანელს ჟურნალის გამოცემა მაინც დადებით მოვლენად მიაჩნდა. იგი თვლიდა, რომ გ. რობაქიძის, პ. იაშვილის, ტ.ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის და კ. ნადირაძის ჟურნალში დაბეჭდილი ნაწარმოებები ახალსა და შესანიშნავს არაფერს შეიცავდნენ. „ისევ ძველი თემები, ძველი სტილი, მხოლოდ რობაქიძეს ეტყობა წინსვლა“. დ. ჩიანელის აზრით ჯგუფში თავიანთი ნიჭიერებით შ. აფხაიძე, რ. გვეტაძე, შ. კარმელი და გ. ჯაფარი გამოირჩეოდნენ. იგი ასევე თვლიდა, რომ ძალზე სუსტი იყო ჟურნალის (და საერთოდაც სიმბოლისტების) პროზა. მართალია, ს. ცირეკიძე ცდილობდა, მაგრამ მასაც არაფერი გამოსდიოდა.[2]

---

[1]. გაზეთი „ერთობა“ , 1919 წ., №89., 95, 102.

[2]. გაზეთი „სოციალ-დემოკრატი, 1919 წ, №28.

განსხვავებული, ძირითადად, დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს ჟურნალის მიმართ ტ. ტაბიძემ და გ. რობაქიძემ. გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილ წერილში ტ. ტაბიძე წერდა, რომ ჟურნალი მხოლოდ ყანწელების ნაწარმოებებს არ ბეჭდავდა. იგი ძალიან აქებდა გ. რობაქიძის ლექსს „უაილდი პარიზში", პ. იაშვილის ლექსს „ოფელიას ორდენის კავალერს" და ვ. გაფრინდაშვილის ლექსებს, თუმცა იმასაც წერდა, რომ აღნიშნული ლექსი პ. იაშვილისათვის საუკეთესო არ იყო, ხოლო ვ. გაფრინდაშვილის ლექსებში შეიმჩნეოდა ერთსახიანობა და განმეორებული სახეებიც. ასევე დადებითადაა შეფასებული კ. ნადირაძის ლექსი „ივანე მაჩაბელს".

რაც შეეხებოდა ახალგაზრდა ავტორებს, ტ. ტაბიძე თვლიდა, რომ „არცერთში არ არის ისეთი მიღწევა, რომელზედაც შეიძლებოდეს ლაპარაკი. ზოგში ბევრი კურიოზებია, არის ლექსები, რომლებიც არ უნდა იბეჭდებოდეს, უმრავლესობაში უშნო ნაბაძვაა". პროზაში ტ. ტაბიძე გამოჰყოფდა ს. ცირეკიძეს, ხოლო ჟურნალში დაბეჭდილი წერილებიდან აღნიშნავდა ს. ცირეკიძისა და გ.გაფრინდაშვილის სტატიებს. „ჟურნალში წერდა ტ. ტაბიძე, ბევრია ბალასტი, მიუღებელია მხატვრული ქრონიკა. სტილით, აზრებით იგი პროვინციის კორესპონდენტს გავს და ჟურნალს უკარგავს ისედაც მკრთალ სახეს".[1]

გ. რობაქიძემ „მეოცნებე ნიამორების" მეორე ნომერი მიმოიხილა და მას მაღალი შეფასება მისცა. „ქართულ პოეზიაში, წერდა იგი, ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა დიპლიპიტოს ხრიალი და ყარაჩოღული დავლური. „მეოცნებე ნიამორებს" მოაქვთ ნაპრალების გაწმენდილი ჰაერი და უცხო ყვავილების სურნელება". გ. რობაქიძე ჟურნალის მეორე ნომრიდან გამოყოფდა თავის სონეტებს, პ. იაშვილისა და ტ. ტაბიძის ლექსებს. იგი თვლიდა, რომ ტ. ტაბიძისათვის ლექსები „ორი აპრილი", „ქალდეას ბალაგანი" და „ბირგამოს ტყესთან" საეპოქო მნიშვნელობისა იყო. „ლირიკის საკითხი საქართველოში ტ. ტაბიძის ლექსზე გადაწყდება". გ. რობაქიძე ასევე კარგ შეფასებას აძლევდა ლ. ჯაფარიძის, ვ. გაფრინდაშვილის, რ. გვეტაძის, ნ. მიწიშვილისა და ნ. ლორთქიფანიძის დაბეჭდილ ნაწარმოებებს, ხოლო პ. ნადირაძეს კი მიიჩნევდა ნიჭიერ პოეტად, თუმცა იმასაც წერდა, რომ იგი „ჯერ

[1] გაზეთი „საქართველო", 1919 წ, №44

„კიდევ სხვების თემებში“ იყო. სუსტად იყო შეფასებული შ. აფხაიძის, შ. კარმელის, ი. ყიფიანის, გ. ჯაფარიძისა და ს. კლდიაშვილის ნაწარმოებები.[1]

გ. რობაქიძე ჟურნალიდან გამოჰყოფდა ვ. გაფრინდაშვილის მალარნესადმი მიძღვნილ წერილსაც (იგი ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. გაფრინდაშვილის მიერ თარგმნილ მალარმეს ნიგნს).[2]

„მეოცნებე ნიამორებზე“ დადებითი რეცენზია „საქართველოს რესპუბლიკაშიც“ დაიბეჭდა.[3]

1919 წლის ბოლოს სიმბოლისტებმა კიდევ ერთი ჟურნალი „შვილდოსანი“ გამოსცეს ქუთაისში ს. ცირეკიძის რედაქტორობით. პირველ ნომერში დასტამბული იყო გ. რობაქიძის პ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, ტ. ტაბიძის, კ. ნადირაძის, ნ. მიწიშვილის, რ. გვეტაძის, შ. აფხაიძის, ნ. ლორთქიფანიძისა და დ. ჩიანელის ნაწარმოებები.

ჟურნალმა ქართული ინტელიგენციის მძაფრი დაინტერესება და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. დაიბეჭდა მრავალი რეცენზია, რომელთა ავტორები მკვეთრად განსხვავდებოდნენ მოვლენათა, თუ ცალკეულ ნაწარმოებთა შეფასებაში. მაგალითისათვის მოვიყვანთ რამდენიმეს.

1920 წელს „საქართველოში“, დაიბეჭდა გ. ლეონიძის წერილი, რომელშიც დაწვრილებითაა განხილული „შვილდოსანი“. როგორც იგი წერს, ბოლო ათი წელი ქართულ მწერლობაში უნიჭობის ეპოქა იყო და ძირითადად, კარის მგოსნებს ზრდიდნენ. ეს უნიჭობა, მიაჩნდა გ. ლეონიძეს, კვლავაც გრძელდებოდა. სანიმუშოდ მას მოჰყავდა გაზეთ „ერთობისა“ და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მაგალითი, როგორც ბანალური პრესისა. გ. ლეონიძე განსაკუთრებით აკრიტიკებდა ი. გრიშაშვილს და წერდა, რომ იგი „კვლავ სხვის რითმებზე განაგრძობს ნადირობას“. ასეთი მოძალებული უნიჭობის ფონზე, გ. ლეონიძე გამოარჩევდა ორ კარგ ჟურნალს „მეოცნებე ნიამორებს“ და „შვილდოსანს“. ჩერდებოდა რა ამ ბოლოზე, იგი გამოჰყოფდა გ. რობაქიძის „ფრანგ პოეტებსა“ და „ამორძალ ლონდას“. გ.რობაქიძე მას სიტყვის

---

[1] გაზეთი „საქართველო“, 1919 წელი, №95

[2] გაზეთი „საქართველო“

[3] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, №73

ნამდვილ ოსტატად მიაჩნდა. და ეს მით უფრო თვალშისაცემი იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროის ქართულ სიტყვაზე ერთობ დაბალი აზრი ჰქონდა გ. ლეონიძეს – „ქართული სიტყვა დღეს მეტად გახუნებულია და მკრთალი. დღემდის იგი მონაა ჟურნალიზმისა და კანცელარიისა“.

გ. ლეონიძე მაღალ შეფასებას აძლევდა ტ. ტაბიძის („მღვდელი და მალარია“), პ.იაშვილის („ალი არსენიშვილს“), გაფრინდაშვილის კ. ნადირაძის, ნ. მიწიშვილის, ნ. ლორთქიფანიძის („ბებრები“), ს. ცირეკიძის და ს. კლდიაშვილის ჟურნალში დაბეჭდილ ნაწარმოებებს, ხოლო შ. კარმელის, რ. გვეტაძისა და შ. აფხაიძის შესახებ უფრო ნაკლები შეხედულება ჰქონდა. გ. ლეონიძე წერდა, რომ შ. კარმელის რითმა უსულო იყო, ხოლო რ. გვეტაძე ერთის მხრივ შ. კარმელს ჰგავდა, ხოლო მეორეს მხრივ იგი პორნოგრაფიაში გადადიოდა. რაც შეეხებოდა შ. აფხაიძეს, რეცენზენტის აზრით, შ. აფხაიძის ფაქტურა სუსტია, წყალი ბევრია, თუმცა სურნელი და სიწმინდე არის და ბლოკს გვაგონებს“. საერთოდ კი, გ. ლეონიძე თვლიდა, რომ „ყანწების მერე ქართული ლექსი გახდა დაწმენდილი, როგორც სანთელი და გამართული, როგორც მიმინო“.[1] გ. ლეონიძემ მაღალი შეფასება მისცა ჟურნალში დაბეჭდილ გოტიეს ვ. გაფრინდაშვილისეულ თარგმანებსაც.[2] (გაერთიანებული N-2-3 1920 წ. მარტში გამოვიდა).

„შვილდოსანის“ 1 და 2-3 ნომრებს დადებითად გამოეხმაურა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკაც“, რომლის აზრით, ქართული ხელოვნების რენესანსის დაწყების დამადასტურებელი იყო, თუნდაც, ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ბევრი კარგი ჟურნალი გამოდიოდა.[3]

ძალზე ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ი. გომართელმა „ერთობაში“, რომელშიც მან „შვილდოსანის“ გამოსული სამივე ნომერი განიხილა. ი. გომართელმა მაღალი შეფასება მისცა გ. რობაქიძეს, თუმცა არც შენიშვნები დაუკლია მისთვის – „გ. რობაქიძის ლექსში კარგია რითმა, რიტმი, წერის მანერა, მაგრამ შიგ არ არის ციური ცეცხლი, იგი უფრო ბრინჯაოს ლექსს ჰგავს. რობაქიძე დიდია, მაგრამ არა

---

[1] გაზეთი „საქართველო“, 1920 წ., №72

[2] გაზეთი „საქართველო“

[3] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., №73

პოეტი. იგი სიტყვის ოქროპირია, პროზის მოქანდაკე". რაც შეეხება კონკრეტულად გ. რობაქიძის „ამორძალს" (№2-3) ი. გომართელმა ასე შეაფასა: „იგი უფრო გონებითაა დაწერილი, ვიდრე გულით. ლონდას განცდა მასში მკრთალია". ი. გომართელი მკვეთრად უარყოფითი აზრისა იყო ტ. ტაბიძეზე, თვლიდა, რომ პოეტი ძალიან იქებდა თავს, უზრდელობდა და სხვებს კრეტინებს ეძახდა (სად?.ა.ნ.) მიუხედავად ამისა, მან, მაინც ვერ დაიწუნა პოეტის „მღვდელი და მალარია", თუმცა დაუმატა, რომ ლექსის დედააზრი მისთვის მიუღებელი იყო. მაღალ შეფასებას აძლევდა რეცენზენტი პ. იაშვილს („ალი არსენიშვილს"). ის პოეტს „ძალიან ნიჭიერად" მიიჩნევდა. ასევე მაღალი აზრისა იყო ი. გომართელი ი. გრიშაშვილის შემოქმედებაზეც, ამტყუნებდა გ. რობაქიძეს ი. გრიშაშვილთან მიმართებაში და წერდა, რომ „მართალია გრიშაშვილის პოეზიაში არის ეროტიკა, მაგრამ ეროტიკა, გაოფლილი იღლიების ღლოშნა, ძუძუების სრესა და სხვა მათაც (იგულისხმებიან ყანწელები – ა. ნ) არა აქვთ?"

ი. გომართელი მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებასაც. განსაკუთრებით, გამოჰყოფდა მის ლექსებს „საფერფლე" და „ბოჰემას", რომლებშიც ი. გომართელის აზრით, მისი ოსტატობა სჩანდა. ასევე შეაფასა ვ. გაფრინდაშვილის თარგმანები და გამოკვლევა „რითმა და ასონანსი".

განსაკუთრებული სიძულვილი ჩანს ი. გომართელის კ. ნადირაძისადმი დამოკიდებულებაში, იწუნებს მის „საქორწინო მოგზაურობას", თვლის ნაძალადევად დაწერილად და უწუნებს რითმებს დღეები – სიცხეები. „ქართულმა ენამ იცის სიცხე, ხოლო სიცხეები მაგნაირ პოეტს თვითონ აქვს". ი. გომართელი კ. ნადირაძეს მიიჩნევდა მკვეხარად – „მომავალში რა იქნება ვნახოთ, მაგრამ ახლა არაფერია". მისი „დისონანსები" კი არის სქესობრივი სნეულების – სადიზმისა და მაზოხიზმის პოეზია. ამას საღი ადამიანები ვერ გაიზიარებენ". მის პოეზიაში არის სტილის პროსტიტუცია, ბანალობა, ქვეყნის მოტყუება, პოეტის სახელის სპეკულაცია, ქართული პოეზიის გარყვნა, კრეტინიზმი. ეს დასაგმობია და გასაკიცხი. იგი უზრდელია, აკი, თვითონ წერდა ერთგან – „ახ, მე დავრწმუნდი – საჭიროა მეტი ზრდილობა". ასევე აბრალებს მას იგი გრიშაშვილისა და ს. შანშიაშვილის სიძულვილს. ი. გომართელი ბოლოს ორიოდე საქებარ სიტყვასაც იმეტებდა

და წერდა, რომ კარგი იყო მისი „მთვარის წყალობა", „ოცნება საქართველოზე", „ქალბატონებს" და „პირველი მარტი".

გომართელი იწონებდა ს. შანშიაშვილის პოემას „ელბერტ ბატონიშვილი", ოღონდ წერდა, რომ მას არ შეჰფერის „ქაცვია მწყემსის" რითმა და მუსიკა.

ი. გომართელი დადებითად აფასებდა რ. გვეტაძის „სასაფლაო და ყვავილებს" (თუმცა იწუნებდა მასში „ახ და ოხ" ხმარებას) შ. აფხაიძის ნიჭს (თუმცა ბევრი რამ გომართელისათვის მიუღებელი იყო და მიიჩნევდა რომ პოეტს თავი უნდა დაენებებინა ო-ს ყალბად გამოყენებისათვის). ნ. მიწიძვილს, ს. ცირეკიძეს, რ. გვეტაძეს (თუმცა თვლიდა, რომ პოეტს ზოგჯერ სნეული ფანტაზია ჰქონდა და უადგილოდ იყენებდა ახ და ოხ-ს) შ. კარმელს (თუმცა მისი აზრით ეტყობოდა გაფრინდაშვილის ნათესაობა და ნაძალადეობა, უფერულობა და ხელოვნურობა), დ. ჩიანელს, ნ. ლორთქიფანიძის „ბებრებს" (თუმცა იწუნებდა „ჩარდაშს," რადგან მას ამბავად თვლიდა და არა მხატვრულ დამთავრებულ სურათად). ი.გომართელი იწუნებდა ს. კლდიაშვილის „სალფის", მას ინილო-ბინილოდ თვლიდა, რომელსაც, მისი აზრით არც თავი ჰქონდა და არც ბოლო.

ისიც უნდა ითქვას, რომ გომართელი ცისფერყანწელთა საქმიანობაში ბევრ დადებითს ხედავდა. „მათ მართლა შეიტანეს ძალიან ბევრი რამ ახალი ჩვენს პოეზიაში, მათ ბევრი თანამოაზრენი და მიმდევარნი შეიძინეს, მაგრამ სხვების ბანაკშიაც იყო, არის და იქნება, კიდეც ძლიერი და თავისებური ნიჭი".[1]

სამაგიეროდ, ვერაფერ დადებითს, გარდა სექსუალური ლექსებისა, ვერ ხედავდა „შვილდოსანში" ა. ჭელიძე. იგი წერილში, „ცინიზმი პოეზიაში", აკრიტიკებდა რა გ. რობაქიძის „ამორძალ ლონდას" (2-3), თვლიდა მას სექსუალურ ლექსად, სტრიქონის, „გესმით ქალებო უნდა გავხდე მისგან ორსული," გამო[2].

ასევე მკაცრად ლანძღავდა „შვილდოსანს" მ. შუამდინარელიც (ი. გრიშაშვილი) თანაც იმის გამო, რომ მასში დაბეჭდილი იყო კ. მაყაშვილის, გ. რობაქიძის და ა. არსენიშვილის ნაწარმოებები. იგი თვ-

---

[1] გაზეთი „ერთობა", 1920 წ, №62

[2] ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება", 1920 წ, №10

ლიდა, რომ გ. რობაქიძე ქართულ ლექსს აწამებდა. მ. შუამდინარელი ვ. გაფრინდაშვილს უწოდებდა რუსეთის შეგირდს, ხოლო ტ. ტაბიძეს პოეზიის პარალიჩს და თვლიდა მათ უნიჭოებად, „შვილდოსანს“ კი, თავხედურ და ყიზილბაშურ ჟანრად. მისი აზრით, ცისფერი ყანწები ამით თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს. ერთი სიტყვით, ისეთი ლანძღვის კორიანტელი, როგორსაც შუამდინარელი აყენებდა „შვილდოსანის“ მიმართ იშვიათად შეიძლება მოიძიო სხვაგან.[1]

ძალზე ვრცელი წერილი გამოაქვეყნა „შვილდოსანზე“ ს. ფაშალიშვილმაც „სახალხო საქმის“ ორ ნომერში. იგი თავიდანვე ლანძღვით იწყებს და წინასწარ აკეთებს დასკვნას, რომ ჟურნალმა არ გაამართლა. „ხელის ჩაქნევითა ჰკეცავ ამ ქუთაისურ ქაღალდის კონას“. მე, იმიტომ ვწერ ამ წერილს, რომ „შვილდოსანის“ მიზანია მწერალთა იმ ჯგუფის ჩაწიხვლა „ლეილა“ რომ აერთიანებს“.

ს. ფაშალიშვილის თქმით ეს იყო იძულებითი პასუხი, რადგან მანამდე ი. გრიშაშვილი და მისი ჯგუფის წევრები ყანწელებს ლანძღვაზე არ პასუხობდნენ, მაგრამ, როცა მათ ისინი ჩათვალეს უძლურებად, იძულებულნი გახდნენ ეპასუხათ.

ს. ფაშალიშვილის თქმით „ქიმერიონი“ პარპაშობდა, ხოლო ს. შანშიაშვილისა და ი. გრიშაშვილის ამღერებით ილიასა და აკაკის სკოლა მოკვდა. „მათ სამარხზე კი აკვნესდა ორი ახალი არფა შანშიაშვილისა და გრიშაშვილისა. ერთმა დაიწყო ქართული ეპოსი, ხოლო მეორემ ლექსის ფორმის ახალი ეპოქა. გრიშაშვილის ფორმამ სკოლის სახელიც კი მიიღო ჩვენში. ბოლო ხანს არ დარჩენილა არც ერთი მელექსე, რომელიც გაქცეოდეს ამ ფორმას. ქართული ლექსის ახალ ნადიმზე თამადად მაინც გრიშაშვილი დარჩა, რობაქიძე კი ყანწელების ფიგაროა. ს. ფაშალიშვილი, რამდენადაც აქებდა გრიშაშვილსა და შანშიაშვილს, იმდენად ლანძღანდა მთელს სიმბოლიზმს საერთოდ. ჩვენი პოეზიის თანამედროვე ევროპის შანტანის პოეზიად გადაქცევა ვამპუკაობა იქნება, რადგან ჩვენში არ არის არც მწერლობა, არც მწერლური ტრადიცია (ფართო მასშტაბით), არც დიდი ქალაქის კულტი. მე ვთვლი, რომ მწერლობამ ტრადიცია თვითონ უნდა შექმნას და არ ეცადოს წაბაძოს ევროპას. ამით ჩვენ, ჩვენ სახელს შევინარჩუნებთ. აი,

[1] გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წ., №756

ეს უნდა იყოს ჩვენი „გალსტუკიანი“ პოეზიის მიზანი და მან თავისი „ვიზიტკა“ სხვის ოჯახში ლაქიობისათვის არ უნად ჩაიცვას. ეს გზა ს. ფაშალიშვილის აზრით ი. გრიშაშვილმა დაიწყო, რომელიც გ. ტაბიძესთან ერთად თავიდან ყანწელებთან იყო. ყანწელებმა თვითონ დაიწყეს თავის განდიდება, ისტორიული ქადაგება თავიანთ მესიაობაზე, გინება გრიშაშვილისა, აბაშელისა. ტიტე ტაბიძე მოსკოვში ბალმონტს უჩხიკინებდა ყანწელთა სტატისათვის, რომელმაც რუსთაველის გვერდზე წამოჭიმა ისინი, რაც, რასაკვირველია საუცხოოდ ადასტურებს ბალმონტის უვიცობას ამ შემთხვევაში და პირმოთნეობასაც. მათ საღამოებზე ხალხი ახალი მოდის კურიოზების მოსასმენად მიდიოდა“.

როგორც ს. ფაშალიშვილი აღნიშნავდა მათი ჯგუფი თავიდან ცისფერყანწელებთან მეგობრულ ურთიერთობაში იყო. მათს ნიჭიერებას კ. აბაშიძე და ვ. კოტეტიშვილიც აღნიშნავდნენ, რადგან, სწორედ, რითმის ჯენტლმენებმა პ. იაშვილმა, ტ. ტაბიძემ და ვ. გაფრინდაშვილმა გააკეთეს ბევრი რამ ქართული ლექსის ევროპულთან დასაახლოებლად, რაც მათი მთავარი დამსახურება იყო. მათ ეს შემოიტანეს, თვითონ კი არ გამოუგონიათ, ან შეუქმნიათ. ს. ფაშალიშვილი აგრძელებს, რომ ამის შემოტანას დიდი ნიჭი სულაც არ უნდოდა. იგი ლანძღავს ყანწელებს და წერს, რომ ისინი თავისი თავით იყვნენ ავად. რობაქიძეს და ტ. ტაბიძეს თავი მაღალი რანგის პოეტები ჰგონიათ. მართალია, ტ. ტაბიძეს ღრმა გრძნობა და ლიტერატურული ცოდნა აქვს, პოეტური სულისაა, განცდისაა, მაგრამ ლექსებს სტანჯავს. მას ლექსების წერა არ შეუძლია და ამაოდ ჩამწვარა ამ ორდენის ძიებაში. რობაქიძემ იცის ლექსის კანონები, მაგრამ ლექსი კამოდი ხომ არ არის, რომ ხელოსნობით გაკეთდეს? ამოტომ, რობაქიძის პოეტობა და ისიც დიდი პოეტობა, ხლესტაკოვშინაა. პოეტებია იაშვილი და გაფრინდაშვილი. მათ გვარდიაში დანარჩენთათვის რაიმე ორდენის მიცემა ლიტერატურული ქველმოქმედება იქნებოდა ჯერხნობით.

ყანწელებმა „ლეილას“ მიმართულება მოკვდა, დასრულდაო. ტყვილია ეს, ამ ჯგუფის მისიაა ევროპასა და ქართულ მწერლობას შუა ნეიტრალური ხიდის გადება. ევროპაში მარტო სტილით კი არ უნდა შევიდეთ, თან უნდა შეგვყვეს ეროვნული „ბაგაჟიც“. ტ. ტაბიძეს ვეთანხმები, რომ აქამდე არსებული ქართული მწერლობის ევროპაში

შეტანა გაგვაწითლებს. ჩვენ, ლიტერატურას მკაცრ დეზინფექციას თუ ჩავუტარებთ, მაშინ მასში დარჩება რამდენიმე წიგნი (ტაბიძეც ასე ფიქრობს). ჩვენში ორიოდე მწერლის გარდა, ზოგთა ბუმბერაზ კლასიკოსებად აღიარება ლიტერატურული სკანდალია და ბევრი სახელმოხვეჭილი მწერალი სტატისტად მიმაჩნია. ასეთივე სტატისტები ვართ ჩვენ ყველანი, იმ განსხვავებით, რომ ჩვენი ალღო და გემოვნება უფრო ჯენტლმენურია".[1]

1919 წელს ლიტერატურული ჟურნალი „სმარაგდი" ვ. გორგაძემაც გამოსცა. სულ ამ ჟურნალის მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა.

1919 წელს, ქუთაისში ს. ასლანიშვილმა ჟურნალ „ხელოვნების" პირველი ნომერიც გამოსცა, რომელშიც დ. კლდიაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, რ. გვეტაძის, გ. ლუჩაშვილის, შ.კარმელის, ი. გრიშაშვილის, ნ. თუმანიშვილის, მ. შევარდნაძისა და ლ. მეტრეველის ნაწარმოებები იყო დაბეჭდილი (ჟურნალის მეორე, იმავე წლის ნოემბერში, ხოლო მესამე ნომერი 1921 წლის იანვარში გამოვიდა).

როგორც უკვე ვწერდით, საქართველოს მწერალთა კავშირი არაერთგზის შეეცადა დაეარსებინა ქართველ მწერალთა მუდმივი ლიტერატურული ბეჭდვითი ორგანო, მაგრამ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ეს ვერ ხერხდებოდა.

1920 წელს, როგორც იქნა მოხერხდა და კავშირმა ამ მიზნით შეიძინა ქაღალდი, ხოლო 7 მაისს პოეზიის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, გადაწყვიტა პირველად თავისი არსებობის ისტორიაში გამოეცა სპეციალური გაზეთი „პოეზიის დღე" და პრესის საშუალებით მწერლებს მასალების მიწოდება სთხოვა.[2] პოეზიის დღესთან დაკავშირებით, მწერალთა კავშირმა კრებულის გამოცემაც გადაწყვიტა. ასევე ცდილობდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, ჟურნალი „ხელოვნება" შეექმნა სახელოვნო ცენტრსაც.[3] მწერალთა საბჭომ ასევე დაადგინა 1920 წლის თებერვალში დიდი ლიტერატურული კრებულის გამოცემაც.[4]

---

[1] გაზეთი „სახალხო საქმე",1919 წელი, №757-758.

[2] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი, №88-122.

[3] გაზეთი „სახალხო საქმე",1921 წელი, №841.

[4] გაზეთი „ერთობა", 1920 წელი, №19.

კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო ცალკეულ მიმართულებათა, თუ დაჯგუფებათა ლიტერატურული ჟურნალების გამოცემამ. 1920 წლის გაზეთ „სახალხო საქმეში" ი. გრიშაშვილმა გამოაქვეყნა წერილი, რომლითაც იგი თავისი რედაქტორობით ახალი ლიტერატურული ჟურნალის „ლეილას" დაარსებას იუწყებოდა. ი. გრიშაშვილი საუბრობდა რა ჟურნალის მიზნებზე, ხაზს უსვამდა, რომ იგი ყოველგვარი პარტიულობისაგან განზე იქნებოდა. ი. გრიშაშვილის განცხადებაში განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის, რომ, როგორც იგი წერდა, ჟურნალი პერიოდული გამოცემა არ იქნებოდა და ის მხოლოდ, მაშინ დაიბეჭდებოდა, როცა მისთვის მისაღები მასალები შეგროვდებოდა.[1]

სულ „ლეილას" ორი ნომერი გამოვიდა. ჟურნალში მოთავსებული იყო გ. გრიშაშვილის, ს. შანშიაშვილის, კ. მაყაშვილის, ა. აბაშელის, ს. ფაშალიშვილის, ი. მჭედლიშვილის, კ. ჭიჭინაძისა და მარიჯანის ლექსები; ნ. ლორთქიფანიძის, ნ. შიუკაშვილისა და ლ. მეტრეველის მოთხრობები; ი. გომართელის, ვ. კოტეტიშვილისა და მ. შუამდინარელის კრიტიკული წერილები და ა. შ.

1920 წელს დაარსდა ჟურნალი „ახალი ნაკადიც", რომლის პირველ ნომერში მ. წერეთლის, ი. დორელის, ს. კოლხიდელის, თ ბეგაშვილის და სხვათა ნაწარმოებები დაიბეჭდა.

1920 წელს შ. მეფანდურეს რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „პარნასის" პირველი ნომერიც (ჟურნალის მხატვარი მ. თოიძე იყო). მასში დაბეჭდილი იყო აქილესის, კ. გერგესელის, შ. გომართელის, გ. თუთას, ა. მაჭავარიანის, შ. მეფანდურეს, ი. მჭედლიშვილის, ლ. პარნასელის, კ. რატიშვილის, რუშაველის და ლ. ძიძიგურის ორიგინალური და ო. უაილდის თარგმნილი ნაწარმოებები.

უფრო მრავალფეროვანი იყო მეორე ნომერი. მასში გამოქვეყნდა გ. ტაბიძის, ი. მჭედლიშვილის, კ. ებრალიძის, მ. ბოჭორიშვილის, ხ. ვარდოშვილის, ა. გაბუნიას, შ. გომართელის, კ. გერგესელის, ლ. ძიძიგურის, ლ. პარნასელის, ჰ. ყანჩელის, კ. რატიშვილის, აქილესის, დ. ა. გ. ი. და მეფანდურეს ორიგინალური და გ. ბრონშტეინის თარგმნილი ნაწარმოებები.

1920 წელს დაარსდა ხელოვანთა და ლიტერატორთა მცირე მოცუ-

[1] გაზეთი „სახალხო საქმე", 1920 წელი, №719.

ლობის (სულ 16 გვერდი) ჟურნალი „თბილისიც". მასში ლიტერატურა მხოლოდ გ. ტაბიძის, გ. საგანელის, ა. გაბუნიას და ი. იოსელიანის ნაწარმოებებით იყო წარმოდგენილი.

1919 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში გამოვიდა ჟურნალ „კრონოსის სარკის" პირველი და მეორე ნომრებიც, რომლებშიც დაბეჭდილი იყო ტ. გრანელის, თ. წალენჯიხელის (ეს იგივე ტ. გრანელია), ა. კორინთელისა და სხვათა (ჟურნალი სულ 8 გვერდიანი იყო) ლექსები და ვ. გაფრინდაშვილის, დ. შენგელაიას და ა. ბერეკაშვილის მინიატურები. ჟურნალის მესამე ნომერში კი, რომელიც 1920 წელს გამოვიდა, მოთავსებული იყო პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, რ. გოგოხიას, ს. ერთანმინდელის, ტ. გრანელის, პ. სპერელის, გ. ამორის, ა. ბერეკაშვილის, ე. ყანჩელის და გ. ბრონშტეინის ნაწარმოებები. (ჟურნალი ტ. გრანელმა გამოსცა).[1]

ძალზე ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო მწერალთა ერთმა ჯგუფმა. 1920 წელს მათ გადაწყვიტეს დაეარსებინათ ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი და ყოველი ნომრისთვის იმ თვის სახელი ეწოდებინათ, როცა იგი გამოვიდოდა. პირველად იგი „თებერვლის" სახელწოდებით გამოვიდა და მასში კ. რატიშვილის, მიტო ჯავახიშვილის, გ. გარსიაშვილის, აქილესის და ა.შ და გრიშა თუთას ნაწარმოებები დაიბეჭდა. გამოიცა „მარტი", „აპრილი" და „მაისიც". უნდა ითქვას, რომ ჟურნალი მეტისმეტად სუსტი იყო, რომლის თაობაზე წერდა კიდეც „ერთობა" თავის რეცენზიაში.[2] „ერთობაში" „თებერვალზე" რეცენზია ი. გომართელმაც გამოაქვეყნა. რეცენზენტის აზრით ჟურნალი სუსტი იყო, მასში „ლამაზია გარსიაშვილის მინიატურები, კარგია აქილესი, ა. მ. ჯავახიშვილის ლექსს არაუშავს, თუმცა, ენა ცუდია, რატიშვილი სუსტია, თუმცა ჯავახიშვილი და რატიშვილი კიდეა აქ დაბეჭდილი და ახლა სჯობია მათი ლექსები. გრიშა თუთა ძალიან სუსტია, სჯობია მან თუთა ჭამოს და ლექსი არ წეროს".[3]

ჟურნალების ერთი ნაწილი მკაცრად გააკრიტიკა გ. ლეონიძემაც. „ი.

---

[1] საინტერესოა იმისი აღნიშვნაც, რომ 1919 წ. ტ. გრანელმა გამოსცა სალიტერატურო გაზეთ „ია"-ს ერთი ნომერი.

[2] გაზეთი „ერთობა", 1920 წელი №31

[3] გაზეთი „ერთობა", №62

გომართელი გულუხვად აჩენს ბუდუარულ-პარფიუმერიის პერიოდის ახალ პოეტებს „თებერვალ-პარნასიდან". ახალგაზრდულ უნიჭობას ამ ჟურნალების გარდა განაგრძობენ „თოლაბულისის სარტყელი," „კრონოსის სარკე" და „თბილისი".[1]

გ. ლეონიძის მიერ ი. გომართელის ასეთ კონტექსტში მოხსენიება გამოიწვია იმან, რომ ამ უკანასკნელმა თავის რეცენზიაში საკმაოდ დადებითად შეაფასა „პარნასის" ავტორები. „წავიდა, წერდა ი. გომართელი, სქელტანიანი ნაწარმოებების დრო, ამიტომ მწერლობაში ალაგს იჭერს ქონდრისტანობა. კარგი მოშაირე დღეს ისაა, ვინც მოკლე ნაწარმოებს წერს, მინიატურას... „პარნასში" დაბეჭდილია ი. მჭედლიშვილის ლექსი, ნიჭიერია იგი, მაგრამ გრიშაშვილის აშკარა გავლენა ატყვია. სუსტია ა. მაჭავარიანი, ყანჩელი, რატიშვილი, ძიძიგური, რუშაველი, გ. ი. (აჭრელებულია უცხო სიტყვებით), კარგია პარნასელი, აქილესი, chale Romio (ეს ყველას სჯობია), შ. გომართელი, გერგესელი, მეფანდურე კი გაფრინდაშვილს ბაძავს, ასევე კარგია დ.ა. მიერ თარგმნილი ო. უაილდი."[2]

დაარსდა ჟურნალი „აისიც" 1918 წლის თებერვალში, რომლის მეორე ნომერში (რედაქტორი ლ. მაჭავარიანი) გამოქვეყნდა გ. ტაბიძის, ხ. ვარდოშვილის, ლ. მაჭავარიანის, რ. გვეტაძის, გ. ცეცხლაძის, შ. კარმელის, ვ. გორგაძის, კ. ჭიჭინაძის, შ. ლორდელის და გ. ზოდელის ლექსები და ა. ბერეკაშვილის მინიატურა.

1920 წელს ქართულ პერიოდიკას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ყოველთვიური სამეცნიერო-სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი „მომავალიც" შეემატა (რედაქტორი ა. შილაკაძე). მის პირველ ნომერში დაიბეჭდა ი. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის ბიოგრაფიები სურათებით, მათი შრომების ბიბლიოგრაფია, ბაბილინას, ღრუბელის, ი. სიხარულიძის, ვ. გორგაძის, ს. აბულაძის ლექსები, დ. შენგელაიას პროზა და სხვადასხვა ავტორთა წერილები.

მეორე ნომერში, რომელიც 1921 წლის იანვარში გამოვიდა, მოთავსებული იყო კ. კეკელიძის ბიოგრაფია და მისი შრომების სია, ბაბილინას, ი. გოგიას, ვ. გორგაძის ლექსები, ვ. გორგაძის მიერ თარგ-

---

[1] გაზეთი „ საქართველო",1920 წელი, №72

[2] გაზეთი „ერთობა", 1920 წელი, №62.

მნილი ებრაული ლირიკა და სხვადასხვა ხასიათის წერილები.

1920 წელს ასევე გამოვიდა „მზიური საქართველო", რომელშიც დაბეჭდილი იყვნენ გ. ტაბიძე გ. ქუჩიშვილი, გ. დათიაშვილი (ეს უკანასკნელი რედაქტორიც იყო) და სხვები (სულ გამოვიდა ერთი ნომერი), „ბუნება და ხელოვნება" (ესეც სულ ერთი გამოვიდა), რომელშიც ბ. ახოსპირელის კ.მაყაშვილის, შ. მღვიმელის და სხვათა ნაწარმოებები იყო დაბეჭდილი), „ბაღდადის წეროები" (სულ ერთი), „შევარდენი" (ქუთაისში სულ ერთი), „ფანტომი" (ბათუმში სულ ერთი), „რიყრაჟი" (ფოთში სულ ერთი, რომელშიც ი. მაწკავას, დ. როდონაიას და სხვათა ნაწარმოებები იყო წარმოდგენილი), სხვადასვა დასახელების იუმორისტული ჟურნალები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სამტრედიაში და ა.შ.

ძალზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო მწერალთა კავშირმა 1920 წლის ბოლოს, როცა ჟურნალი „სიტყვა ქართული" დააარსა. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში შევიდნენ ა. აბაშელი, კ. მაყაშვილი, ა. პაპავა და ტ. ტაბიძე. მისი პირველი ნომერი 1921 წლის თებერვალში უნდა გამოსულიყო, მაგრამ ცნობილი მიზეზების გამო ეს ველარ მოხერხდა.[1]

როგორც უკვე ვწერდით თავიანთი ლიტერატურული ორგანოები – ჟურნალები მეტნაკლები პერიოდულობითა და ხანგრძლივობით ჰქონდათ ცალკეულ ლიტერატურულ მიმდინარეობებს, თუ ჯგუფებს. 1920 წლის 18 ოქტომბერს კი გამოვიდა ცისფერყანწელთა კვირეული გაზეთი „ბარიკადიც" , რომლის რედაქტორი გ. ტაბიძე იყო. გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილი იყო გ. რობაქიძის პ. იაშვილის ტ. ტაბიძის ა. არსენიშვილის, ნ. მიწიშვილის, ვარამ გაგელის და სხვათა ნაწარმოებები. მეორე ნომერში, (გამოვიდა 8 ნოემბერს) კი გ. რობაქიძის, ვ. გაფრინდაშვილის, ინ-რე-ჟანის, ე. დარიანის, შ. კარმელის ლექსები, გ. რობაქიძის წერილი „რუსთველის მსოფლიო მზერა" და ასე შემდეგ. გაზეთის გამოსვლას ინტელიგენცია არაერთგვაროვნად შეხვდა. თუ ერთი ნაწილისათვის იგი დადებითი მოვლენა გახდა, მეორეთათვის მიუღებელი აღმოჩნდა. „სახალხო საქმეში" დაიბეჭდა ვინმე მუმლის ვრცელი წერილი „შანტანების მოლექსენი", რომელ-

[1] გაზეთი „ერთობა", 1921 წელი, №5

იც მთელი მონდომებით ლანძღავდა (კი არ აკრიტიკებდა) გაზეთს. „ჩვენ, წერდა მუმლი, გვენანება ამ საკითხისათვის ის ორიოდე წუთიც, ის ორიოდე სიტყვაც, ყურადღების ის მცირე ენერგიაც, ჩვენ და მკითხველი ამის გამო რომ ვხარჯავთ. შეუძლებლად მიგვაჩნია ყურადულებლივ დავტოვოთ კდემა შემოძარცვული, ჩირქიანი იარებით დაღადრული ამპარტავნება და გულნამცეცობა „ბარიკადის სახით" რომ ცდილობს შემოჭრას. პრესის ვალია ასეთი უცერემონიო ლაზღანდარები განდევნოს იქ, სადაც მათი ნამდვილი ადგილი არის – რესტორნების ჭუჭყიან კულისებში. რეკლამის წყურვილით არიან გონდაკარგულები.ერთი ხანია პატარა ჯგუფი მოლექსეებისა, ყველგან საცა კი მიუწვდებათ მოკლე ხელი, გაჰკივიან, ხმას იხლეჩენ თავის გენიოსობაზე, ნიჭზე, ბუმბერაზობაზე, სადაც თავს იყრიან არის გნიასი, ღრიანცელი, დავიდარაბა, ყვირილი, თავის ქება, ერთმანეთის კლაკიორობა, კვეხნა, ჰაერში მუშტის ტრიალი. რომ ჰკითხოთ რას სწავლობთ, რათ იდენთ ასეთ უნიჭობის ოფლს, რისთვის გამოგდით პირისახეზე ბოლმისა და შურის ღვართქაფი – ისინი გიპასუხებენ: ვებრძვით ბანალობას, შაბლონს, ვიწვით ხელოვნების სიყვარულის ალშიო. ისე არავინ არის მეშჩანობის ჭიით სულ დაღრღნილი ხალხი, ისე არავინ არის ჩამხრჩვალი ბანალობის ღრმა აუზში, ისე არავის უდის შაბლონის, შმორისა და წუმპეს სუნი, როგორც სიტყვების ამ უნიჭოდ გამრითმელების ხროვას. ისინი მართლაც იწვიან ალში, მხოლოდ ეს ვარამისა და უნიჭობის გულისთქმის ალია. ძილს უკრთობს მათ ნამდვილი ნიჭი, სახეს უპრანჭავს თამამი სიტყვა, წელში კლაკნავს სხვის მიერ რუმბუქად და სწორად გასროლილი ისარი პოეტური თქმისა და ამ ხალხს, რომელთაც აღზრდა შანტანების ბნელ კუნჭულებში მიუღიათ, სურთ კლაკიორულის ღრიალით დაჰფარონ ნამდვილი ნიჭის მაღალი ხმა და ყოყლოჩინობის უხამს ჭაობში ჩაახრჩონ კრძალვითა და კლდემამოსილებით დამშვენებული ხელოვნება. იგი ქუჩური გაზეთია... ბრძოლის დროს დაეცნენ უფრო დიდი ბრძანებული ჩრდილები აკაკის, ილიასი და სხვების, რომელნიც წინათ კოლორებად იდგნენ პოეზიაში"... „ჩვენი ბარიკადები დიდი ხანია დადგმულია და ბევრი მწერლისათვის ნამდვილ გილიოტინად იქცა... ახალმა ქართულმა მწერლობამ ერთიანად იცვალა ფრონტი და სრულიად დაეყრდნო

ყანწების პოეზიას... ბარიკადებზე ჩვენ, ბარიკადების გადაღმა კი სხვა ყველანი" – გაზეთი სავსეა ამგვარი უშინაარსო სიტყვების რახარუხით, ულაზათო კვეხნით, პირმოღრეცილ და ყბაახეულ ყოყლოჩინობით. ეს რა ვაკხანალია, სირცხვილი არ არის ორიოდე ლექსის დაწერისათვის ასეთი კორიანტელის დაყენება თავის საქებრად, გუდაფშუტა ხალხია, ამათ არ შევეხებოდი მარტო პოეზიაში რომ ეტეოდნენ. ახლა პოლიტიკაშიც იჭრებიან. თავი კი ერთმანეთის ლექსების კითხვით აქვთ გამოთაყვანებული, უმეცრებით ნაღრძობი ტვინი აქვთ, ჩვენს პარტიას შეეხნენ ბიჭ-ბუჭური უდიერობით – ისინი რესტორნებისა და შანტანების სალახანებია, ფრთხილად იყვნენ ეს კორსეტიანი გერმა – ფროდიტები".[1]

1920 წელს ახალგაზრდული ლიტერატურული გაზეთის დაარსების ცდას ადგილი ქუთაისშიც ჰქონდა, სადაც სოციალ-დემოკრატებმა 5 დეკემბერს გამოსცეს გაზეთი „ქუთაისი" (გაზეთში დაბეჭდილი იყო ს. ჩიქოვანის, ა. გაბესკირიას და სხვათა ნაწარმოებები).

ერთდროული გაზეთი „არმაზი" ქუთაისში 1921 წლის იანვარშიც გამოვიდა. იგი აქაურ ხელოვან მწერალთა წრემ გამოსცა და მასში ნ. ლორთქიფანიძის, დ. თომაშვილის, პრინტელის, ს. ხუნდაძის და სხვათა ნაწარმოებები იყო დაბეჭდილი.

ყოველკვირეული ლიტერატურულ გაზეთ „სიმართლის ხმის" ოთხი ნომერი 1921 წლის დასაწყისში სოხუმშიც გამოვიდა.

მოკლედ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 1918-1921 წლებში საკმაოდ მრავლად გამოდიოდა ხელნაწერი სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებიც. მაგალითად, ქუთაისში 1919 წელს გამოვიდა მოსწავლეთა ჟურნალი „ეარის ინათი", თელავში ასევე მოსწავლეთა კვირეული გაზეთი „ახალი ქართველი" (სულ მისი 12 ნომერი გამოვიდა) და ა.შ. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ მათი დიდი ნაწილი საკმაოდ სუსტი იყო. ამის თაობაზე წერდა კიდეც გაზეთი „სოციალ-დემოკრატი", როცა „ეარის ინათი" გამოვიდა – ესაა სიბრიყვე და ასე არ შეიძლება, მათ ყური აქვთ ასაწევი.[2]

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დაიწყო ზრუნ-

---

[1] გაზეთი „სახალხო საქმე", 1920 წ, №957.

[2] გაზეთი „სოციალ-დემოკრატი", 1919 წ, №73.

ვა საბავშვო სალიტერატურო ჟურნალების „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ განახლებისთვისაც. 1918 წლის ივნისში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც საუბარია ამ ჟურნალების აღდგენის მნიშვნელობაზე, რაც ერობათა კავშირმა იკისრა. აღდგენილი ჟურნალების გამოცემა ორ სერიად განხორციელდებოდა. დამტკიცდა მისი სარედაქციო კოლეგიაც: ა. წერეთელი, ნ. ნაკაშიძე და პ. საყვარელიძე.[1] გამოცხადდა ჟურნალებზე ხელისმოწერაც, „ჯეჯილი“ მოზრდილებისთვის თვეში ერთხელ, ხოლო „ნაკადული“ პატარებისთვის თვეში ორჯერ გამოვიდოდა.[2]

მიუხედავად მონდომებული მცდელობისა, მძიმე იყო ჟურნალების ეკონომიკური მდგომარეობა. 1919 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ განათლების სამინისტრომ მოათავსა წერილი, რომელშიც „ნაკადულის“ მდგომარეობაზე, როლსა და დანიშნულებაზე იყო ყურადღება გამახვილებული. მიუხედავად მისი დიდი როლისა, ძალზე მცირი იყო ტირაჟი – მხოლოდ 1 000 ცალი. სერიოზულად იდგა დახურვის საფრთხე.

სწორედ, ამიტომ, ნ. ნაკაშიძემ გაზეთ „საქართველოში“ მოათავსა წერილი „მშობლებს და აღმზრდელებს“, რომელშიც იგი ყურადღებას „ნაკადულის“ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე ამახვილებდა და დახმარებას ითხოვდა.[3] იგივე შინაარსის წერილები მან „სახალხო საქმესა“[4] და „ჩვენს ქვეყანაშიც“[5] დაბეჭდა.

განათლების სამინისტრო თავის ზემონახსენებ წერილში მართებულად აღნიშნავდა, რომ „ქართული საბავშვო ჟურნალი განსაკუთრებით დღეს არის საჭირო. სკოლა გაეროვნებულია, ჩვენი თაობა გონებრივად იზრდება და ვითარდება, განსაკუთრებით, მშობლიური ენის საშუალებით და, თუ გვინდა ნორმალური მიმართულება მივსცეთ ეხლანდელს და მომავალ თაობათა განვითარებას, მაშინ სულიერი საზრდოც (რომელიც მარტო სახელმძღვანელოებით არ შემოიფარგლება და რომელსაც შეადგენენ აგრეთვე საბავშვო ჟურ-

[1] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ, №13.
[2] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ, №11.
[3] გაზეთი „საქართველო“, 1919 წელი, №79.
[4] გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ, №500.
[5] გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ, №66.

ნალები, საკითხავი ორიგინალი და ნათარგმნი წიგნები და ხელსაწყოები) ქართულ ენაზე უნდა მიეცეს".[1]

„ნაკადულისა" და „ჯეჯილის" შესახებ ი. კვიცარიძის ძალზე ვრცელი წერილი, „მეტი ყურადრება ახალი თაობის აღრზდის საქმეს ჩვენში", გაგრძელებით გამოქვეყნდა ქუთაისში გამომავალ გაზეთ „სოციალ-დემოკრატშიც". მასში საუბარი იყო მხატვრული ლიტერატურის, საერთოდ, წიგნის როლზე ბავშვის აღზრდის საქმეში და გამოთქმული იყო გულისტკივილი, რომ ამ მხრივ ბავშვებისათვის არც თუ ბევრი რამ კეთდებოდა. ძალზე ცოტა ვინმე თუ იწერდა საბავშვო და საყმაწვილო ჟურნალებსაც.[2]

ეს პრობლემა და საერთოდ, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის ნაკლებობა, რომ ძალზე მწვავედ იგრძნობოდა იმ წლებში, ამას ადასტურებს თუნდაც ქუთაისელ მასწავლებელთა დადგენილებაც, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ ამგვარი ხასიათის ლიტერატურის შევსება ნათარგმნი ლიტერატურით მაინც მომხდარიყო.[3]

განათლების სამინისტროს 1919 წლის გადაწყვეტილებით ჟურნალი უნდა გამოცემულიყო ორ სერიად 7-10 წლიანებისათვის თვეში ორჯერ და 10-14 წლიანებისათვის თვეში ერთხელ, საწყის ეტაპზე 1 000-1 000 ცალი ტირაჟით. სამინისტრო შუამდგომლობდა მთავრობასთან, რომ ორივე სერიის გამოცემისათვის ყოველ თვეში 10 000 მანეთი გამოყოფილიყო.[4]

„ნაკადულის" მძიმე ფინანსური მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა 1920 წელს. ამის თაობაზე საუბარია გაზეთ „ერთობაში" დაბეჭდილ „ნაკადულის" განცხადებაში, თუ ჟურნალის 1919 წელს ძალიან მძიმე პირობები ჰქონდა – არ იყო ქაღალდი, სტამბა და ტრანსპორტი. შედარებით უკეთ უნდა წარმართულიყო 1920 წელს მისი საქმიანობა, რადგან იმის იმედს იძლეოდა ის, რომ დახმარება თავის თავზე აიღო განათლების სამინისტრომ. განცხადებაში ვრცლადაა საუბარი სამომავლო გეგმებზე და რედაქცია საზოგადოებას თხოვდა თანადგომას ჟურნალის გამოწერით.[5]

---

[1] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა",1919 წ, №195.

[2] გაზეთი „სოციალ-დემოკრატი", 1919 წ, №85-86-87.

[3] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919 წ., №241.

[4] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919 წ, №229.

[5] გაზეთი „ერთობა", 1920 წ, №1.

მალე ჟურნალის რედაქტორმა ნ. ნაკაშიძემ განათლების სამინისტროს მიმართა წერილით და ითხოვა „ნაკადულის" გამოწერა სკოლებისათვის სავალდებულო გამხდარიყო.[1] მართლაც, სამინისტრომ სკოლებისათვის „ნაკადულისა" და „ჯეჯილის" გამოწერა სავალდებულო გახადა.[2] 1920 წლისათვის, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, „ნაკადული" ისევ ცალ-ცალკე გამოდიოდა ბავშვებისა და მოზრდილებისათვის.

არანაკლებ უჭირდა „ჯეჯილსაც". მართალია, 1919 წელს მას მთავრობამ 15 000 მანეთი გამოუყო, მაგრამ ეს მაინც არ იყო საკმარისი.[3]

1920 წელს ჟურნალ „ჯეჯილს" დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდა, რაც სათანადოდ იქნა აღნიშნული. ჟურნალის დამსახურებაზე დ. კასრაძისა და ნ. ყიფიანის თბილი წერილები დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში"[4], 11 იანვარს კი სახელმწიფო თეატრში მოეწყო ამ თარიღისადმი მიძღვნილი დილა, სადაც მოხსენებით ი. გომართელი გამოვიდა. იქვე წარმოადგინეს საბავშვო პიესა „მზერა", ბავშვების მიერ შესრულდა ქართული ცეკვები და ა. შ.[5]

ქართული საბავშვო ლიტერატურული ჟურნალების ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო 1921 წლიდან, როცა „ჯეჯილი" და „ნაკადული" გაერთიანდა და მისი გამოცემა ერობათა კავშირმა ითავა. „ჯეჯილი" თვეში ერთხელ, „ნაკადული" კი ორჯერ გამოვიდოდა. დამტკიცდა სარედაქციო კოლეგიაც ძველი შემადგენლობით – ნ. ნაკაშიძე, პ. საყვარელიძე და ა. წერეთელი.[6]

ერობათა კავშირისათვის „ნაკადულის" გადაცემას მოწონებით შეხვდა ნ. ნაკაშიძე და კიდევ ერთხელ დაასაბუთა ჟურნალის მნიშვნელობა „ერთობაში" გამოქვეყნებულ წერილში.[7] „ჯეჯილისა" და „ნაკადულის" ვრცელი წერილი გამოქვეყნდა „ერთობის" მომდევნო ნომერშიც, სადაც გარდა ერობათა კავშირისადმი მადლობის გამოხატვისა, საუბარ-

---

[1] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წ, №18.

[2] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №91.

[3] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წ, №138.

[4] გაზეთი „საქართველო", 1920 წ, №7.

[5] გაზეთი „ერთობა", 1920 წ, №6.

[6] გაზეთი „ერთობა", 1921 წ, №11.

[7] გაზეთი „ერთობა",1921 წ, №14.

ია მათ სამომავლო გეგმებზეც. „ჯეჯილის" მოცულობა – 64, „ნაკადულისა" კი – 32 გვერდით განისაზღვრა.[1]

ცალკე უნდა გამოვყოთ არალიტერატურული, სამთავრობო, თუ ცალკეული პოლიტიკური პარტიების ბეჭდვითი ორგანოები, რომლებიც საკმაოდ დიდ ადგილს უთმობდნენ ლიტერატურის ცალკეული ნიმუშების ბეჭდვას. ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ ერთი, ყოველი მათგანი უპირატესად თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამოდიოდა და მხოლოდ, იშვიათად თუ უთმობდა ადგილს ჭეშმარიტად ღირებულ ლიტერატურას. ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს ეროვნული დემოკრატების გაზეთი „საქართველო" წარმოადგენდა. მართალია, ზოგჯერ არც ის იყო დაზღვეული პოლიტიკური კონიუნქტურისაგან და ხარკს თავის პირველ პარტიულ ინტერესებსაც უხდიდა, მაგრამ მას, ძირითადად, მაინც თავის ირგვლივ სერიოზული ლიტერატურული ძალები ჰყავდა შემოკრებილი. გაზეთის აქტიურ ავტორთა შორის იყვნენ გ. ტაბიძე, გ. რობაქიძე, გ. ლეონიძე, შ. მღვიმელი, ს. შანშიაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე, შ. ამირეჯიბი, პ. იაშვილი, შ. კარმელი, რ. გვეტაძე და სხვები. მაგალითად, 1919 წელს გაზეთმა თავის ერთ-ერთ ნომერში გ. ტაბიძის ოთხი ახალი ლექსი დაბეჭდა.[2] გაზეთში ასევე თანამშრომლობდნენ ვ. გორგაძე, ნ. დადიანი, ლ. ჯაფარიძე, ს. ჩაჩიკაშვილი, ნ. აზიანი (წარმოშობით სომეხი დონდაროვი), ნ. მიწიშვილი, დ. კოპალი, კ. მაყაშვილი და სხვები. უდაოდ მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენდა გაზეთში 1919 წელს ვ. ბარნოვის „ტრფობა წამებულის" გამოქვეყნების დაწყება.[3] ასევე დაიბეჭდა მისი „ალუჩაც", თუმცა უნდა ითქვას, რომ გაზეთში პროზა მაინც სუსტად იყო წარმოდგენილი ვ. გარიკის, ი. კარგარეთელის, ინბანის, ნ. ყიფიანის ს. ყიფიანის და სხვათა სახით.

ინბანი ერთ-ერთ წამყვან ავტორადაც კი ითვლებოდა და გაზეთში მისი პატარა რომანი „პორტრეტების რვეული" და პიესა „ფარვანაც" დაიბეჭდა, 1919 წელს[4] ასევე გამოქვეყნდა მხატვრულად სუსტი, მა-

[1] გაზეთი „ერთობა", 1921 წ, №15.

[2] გაზეთი „საქართველო", 1919 წ, №184

[3] გაზეთი „საქართველო", №37.

[4] გაზეთი „საქართველო", №90-91, 229-30-31.

გრამ, ძალზე აქტუალურ თემაზე დაწერილი მოთხრობები ივ. იანის „ჩვენი დროის კომუნისტი“ და ს. ყიფიანის „ბოლშევიკი“.[1] ყურადღების მიღმა არ რჩებოდა წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობაც და 1919 წელს გაზეთმა მკითხველს აკაკის დაუბეჭდავი ლექსი „განდეგილი“ შესთავაზა.[2]

იშვიათად, მაგრამ, მაინც იბეჭდებოდა თარგმანებიც. მაგალითად, 1919 წელს გამოქვეყნდა უცნობი არაბი პოეტის ორი ლექსი,[3] ფრანგულიდან თარგმნილი ნოველა[4] და ასე შემდეგ. დროდადრო იბეჭდებოდა ხალხური პოეზიის ნიმუშებიც. მაგალითად, 1919 წელს დაიბეჭდა ჯერ ი. კარგარეთელის ორი ლექსი,[5] ხოლო შემდეგ დიდი წერილი „ჩვენი სახალხო პოეზია“, მთელი ორი სვეტი ხალხური ლექსების თანხლებით.

ხშირად იბეჭდებოდა მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრების ამსახველი ინფორმაციები, თუ ვინ რაზე მუშაობდა, რა დაწერა, რა გამოვიდა და ა. შ. არც თუ იშვიათად ლიტერატურას მთელი გვერდებიც კი ეთმობოდა. განსაკუთრებით, ფართო ადგილი ეთმობოდა კრიტიკას. მართალია, იგი ზოგჯერ პარტიული პოზიციებიდან ბრძოლის ელფერს უფრო ატარებდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად აცოცხლებდა მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრებას (ვრცლად ამ საკითხებზე ლიტერატურულ მხატვრული კრიტიკის განხილვის დროს შევჩერდებით).

რაც შეეხება მენშევიკების ყოველდღიურ გაზეთ „ერთობას“, მართალია იგი ლიტერატურას, განსაკუთრებით, პოეზიას საკმაოდ დიდ ადგილს უთმობდა, მაგრამ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი მეტად პრიმიტიული და სუსტია. საკმარისია დავასახელოთ გაზეთის ავტორები და ამაში იოლად დარწმუნდებით.

აქ ყველაზე მიღებული ავტორი გ. ქუჩიშვილი იყო, რომელიც თითქმის ყოველ კვირაში ბეჭდავდა ლექსებს. აქტიუროობით დიდად მას არც ვ. რუხაძე, ვ. ტუქსიშვილი, ხ. ვარდოშვილი, ნ. ჩხიკვაძე,

---

[1] გაზეთი „ახალი საქართველო“, 1919 წელი, №1.

[2] გაეთი „საქართველო“, 1919 წელი, №14.

[3] გაზეთი „საქართველო“, 1919 წელი, №5

[4] გაზეთი „საქართველო“, №48.

[5] გაზეთი „საქართველო“, №14

გელა, რ. ლეჩხუმელი, ბაბილინა, ობოლი მუშა, ი. რატიშვილი და სხვები ჩამორჩებოდნენ. გაზეთის ძირითადი ავტორები მათთან ერთად იყვნენ: მეჩონგურე, ლ. წულაძე, მ. თეძმისხეველი, ტლინკაძე, გ. ხეჩუაშვილი და ა. შ. უფრო მოკრძალებით თანამშრომლობდნენ ა. აბაშელი, იასამანი, დ. მეგრელი, საფო, განდეგილი, ინ-რე-ჟანი, ი. სიხარულიძე, დ. თურდოსპირელი და ა. შ. გამოქვეყნებული ლექსების დიდი ნაწილი სუსტი, სათარიღო ან მიძღვნითი ხასიათისა იყო. მაგალითად: „ილიკო ჯუღელს“, „წითელ გვარდიას“ (გ. ქუჩიშვილი), „ჯარს და გვარდიას“, „საქართველოს იურდიულად ცნობის გამო“(ვ. რუხაძე), „ვალიკო ჯუღელს“, „გვარდიას“, „ვლასა მგელაძეს“ (ობოლი მუშა (ს. თავაძე), „ყაზარმაში“ (ი. რატიშვილი), „აჯანყება“ (რ. ლეჩხუმელის, რომელსაც გაზეთის ნახევარი გვერდი ეჭირა).[1] აქ დიდი ლიტერატურის ნიმუშები იშვიათად იბეჭდებოდა. გამონაკლისს გ. ტაბიძე წარმოადგენდა, რომელიც 1919 წელს ორი,[2] 1920 წელს ოთხი[3] და 1921 წელს ერთი ლექსით[4] დაიბეჭდა. სამაგიეროდ, მისმა უახლოესმა მეგობარმა გ. ქუჩიშვილმა 1920 წელს გაზეთში გამოაქვეყნა ერთგვერდიანი პოემა „კოშკში“, 1921 წელს იგი პირველსავე ნომერში 11 ლექსითაა დაბეჭდილი. ასევე სუსტია პროზაც, რომელიც ი. სულხანიშვილით, ს. რემონიძით და დ. თურდოსპირელით არის წარმოდგენილი. შედარებით საინტერესოა თავისი თემტიკით დ. თურდოსპირელის მოთხრობა „გეთსიმანიის ცოდვა“, რომლის მთავარი მოქმედი პირი ს. ორჯონიკიძეა – სამშობლოს მოღალატე და გამყიდველი, რომელიც თავისი ქვეყნის მთავრობის დამხობისა და საქართველოში რუსთა შემოყვანისათვის იბრძვის თავდადებით.

რაც შეეხება გაზეთში ლიტერატურულ კრიტიკას, რომელიც საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი, მას შესაბამის ადგილზე განვიხილავთ ვრცლად, თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ იგი მთლიანად მენშევიკური პარტიის პოზიციებიდან გამომდინარეობდა.

მხატვრულ ლიტერატურას, განსაკუთრებით კი, პოეზიასა და

---

[1] გაზეთი „ერთობა“, 1919 წ, №178.,

[2] გაზეთი „ერთობა“, №192.

[3] გაზეთი „ერთობა“, 1920 წ, №184-214.

[4] გაზეთი „ერთობა“, 1921 წ, №1.

ლიტერატურულ კრიტიკას, დიდი ადგილი ეთმობოდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ყოველდღიურ გაზეთ „სახალხო საქმეშიც". გაზეთის ძირითადი ავტორები სერიოზული ლიტერატურული ძალები იყვნენ. მასში გ. ტაბიძეს, კ. გამსახურდიას, ი. გრიშაშვილს, მარიჯანს, შ. მღვიმელს, ვ. გაფრინდაშვილს, დ. მეგრელს, ს. ფაშალიშვილსა და სხვებთან ერთად ისეთი ავტორებიც იბეჭდებოდნენ, რომელთა გვარები დღეს არა თუ ფართო მკითხველს, სპეციალისტებსაც კი თითქმის არაფერს ეუბნებიან – ს. აბულაძე, დ. ახვლედიანი, რ. გოგოხია, ვ. კულულაშვილი, ნ. ორბელიანი, ი. ვადაჭკორია და ა. შ. (ამ გაზეთში მუშაობდნენ ტ. გრანელი, მარიჯანი, ლ.მეტრეველი და კ. ჭიჭინაძე).

1919 წელს გაზეთმა მთელი გვერდი დაუთმო გ. ტაბიძის ექვს ლექსს,[1] ორჯერ დაბეჭდა სხვადასხვა დროს კ. გამსახურდიას ბერლინში დაწერილი ლექსები და ა. შ. თუმცა, აქ, განსაკუთრებული ყურადღებით მაინც ი. მჭედლიშვილი სარგებლობდა, რომელიც ყოველ ორ-სამ კვირაში ერთხელ მაინც იბეჭდებოდა. გაზეთის აქტიურ ავტორთა შორის ასევე იყვნენ შ. აფხაიძე, კ. ჭიჭინაძე, ს. ფაშალიშვილი, მარიჯანი, ლ. ბზვანელი, რ. გოგოხია, ვ. გორგაძე, ს. წეველი, ი. მოსეშვილი, ბაჩანა და სხვები.

რაც შეეხება პროზას, მისი ნიმუშები გაზეთის ფურცლებზე ძალზე იშვიათად იბეჭდებოდა და ისიც მხოლოდ ლ. მეტრეველის, მ. გარიყულის, მარიჯანის და სხვათა მოთხრობებით იყო წარმოდგენილი. სამაგიეროდ, ხშირად ეთმობოდა ადგილი ინფორმაციებს ლიტერატურული ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე.

თავისი თანაპარტიული პრესის მსგავსად სერიოზულ ლიტერატურას დიდად არ წყალობდნენ ქუთაისში გამომავალი მენშევიკური პარტიის გაზეთებიც „სოციალ-დემოკრატი" და „ხალხის მეგობარი".

„სოციალ-დემოკრატის" ძირითად ავტორთა ბირთვს შეადგენენ პოეტები ხ. ვარდოშვილი, ა. გერასიმიძე, როკოკო, ს. კვანტალიანი, ი. ტოფაძე, ირა, გელა, ჭაგნელი ბზიკი და ა. შ. ხოლო პროზაიკოსებიდან – დ. ჩიანელი და გ. ნუცუბიძე.

„ხალხის მეგობარში" თანამშრომლობდნენ რ. გვეტაძე, გ. დოლიძე,

[1] გაზეთი „სახალხო საქმე",1919 წ. №612

ცვარნამი, ლ. მაჭავარიანი (ამ უკანასკნელმა ქუთაისში სტუმრად მყოფ მინისტრ გ. ლასხიშვილსაც უძღვნა ლექსი) და ა. შ.

უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი ლიტერატურა ასევე ქუთაისში გამომავალ ეროვნულ-დემოკრატთა გაზეთ „ჩვენ ქვეყანაში“. მისი ავტორების ძირითად ბირთვს (პოეზიაში) შეადგენდნენ შ. კარმელი, ა. გაბესქირია, ვ. გაფრინდაშვილი, ხ. ვარდოშვილი, ა. გერასიმიძე, როკოკო, გ. დოლიძე, ცვარნამი, გ. ლეონიძე, კ. ნადირაძე, დ. თომაშვილი, გ. ცეცხლაძე, რ. გვეტაძე, გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე, დ. მეჩონგური, გ. თუმანიშვილი, ლ. მაჭავარიანი, შ. აფხაიძე, შ. მღვიმელი, გ. მეგრელიშვილი, ს. მგელაძე, რ. საჯავახელი, ს. ყიფიანი, შ. ციბელი, ს. მელაძე, კ. მიქელაძე, ა. ბერეკაშვილი, ა. პარნასელი, ნ. ასათიანი, გ. იმერელი, ბ. მუშვანი, ლ. სორტელი და სხვები. პროზიდან გაზეთში ასევე დაიბეჭდა ი. ეკალაძის ვრცელი მოთხრობა „აღსარება“ (1918 წ. №115, 118, 125), თ ხუსკივაძის „ხასანბეგ თავდგირიძე“ (1918 წ. №93-95), დ. ჩიანელის მოთხრობები და ა. შ.

გაზეთი ზოგჯერ მთელ გვერდსაც კი უთმობდა ლიტერატურას. იყო მაგალითად, 1919 წელს სააღდგომოდ, როცა მასში რამდენიმე ავტორის ლექსები დაიბეჭდა[1] და 26 მაისს, როცა ნ. ასათიანის, რ. გვეტაძის და შ. კარმელის ლექსები დაიბეჭდა.[2] ასევე მთელი გვერდი დაეთმო 1919 წელს ახალციხის ფრონტზე დაღუპული ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის გ. მეგრელიშვილის ნეკროლოგსა და ლექსებს,[3] ხოლო 1918 წელს 143-ე ნომერში დაიბეჭდა ლ. მაჭავარიანის მეტად საინტერესო, თითქმის ორგვერდიანი წერილი „რუსთაველი და დანტე“.

მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები 1918-1921 წლებში ჟურნალებში „ჯარი და ერი“, „რესპუბლიკის ჯარი“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვებშიც იბეჭდებოდა.

მართალია ამ ავტორთა დიდი ნაწილი დღეს ან საერთოდ არაფერს ეუბნება მკითხველს, ანდა მხოლოდ ლიტერატურის სპეციალისტებისათვის თუ არის ცნობილი, მაგრამ თუ იმ ეპოქის ლიტერატურული ცხოვრების სრული სურათი გვინდა, მაშინ ისინიც უნდა ვახსენოთ.

---

[1] გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ, №69.

[2] გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, №95.

[3] გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, №40

რეცენზენტისაგან

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომი, რომლის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი, მოიცავს სამ ძირითად ნაწილს, რომლებიც ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურად დაშორებულ ორ ისტორიულ ეპოქას ეხება. წიგნის პირველი ნაწილი, რომლის თემაა „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“, თავს უყრის და ერთიან სისტემაში აქცევს სხვადასხვა დროისა და ეროვნების მეცნიერ-ისტორიკოსთა და, ზოგადად, კულტუროლოგთა ყველა იმ ძირითად გამოკვლევას, რომლებიც ქართველთა წარმომავლობის საკითხს ეხება. ავტორი დასაწყისშივე მეცნიერული თავმდაბლობით აღნიშნავს, რომ მის ნარკვევს ორიგინალური კვლევის პრეტენზია არ გააჩნია. თუმცა, აქ მოყვანილი მოსაზრებანი, კომენტარები და დასკვნები, რომელთაც მრავლად გვთავაზობს წიგნის ავტორი, მის დამოუკიდებელ და სრულიად ორიგინალურ მაღალმეცნიერულ ხედვებზე მეტყველებს.

ქართველთა გენეზისის საკითხი საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული საკვლევი პრობლემაა, მას საუკუნეების მანძილზე იკვლევდნენ და იკვლევენ დღესაც, თუმცა საკითხი, ძირითადად, მაინც ჰიპოთეზებსა და სავარაუდო წარმოდგენებს ვერ გასცდა. ჩატარებული არქეოლოგიური საკვლევაძიებო სამუშაოების მრავალმხრივი მეცნიერული ანალიზი ალბათ იძლევა იმის საშუალებას, რომ უძველესი იბერიელი ტომები ევროპული ცივილიზაციის მესაძირკვლეებად მივიჩნიოთ, მაგრამ დასმული საკითხი წინააღმდეგობებსაც აწყდება, წამოყენებულმა მოსაზრებებმა საკაცობრიო აღიარება ვერ ჰპოვა და ამიტომაც, მტკიცე ფუნდამენტურ ოდენობად დღემდე ვერ დამკვიდრდა. ამის მიზეზებს წიგნის ავტორი შესანიშნავად ხედავს და თავისებურად განმარტავს მათ.

სამეცნიერო ნაშრომის პირველი ნაწილი, „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“, მრავალი უცხოელი და ქართველი მეცნიერის

მოსაზრებას აანალიზებს. აქვე მკვლევარი ამირან ნიკოლეიშვილი მიმოიხილავს ვრცელ ენობრივ მასალას – ქართული სიტყვების უძველესი ვარიაციების არსებობას დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. „კოლხური ენა არა მხოლოდ სამეტყველო, სამწერლო ენაც იყო, რასაც „ფესტოსის დისკო“ და „ოქროს საწმისიც“ ადასტურებენ, რადგან „დისკოს“ ენა კოლხურ-პელაზგურია და არა მეგრული, როგორც ამას კუთხურობაში ჩარჩენილი ზოგიერთი ავტორი დაჟინებით ირწმუნება“ - ასკვნის ავტორი. მისი წარმოდგენით, ქართული სიტყვების გავრცელების არეალი არა მარტო ევროპის, აზიისა და აფრიკის ტერიტორიებიცაა. ქართული სიტყვები მოიპოვებოდა ბერძნულში, გელიურში, გერმანულში, ეგვიპტურში, ვალიურში, ლიბიურში, ინგლისურში, სპარსულში, თურქულში... მსოფლიო ცივილიზაციაში ქართული ენისა და ქართველთა განსაკუთრებული როლის არსებობის დასტურად მოჰყავს ძველ ბერძენ და რომაელ სწავლულთა (ჰეროდოტე, აპოლონიოს როდოსელი, დ. სიცილიელი...) ჩანაწერები და ფუნდამენტური გადმოცემები.

პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი ანგარიშს უწევს იმ მოსაზრებას, რომ ქართველებს ბიბლიამდეც ჰქონიათ წიგნი, მათ შორის, „ანუნაკის ეფუთი“, რომელიც სიბრძნის წიგნი ყოფილა და, სამწუხაროდ, დაკარგულა. ასევე „ტაბუ“, „ტოპშა“, „ოქროს საწმისი“ და „იბერიული ტაბულა“. მეცნიერის ასეთი მოსაზრება რამდენადმე ეთანხმება აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ჰიპოთეზას ქართული დამწერლობის ჰომეროსის ეპოქიდან (ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები) მომდინარეობის შესახებ.იგი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ აქ დასახელებული ბიბლიამდელი წიგნების არსებობის ფაქტს გულგრილად ეპყრობიან თვით ქართველი ფილოლოგები და ისტორიკოსები და ჩვენი ანბანის წარმოშობის პერიოდად მე-5 საუკუნეს ასახელებენ, რაც ნამდვილად საწყენია. სავარაუდოდ, მართლაც, მე-5 საუკუნის სასულიერო თხზულებანი სრულყოფილ მხატვრულ ქმნილებებს წარმოადგენს, რაც თავისთავად ბადებს აზრს, რომ უპირველესი ქართული წიგნი, რომლის მხატვრულობა თანამედროვე გემოვნები-

ან მწერალსაც კი შეშურდება, ასეთი სრულყოფილი ვერაფრით ვერ იქნებოდა. წარმოუდგენელიც კი არის, რომ მე-5 საუკუნეში კიდეც შეიქმნა ანბანი და კიდეც დაინერა „შუშანიკის ნამება". რა თქმა უნდა, როგორც არაერთი ქართველი მეცნიერი და მათ შორის პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილიც ფიქრობს, ქართული ამბანის ფესვები ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეპოქებშია საძიებელი. ამის დასტურად წიგნის ავტორს მოჰყავს როგორც ძველი ბერძენი ავტორების (მაგ. ჰალიფატე), ისე უახლესი ეპოქის ქართველ მკვლევართა (პ. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე) ის მოსაზრებანი, რომლებიც „ოქროს საწმისის", როგორც ანბანური ნიმუშის, არსებობაზე ერთმანეთს ემთხვევა.ძველ ბერძნებსაც მიაჩნდათ, რომ „საწმისი" ვერძის ტყავზე ნაწერი წიგნი იყო და შეიცავდა ოქროს მოპოვების, ასევე სელის დამუშავების წესების საიდუმლოებას.

მეცნიერის აზრით, კოლხებს (იბერებს) რომ დამწერლობა უძველეს ხანაში ჰქონიათ, ამაზე ცხადად მიუთითებს „ფესტოსის დისკოს" გაშიფვრა. ეს წერილობითი ნიმუში კრეტაზე აღმოაჩინეს 1908 წელს, იგი ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშთა შორის უპირველესია. საყურადღებოა, რომ ავსტრიელი ჰ. ძებიში „დისკოს" გაშიფვრის შემდეგ მის კოლხურ წარმომავლობაზე ლაპარაკობს.

ზოგადად, პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი წამოჭრილი პრობლემის წიაღში ტრიალებს, იცნობს ბევრ ახალ მკვლევარსა და კვლევის უახლეს შედეგებს, რომელთა ანალიზის შედეგად გვთავაზობს საკუთარ წარმოდგენებს ამ მეტად რთულ საკითხზე.

ნაშრომის ავტორი მიმოიხილავს რა პროქართველური ხალხების შესახებ საკითხს, იქვე მოკლედ ეხება მათი განსახლების გეოგრაფიასაც კონტინენტებისა და რეგიონების მიხედვით. იგი ახალი ეპოქის მკვლევართა (ბ. გრეინშპოლკი, ლ. ვრანი დ. მაკლეოდი...) ნააზრევის ურთიერთშეჯერების საფუძველზე ასკვნის, რომ დასავლეთ ევროპის პირველი ამთვისებლები პროტოქართველები იყვნენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ დასავლეთ ევროპაში ცხოვრობდნენ. მათი პირველი განსახლების ადგილი მთელ ევრაზიას მოიცავდა.

კაცობრიობის პირველი ენაც იბერიულ-პელაზგური იყო (აქ იბერიელები პროტოქართველთა უპირველესი სახელი იყო, შემდეგ ეწოდათ კოლხები). მეცნიერი აანალიზებს და თავის დასკვნებს ურთავს XX საუკუნის მეორე ნახევრის ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორის იან ბრაუნის გამოკვლევებს, რომელიც ძირითადად ბასკურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის საკითხებზე მუშაობდა.

რაც შეეხება დამწერლობის საკითხს, აქ კიდევ უფრო რთულადაა საქმე. მეცნიერის განსაზღვრით, დამწერლობის წარმოშობის საკითხში კოლხი იბერიელების მიერ შექმნილ უპირველესი დამწერლობის ნიშნებს მთავარი ადგილი უჭირავს, რასაც მრავალი უცხოელი მეცნიერიც ადასტურებს. ნიმუშად ასახელებს კირბების (წარწერებიანი ქვები) არსებობას და გამოთქვამს მტკიცე ვარაუდს, რომ 2006 წელს ტაიმირზე (ხატანგასთან) აღმოჩენილ 17000 წლის წინანდელ უამრავ წიგნს, რომლებიც ჯერ კიდევ გაუშიფრავია, ქართული უძველესი დამწერლობის კვალი აზის. მეცნიერი მიმოიხილავს და თავის წარმოდგენებს გვთავაზობს დამწერლობათა საკითხებზე (პიქტოგრაფიული, სოლისებური ანუ ლურსმული, სილაბური, იეროგლიფური... ქართული-მრგლოვანი, ხუცური, მხედრული). დამწერლობის სახეობათა ორმოცსაუკუნოვანი ისტორიის დაწვრილებითი მიმოხილვის შემდეგ მეცნიერს გამოაქვს მტკიცე დასკვნა: „...მცდარია მოსაზრება პირველი ანბანური დამწერლობის ძვ. წ. 1750 წ. უგრიტში შექმნის შესახებ, რადგან სხვას რომ თავი დავანებოთ, რა ვუყოთ ტაიმირის 17000 წლის წინანდელ წიგნებს და 10000 წლის ჩინურ გაუშიფრავ ქვას“.

საანალიზო მეცნიერული გამოკვლევა მოიცავს მნიშვნელოვან ურთიერთშეჯერებულ აზრებს ქართველი ხალხის უძველესი წინაპრების უძველეს ნაკვალევზე, რომელსაც მრავალი ქვეყნის ტერიტორიაზე უჩენია თავი. მათ შორის, ეტრუსკების, ეგვიპტელების, პელაზგების, ბრიტანელების, ხეთების, ბასკების, ქალდაელების, კრეტელების, სუბარების, იბერების (ატლანტისის, პირინეის, კავკასიის) ურარტუს, ბაბილონის, ინდოეთის, ამერიკის (მაიასტომის ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით) ისრაელის, ქასქების, ირლანდიის, არიელების, აქაველებ-

ის, არამეელების, ალბანელების, კოლხების (თავიანთი მრავალმხრივი განშტოებით) ასირიელების (ასურების) ტერიტორიებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესორ ამირან ნიკოლეიშვილის, როგორც პიროვნების, ისე მეცნიერისა და მკვლევარის, თავისი ჩვეული ენერგიითა და მონდომებით, უსაზღვრო მამულიშვილური გრძნობითა და გზნებარებით შესრულებული წინამდებარე გამოკვლევა წარმოადგენს ერთ-ერთ ნათელ წერტილს ამ მეტად რთული და მუდმივად საინტერესო საკითხის კვლევა-ძიებაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში განიხილება სპეციალურ სამეცნიერო წრეებში და საბოლოო დასკვნებზე დღემდე ვერ შეჯერებულან.

წიგნის მე-2 თავი ეხება 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის პრესასა და პრესისადმი დამოკიდებულების საკითხს. მეცნიერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ზედმიწევნით სწორად და გააზრებულად შეძლო გაეშუქებინა ეს რთული საკითხი. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე რთულ უბანს სწორედ კულტურული სფეროს კვლევა-ძიება წარმოადგენს.

დემოკრატიული ქვეყნის შექმნის დღიდანვე საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო აღნიშნულ საკითხს და მაშინვე გამოსცა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (ამის კვალობაზე გაუქმდა გაზეთი „კავკაზი“), ერთბაშად დაიძრა ტალღა და „საქართველოს რესპუბლიკის“ გარდა, დღის სინათლე იხილა „ალიონმა“, „ახალმა საქართველომ“, „ახალმა სხივმა“, „ერთობამ“, „თავისუფალმა გზამ“, „კლდემ“, „მათრახმა“, „მუშის ბრძოლამ“, „რაჭის ხმამ“, „რევოლუციურმა ნობათმა“, „რუსთველმა“, „საქართველომ“, „სახალხო ფრონტმა“, „სოციალისტ-ფედერალისტმა“ „შრომამ“ „ჩემმა საქმემ“ (მოხეტიალე მუსიკოსის ი. ქურხულის გაზეთი), „ჩვენმა რესპუბლიკამ“ და „ჯარისკაცმა“. ქუთაისში გამოვიდა „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ჩვენი ბრძოლა“, „სოციალ-დემოკრატი“, „სოციალისტ-რევოლუციონერი“, „ჩვენი ქვეყანა“, „ხალხის მეგობარი“, „ხმა ქართველი ქალისა“. ბათუმში: „მუშის სიმართლე“. ოზურგეთში: „გურიის

ხმა". ფოთში – „ამხანაგი". „ქართული გაზეთი" ერთხანს ბერლინშიც გამოდიოდა (სულ გამოიცა 18 ნომერი და 12 სექტემბერს გამოცემა შეწყდა). აღნიშნულ პერიოდში ასევე მრავალი ჟურნალი, ალმანახი და კრებული გამოდიოდა.

როგორც წიგნის ავტორი მიანიშნებს, ამ სფეროში მისთვის საკვლევი პერიოდის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ გაზეთებში ზოგჯერ სიცრუეზე აღმოცენებული მასალები იბეჭდებოდა, რაც ხშირად გამიზნულიც კი იყო. აღსანიშნავია 30 ივლისის მწერალთა შეკრება ამ საკითხის შესასწავლად და გამოსასწორებლად. კრებას წესდებაც მიუღია, რომლის მიხედვითაც ამიერიდან ინფორმაციები მთავრობიდან უნდა მიეღოთ და შემდეგ მიეწოდებინათ პრესისთვის. საკითხი სამართლებლივადაც განუმტკიცებიათ – იუსტიციის საბჭოს მიუღია გადაწყვეტილება და ამიერიდან წესის დამრღვევი რედაქტორები სამართალში მიეცემოდნენ.

ჟურნალ-გაზეთები, როგორც წესი, იყო სამთავრობო და ოპოზიციური განწყობის. წიგნის ავტორი მიმოიხილავს ძალზე საინტერესო მასალებს, ასევე ძალზე საინტერესო პერიოდის პრესიდან და აანალიზებს მათ. ურთიერთბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ხაზი იყო სოციალ-დემოკრატებისა და სოციალის-ფედერალისტების დაპირისპირება. დასანანია, რომ ხელისუფლებას თავად არ სწამდა დამოუკიდებლობისა და რუსეთში მენშევიკური მთავრობის გამარჯვების შემდეგ, რასაც ისინი მოუთმენლად მოელოდნენ, საქართველოს ისევ რუსეთთან მიერთება ჰქონდათ გეგმაში. ბევრ რამეზე მეტყველებს ემიგრანტი სოციალისტ-ფედერალისტის გ. ნაკაშიძის ინტერვიუდან მოყვანილი ეს მოკლე ამონარიდიც: „... დამოუკიდებლობას არ გამოაცხადებდნენ, რომ თურქები და გერმანელები არ შემოსულიყვნენ საქართველოში. ეს მათ გამოაცხადებინეს დამოუკიდებლობა, ჟორდანია უმალ თავს ჩამოიხრჩობდა, ვიდრე პლეხანოვს და რუსეთს უღალატებდა... ავტონომია, ტერიტორიული ავტონომია და ფედერაცია, სხვა არაფერი. დამოუკიდებლობა სჯეროდა მარტო მიხაკო წერეთელსა და გიორგი ჯორჯაძეს, მეტს არავის. ხალხი სოციალ-დემოკრატებს უჭერდა მხ-

არს, ინტელიგენცია კი სოციალისტ-ფედერალისტებს. ჟორდანია ნამდვილი ხალხის ლიდე-რი იყო. საპრეზიდენტო კაცი იყო ივანე ჯავახიშვილი. ის 10 ჟორდანიას სჯობდა, ჯორჯაძესაც. ნოე რამიშვილი 10-ჯერ სჯობდა ჟორდანიას. დაუძინებელი მტერი ბოლშევიზმისა, უნიჭიერესი იყო, მეორე სტალინი, ოღონდ დადებითი...“ გაზეთებს შორის გამორჩეული ადგილი ეჭირათ „საქართველოს“, „სახალხო საქმეს“, „ჩვენს ქვეყანას“ და „კლდეს“, რომელთა უპირველესი მიზანი დამოუკიდებლობის შენარჩუნება იყო. მათ წინააღმდეგ გამოდიოდა „საქართველოს რესპუბლიკა“. მენშევიკთა და ბოლშევიკთა ურთიერთდაპირისპირების მთავარ მიზეზად ჩვენში მცხოვრები მრავალი ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა თვითგამორკვევის საკითხიც იქცა.

პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი მიმოიხილავს უამრავ მასალას და გამოაქვს სათანადო დასკვნები. მკვლევარი საუბრობს უცხოენოვან გაზეთებზეც, რომლებიც მაშინ მრავლად გამოდიოდა თბილისში, მენშევიკურმა მთავრობამ დახურა რუსულენოვანი პრესის კომუნისტური ნაწილი, კერძოდ: „ვოლნა“, „ტიფლისკი ლისტოკ“, „ნაროდნაია ზნამია“, „სლოვო“, „ზნამია სოციალიზმა“, „რევოლუციონნაია ზნამია“, ხოლო „ტიფლისკაია გაზეტას“ რედაქტორი ლებედევი გააძევეს თბილისიდან, იგი შეცვალა დენიკინელმა ფრანჩესკიმ, რომელიც ინგლისელთა ძალისხმევით დაინიშნა ამ პოსტზე. ინგლისელთა თაოსნობით გააძევეს აგრეთვე „ვოზრაჟდენიეს“ რედაქტორი ოპოჩინინი, ხოლო დახურეს „ბატუმსკაია ვესტი“ და მის ნაცვლად გამოვიდა „ნაშ კრაი“. თბილისიდან ასევე გააძევეს „სოციალ-დემოკრატის“ რედაქტორები ზურაბოვი და ფირუმოვი, ხოლო „ნაშა ზნამიას“ რედაქტორს მიესაჯა კონფისკაცია, შემდეგ ისიც გააძევეს თბილისიდან. სხვა უცხოენოვანი გაზეთებიც არსებულა: „აფსნი“ (აფხაზური), „კაუკაზიშე პოსტ“ (გერმანელთა კავშირის გაზეთი), „უკრაინკა ნაროდნა რესპუბლიკა“ (უკრაინის სამხარეო რადას გაზეთი), „ნაშ კრაი“ (რუსულ-თურქული გაზეთი, გამოდიოდა ბათუმში), „სამუსლიმანო საქართველო“ (ქართულ-თურქული გაზეთი, გამოდიოდა ბათუმში),

„განახლებული მესხეთი“ (ქართულ-აზერბაიჯანული გაზეთი, გამოდიოდა ახალციხეში), „სედნი მილეთ“ (თურქული გაზეთი, გამოდიოდა ბათუმში, დაიხურა მტრული პოზიციის გამო 1920წ.) და სხვა. წიგნის ავტორი პრესისადმი დამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო დოკუმენტურ მასალებს განიხილავს.

წიგნის მესამე ნაწილი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიტერატურული პერიოდიკა – მოიცავს 1918-1921 წლების ქართული ჟურნალების, ალმანახების, ლიტერატურული გაზეთების მიმოხილვას. მეცნიერს ჩვეული მონდომებითა და შრომისმოყვარეობით შეუსწავლია თითოეული პერიოდული გამოცემა. როგორც ცნობილია, იმ ეტაპზე მომრავლებულ, თითქმის, ყოველ ლიტერატურულ ჯგუფს გააჩნდა საკუთარი ჟურნალი, ალმანახი ან გაზეთი, თანაც, ხშირ შემთხვევაში, რამდენიმე გამოცემაც კი. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ჟურნალი გახლდათ „პრომეთე“, მასში ძირითადად ერის კულტურული ცხოვრების ამსახველი მოვლენები იბეჭდებოდა, თუმცა მას ლიტერატურულსა და მეცნიერულთან ერთად პოლიტიკური განყოფილებაც გააჩნდა. რედაქციის ჟურნალის თანამშრომელთა ძველმა თაობამ ფართოდ გაუღო კარი ახალგაზრდა შემოქმედ თაობასაც. მათ შორის იყვნენ: დ. კლდიაშვილი, ა. პაპავა, კ. გამსახურდია, ს. ფაშალიშვილი, ა. შანიძე, (დაიბეჭდა მისი წერილი და ლექსები – „ქართული ეროვნული ჰიმნი“, „ლოცვაი წმინდისა იერემიასი“ და „გამოსვლათაი“), ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი, პ. ინგოროყვა (ამ უკანასკნელის დაიბეჭდა კავკასიის ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო)... იმავე 1918 წელს გამოვიდა ჟურნალი „პირველი ნაბიჯი“, ქუთაისში კი ჟურნალი „ლიგეია“. როგორც წიგნის ავტორი ამბობს, ამ ჟურნალის არც ერთი ნომერი ბიბლიოთეკის საცავებს არ შემორჩენია და ცნობები მათზე სხვა გაზეთებიდან ამოუკრიბავს. 1919 წელს გამოვიდა სქელტანიანი ჟურნალი „შვიდი მნათობი“. ამავე წლის ბოლოს, ქართველ მწერალთა ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ, გამოვიდა ყოველთვიური ჟურნალი „ცისარტყელა“. იგი მკითხველის წინაშე ძალზედ ამბიციური ბაქი-ბუქით შემოსულა,

ყოფილა პროლეტარული მიმართულების და შემოკრებილი ჰყოლია, როგორც ძლიერ შემოქმედთა ნაკადი, ასევე სუსტი კალმოსნებიც, რომელთაც მაინცდამაინც თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

ჩვენი მწერლობის უმრავლეს წარმომადგენელთა ხანგრძლივი და მონდომებული მცდელობით შეიქმნა მათი საკუთარი ლიტერატურული ორგანო, ყოველთვიური ჟურნალი „ცისარტყელა“. მასში იბეჭდებოდა, როგორც პოეზია, ისე პროზაული ნაწარმოებები. წიგნის ავტორი გადმოგვცემს, პროზა უფრო საინტერესოდ იყო წარმოჩენილი, ვინაიდან გამოსული 14 ნომრიდან თითქმის ყოველ ნომერში, მაგალითად 12-ში დაიბეჭდა ობოლი მუშის (ს. თავაძე) ლექსები, 7-ჯერ ხ. ვარდოშვილის, 4-ჯერ დუტუ მეგრელის, 3-3-ჯერ დ. მეჩონგურის, ბაბილინას, გელას, ნ. ჩხიკვაძისა და სხვების. თითოჯერ დაუბეჭდავს ი. გრიშაშვილის, ს. შანშიაშვილის, ს. ბერეჟიანისა და აკაკი წერეთლის ლექსები, ხოლო პროზაიკოსთაგან ლ. ქიაჩელის, დ. კლდიაშვილის, კ. გამსახურდიას, ნ. ლორთქიფანიძის, ი. მჭედლიშვილისა და სხვათა შემოქმედება. „ცისარტყელა“ ცდილობდა არ ჩაკეტილიყო და ჰქონოდა მრავალფეროვანი განყოფილებები, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია და მალე დაიხურა.

ძალზე საინტერესოა წიგნის ის მონაკვეთი, რომელიც „ცისფერყანწელთა" ჟურნალ-გაზეთებისადმი („მეოცნებე ნიამორები“, „შვილდოსანი" და სხვა) მაშინდელი ინტელიგენციის არაერთგვაროვან დამოკიდებულებას ეხება. ავტორი ზოგადად ასკვნის, რომ მათ ბევრი მაქებარიცა და ბევრი მლანძღავიც ჰყოლია და ვრცლად გადმოგვცემს „ცისფერყანწელებთან“ დაპირისპირებულთა ბრძოლის კონკრეტულ ფაქტებს.

ნაშრომში ასევე განხილულია პერიოდული გამოცემები: „პოეზიის დღე“, „ხელოვნება“, „ლეილა“, „ახალი ნაკადი“, „პარნასი“, „ბარიკადი“. გაზეთები: „ქუთაისი“ (სოციალ-დემოკრატების ორგანო), „არმაზი" (გამოვიდა ქუთაისში), „სიმართლის ხმა" (გამოდიოდა სოხუმში), მოსწავლეთა ჟურნალი „ეარის ინათი" (გამოვიდა ქუთაისში 1919 წ.).

აქვე განხილულია გამომცემლობათა ის დუხჭირი მდგომარეობა (ფინანსური), რის გამოც მათ სული ეხუთებოდათ და ზოგიერთი

დაიხურა კიდეც. ასეთ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ძლივს განაგრძნობდნენ არსებობას „ნაკადული“ და „ჯეჯილი“.

წიგნში სათანადო ადგილი ეთმობა იმ არალიტერატურულ, პარტიულ-პოლიტიკურ ბეჭდვით ორგანოებსაც, რომლებიც ამ წლებში გამოვიდა და თან დიდ ადგილს უთმობდნენ ლიტერატურის ცალკეული ნიმუშების ბეჭდვას, თუმცა, როგორც ავტორი მიანიშნებს, ყოველი მათგანი უპირატესად თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამოდიოდა.

წიგნის ავტორი, პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი, როგორც გულმართალი და ობიექტური ისტორიკოსი, ყურადღების მიღმა არ ტოვებს არც საქვეყნოდ გამოჩენილ და არც ნაკლებად ცნობილ კალმოსნებს, როგორც თავად აღნიშნავს „მართალია, ამ ავტორთა დიდი ნაწილი დღეს ან საერთოდ არაფერს ეუბნება მკითხველს, ანდა მხოლოდ ლიტერატურის სპეციალისტებისათვის თუ არის ცნობილი, მაგრამ თუ იმ ეპოქის ლიტერატურული ცხოვრების სრული სურათი გვინდა, მაშინ ისინიც უნდა ვახსენოთ“.

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომი, რომლის საერთო სათაურია „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“, თანამედროვე ისტორიულ-კულტუროლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. იგი შესრულებულია მაღალი მეცნიერული პასუხისმგებლობით. ავტორისეული გააზრებანი და დასკვნები გადმოცემულია სადა, ლაკონური ენითა და წერის მანერით. ნაშრომი, რომელიც სულ მალე გამოიცემა წიგნად, სათანადო დახმარებას გაუწევს, როგორც სპეციალისტებს, ასევე მასში გაშუქებული საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს.

თენგიზ გუმბერიძე

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი